საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (272)
15 - 21 ოქტომბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



«მართლმორწმუნე ატლანტისტებმა საქართველოში დაიწყეს მსჯელობა ახალი საწვრთნელი ცენტრის დიდ, ლამის იდუმალ მნიშვნელობაზე, თითქოსდა რამდენიმე ინსტრუქტორი ან მათთან ერთად გამოგზავნილი რამდენიმე ათეული ბროშურა უსაფრთხოების რაიმე გარანტიებს ქმნის»

## ალასანიას თამაში და მიზანში ამოღებული საქართველო

4



«საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს ბალანსზე აგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს არავინ ფიქრობს ნეიტრალიტეტზე; აქ მარტო ნატოზე ფიქრობენ და ევროკავშირზე, ამ დროს ერთიც და მეორეც მირაჟია, რომელთანაც ვერასოდეს მივალ...»

## ღარიბაშვილს, უბრალოდ, შეჭამენ, ჩაძირავენ... ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გაწირა ეს ახალგაზრდა კაცი

7



## თურქეთი საქართველოზე გავლენას აძლიერებს

14

«უკვე საბუთებს ვაგროვებ, საზღვარგარეთ თავშესაფარი რომ მოვითხოვო. როგორც კი ქვეყნის დატოვების საშუალება მომეცემა, ყველა დოკუმენტსა თუ ვიდეოკადრს გამოვაქვეყნებ, რომლებზეც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის «კაიკაცობაა» აღბეჭდილი»



9

## დღეს საქართველო ივანიშვილისგან «გადაგდებულია»!

## კათხა ლუდი, გიორგი მარგველაშვილი და პოლონელი სანტექნიკოსი

6



## «ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა...»

8

2 ვანდა-ლებმა წმინდა ბარბარეს ეკლესია დაარბიეს

«ამერიკელები სკეპტიკურად უნდა იყვნენ განწყობილნი ხელისუფლების მიმართ» 3

«ამერიკელები უფრო ნაკლებად დაუჯერებდნენ ხელისუფლებას, აშშ-ის ნამდვილი ისტორია რომ იცოდნენ!» 3

«ბატონო ბიძინა, ესაა თქვენი დატოვებული პატიოსანი ხალხი? ესენი ააშენებენ სახელმწიფოს?» 10

«ქვეყანაში შედეგი არის ნულოვანი და სიტუაცია არ არის შეცვლილი!» 11

«თუ გაუვა, ეს მთავრობაც დაამყარებს დიქტატურას. ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს აკეთებენ — სხედან და პრემიებს იწერენ» 12

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საბრძოლო მასალების საიდუმლო საცავი სამცხე-ჯავახეთში



**სამართალდამცველებმა სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქთან განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბრძოლო მასალას მიაკვლიეს.** ამოღებულია ოცი ათასამდე ერთეული სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო მასალა. საცავში, რომლის გათხრასაც მძიმე ტექნიკა დასჭირდა, ტანკის 128 ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის ოთხი ათასამდე დეტონატორი და 15 ათასზე მეტი ასაფეთქებელი ზამბარა ინახებოდა. საბრძოლო მასალები სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში გადაიტანეს. იარაღის ტრანსპორტირებას 9 პიკაპი დასჭირდა.



ილია მეორე:

## აღვირახსნილობა, რომელიც კაცობრიობას დღეს ახასიათებს, ადამიანის გონებას აჩლუნგებს

**„ადამიანი ღმერთმა შექმნა ხატად და მსგავსად თვისა. ადამიანი შეიქმნა იმ მიზნით, რომ მუდმივად განვითარდეს მისი გონება, მისი გული, მისი სხეული. ცოდნა უნდა განავითაროს და ეს განვითარება, ეს მიღწევები სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 12 ოქტომბერს საკვირაო ქადაგებისას.**

„ადამიანის განვითარება დაუსრულებელია. ჩვენ ძალიან ხშირად ვფიქრობთ, რა პირობები უნდა იყოს იმისთვის, რომ ადამიანი განვითარდეს. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა იმუშაოს თავის თავზე, თვითონ უნდა იფიქროს, რა მიიყვანს განვითარებამდე. შეიძლება, რომ აღვირახსნილობამ განავითაროს ადამიანი?! აღვირახსნილობა, რომელიც ახასიათებს კაცობრიობას დღეს, თრგუნავს გონებას. ამით ჩლუნგდება ადამიანის გონება, იღლება, დაიღალა ადამიანი ამ უწესობისგან, ცოდვისგან, მაგრამ მისთვის ღმერთმა მოგვცა ჩვენ სინანული და აღსარება. აღსარებაზე უნდა მივიდეს ადამიანი და თავისი ცოდვები მოინანიოს“, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

მისივე თქმით, არის კიდევ ერთი საშუალება — ეს არის წიგნიერება, წიგნის კითხვა და მრევლს წიგნების კითხვისკენ მოუწოდა.

## დააპატიმრეს სოდ-ისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ი) ყოფილი თანამშრომელი, 1962 წელს დაბადებული დურმიშხან ღვაჩლიანი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) ყოფილი თანამშრომელი, 1977 წელს დაბადებული ჯემალ შონია, აგრეთვე, 1983 წელს დაბადებული ალექსანდრე ჭანტურია და 1978 წელს დაბადებული გიორგი ქალდანი ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა დაგეგმეს და განახორციელეს რამინ გიორხელიძის შვილის — იოსებ გიორხელიძის გატაცება. 10 ოქტომბერს ჯემალ შონიამ და გიორგი ქალდანმა მოტყუებით შეაღწიეს გიორხელიძის სახლში, იარაღის მუქარით გამოიყვანეს იოსებ გიორხელიძე, რომელსაც ფულის გამოძალვის მიზნით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს. გამტაცებლები იმავე დღეს დაუკავშირდნენ რამინ გიორხელიძეს და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ 300 000 აშშ დოლარი მოსთხოვეს. რამინ გიორხელიძემ სამართალდამცველებს მიმართა.

12 ოქტომბერს სამართალდამცველებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯემალ შონია და ალექსანდრე ჭანტურია თბილისში დააკავეს, ხოლო 13 ოქტომბერს დურმიშხან ღვარჩლიანი — დაბა წყნეთში, გიორგი ქალდანი კი — სოფელ არმაზში. გიორგი ქალდანს ჩხრეკისას „ტე-ტე“ სისტემის პისტოლეტი, ვაზნები და 10 000 დოლარი უპოვეს.

## ვანდალებმა წმინდა ბარბარეს ეკლესია დაარბიეს






**14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, თბილისში, 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა ბარბარეს ეკლესია გაქურდეს და დაარბიეს. დანგრეულია ტაძრის ერთ-ერთ კედელი, უშუალოდ ტაძარში კი ყველაფერი დამტვრეულია. კედლებიდან ჩამოგლეჯილია ხატები, იატაკზე მიმობნეულია სხვა სიწმინდეებიც, მათ შორის ჯვრები და ბარძიმი. დამსხვრეულია წმინდა ნიკოლოზის ხატის შუშა. ეკლესიის წინამძღვრის თქმით, მოპარულია ოქროს ჯვარი და ყელსაბამი, რომელიც ხატს ეკეთა. გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველებმა ეკლესიის ცენტრალური კარი ერთ-ერთი საფლავიდან აღებული მარმარილოს ქვით შეამტვრიეს.**

„ეს არ არის მარტო ქურდობის ფაქტი. იმის აღწერა, რაც ეკლესიაში ხდება, შეუძლებელია. ტაძარი ვანდალურად არის დარბეული, შესაწირი ყუთები გატეხილია, ხატები — კედლიდან ჩამოგლეჯილი, არეულ-დარეულია საკურთხეველი. აქ არ არის ლაპარაკი მატერიალურ ზარალზე. მთავარი არის ის, რომ ეს ერის შეურაცხყოფაა. აქ სწორედ ღირსების შელახვაზეა საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესია შეგვიგინეს!

ქართულ ეკლესიას მიხედვა უნდა, პირველ რიგში, ქართველებისგან. ქართველები რომ ფეხზე ვიდგეთ, ეს არ მოხდებოდა. მომხდარის გამო პარლამენტი და მთავრობა ფეხზე უნდა დადგეს. ვფიქრობ, რომ ეს ეშმაკმა გააკეთა, მაგრამ ეს ეშმაკი უნდა იპოვონ“, – განაცხადა ეკლესიის წინამძღვარმა.

**P.S. 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, წმინდა ბარბარეს ეკლესიის ვანდალურმა დარბევამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის დამოკიდებულება, რომელიც ქვეყანაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და პირადად მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრეს უცხოელი პატრონების მითითებით. ეს არის უკიდურესი ზიზღი და უპატივცემულობა მართლმადიდებლობის მიმართ, ქართული ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის, საერთოდ, ქართველების მიმართ.**

**თუმცა, თუ გავიხსენებთ, როგორ დაარბიეს „ნაციონალებმა“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გლდანის ეკლესია — შელეწეს ტაძრის კარი სატვირთო ავტომობილებით, სცემეს მრევლს ხელკეტებით და ათრიეს თმით (დარბევას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია, ვასილ სანოძე და ოლეგ მელნიკოვი. იმხანად შს მინისტრი იყო გია ბარამიძე); როგორ მიუვარდა სამების ეკლესიაში გიგი უგულავა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, როგორ ჩაენარცხა გაბრუებული მიხეილ სააკაშვილი ილია მეორის სავარძელში მახათას მთაზე, რაღა უნდა გვიკვირდეს.**

**საკითხავი მხოლოდ ის არის — უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ სხვა კონფესიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ფონზე, როდემდე უნდა ითმინონ დამცირება და რბევა-შეურაცხყოფა საქართველოს მართლმადიდებლებმა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?**



ირაკლი ღარიბაშვილი:

## გონს მოეგონ!

**„დაისჯება ყველა, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ რამეს დაგეგმავს!“ — განაცხადა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ადამიანის მძევლად აყვანის გამო სოდ-ის და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლების დაკავების კომენტირებისას. პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს ადამიანები სოდ-იდან და კუდ-იდან ორი წლის წინათ გაათავისუფლა.**

**„ასეთი კრიმინალების, გამტაცებლების, მკვლელებისა და ყაჩაღების ხელში იყო მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესენი მართავდნენ ქვეყანას. გასარკვევია, ვინ დგას ამის უკან და სამინისტრო და მინისტრი ამის გარკვევაზე მუშაობენ. ეს შემთხვევითი არ არის. მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამის უკან დგას ორგანიზებული ძალა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, გამოძიება სჭირდება. ეს არის ის, რაზეც ალექსანდრე ჭიკაიძე საუბრობდა სულ რაღაც ერთი თვის წინათ, რომ ეს არის ორგანიზებული ჯგუფი“,** — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას მადლობა გადაუხადა მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული ოპერაციისთვის, რომლის შედეგად, მძევლად აყვანილი იოსებ გიორხელიძე ოჯახს ყოველგვარი ზიანის გარეშე დაუბრუნდა.

**„მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო ის ადამიანები, რომლებიც მათ უკან დგანან და რომელთა ბინძურ თავშიც იხარშება ეს სისასტიკე, რომელიც იგეგმებოდა წლების განმავლობაში, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ხურჩის ტერაქტი, ისინი, ვინც აუპატიურებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს პოლიციაში, ციხეებში, იტაცებდნენ და კლავდნენ. მინდა, მათ საბოლოო გაფრთხილება მივცე — გონს მოეგონ! თუ ისინი სახელმწიფოს და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავენ, უმკაცრესად დაისჯებიან. ძალიან მკაცრად დაისჯება ყველა, ვინც მსგავს პროვოკაციასა და სიბინძურეს ჩაიდენს!“** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.



კახა კალაძე:

## «ნაციონალური მოძრაობა» არის დესტრუქციული ძალა, სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული

**ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გამოეხმაურა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადების, რომლის თანახმადაც ადამიანის გატაცების საქმეში „ნაციონალების“ ხელწერა იგრძნობა.**

„ნაციონალური მოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა, სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური დაჯგუფება. ვფიქრობ, დღეს საქართველოში ერთადერთია „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ხელს აძლევს, ქვეყანაში იყოს ქაოსი და არეულობა. ეს არც მათ და არც მათ მომხრეებს არ გამოადგებათ. თუ დააპირებენ არეულობის მოწყობას, ყველა სათანადოდ, მაქსიმალური სიმკაცრით იქნება დასჯილი კანონის ფარგლებში“, — განაცხადა კახა კალაძემ.



## ბარაკ ობამას ყოფილმა მხარდამჭერმა პრეზიდენტისგამოსახულებიანი მაისური დაწვა

მწერალმა კერი უედლერმა ვიდეოზე გადაიღო, როგორ წვავს ობამას გამოსახულებიან მაისურს, შემდეგ კი ეს ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გაავრცელა. „უკვე კარგა ხანია, ობამა მძულს, რადგან მივხვდი, რომ მან კონკრეტულად მე გამყიდა; მე მჯეროდა მისი განცხადებებისა და ენთუზიაზმით ვიყავი აღვსილი. ობამას მოხერხებულად შეუძლია იცრუოს და თავი მოგაჩვენოს, თითქოს ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაგრამ მისი მოქმედებები საწინააღმდეგოზე მეტყველებს“, — განუცხადა ამერიკელმა მწერალმა ქალმა ტელეარხ Russia Today-ს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯეიმს კომი:

# ამერიკელები სკეპტიკურად უნდა იყვნენ განწყობილნი ხელისუფლების მიმართ



**აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელის — ჯეიმს კომის განცხადებით, ამერიკელი მოქალაქეები თავიანთ მთავრობას არ ენდობიან.**

**„მიმაჩნია, რომ ამერიკელები სკეპტიკურად უნდა იყვნენ განწყობილნი ხელისუფლების მიმართ. მათ, უბრალოდ, არ შეუძლიათ, ენდონ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს. ეს იცოდნენ ამერიკის დამფუძნებლებმა და იმიტომ გაყვეს ხელისუფლება სამ შტოდ, რათა ინტერესები დაეპირისპირებინათ“, — განაცხადა ჯეიმს კომიმ ტელეარხ CBS-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

ინტერვიუს მიმდინარეობისას კომიმ გაიხსენა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციასთან 2004 წლის უთანხმოება ფარული მოსმენების პროგრამის გამო. ჯეიმს კომიმ აღნიშნა, რომ **აშშ-ის იმჟამინდელი ადმინისტრაციის ბევრი მოქმედება უკანონო იყო**, დღეს კი გამოძიების ფედერალურ ბიუროს არ აქვს უფლება, თვალთვალი აწარმოოს სასამართლოს ნებართვის გარეშე.

**„მოქალაქეების თვალთვალისა და ფარული მიყურადების ნებართვისთვის ჩვენ სასამართლოს უნდა მივმართოთ,“** — განმარტა კომიმ.

უფრო ადრე კომიმ CBS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კიბერშპიონაჟზე საუბრისას ჩინელი ჰაკერები „მთვრალ მძარცველებს“ შეადარა.

„ისინი მთვრალ ჰაკერებს ჰგვანან: კარს ფეხით ამტვრევენ, სახლიდან ტელევიზორის გატანისას კი ლარნაკს ძირს აგდებენ და ამსხვრევენ. მათი სტრატეგია ასეთია: ჩვენ ვიქნებით ყველგან და ყოველთვის, ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს.

ჩინელმა ჰაკერებმა მრავალი მილიარდი დოლარით აზარალეს აშშ-ის ეკონომიკა“, — განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა.



## აშშ-ის პირველმა ლედიმ თავი ზედიზედ 7-ჯერ შეირცხვინა

**აშშ-ის პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ თავი საქვეყნოდ მოიჭრა. სენატის არჩევნებისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას მან შეკრებილთ მოუწოდა, მხარი დაეჭირათ დემოკრატების კანდიდატ ბრუს ბრეილისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, თავი არ შეიწუხა, გვარი ზუსტად დაემახსოვრებინა და ის ზედიზედ 7-ჯერ არასწორად წარმოთქვა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის გვარი დიდი ასოებით ეწერა სცენის თავზე ჩამოკიდებულ პლაკატზე და ტრიბუნაზე.** მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლემ 7-ჯერ არასწორად წარმოთქვა გვარი, მიტინგის ერთ-ერთმა მონაწილემ ვერ მოითმინა და პირველ ლედის შეუსწორა. — ბრეილი? განა მე ასე არ ვთქვი? ჩანს, ვბერდები, — გაიხუმრა მიშელ ობამამ. თვითონ ბრეილის კი, ალბათ, ერჩივნა, თანაპარტიელთა ასეთი ტლანქი მხარდაჭერის გარეშე დარჩენილიყო. რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ექსპრეზიდენტი კლინტონიც გამოვიდა წინასაარჩევნო მიტინგზე და მანაც შეცდომით წარმოთქვა ბრეილის გვარი.

პოლ კრეიგ რობერტსი:

# ამერიკელები უფრო ნაკლებად დაუჯერებდნენ ხელისუფლებას, აშშ-ის ნამდვილი ისტორია რომ იცოდნენ!

**„აშშ-ის ბევრ მოქალაქეს კვლავაც სჯერა ვაშინგტონის განცხადებებისა ამა თუ იმ საგარეო საფრთხის შესახებ, თუმცა ამ საფრთხეების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლოს მოჩვენებითი აღმოჩნდა“, — წერს პუბლიცისტი და პოლიტოლოგი პოლ კრეიგ რობერტსი.**

„აშშ-ის მოქალაქეები, ალბათ, უფრო ნაკლებად დაიჯერებდნენ ვაშინგტონის განცხადებებს, თავიანთი ქვეყნის ნამდვილი ისტორია რომ იცოდნენ. **ამერიკელებს, როგორც წესი, რამდენიმე წელიწადი სჭირდებათ იმის მისახვედრად, რომ ვაშინგტონის ესა თუ ის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის ბევრ მოქალაქეს კვლავაც სჯერა ქვეყნის ხელისუფლების განცხადებებისა. ამერიკელები, როგორც ჩანს, ვერ ხვდებიან, რომ, თუკი პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე საფრთხეები ყალბი, მოჩვენებითი აღმოჩნდა, ასეთივე იქნება მეექვსეც, შემდეგ — მეშვიდე, მერვე და მეცხრე.**

ამერიკელმა საზოგადოებამ დაიჯერა, რომ ავღანეთში „თალიბანი“ ტერორისტული ორგანიზაციაა, დაკავშირებული „ალ ქაიდასთან“; დაიჯერა, რომ სადამ ჰუსეინს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა, რომ ირანი ატომურ იარაღს ქმნის, ბაშარ ასადმა კი ქიმიური იარაღი გამოიყენა თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ.

რაც შეეხება საიდუმლო ოპერაციებს, **ძმებმა ჯონ და ალენ დალესებმა (ჯონ ფორესტ დალესი (1888-1959) — აშშ-ის სახელმწიფო მდივან დუაიტ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის პერიოდში; ალენ უელშ დალესი (1898-1969) — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვოს დირექტორი 1953-1961 წლებში — რედ.)** შეიმუშავეს და განახორციელეს პრეზიდენტის დამხობის გეგმა ექვს ქვეყანაში, მათ შორის **გვატემალის პრეზიდენტ ხაკომო არბენსის რეჟიმისა, რომლის მიერ შემუშავებული მიწის რეფორმა დალესების კომპანია United Fruit Company-ის ინტერესებს ემუქრებოდა. ის, რაც გვატემალაში მოხდა, დემოკრატიული და რეფორმისტული ხელისუფლების დამხობა იყო კონკრეტული ამერიკული კომპანიის ინტერესების დაცვის მიზნით.**



«ამერიკელებს, როგორც წესი, რამდენიმე წელიწადი სჭირდებათ იმის მისახვედრად, რომ ვაშინგტონის ესა თუ ის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა»

უკრაინის ამჟამინდელი ვითარებაც ანალოგიური სცენარის განხორციელებით არის გამოწვეული. ასეთი საიდუმლო პროგრამები კი ძალიან ძვირი დაუჯდა არა მხოლოდ სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, არამედ თვითონ ამერიკელებსაც, ამის ნათელი მაგალითებია ომები ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში.

მსოფლიოს უდიდეს საფრთხეს უქმნის ის სიჯიუტე, რომლითაც აშშ თავის განსაკუთრებულობაზე საუბრობს“, — წერს პოლ კრეიგ რობერტსი.



## «ოლიგარქებთან მებრძოლმა» ლიაშკომ დამალა, რომ მილიონ დოლარად ღირებული ბინა იყიდა

**უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ მილიონ დოლარად შეიძინა მანსარდიანი ბინა კიევში, — წერენ უკრაინული მედიასაშუალებები.** 500 კვ.მ ფართობის ორიარუსიან ბინაში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს, ამიტომ ლიაშკოს ოჯახი ახალ ბინაში ნახევარი წლის შემდეგ გადავა. ჯერჯერობით კი დეპუტატი სხვების ფუფუნებაზე ლაპარაკობს და პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსა და დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორ იგორ კოლომოისკის ანგარიშსწორებით ემუქრება. ლიაშკოს ქონებრივ დეკლარაციაში ახალი ბინა აღნიშნული არ არის, მაგრამ არის ორი სხვა ბინა — 97 კვ.მ-სა და 365 კვ.მ ფართობისა.



# ევროპელებს არ სურთ თავისუფალი ვაჭრობა აშშ-თან

**11 ოქტომბერს ევროპის ათასობით ქალაქში გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელთა მონაწილეებმაც თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატეს აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (TTIP) გამო.**

აქციაში მონაწილეობდნენ ფინეთის, გერმანიისა და ბელგიის ქალაქების მცხოვრებლები. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება — ეს არის ევროკავშირის ისტორიაში პირველი მოვლენა, რომელმაც ევროპის საზოგადოებრიობის მასობრივი რეაქცია გამოიწვია. გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის მცხოვრებლებმა სიმბოლურად ააგეს ტროას ცხენი და ქუჩაში გაატარეს. მათი აზრით, სწორედ ტროას ცხენივით საფრთხის შემცველია დოკუმენტი აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ევროპელები შიშობენ, რომ შეთანხმება ნეგატიურად აისახება კვების პროდუქტების ხარისხსა და საქონლის უსაფრთხოებაზე. ვარაუდობენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება 120 მილიარდ დოლარამდე გაზრდის სავაჭრო ბრუნვას ევროკავშირსა და აშშ-ს შორის. ორივე მხარე ადასტურებს, რომ შეთანხმება, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იდეად რჩებოდა, ამჟამად ახლოს არის განხორციელებასთან. თუმცა დოკუმენტის შეთანხმებისას წარმოიშვა სერიოზული წინააღმდეგობები — ბრიუსელი ეკოლოგიისა და ჯანდაცვის სტანდარტების მკაცრად დაცვას მოითხოვს.



მიუნხენელებმა აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქუჩაში ქათმის ფიტულის გამოტანით გააპროტესტეს

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საზოგადოება ბიძინა ივანიშვილისგან პოლიტიკაში მეტი სიცხადის შეტანას მოითხოვს (საგარეო პოლიტიკას ეხება ეს თუ საკადროს), მაგრამ, როგორც წესი, არავინ ფიქრობს იმაზე, რამდენად საჭიროა და (რაც მთავარია!) რამდენად უსაფრთხოა ქვეყნისთვის ეს დამატებითი სიცხადე ამ ეტაპზე.**

# ალასანიას თამაში და მიზანში ამოღებული საქართველო



**2012 წლის არჩევებში გამარჯვების შემდეგ ახალმა მმართველმა ძალამ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება დაიწყო. სირთულების მიუხედავად, ნორმალიზაციის პროცესს მთლიანობაში დადებითი დინამიკა ახასიათებს. არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი დადებითად გადაწყდა (მაგალითად, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება) და საზოგადოების ნაწილში გაჩნდა იმედი, რომ მხარეები გაცილებით რთული, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას მიუახლოვდებიან. თუმცა ბოლო დროს ვითარება ორმხრივ ურთიერთობებში ერთობ დაიძაბა და მოსკოვიდან გამაფრთხილებელი სიგნალები გაისმა. ისევე, როგორც ადრე, ამის მიზეზი საქართველო-აშშ-ის (და ნატოს) თანამშრომლობის გაღრმავება გახდა.**

### ცეკვები წითელ ხაზთან

ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთის საგარეო უწყებამ საქართველოსთან დაკავშირებით ნეგატიური შინაარსის ორი განცხადება გაავრცელა. ციტატა 2 ოქტომბრის განცხადებიდან: „მოსკოვში ყურადღება მიაქციეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რამდენიმე ხნის წინათ გავრცელებულ ცნობებს საქართველოში სირიის ოპოზიციის ბოევიკებისთვის ამერიკული საწვრთნელი ბანაკის შექმნის გეგმების შესახებ. ცხადია, რომ თბილისის ამგვარი გადაწყვეტილება, თუკი ის მიღებული იქნებოდა, მიაყენებდა სერიოზულ ზიანს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს“. განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამი იყო, რომ, ასეთი ბანაკის შექმნის შემთხვევაში, „გარდაუვალი იქნებოდა ნეგატიური შედეგები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს“, „ამიტომ ჩვენ სერიოზულად აღვიქვით ოფიციალური უარყოფები, რომლებიც თბილისში, მათ შორის პრემიერ-მინიტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთდა. ამ თემას ყურადღებით დავაკვირდებით“. სკანდალს, რომელიც სექტემბრის ბოლოს დაიწყო, მას შემდეგ, რაც „ფორეინ პოლისიმ“ ამ ჰიპოთეტურ ბანაკზე წერილი გამოაქვეყნა, ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით. 8 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება, რომელშიც შემდეგი აბზაციც იყო: **„რუსეთის მხრიდან გამოითქვა შეშფოთება ქართულ მასმედიაში გავრცელებული ცნობების გამო, საქართველოში, ნატოს ინტრესებიდან გამომდინარე, სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებასთან დაკავშირებით. ასეთი ქმედებები საფრთხეს შეუქმნიდა სტაბილიზაციას ამიერკავკასიაში“.** ამ განცხადებაში არ არის დაკონკრეტებული, რა ცნობებზეა საუბარი, თუმცა საქმე, სავარაუდოდ, ე. წ. „ნატოს საწვრთნელ ცენტრს“ შეეხება — ეს თემა ქართულ მედიაში საკმაო ხანია ტრიალებს, არაერთი კომენტატორი ამ ნიადაგზე ჩახლართულ სპეკულაციებს აგებს და საქართველოში ლამის ნატოს ბაზის გახსნაზე მსჯელობს.

**სინამდვილეში, არანაირი ბაზის გახსნა არ იგეგმება.** ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის — უილიამ ლაჰიუს განცხადებით, „საკითხი, რომელზეც ხალხი მსჯელობს პარტნიორობის საწვრთნელი ცენტრია, რომელიც იქნება საქართველოს კუთვნილებაში, სადაც წვრთნა და სწავლება მოხდება. ნატო მსჯელობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საწვრთნელი ცენტრის განვითარებაში დახმარების საკითხზე. ჩვენ, უბრალოდ, დავეხმარებით მათ მრჩევლებით. არ შეგვიძლია, ამას ვუწოდოთ ნატოს ბაზა. ეს არის საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის ანალოგიც სხვა ქვეყნებშიცაა განთავსებული, როგორც ნატოს მოკავშირე ქვეყნებში“. მარტივად რომ ვთქვათ, **საუბარია ქართულ საწვრთნელ ცენტრზე, რომელსაც ნატო დახმარებას აღმოუჩენს. არაფერი ახალი პრაქტიკაში არ არის.** ჩვენ შეგვიძლია, გავიხსენოთ კურსები „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში, მაგალითად, თებერვალში საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში წვრთნა ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების (მათ შორის, ესტონეთის, სომხეთისა და იორდანიის) სამხედროებმა და ადგილობრივმა ინსტრუქტორებმა გაიარეს. ბუნებრივია, ამას არანაირი დიპლომატიური სკანდალი არ მოჰყოლია (და ვერც მოჰყვებოდა) და **არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ახალ საწვრთნელ ცენტრში რაიმე პრინციპულად განსხვავებული მოხდება,** მაგრამ სპეკულაციები ამ თემაზე საქართველოში მაინც გრძელდება და საკითხის განხილვაში უკვე რუსეთის საგარეო უწყებაც ჩაერთო. **თუნდაც მინიშნება საქართველოში ნატოს ძალების ან ობიექტების შესაძლო განლაგებაზე კრემლისთვის „წითელი ხაზის“ გადაკვეთის ტოლფასია.**

**მართლმორწმუნე ატლანტისტებმა საქართველოში დაიწყეს მსჯელობა ახალი საწვრთნელი ცენტრის დიდ, ლამის იდუმალ მნიშვნელობაზე, თითქოსდა რამდენიმე ინსტრუქტორი ან მათთან ერთად გამოგზავნილი რამდენიმე ათეული ბროშურა უსაფრთხოების რაიმე გარანტიებს ქმნის**

**საქმე, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმ მძიმე მარცხშია, რომელიც ქართულმა დიპლომატიამ (უფრო ფართოდ კი, დასავლელი პარტნიორების პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიაში) უელსის სამიტზე იწვნია.** საქართველომ ვერ მიიღო მაპი და ნატოში გაწევრებას რეალურად ერთი მილიმეტრითაც ვერ მიუახლოვდა, ალიანსის ევროპელი წევრები რუსეთის გაღიზიანებას მოერიდნენ და მათი გადარწმუნებით თავი არც ამერიკელებს მოუკლავთ. **ამ არასახარბიელო შედეგის გადასაფარევად საქართველოს მისცეს „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“, დაახლოებით ისე, როგორც ატირებულ ბავშვს სათამაშოს აძლევენ.** მაგრამ ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს თამაში არ მიიღო, დაიწყო ცინიკური სკეპტიციზმით სავსე საუბრები დასავლელი მოკავშირეების უძლურებაზე, რომელიც, როგორც წესი, სრულდებოდა მარტივი დასკვნით: „ან მიგვიღონ, ან თავი დაგვანებონ“. სავარაუდოდ, სწორედ ამის პასუხად **მართლმორწმუნე ატლანტისტებმა საქართველოში დაიწყეს მსჯელობა ახალი საწვრთნელი ცენტრის დიდ, ლამის იდუმალ მნიშვნელობაზე, თითქოსდა რამდენიმე ინსტრუქტორი ან მათთან ერთად გამოგზავნილი რამდენიმე ათეული ბროშურა** (პლუს ამას შეიძლება ზურგჩანთები ან რამე სხვა არალეტალური არჭურვილობა გვაჩუქონ) **უსაფრთხოების რაიმე გარანტიებს ქმნის.** ამ თემაზე საუბრის გაგრძელება, უბრალოდ, სასაცილო იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სავარაუდოდ, აპროტესტებს არა მხოლოდ და არა იმდენად კონკრეტული საწვრთნელი ცენტრის შექმნას, რამდენადაც გარკვეულ ტენდენციას ქართულ პოლიტიკაში, რომელზეც, ალბათ, შედარებით ვრცლად უნდა ვისაუბროთ.

### სირიელი მეამბოხეებიღა გვაკლდა

როდესაც „ფორეინ პოლისიმ“, თეთრი სახლის ანონიმურ წარმომადგენელზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისში აშშ-ის თავდაცვის მდივნის — ჩაკ ჰეიგელის ვიზიტის დროს ქართულმა მხარემ საქართველოში სირიელი მეამბოხეებისთვის საწვრთნელი ცენტრის შექმნა შესთავაზა, ადგილობრივი კომენტატორების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს იდეა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას დაუკავშირა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ის იყო ერთდერთი ოფიციალური პირი, რომელმაც, ფორმალური თვალსაზრისით, ამ შეთავაზების არსებობა არ უარყო. ბევრს ალასანიას 30 აპრილის განცხადება გაახსენდა, როდესაც მან (ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე) ნატოს საქართველოში „თავდაცვითი საშუალებების განთავსება“ შესთავაზა. ის განცხადება ერთობ ბუნდოვანი იყო, მაგალითად, ნატოს გენმდივნის მოადგილემ გაიგო ის, როგორც მოწოდება საქართველოში ნატოს ძალების მუდმივი განთავსებისკენ, ზოგმა მის უკან საქართველოში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების განთავსების სურვილი დაინახა, იყო სხვა ვერსიებიც, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ — **ალასანიამ ეს განცხადება ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებლად გააკეთა, რისთვისაც მკაცრად გააკრიტიკეს.** ახლა საუბარი სირიელი მეამბოხეების საწვრთნელ ბანაკზე მიდგა და ამას ისევ ალასანიას უკავშირებენ, მაშინ, როდესაც მთავრობის სხვა წარმომადგენლები ყველაფერს უარყოფენ. აქვე, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ **მთავრობიდან ყველაზე მწვავე, ფაქტობრივად, კონფრონტაციულ განცხადებებს რუსეთის მისამართით სწორედ თავდაცვის მინისტრი აკეთებს.**

მიუხედავად იმისა, ვის მოუვიდა თავში ეს იდეა, ამ ადამიანის ფსიქიკურმა ადეკვატურობამ შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს. სირიელი მეამბოხეების რიგებში ბევრი რადიკალი ისლამისტია, რომელთა მართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. გუშინ ისინი ომობდნენ სირიაში ბაშარ ასადის წინააღმდეგ, დღეს ერაყში პროამერიკულ ხელისუფლებას ებრძვიან. არავინ იცის, რას გააკეთებენ ისინი ხვალ — იომებენ ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ თუ რომელიმე არაბულ ქვეყანაში დასავლელ ჟურნალისტებს თავებს დააჭრიან. გლობალური ჯიჰადის სტიქიის პროგნოზირება ძნელი და პრაქტიკულად უმართავია (კლასიკური ჯიჰადი ცოტა სხვა რამ არის, აქ საუბარი ამ ფენომენის თანამედროვე რადიკალურ ინტერპრეტაციას ეხება). უამრავი ახალგაზრდა, რომლებსაც ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად მოამზადებენ, მომავალში ტერორისტული ინტერნაციონალის აქტიური მებრძოლი გახდება, ამაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ავღანეთის და არაერთი სხვა ქვეყნის უახლესი გამოცდილება. რა მოიგო პაკისტანმა, რომლის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა მსგავსი ბანაკები? რამდენი სისხლი დაიღვარა იქ? ვის მოუვიდა თავში პაკისტანზე გაცილებით სუსტ და დაუცველ საქართველოში ასეთი ბანაკის შექმნის იდეა, რომელსაც, საშიშროების თვალსაზრისით, მხოლოდ კრაზანების ბუდეს თუ შევადარებთ?

„მამაჩემო, არ ინერვიულო, ჩამოვალთ და რუსებს სეირს ვაჩვენებთ“, — აქვეყნებს „ბლუმბერგი“ პანკისელი ქისტის — თარხან ბათირიშვილის ნათქვამს (სირიაში ეს გავლენიანი საველე მეთაური ცნობილია, როგორც აბუ უმარ აშშიშანი). ბათირიშვილის მამის თქმით, შვილმა უთხრა, რომ მასთან ერთად „ათასობით მებრძოლი მოდის. უფრო მეტიც იქნება. რუსეთსაც მივწვდებით და შური უნდა ვიძიოთ“. ამ პუბლიკაციის შემდეგ ქართულ მედიასა და სოციალურ ქსელებში დაიწყო აქტიური მსჯელობა იმაზე, რომ ბათირიშვილი და მისი თანამოაზრეები შეცდებიან, გამოიყენონ პანკისის ხეობა და ზოგადად საქართველოს ტერიტორია, როგორც ბაზა, რომელზეც დაყრდნობით რუსეთზე იერიშებს მიიტანენ. აბა, სად მოდის ის „ათასობით მებრძოლი“ თუ არა საქართველოში? „ბლუმბერგის“ ინფორმაცია სხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ ტოვებს. **მოვლენები შეიძლება ძალზე დრამატულად განვითარდეს (ამაზე არა მხოლოდ განხილული ინფორმაცია მიუთითებს), ხოლო ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს — ან რუსებთან ერთად აქტიურად შეებრძოლება ამ რაზმებს, ან კრემლი, დიდი ალბათობით, მას „ტერორისტების თანამზრახველად“ გამოაცხადებს და დაბომბავს პანკისის ხეობას ან საქართველოს სხვა რაიონებს, რომლებსაც ბოევიკების თავშესაფრად ჩათვლის.** გამორიცხული არაა, პანკისში დაახლოებით იგივე სიტუაცია შეიქმნას, რაც 1999-2002 წლებში. ცხადია, თითოეული ჩვენგანი იმედოვნებს, რომ პანკისელი ქისტები არ დაუშვებენ ხეობის გადაქცევას „ცხელ წერტილად“, ხო- ▶

მოვლენები შეიძლება ძალზე დრამატულად განვითარდეს (ამაზე არა მხოლოდ განხილული ინფორმაცია მიუთითებს), ხოლო ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს — ან რუსეთთან ერთად აქტიურად შეებრძოლება ამ რაზმებს, ან კრემლი, დიდი ალბათობით, მას „ტერორისტების თანამზრახველად“ გამოაცხადებს და დაბომბავს პანკისის ხეობას ან საქართველოს სხვა რაიონებს, რომლებსაც ბოევიკების თავშესაფრად ჩათვლის.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ლო მთავრობა წინ აღუდგება ქვეყნის ტერიტორიაზე „ათასობით მებრძოლის“ მიერ საყრდენი ბაზების შექმნას, მაგრამ აქ მთავარია სხვა რამ — როდესაც ქვეყანას მსგავსი საფრთხეები ემუქრება, მხოლოდ კლინიკური იდიოტი თუ იფიქრებს საქართველოში სირიელი მეამბოხეების მოსამზადებელი ბანაკის გახსნაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალიან დიდი, მრავალფეროვანი რელიეფის მქონე ტერიტორია აქვს და, აგრეთვე, უამრავი სამხედრო ბაზა შესანიშნავი ინფრასტრუქტურით. ასე რომ, შეუძლია, სირიელი მეამბოხეები საკუთარ ტერიტორიაზე მოამზადოს, მაგრამ ამერიკელები ამას არ აკეთებენ. საინტერესოა, რატომ?

## პოკერი ბლეფის გარეშე ვის გაუგია?!

თუ დადასტურდება ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „სირიული გეგმის“ უკან თავდაცვის მინისტრი იდგა, კომენტატორებს მიეცემათ კიდევ ერთი არგუმენტი იმისთვის, რომ შემდეგი პოზიცია გაამყარონ: ირაკლი ალასანია „კერძო საგარეო პოლიტიკას“ ატარებს, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ არის. ეს საკითხი ადრე არაერთგზის განიხილებოდა და მასთან დაკავშირებით ორი ძირითადი ვერსია გამოიკვეთა.

**ერთ-ერთის თანახმად, ალასანიას სურს, ხელისუფლების სათავეში მოვიდეს და ამისთვის „ახალი ცივი ომის“ ფაქტორი გამოიყენოს. კერძოდ, თავი წარმოაჩინოს, როგორც აშშ-თან მჭიდრო ალიანსზე და რუსეთთან დაპირისპირებაზე ორიენტირებულმა ლიდერმა, მარტივად რომ ვთქვათ, „გაუმჯობესებულმა მიშამ“,** ახალი ხელისუფლების სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, რომელთაც, ნატოს ქების მიუხედავად, საქართველო რეალურად ფინური ტიპის ნეიტრალიტეტისკენ მიჰყავთ (ასეა ეს თუ არა, ცალკე საუბრის თემაა. ამ შემთხვევაში საუბარია ალასანიას წარმოჩენაზე ასეთ პოლიტიკოსად). ხელისუფლება კი, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებს ალასანიას „კერძო საგარეო პოლიტიკის“ აბსოლუტურ დაუშვებლობას, ვერ აკავებს და ვერ სჯის თავდაცვის მინისტრს, რადგან მას ამერიკელები მფრავველობენ.

თუმცა არის კიდევ ერთი, შედარებით ნაკლებად გავრცელებული და ერთობ კონსპიროლოგიური ვერსია, რომელის ფარგლებში მთავრობის სხვადასხვა წარმომაგენელთა ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებები განიხილება, როგორც ერთიანი თამაშის ნაწილი, რომელსაც საქართველოს არაოფიციალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი აწარმოებს. **ამ ჰიპოთეტური თამაშის ფარგლებში სხვადასხვა პოლიტიკოსის მიერ კეთდება (ხშირად ურთიერთგამომრიცხავი) განცხადებები, რომელთა მიზანი, ერთი მხრივ, ამერიკელებისა და რუსების დამშვიდებაა; მეორე მხრივ კი, დროის მოგება, რათა საქართველომ გეოპოლიტიკური ქარიშხლის დასრულებამდე უვნებლად მიაღწიოს** (ანუ იმ მომენტამდე, ვიდრე ერთ-ერთი გლობალური ძალის დომინირება რეგიონში აშკარა არ გახდება ან ისინი უპრობლემო კონდომინიუმის რაღაც ფორმას არ გამონახავენ, როგორც ეს სპარსეთში ერთი საუკუნის წინათ რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიებმა გააკეთეს). **ამ გადასახედიდან ქართველი მაღალჩინოსნების წინააღმდეგობრივი განცხადებები მხოლოდ თეატრალური წარმოდგენის ნაწილია, რომელიც ყველა დაინტერესებული მაყურებლის დამშვიდებას ემსახურება.** ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურ არენაზე, კერძოდ კი, სამკუთხედში „ღარიბაშვილი-ალასანია-მარგველაშვილი“ ძალთა განლაგების შესახებ განგებ დამახინჯებული სურათის გავრცელებას – გარე მოთამაშეების მანიპულაციების თუნდაც ნაწილობრივი ნეიტრალიზებისთვის. პატარა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ისტორიაში მსგავსი დამაბნეველი პოლიტიკის გატარების არაერთი მაგალითი არსებობს.

საინტერესოა, რომელ ვარიანტთან გვაქვს საქმე სინამდვილეში? ივანიშვილი რთულ პარტიას ათამაშებს თუ, უბრალოდ, დინებას მიუყვება და მის მიერვე დაწინაურებული კადრების ამბიციებს ვერ უმკლავდება? **საზოგადოება ბიძინა ივანიშვილისგან პოლიტიკაში მეტი სიცხადის შეტანას მოითხოვს (საგარეო პოლიტიკას ეხება ეს თუ საკადროს), მაგრამ, როგორც წესი, არავინ ფიქრობს იმაზე, რამდენად საჭიროა და (რაც მთავარია!) რამდენად უსაფრთხოა ქვეყნისთვის ეს დამატებითი სიცხადე ამ ეტაპზე.**

**დიმიტრი მონიავა**

# «კამელინი» – სიცოცხლის ხარისხის ამაღლება და გახანგრძლივება

**საქართველოში არც ერთ პრეპარატს არ ჰქონია პატივი, გაევლო ისეთი დონის სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, როგორიც „კამელინს“. ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძის მიერ შექმნილმა პრეპარატმა „კამელინმა“ უმოკლეს დროში მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები, რომლებმაც დაადასტურეს მისი უნიკალური იმუნომოდულატორული, ანტისიმსივნური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანთების საწინააღმდეგო და სხვა თვისებები. 50-იანი წლებიდან დღემდე პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა, მათ შორის უმძიმეს სტადიაში მყოფებმაც. უმეტეს შემთხვევებში მიღწეულ იქნა თერაპიული ეფექტი, კერძოდ, შესამჩნევად გაუუმჯობესდა პაციენტს საერთო მდგომარეობა, გაუქრა ტკივილები და პირღებინების შეგრძნება, შეუმცირდა მეტასტაზების ზომები, გაუძლიერდა იმუნური სისტემა, აღუდგა შრომისუნარიანობა და დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი.**




**ვლადიმერ თ., 56 წლის** — 2007 წლიდან ჯერ კიდურებზე, შემდეგ მთელ ტანზე გაუჩნდა სისხლჩაქცევები, რომლებიც პერიოდულად ქრებოდა. პაციენტმა ალდაგის 100 პროცენტიანი სადაზღვევო პაკეტის საშუალებით ჩაიტარა ყველაზე საუკეთესო კლინიკებსა თუ ლაბორატორიებში გამოკვლევები (სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზი, სისხლის შედედების ფაქტორების განსაზღვრა, თრომბოციტების საწინააღმდეგო აუტოანტისხეულების გამოვლენა და სხვ.). დაუდგინდა აუტოიმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა. თრომბოციტების რაოდენობა გამაოგნებელი იყო — ერთი ერთეული. დაენიშნა მედიცინაში აპრობირებული კომპლექსური მკურნალობა მედიკამენტებით. 2 თვის მკურნალობის მიუხედავად, პაციენტის მდგომარეობა უფრო დამძიმდა, დაიკლო წონაში, საუბარი და სიარულიც უჭირდა. საბოლოოდ, გადაწყდა სპლენექტომია — ელენთის ამოკვეთა, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა და დაიწყო მკურნალობა კამელინით. 1 თვეში თრომბოციტების რაოდენობა 172-მდე ავიდა, მოუწესრიგდა ღვიძლის, ფილტვების პრობლემებიც (10 დღეში პლევრის ღრუში სითხე აღარ ფიქსირდებოდა). პაციენტი შრომისუნარიანია და პროფილაქტიკური თვალსაზრისით წელიწადში ორჯერ იტარებს კამელინით მკურნალობის კურსს.

**რ. კ., 54 წლის** — 20 წლის წინათ მოხვდა სეფსის ცენტრში გრამუარყოფითი სეფსისის, სეფსისური ენდოკარდიტის დიაგნოზით, დაუდგინდა ლეიკოზიც, ტომოგრაფიული კვლევით კი ელენთის ქვემოთ დაფიქსირდა ლიმფური კვანძების კონგლომერატი. თამარ ბოჭორიშვილის დანიშნულებით ვმკურნალობდი ძალიან ძვირადღირებული პრეპარატებით. ქალბატონი თამარი წლების მანძილზე აწარმოებდა დაკვირვებას დაავადების გამომწვევ მიზეზებზე, საბოლოოდ დადგინდა, რომ ყველაფერს განაპირობებდა თირკმლის პათოლოგია — ქრონიკული პიელონეფრიტი, რომელმაც გამოიწვია სეფსისი. პაციენტს გაუკეთდა ოპერაცია მარჯვენა თირკმელზე. რეაბილიტაციის პერიოდი ძალიან დიდხანს გაგრძელდა, 1999 წლიდან 2007 წლამდე მწოლიარე ავადმყოფი იყო, ანუ მანამდე, სანამ პრეპარატ „კამელინის“ არსებობა შეიტყობდა ახლობლისგან, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნით დღესაც ცოცხალი და შრომისუნარიანია „კამელინის“ წყალობით. დაიწყო „კამელინ მ1“ ინექციის გაკეთება, პირველივე კურსიდან მოემატა ენერგია, გაუუმჯობესდა სიცოცხლის ხარისხი. ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ ჩაიტარა გამოკვლევები. ლიმფური კვანძების კონგლომერატი აღარ ისინჯებოდა. მე-5 წელია, შეწყვიტა ყველანაირი პრეპარატის მიღება. ყოველ წელს, პროფილაქტიკის მიზნით, იტარებს მხოლოდ კამელინოთერაპიას „კამელინ მ2“-ით.

**ლ. ა.** — 8 წლის წინათ აღმოაჩნდა ყელის ავთვისებიანი სიმსივნე (IV სტადია), ოპერაციის შემდეგ მისი მდგომარეობა უფრო დამძიმდა და უიმედო გახდა. დაიწყო „კამელინის“ ინიექციების გაკეთება, ჩაიტარა 6 კურსი. შედეგი გამაოგნებელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა. პაციენტი დღემდე თავს შესანიშნავად გრძნობს, შრომისუნარიანია. მას შემდეგ წელიწადში 2-3 ჯერ მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით იღებს „კამელინ მ2“-ის კაფსულებს. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, „კამელინს“ მისი ოჯახის წევრები და ახლობლები აქტიურად იყენებენ.

**ქ. დ., 49 წლის** — დიაგნოზი: ქრონიკული პროსტატიტი. პროსტატის ადენომა I-II სტადია, პროსტატის მოცულობა 64,3; ქსოვილის სისქეში — პერიფერიულ ზონებში ისახებოდა შერეული ექოგენობისა და ექოსტრუქტურის მოცულობითი წარმონაქმნები დიამეტრით 22, 21, 18 მმ. ნარჩენი შარდი — 40 მლ. კამელინით მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ ზომა 36 გრ. პროსტატის პერიფერიული ნაწილი კეროვანი ცვლილებების გარეშე, ლეიკოციტოზი შემცირდა (30-35 დან 10-15-მდე).

**ლ. ლ., 80 წლის** — 1968 წელს დაუსვეს მარჯვენა საკვერცხის სიმსივნის დიაგნოზი. პერიოდულად მკურნალობდა სხვადასხვა საშუალებით. „კამელინით“ მკურნალობა კი 1970 წელს დაიწყო, მაშინ ეს პრეპარატი სახლის პირობებში მზადდებოდა. თითქმის 30 წელზე მეტია, აღნიშნულ დაავადებას თავი აღარ შეუხსენებია. 3 წლის წინათ კი ყელის მიდამოში კვერცხისოდენა ჯირკვალი გამოუვიდა, ონკოლოგიურში ლიპომის დიაგნოზი დაუსვეს და სასწრაფო ოპერაციაც გადაუწყვიტეს. მაგრამ ისევ „კამელინს“ მიმართა — გაიკეთა 40 ინიექცია, ჯირკვალიც თანდათან დაპატარავდა და გაქრა.

**დიმიტრი ცეცხლაძე,** ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი აჭარაში:

— რამდენიმე წლის წინათ თანამშრომელი გაგვიხდა ავად, დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა, რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში სიმსივნური კერა. ჩივილები იძლეოდა იმის საფუძველს, რომ გვეფიქრა ონკოდაავადებაზე. ჩვენდა გასაკვირად მან უარი განაცხადა ქირურგიულ მკურნალობაზე და თბილისში გაემგზავრა. ახლობლის რჩევით დაიწყო „კამელინის მ1“-ის გამოყენება. პირადად ვკურირებდი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაგრამ არ მიმხელდა, რა საშუალებით მკურნალობდა. პაციენტმა მალე მოიმატა წონაში, სიმპტომები თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ მას გაუკეთდა ხელახალი რენტგენოლოგიური კვლევა. გულწრფელად ვაღიარებ, რომ გაოგნებული დავრჩი. სიმსივნური კერის ნასახი არსად ჩანდა. სწორედ ამის შემდეგ შევიტყვე, რომ იგი „კამელინის“ ინიექციებით მკურნალობდა. მეხუთე წელია, ჩვენი თანამშრომელი თავს შესანიშნავად გრძნობს. მივესალმები „კამელინის“ ფართოდ დანერგვას ონკოლოგიაში.

**მარინა გორგოლაძე,** ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფთალმოლოგი:

— 8 წლის წინათ დამიდგინდა ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათია, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ ქალბატონმა გუგულიმ (პრეპარატ „კამელინის“ ავტორის მეუღლემ) მირჩია პრეპარატი „კამელინი მ1“-ინექცია. ერთი თვის შემდეგ კვანძები აღარ დაფიქსირდა. ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დაავადებების მქონე კმაყოფილ პაციენტთა რაოდენობა დიდია. შესანიშნავი შედეგები აღინიშნება ოტოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კერატიტების დროს ოფთალმოლოგიაში, რევმატოლოგიაში, პროქტოლოგიაში (სანთლების სახით) და ონკოდაავადებების დროს, ასევე პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც შესანიშნავი იმუნომოდულატორი. მე, როგორც ექიმი, თამამად ვურჩევ პაციენტს აღნიშნული პრეპარატით მკურნალობას, განსაკუთრებით კომლექსურ თერაპიაში.

**მაია ცომაია**

**P.S. ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი: „კამელინ მ1“ — ინექცია, „კამელინ მ2“ – კაფსულა, „კამელინ მ3“ — მალამო, „კამელინ მ4“ — სანთლები და „კამელინფლუ-სპრეი“ გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.**

«კამელინთან» დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ:
2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08;
599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არავინ მოითხოვს მყისიერ ეკონომიკურ სასწაულს, მაგრამ ხარის თვალწინ წითელი ნაჭრის აფრიალება მაინც და მაინც არ ღირს. სწორედ ეს გააკეთა დავით ნარმანიამ, როდესაც თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს სახელფასო დანამატები დაუნიშნა, რომელიც არათუ ხარისხიანი ლუდის დალევას, არამედ კოხტა პერსონალური პირამიდების აშენებასაც ეყოფა.**

# კათხა ლუდი, გიორგი მარგველაშვილი და პოლონელი სანტექნიკოსი

**იმისათვის, რომ ერთი კათხა ლუდი შეუკვეთოს, საშუალო სტატისტიკურმა ქართველმა 15 საათი და 6 წუთი უნდა იმუშაოს. ამ მონაცემებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკაზე დაყრდნობით, პოლონური „ონეტ ბიზნესი“ აქვეყნებს და იქვე სხვა ქვეყნების მაჩვენებლები მოჰყავს: გერმანია — 24 წუთი, პოლონეთი — 48 წუთი, უკრაინა — 1 საათი და 12 წუთი, ეგვიპტე — 4 საათი და 6 წუთი და ა. შ. პოლონელი მკითხველების კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი შეძრწუნებულნი არიან ლუდის ქართველი მოყვარულების მძიმე ხვედრით, რომელსაც პირამიდების მშენებელი მონების ხვედრს თუ შევადარებთ. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში პარალელების გავლება არ გამოგვივა, რადგან პირამიდების მშენებლობაზე დასაქმებულ მონებს ყოველდღე, სრულიად უფასოდ ერთ დოქ ლუდს აძლევდნენ.**



**საქართველოს სიღარიბე სხვა ქვეყნების ფონზე ნებისმიერ შემთხვევაში ამაზრზენად გამოიყურება**

რა თქმა უნდა, პოლონელმა ჟურნალისტებმა „ალკო-რეიტინგი“ ლუდისა და სარესტორნო მომსახურების ევროპულ ფასებზე დააფუძნეს და მათ წარმოდგენა არ აქვთ იმ ჩამოსასხმელ კოშმარზე (და სერვისზე), რომელიც ქართველებს შედარებით იაფი უჯდება, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, **საქართველოს სიღარიბე სხვა ქვეყნების ფონზე ნებისმიერ შემთხვევაში ამაზრზენად გამოიყურება.**

ლუდს დროებით თავი დავანებოთ, მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები კედლებზე წერდნენ: „არ დაიღუპო თავი, როდესაც ლუდხანში ზიხარ, უგონოდ არ დათვრე და ფიცი არ დაივიწყო“. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 9%-ით გაძვირდა და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე სურსათის ფასი კლებულობს. არც წამლები გაიაფებულა (უფრო პირიქით), საწვავზე რომ არაფერი ვთქვათ. ქართულ ეკონომიკაში კვლავინდებურად სრული ხიროსიმაა (კი, ბატონო, ფუკუსიმა) და ხელისუფლება, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, რომ ასეთ სიტუაციაში მოსახლეობის გაღიზიანება არ შეიძლება. **არავინ მოითხოვს მყისიერ ეკონომიკურ სასწაულს, მაგრამ ხარის თვალწინ წითელი ნაჭრის აფრიალება მაინც და მაინც არ ღირს. სწორედ ეს გააკეთა დავით ნარმანიამ, როდესაც თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს სახელფასო დანამატები დაუნიშნა, რომელიც არათუ ხარისხიანი ლუდის დალევას, არამედ კოხტა პერსონალური პირამიდების აშენებასაც ეყოფა.**

წელიწად-ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა საზოგადოების ომი ახალ ხელისუფლებასთან სახელმწიფო მოხელეების ების მაღალი პრემიების გამო. ბოლოს, ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს თემა მის გუნდს ბევრ ქულას აკარგვინებს, ერთ-ერთ ინტერვიუში უკმაყოფილება გამოთქვა და მთავრობამ დაუყოვნებლივ მოამზადა დადგენილების პროექტი, რომელიც სრულყოფილი ნამდვილად არ იყო, თუმცა მეტ-ნაკლებად მისაღებ ახალ ნორმებს შეიცავდა. პრემიამ დაკარგა „მეორე ხელფასის“ დატვირთვა, რომელიც მას ჯერ კიდევ „ნაციონალებმა“ შესძინეს. **საზოგადოება მეტ-ნაკლებად დამშვიდდა და ამ დროს ავანსცენაზე გამოვიდა დავით ნარმანია თავისი ბრძანებით, რომლითაც დედაქალაქის ვიცემერს — 3540, მერის მოადგილეს — 3360, მერიის ადმინისტრაციის უფროსს — 3180, მის პირველ მოადგილეს – 2000, „უბრალო“ მოადგილეს — 1800, საქალაქო სამსახურის უფროსს — 2600, რაიონის გამგებელს — 2600, რაიონის გამგებლის მოადგილეს — 1800, მერიის აპარატის (სამსახურის) მრჩეველს — 1300 ლარის ყოველთვიური სახელფასო დანამატი დაუნიშნა.**

აქ, ალბათ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ ნიუანსს: საქართველოში, ზოგადი სიღარიბის მიუხედავად, მაღალჩინოსნების მაღალ ხელფასებს გაცილებით ლიბერალურად უყურებენ, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ასე მაგალითად, არავინ დასდევს მარეგულირებელი კომისიების ხელმძღვანელებს, რომელთაც საკმაოდ შთამბეჭდავი ხელფასები აქვთ, მაგრამ აქ საუბარია არა ხელფასზე, არამედ დანამატზე, რომელიც საზოგადოების უმრავლესობამ ამ შემთხვევაში აღიქვა, როგორც შენიღბული პრემია იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვამ ბოლო წლებში შეიძინა (ბიუჯეტიდან დამატებითი შემოსავლის უპრობლემო მიღება) და ჩათვალა, რომ ხელისუფალნი ისევ მის მოტყუებას ცდილობენ. აქ მთავარია არა იმდენად ფული, რამდენადაც პრინციპი და დავით ნარმანიამ, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ გააანალიზა ფრიად დელიკატური პრობლემის ეს ასპექტი.

საბოლოოდ, მედიასა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოების დიდი ნაწილი შემდეგ ფორმულამდე მივიდა: მხოლოდ ხელფასი (პლუს პრემია განსაკუთრებულ შემთხვევებში); არანაირი უცნაური დანამატები და ფსევდოპრემიები. თუ ხელისუფლება ამ მიდგომას გაიზიარებს, პრობლემა, სავარაუდოდ, მოიხსნება, წინააღმდეგ შემთხვევაში 2016 წლის არჩევნებში შეიძლება მოულოდნელი და საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზი მიიღოს.

რამდენად მაღალი უნდა იყოს მაღალჩინოსნების ანაზღაურება, ცალკე საუბრის თემაა. როგორც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა: „მე ხელზე მაქვს 5 ათასი ლარი... ვთვლი, ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს, რომ ვემსახურო სამშობლოს“. ძნელი სათქმელია, უღირს თუ არა სამშობლოს, წულუკიანს 5 ათასი გადაუხადოს; სამშობლოს ამასთან დაკავშირებით საბოლოო პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია. მაგრამ, ალბათ, აჯობებს ისევ „ონეტ ბიზნესის“ „ლუდის ინდექსს“ დავეყრდნოთ, რომლის თანახმად, **2013 წელს პოლონეთის საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეს, თუნდაც იმავე „პოლონელ სანტექნიკოსს“,** თავისი ხელფასით 903 (ნახევარლიტრიან ბოთლებში) ლუდის ყიდვა შეეძლო, მაშინ, როდესაც 2003-ში მხოლოდ 296-ის. ერთი შეხედვით, ქვეყნის პრესტიჟი მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პოლონელ სანტექნიკოსზე მეტი ლუდის ყიდვა შეძლოს. **მაგრამ, მეორე მხრივ, ის სანტექნიკოსი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს, ხოლო რას გვიკეთებს საქართველოს პრეზიდენტი, ჯერჯერობით გაუგებარია. ზის ავლაბრის რეზიდენციაში, როგორც ხეოფსი პირამიდაში და დროგამოშვებით უცნაურ კომენტარებს აკეთებს, რომელთა შინაარსმა და ზოგადმა სულისკვეთებამ შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ არათუ 903 ან 296, არამედ თუნდაც ათი ბოთლი თვეში ფიგურანტს ჭკუიდან გადაიყვანს. გავიხსენოთ თუნდაც მისი ბოლო ეპიკური დიალოგი აშშ-ის ელჩთან.**

ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიჩარდ ნორლანდი გამოცდილი დიპლომატია, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებს ძალიან კარგად იცავს. კითხვაში, რომელიც მან მარგველაშვილს დაუსვა, კომენტატორებმა არაერთი ქვეტექსტი აღმოაჩინეს. „როდესაც დაიგეგმება პრეზიდენტის რანგში თქვენი პირველი ვიზიტი ვაშინგტონში, რომელიც, ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში მოხდება, მაინტერესებს, როგორ მიიღებთ ზოგიერთი სკეპტიკოსის მოსაზრებას, რომლებიც კვლავ არიან ვაშინგტონში, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო უფრო წარსულით არის შეპყრობილი, ვიდრე მომავლით?“. ზოგმა ამ სიტყვების უკან დაინახა მხარდაჭერის შეთავაზება სასურველი პოზიციის დაკავების სანაცვლოდ, თუმცა შესაძლოა, უფრო საინტერესო აქ მარგველაშვილის ახსნა-განმარტების, ლამის თავის მართლების რეჟიმში გადაყვანაა, რომელიც ნორლანდს, ნებსით თუ უნებლიეთ, შესანიშნავად გამოუვიდა.

ელჩის კითხვას ამ ჩვენმა სანტექნიკოსმა (უკაცრავად, ფილოსოფოსმა) დაუვიწყარი მონოლოგით უპასუხა: „ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენ ვდგავართ რამდენიმე გამოწვევის წინაშე და ვაღიარებთ ამ გამოწვევას. ვხედავთ, რომ ჩვენი მეგობრები ევროპასა და აშშ-ში, რომლებიც საქართველოს ნამდვილი მეგობრები არიან, რომელთაც მართლაც ბევრი გააკეთეს ჩვენი ქვეყნის წარმატებისთვის (ვგულისხმობ ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან, უელსის სამიტს), შეწუხებული არიან იმით, რაც ხდება ქართულ პოლიტიკაში; შეწუხებული არიან, ასევე, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სამართლებრივი დევნის კონკრეტული შემთხვევებით. ჩემი პასუხი ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, არის ის, რომ მეც მაღელვებს ეს და ყურადღებით ვუსმენ დასავლელ კოლეგებს. მეორე, ვფიქრობ, უნდა მივცეთ ჩვენს საზოგადოებას შესაძლებლობა, ეს ღია დისკუსიის გზით დაძლიოს და გავაუმჯობესოთ ჩვენი დემოკრატიულობის სტანდარტები. თუ გვექნება სასამართლოსთვის, პროკურატურისთვის კარნახის მცდელობა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ჩვენ ვერ მივალთ დემოკრატიის მაღალ დონემდე. ეს შიგნით უნდა გაკეთდეს და ამ დისკუსიებში სამოქალაქო საზოგადოებას უფრო დიდი როლი უნდა ჰქონდეს. პოლიტიკური ვერდიქტი არჩევნების დღეს სრულდება. პოლიტიკური ვერდიქტი დემოკრატიულ საზოგადოებაში სრულდება, როცა ერთი პოლიტიკური ჯგუფი მიდის ხელისუფლებიდან, მეორე კი მოდის. ჩვენ ამას თვალს ვადევნებდით სამი არჩევნების განმავლობაში. ეს არის, როდესაც პოლიტიკური ვენდეტა სრულდება. ჩვენ ყველა ვთანხმდებით, რომ საქართველოში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პოლიტიკურ დევნას“ (ინტერპრესნიუსი).

**პირველი და მთავარი — ის, ვინც პირდაპირ ან ირიბად ეჭვქვეშ აყენებს კანონის უზენაესობის პრინციპს, არ შეიძლება საქართველოს მეგობრად იწოდებოდეს. მეტიც, ასეთი ადამიანი (ან ჯგუფი) ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს მტერია. ბრალდებული მაღალჩინოსნების ბედს სასამართლო პროკურორებისა და ადვოკატების დისკუსიის კვალობაზე გადაწყვეტს. ნებისმიერი სხვა დისკუსია საზოგადოებაში თუ არასამთავრობოთა ვიწრო წრეში მასზე გავლენას ვერ მოახდენს. კანონი კანონია და მასზე მაღლა არავინ დგას.**

მარგველაშვილს სრული უფლება აქვს, ყურადღებით მოუსმინოს დასავლელ კოლეგებს ან, სულაც, მონტე-კარლოს რადიოს და წარმოთქვას ბუნდოვანი მონოლოგები, რომელთაც არათუ პლატონი და სოკრატე, არამედ ცხონებული ავლიპიც ვერ გაშიფრავდა, მაგრამ საზოგადოებამ, ალბათ, მკაფიოდ უნდა განუმარტოს მას, რომ პოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ მართლმსაჯულების დაქვემდებარების ნებისმიერი მცდელობა, ორმაგი თამაში უცხოელებთან ამომრჩეველთა ზურგს უკან მას კატასტროფამდე მიიყვანს.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ძებნილად გამოაცხადეს, საზოგადოების ნაწილმა ყურადღება მოადუნა, ჩათვალა, რომ ყველაფერი რიგზეა და არანაირ „არაფორმალურ ხელშეუხებლობას“ ადგილი არ ექნება. თითქმის არავინ მიაქცია ყურადღება პარლამენტის ვიცესპიკერ ზვიად ძიძიგურის განცხადებას (შესაძლოა, ეს იყო თავისებური წინმსწრები ტესტი საზოგადოებისთვის): „თუ სასამართლო მიხეილ სააკაშვილს გაამტყუნებს და მისი დაპატიმრება, როგორც ყოფილი პრეზიდენტისა, ქვეყნისთვის პოლიტიკურად დამაზარალებელი იქნება, არსებობს შეწყალების მექანიზმი. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში ეს მექანიზმი უნდა იქნას ამოქმედებული და პრეზიდენტმა გიორგი მარგველშვილმა ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს“. აქ პრობლემა ის როდია, რომ მარგველაშვილმა შეიძლება სააკაშვილი შეიწყალოს — მოგვწონს ეს თუ არა, მას შესაბამისი უფლება აქვს და, ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, ამას აუცილებლად გააკეთებს. აქ მნიშვნელოვანია სულ სხვა იდეა — შეწყალება წარმოსახვითი პოლიტიკური ზარალის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს. აგრეთვე, (ისევ და ისევ) მართლმსაჯულების დაქვემდებარება პოლიტიკის მიმართ, რომელიც აბსოლუტურად შეუწყნარებელია სამართლებრივ სახელმწიფოში. უცნაურია, მაგრამ დაინტერესებული კომენტატორების უმრავლესობამ ძიძიგურის ეს რეპლიკა „გაატარა“.

**დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, „საუკუნის პროცესის“ დაწყებამდე არც ისე ბევრი დრო რჩება. მანამდე კი, ალბათ, იმასთან დაკავშირებით ჩამოყალიბება მოგვიწევს, რამდენად იმსახურებს მარგველაშვილი პოლონელი სანტექნიკოსის ხელფასს და სჭირდება თუ არა მას 903 ბოთლი ლუდი თვეში.**

„საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს ბალანსზე აგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს არავინ ფიქრობს ნეიტრალიტეტზე; აქ მარტო ნატოზე ფიქრობენ და ევროკავშირზე, ამ დროს ერთიც და მეორეც მირაჟია, რომელთანაც ვერასოდეს მიხვალ."

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვასილ ჭიჭინაძე: ღარიბაშვილს, უბრალოდ, შეჭამენ, ჩაძირავენ... ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გაწირა ეს ახალგაზრდა კაცი

**ბოლო ხანს ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე ესაუბრება.**



**— ბატონო ვასილ, ექსპერტები თუ ცალკეული პოლიტიკოსები დღითიდღე მეტს საუბრობენ იმაზე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უახლოესი ორი წლის განმავლობაში ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის ემზადება. ლაპარაკია კონკრეტულ გეგმაზე, რომელიც შესაძლოა, დესტაბილიზაციასაც გულისხმობდეს და არჩევნების გზით მოსვლასაც. როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა რეალურად ეს საფრთხე და თუ არსებობს, თქვენი აზრით, რამ მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე?**

— საფრთხე ახლა ყველაფრის არსებობს, იმიტომ, რომ ამათგან გამორიცხული არაფერია. განსაკუთრებით ამ პერიოდში პროცესები ისე მიდის, შეიძლება ნებისმიერი სცენარი განვითარდეს.

რაც შეეხება „ნაციონალების" დაბრუნებას, არა მგონია, ხალხმა ეს დაუშვას, მაგრამ ამ ხალხისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი. საერთოდ, ჩვენი საზოგადოება ხომ შორსაა ყოველგვარი რაციონალიზმისგან. ამიტომ, თუ გაიზრდება უკმაყოფილება მმართველი გუნდის მიმართ (და ვხედავთ, რომ იზრდება), ამით შეიძლება ვიღაცებმა ისარგებლონ. კიდევ ვიმეორებ: **„ნაციონალებს" დაბრუნების შანსი პრაქტიკულად არ აქვთ, მაგრამ ეს არ იქნება პირდაპირ „ნაცმოძრაობა", შესაძლოა, რაღაც კოალიცია შეიქმნას ან რაღაც გაერთიანება, ბლოკი და ამ გაერთიანებაში შევიდნენ უმცირესობის წარმომადგენლები.** ლაპარაკია ერთგვარ პოლიტიკურ რებრენდინგზე, რაც მათ შენიღბავს და საშუალებას მისცემს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, შეცდომაში შეყვანის გზით, თავიანთ ელექტორატად აქციონ.

**— დესტაბილიზაციის სცენარზე რას ფიქრობთ?**

— კიდევ ვიმეორებ: „ნაციონალური მოძრაობა" დესტაბილიზაციაზე კი არა, აპოკალიფსზე მოაწერს ხელს, მათი ნება რომ იყოს, მაგრამ ვინ დაუჭერს მხარს, თუ კი ამ სცენარით იმოქმედებენ? ჩემი აზრით, მათთვის ეს იქნება პოლიტიკური და, გნებავთ, სამართლებრივი აღსასრულიც და სააკაშვილმა ეს ძალიან კარგად იცის.

**— მხარდაჭერას რაც შეეხება, სააკაშვილი და მთლიანად „ნაცნოძრაობა" დღემდე სარგებლობს ვაშინგტონის მხარდაჭერით. აგერ სენატი დასკვნებს დასკვნებზე აქვეყნებს, რომ თურმე საქართველოში გამძვინვარებული პოლიტიკური რეპრესიებია. ცალკე საკითხია კიდევ უკრაინაში სირიასა და ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებები, რომელთაც საერთაშორისო ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აფასებს „თეთრი სახლის" მიერ ინსპირირებულ პროცესად. მოკლედ, ჩვენ გარშემო მართვადი ქაოსის კერები დღითიდღე იზრდება. ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა, მალე საქართველოც აღმოჩნდეს ამ ქვეყნების ნუსხაში და სწორედ ეს გახდეს ხელისუფლებაში „ნაცრეჟიმის" დაბრუნების საწინდარი?**

— ერთადერთი რეალური გზა, რომლითაც სააკაშვილს შეიძლება დაბრუნების შანსი მიეცეს, ზუსტად ეს სცენარია და ხელისუფლება ყველაზე მეტად ამ საფრთხეს უნდა განიხილავდეს. სააკაშვილი ამაზე ისე წავა, არც კი დაფიქრდება. ასე რომ, რეალურია კი არა, მოსალოდნელია.

რაც შეეხება მართვად ქაოსს, რად უნდა ამას ექსპერტები და ანალიტიკოსები?! **ის, რაც უკრაინაში ხდება და ახლო აღმოსავლეთში, ამერიკის მიერ მართული პროცესებია, თორემ, ეს რომ ვაშინგტონის ინტერესებში არ იყოს, ერთ თვეში დამთავრდებოდა ყველაფერი.**

**— საქართველოში კონკრეტულად რა მექანიზმებით შეიძლება სიტუაციის არევა, რა წინაპირობა არსებობს ამისთვის?**

— ეს უკვე წმინდა პოლიტიკური ტექნოლოგიებისა და პროპაგანდის საკითხია, რომელიც ამერიკელებმა ყველაზე კარგად იციან. როცა ეს მათ ინტერესებშია, მიზანს ყოველთვის აღწევენ. ასე რომ, ღმერთმა ნუ ქნას, დასჭირდეთ, თორემ, სიტუაციას ისე აგირევენ, ჩვენ ვერც კი მივხვდებით, როგორ და საიდან დაიწყო ეს ყველაფერი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ უმთავრესი პრობლემა ის კი არაა, რომ უცხო სახელმწიფოზე ხარ მთლიანად დამოკიდებული, პრობლემაა, როცა შენმა ხელისუფალმა არ იცის, რა პოლიტიკა სჭირდება ქვეყანას; რა სტრატეგიით უნდა მართოს მან სახელმწიფო, უფსკრულში რომ არ გადაჩეხოს. აი, მაშინ ჩნდება ყველანაირი დაბრკოლება და უმნიშვნელო საკითხიც კი დიდ ბარიერად იქცევა ქვეყნის წინაშე.

**— ეს დღევანდელ ხელისუფლებასაც ეხება?**

— მე ვისაუბრებ მოცემულობაზე და ეხება თუ არა, მკითხველმა განსაჯოს. წინა ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკა იყო, რომ ნატო — ეს არის ჩვენი ხსნა და, იქ თუ შევედით, რუსეთი საქართველოსკენ ვერც კი გამოიხედავს (თურმე ჩვენი დასავლელი მეგობრები თუ ძმადნაფიცები მზად არიან, მოსკოვს შუბლით შეასკდნენ). ასევე, გაცხადებული პოლიტიკა იყო ევროკავშირისკენ სწრაფვა. ამ პოლიტიკამ სანამდეც მიგვიყვანა, 2008 წელს კარგად ვნახეთ. ახლა ვსვამ შეკითხვას: დღევანდელი ხელისუფლების მიდგომები, საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით, აბსოლუტურად უცვლელი რომ დარჩა, რას უნდა ველოდოთ? რა, ის, რაც სააკაშვილის დროს ცუდი იყო, ამათ ხელში კარგი გახდა?

## «ნაციონალური მოძრაობა» დესტაბილიზაციაზე კი არა, აპოკალიფსზე მოაწერს ხელს

**— რის თქმა გინდათ, რუსეთთან სიტუაციის გამწვავება მომავალშიც მოსალოდნელია?**

— იცით რა, სააკაშვილი რომ იძახდა, პუტინი ვერ მიტანსო, მართლა სააკაშვილზე კი არ ჰქონდა პიროვნულად გართულება და ამიტომ კი არ მოხდა ომი, აქ არის ინტერესთა კონფლიქტი, ანუ კონფრონტაცია ხდება ინტერესების დაპირისპირებით, პოლიტიკით, რომელიც რუსეთის უსაფრთხოებას შეეხება, და რა მნიშვნელობა აქვს, ამ პოლიტიკას სააკაშვილი გაატარებს, ღარიბაშვილი თუ სხვა ვინმე...

**სხვათა შორის, ამას წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხე ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ. მასში ზუსტადაა დღევანდელი ვითარება შეფასებული. მეც სწორედ იმ აზრზე ვარ, რომ საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს ბალანსზე აგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს არავინ ფიქრობს ნეიტრალიტეტზე; აქ მარტო ნატოზე ფიქრობენ და ევროკავშირზე, ამ დროს ერთიც და მეორეც მირაჟია, რომელთანაც ვერასოდეს მიხვალ.**

**— რა აზრის ხართ ნატოს ბაზების განთავსებაზე საქართველოში? ალასანიამ განაცხადა, რომ ეს შეაკავებს რუსეთის აგრესიას.**

— ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამათ ელემენტარული განათლება არ აქვთ და საერთოდ, არც კი იციან, რუსეთი სად მდებარეობს. დახედონ ერთი რუკას და მერვე კლასის მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო წაიკითხონ, თუ ასე ძალიან აინტერესებთ, რა სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე. სხვა რა უნდა ვთქვა ამ განცხადებაზე, სასაცილოა. მე, უბრალოდ, მრცხვენია, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფალი ასეთ განცხადებებს აკეთებს.

**— არა მგონია, ალასანიას იმდენი განათლება არ ჰქონდეს, რომ არ იცოდეს, რა რესურსი აქვს ჩრდილოელ მეზობელს. იქნებ აქ სხვა ინტერესებია? საუბარია იმაზე, რომ მომავალი არჩევნებისთვის ალასანიამ, შესაძლოა, საკუთარი კოალიცია შექმნას და ამერიკელების დახმარებით უმრავლესობა მოიპოვოს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს?**

— ვიდრე შეკითხვაზე გიპასუხებთ, ჯავახეთზე მინდა ორიოდე სიტყვით ვთქვა, ამათმა ასე მარტივად რომ გადაწყვიტეს ამ ბაზების განთავსება, მე არ ვიცი, რა ბაზებზეა საუბარი, მაგრამ, ხალხს არ ეკითხებიან არაფერს? ყველას კარგად გვახსოვს, თავის დროზე რამხელა უკმაყოფილება გამოიწვია ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში, როცა რუსული ბაზები გავიდნენ იქიდან და ახლა ნატოს ბაზებს რომ დაუყენებ, ვინმე ფოქრობს, რა უბედურება შეიძლება დატრიალდეს?

**— რას გულისხმობთ?**

— რას და **ესენი იმდენს იზამენ, რომ ეგ რეგიონი ერთ მშვენიერ დღეს აფეთქდება და მერე იძახოს ალასანიამ, რუსეთის აგრესიას შევაჩერებთო.**

ახლა რაც შეეხება თქვენს შეკითხვას ახალ კოალიციასთან დაკავშირებით, ერთი რამ ცხადია, ამერიკელები არ ენდობიან არც ღარიბაშვილს და არც ივანიშვილს, მიზეზი კი ძალიან მარტივია — უბრალოდ, ისინი მათი „გაზრდილიები" არ არიან. ცხადია, ასეთი ხელისუფლება არავის აძლევს ხელს, ამიტომ რომელ პოლიტიკურ ძალაშიც ჩადეს ენერგია და ფული, იმის მოყვანა უნდათ. სწორედ ასეთი ძალაა ალასანია და ცხადია, მას დაუჭერენ მხარს.

## «ესენი იმდენს იზამენ, რომ ეგ რეგიონი ერთ მშვენიერ დღეს აფეთქდება და მერე იძახოს ალასანიამ, რუსეთის აგრესიას შევაჩერებთო»

**— და როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება გაერთიანდეს მის გარშემო?**

— მთელი ეს ე. წ. ნეოლიბერალური ფრთა, რომელიც პარლამენტშია და მთავრობაში. ესენია: პირველ რიგში, რესპუბლიკელები და „ნაციონალების" გარკვეული ნაწილი. აი, ეს სამი სუბიექტი, — ალასანია, რესპუბლიკური პარტია და „ნაცმოძრაობა" შექმნის კოალიციას ან რამე სხვა სახის გაერთიანებას და დიდი შანსია, რომ მათ უმრავლესობა მოიპოვონ. თუ ეს მოხდა, მათი ნომერ პირველი სამიზნე, სავარაუდოდ, იქნება ღარიბაშვილი, ამიტომ კიდევ გავიმეორებ, რომ ივანიშვილს ძალიან ადრე მოუვიდა წასვლა. მას არ უნდა დაეტოვებინა ღარიბაშვილი.

**— გინდათ, თქვათ, რომ ღარიბაშვილი მარტო ვერ უმკლავდება არსებულ პრობლემებს, რომლებიც გუნდშია ან მომავალში შეიძლება გაჩნდეს?**

— უმკლავდება-ვერ უმკლავდებაზე არაა საქმე. ჯერ ერთი, პრობლემაა ის, რომ მას საკუთარი ფრთა, ფაქტობრივად, არ ჰყავს და მეორეც, ძალიან ახალგაზრდაა, 40 წლისაც არაა, როგორც ვიცი. არ შეიძლემა, ასეთ გამოუცდელ ადამიანს შეატოვო ყველაფერი, მან ელემენტარულად მართვა არ იცის.

**— და გამორიცხავთ, რომ ღარიბაშვილმაც ჩამოაყალიბოს საკუთარი გუნდი?**

— ასეც უნდა მოიქცეს, მას სხვა გზა არ ექნება, მაგრამ ვის შეიყვანს ამ გუნდში? ბესელიას? კობახიძეს? ეს ხომ არასერიოზულია... ღარიბაშვილს, უბრალოდ, შეჭამენ, ჩაძირავენ... ამიტომ ვამბობ, რომ ბიძინას არ უნდა დაეტოვებინა ის. ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გაწირა ეს ახალგაზრდა კაცი; შეგნებულად გააკეთა ეს თუ ასე გამოუვიდა, რა მნიშვნელობა აქვს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გამოსავალს რაში ხედავთ, რა გზა რჩება ღარიბაშვილს?**

— ვფიქრობ, ახლა ერთადერთი გამოსავალი შეიძლება ისაა, რომ მან სასწრაფოდ უნდა შემოიკრიბის ჭეშმარიტად ეროვნული ძალები. ეს იქნება რეალურად სწორი გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება „ნაციონალების" ან მათთან კოალიციაში მყოფი სუბიექტების დაბრუნების თავიდან აცილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღარიბაშვილს არ აქვს არანაირი რესურსი მარტო სამოქმედოდ და მას ძალიან მარტივად, უპრობლემოდ გააძევებენ პოლიტიკური ასპარეზიდან.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველი ხალხი დიდსულოვანია და იქნებ მიშას მომღერლებისთვისაც ეპატიებინა კიდეც, რადგან გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. მაგრამ, რომ გაპატიონ, ჯერ უნდა მოინანიო. ამათ კი ბოდიშის მოხდაც არ უნდათ, აქეთ გიტევენ „რკინისებური“ არგუმენტებით: მე პოლიტიკა არ მესმის, მე პოლიტიკაში არ ვერევი... და მთლად უდრეკი ფოლადი — რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდა?..**

# «ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა...»

**18 წელიწადი არ ვყოფილვარ ერთ დროს ჩვენი, საბჭოთა ხალხის, საერთო სამშობლოს დედაქალაქში და გამოგიტყდებით, გამგზავრებამდე ცოტა ვღელავდი: როგორ დამხვდება ან მე რას ვეტყვი — სად დავიკარგე, რატომ არ თუ ვერ მოვინახულე ჩემი სიჭაბუკის ტკბილი მოგონებების ქალაქი...**

თბილისიდან ვნუკოვოს აეროპორტამდე რამდენ ხანსაც მოვუნდით ფრენას, მოსკოვის ცენტრში მდებარე სასტუმრომდე თითქმის იმდენივე დრო მანქანით ვიმგზავრეთ და ცნობილი ფილმიდან ერთი ფრაზა ამეკვიატა — „მე ის თამრო აღარა ვარ“, აღარც მოსკოვი ჰგავდა „იმ თამროს“: რეკლამები, რეკლამები და კიდევ რეკლამები...

ანუ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა, რომ, მიუხედავად დასავლეთის „ტრუხა“ სანქციებისა, რუსეთის დედაქალაქში ბიზნესცხოვრება დუღს და გადმოდუღს!

აი, ლენინის მონუმენტიც — პროლეტარიატის ბელადი დიახაც რომ მიყვარდა, ოღონდ საბჭოთა ბანკნოტებზე გამოსახული, რომელთა ნაკლებობას ქართველები ნამდვილად არ ვუჩიოდით და იქნებ ამიტომაც მომეძალა მოგონებები; ილიჩიც იმ ტკბილ მოგონებად დამრჩა, როგორც ის 37-მანეთიანი ბილეთი, რომლითაც იმ მოსკოვში ჩავდიოდი, რომელიც ახლა ველარ ვიცანი.

სამწუხაროდ, ის დრო წავიდა, როდესაც ქართველ თუ სომეხ „ენდოკრინოლოგებს“ — მიმინო-ფრუნზიკებს „ლარისა ივანოვნუ ხოჩუ“ და „დალი, დვაცეტშესტ-ბე დალი“, უხაროდათ და ორივე ერთად შალახოს რომ ცეკვავდა სასტუმრო „როსიაში“.

ან კიდევ უკეთესი, მადლიანი „მაგარიჩის“ სანაცვლოდ, მეტროპოლიის სამინისტროების ბრძანებით, „კოლონიზებული“ საქართველოსკენ დატვირთული ეშელონები მოხრიგინებდნენ — **აღარც რუსები არიან „ის თამროები“, მათ გაიგეს პრაგმატიზმის გემო და ძალიანაც კარგი, თუ გაიგეს!**

**საქართველოს წვლილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ერთ პროცენტზე ოდნავ მეტი იყო, ხოლო მოხმარებით 2,5 % მოიხმარდა** — ეს ისე, ამერიკის „შნირების“ საყურადღებოდ, თუ როგორ ჩაგრავდნენ საქართველოს და ვინ ვისი მონა იყო თუ ბატონი იმ „ავადსახსენებელ“ საბჭოეთში...

სასტუმროში სული ოდნავ მოვითქვით და ჩვენთვის გიდად მომაგრებულმა მოსკოველმა ქართველმა ანდრომ ექსკურსიაზე წაგვიყვანა...

რუსები არამხოლოდ ლენინის ძეგლების დემონტაჟზე უარის თქმით, არამედ ქუჩებისთვის ძველი, საბჭოური სახელების შენარჩუნებითაც უფრთხილდებიან საკუთარ ისტორიულ წარსულს!

ამიტომაც ლენინის სახელობის პროსპექტთან ერთად, მოსკოვის ცენტრში არსებობს ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ს დროინდელი „ბოლშაია და მალოია გრუზინსკაიას“ ქუჩები, იქვეა „გრუზინსკი პერეულოკიც“. ჰოდა, ჩვენც „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“ აღმოვჩნდით. სადაც, ერთ ფიორა ადგილზე, მხატვრულად თუ ვიტყვით, საქართველოს გული ფეთქავს!..

ჯერ რუსთაველის სახელობის და მისივე ძეგლით დამშვენებულ ლამაზ სკვერში ჩავიმუხლეთ ხის მერხებზე, რომლებზეც მიკრული ლითონის ფირფიტებიდან რუსულ ენაზე იღვრება დიდი შოთას აფორიზმების სიბრძნე; იქვე, გადაღმა, ზურაბ წერეთელის უზარმაზარი სახელოსნო-მუზეუმია, რომლის დათვალიერების შემდეგ შეუძლებელია, სიამაყით არ აღივსო, რომ მონუმენტური შედევრების ავტორი შენსავით ქართველია!

დასასრულ — ვახტანგ VI-ს აშენებული წმინდა გიორგის სახელობის დიდი ტაძარი, რომელშიც ტექნიკუმი იყო გახსნილი, რომელიც დღედღეზე დატოვებს შენობას, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართველთა კავშირი რუსეთში“ და მოსკოვის საპატრიარქოს ერთობლივი ძალისხმევით შენობას ძველი ფუნქცია დაუბრუნდა. მათი თაოსნობითა და მოსკოველი ქართველი მრევლის მონაწილეობით ტაძარს კაპიტალური რემონტი-რესტავრაცია ჩაუტარდება.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ტაძარი, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს კუთვნილებაა და ამიტომ მისი წინამძღვარი რუსი მამა ფეოდორია, უკვე მოქმედებს.

კომუნისტურ-ათეისტური მმართველობის დროს სადღაც გამქრალი წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატიც მოუძებნიათ და ტაძარში დაუბრძანებიათ. **რამაც მრევლი (და არა მხოლოდ ქართველი) გაუმრავლა ეკლესიას, რომელშიც საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობა-უნეტარესობა ილია II მიერ მამა, ფეოდორის თანამოსაყდრედ მივლინებული ქართველი მამა ვახტანგი, ღვთაებრივი ქართული გალობის ჰანგების თანხლებით, ქართულ ენაზე ასრულებს ღვთისმსახურებას!**

მეორე დღეს კი, 4 ოქტომბერს, დილიდანვე ბაღ „ერმიტაჟს“ მივაშურეთ, სადაც უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაული „თბილისობა მოსკოვში“ მეოთხედ გაიმართა, რომელიც ორგანიზაცია „ქართველთა კავშირის რუსეთში“ და მოსკოვის მთავრობის მიერ ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული.

როგორც ცხონებული ეროსი მანჯგალაძე იტყოდა, მოსკოვის პირობებზე „ამინდიც კარგი მოგვხვდა“ და 12 საათზე დაწყებული კონცერტი 21 საათამდე გაგრძელდა. ყველამ მონატრებული სიამოვნება მივიღეთ იქაური თუ საქართველოდან ჩასული მხატვრული კოლექტივების ხელოვნებით.

კონცერტმა აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც სცენაზე თამარ გვერდწითელი და სოსო პავლიაშვილი ავიდნენ და, აბა, რა გითხრათ? თბილისურად თუ ვიტყვით, ერთმა დაგლიჯა და მეორემ — დახურა!..

**ბაღის მეორე მხარეს მოსკოვში არსებული ათამდე (ის დროც წავიდა, როცა მოსკოვში ერთი რესტორანი „არაგვი“ იყო) საუკეთესო რესტორანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის კერძებს სთავაზობდნენ საზოგადოებას.**

იქვე შეგეძლოთ სუვენირების შეძენაც. მე პატარა ზომის ქართული ხუთჯვრიანი დროშა შევარჩიე და ე. წ. გიორგის ლენტის (რომელიც უკრაინაში რუსეთის მხარდაჭერის სიმბოლოდ მქონდა პალტოზე დაბნეული) გვერდით დავიმაგრე. უნდა გენახათ ამ ჩემი „პროვოკაციის“ შედეგი — 20 ნაბიჯი არ მქონდა გავლილი, რომ რომელიღაც ტელევიზია „დამეტაკა“ და მცირე ინტერვიუ მივეცი, რომელშიც რუსეთ-საქართველოს ხელახალი დაახლოების აუცილებლობას, უფრო მეტიც, გარდაუვალობას გავუსვი ხაზი. ხოლო შემდეგ, როგორც იტყვიან, ლამის რიგი დამიდგა რუსებისა — „მოჟნო სვამი სფოტოგრაფიროვატსას“ თხოვნით...

ერთი სიტყვით, „თბილისობა მოსკოვში“-ს მსგავსი თბილისობის ჩატარებაზე არც აქ ვიტყოდით უარს, თუმცა...

ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, ერთმა კოვზმა ბალღამმა შეიძლება მთელი კასრი თაფლი გააფუჭოს. ამაზე ფიქრი ამეკვიატა თბილისში, თვითმფრინავში ასვლისთანავე, როცა შევიტყვე, რომ ჩვენთან ერთად მოსკოვს ლელა წურწუმია, ნინო ჩხეიძე და ნინი ბადურაშვილიც მოემგზავრებოდნენ, ანუ ისინი, ვინც საქართველოში კრეტინი პრეზიდენტყოფილი მიშას მომღერლებად, მიშას აშულებად, მიშას მსახიობებად და ა. შ. არიან ცნობილნი. „ჩვენთან ერთად“ მთლად ზუსტი ნათქვამი არ არის, რადგან ისინი, როგორც ელიტა, ბიზნესკლასში მოკალათდნენ, ჩვენ კი — „მეტეხი“, „ფრანი“ და თქვენი მონამორჩილი, როგორც „ყარტაყურტა“ ხალხი, — ეკონომკლასში!

სასტუმროც, ალბათ, სხვა შეურჩიეს ქართული შოუბიზნესის „ვარსკვლავებს“, რადგან თბილისობის ზეიმის დაწყებამდე ისინი ვერსად დავლანდე...

იმთავითვე რომ მცოდნოდა, რა „სასტავში“ მოვხვდებოდი, დავფიქრდებოდი, მოსკოვს წავსულიყავი თუ არა. მაგრამ, რა უნდა მექნა უკვე ჩაკეტილ ბოინგში?

არა, ზოგადად, არც ეკონომკლასს ვიწუნებ და არც რიგიან სასტუმრო „ვოლგას“, მაგრამ, როდესაც გახსენდება, რომ ისინი 9 წელიწადი უმღეროდნენ სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტურ რეჟიმს, ანუ იმას, „ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა“ და რომელსაც შენ ამდენივე ხანი ებრძოდი, მაშინ გეუფლება „ამპარტავნება“...

ათასჯერ მითქვამს და გავიმეორებ — პოლიტიკა ყველგან და ყველაფერშია: ზემოთ ხსენებული ტაძარი, რუსთაველის სკვერი, ზურაბ წერეთელის მუზეუმი და ერმიტაჟის ბაღში ჩატარებული თბილისობაც, საბოლოო ჯამში, დიდი პოლიტიკის შემადგენელია, რომელსაც სახალხო დიპლომატია ჰქვია!

ჰოდა, **ასეთ კონცერტზე მაინცდამაინც ვანო მერაბიშვილის, როგორც ამბობენ, „პრიამოი“ ძმაკაცის, და აქედან გამომდინარე, „წარმატებული ბიზნესმენის“ ცოლს — ნინო ჩხეიძეს აგზავნი?! ან მამულიჩას კნეინა ლელას?!**

როცა ნახევარი საქართველო ციხეში იჯდა და ცოცხებს უყრიდნენ უკანალში, ხოლო მეორე ნახევარი მაჯის სიმსხო კურცხლებით ტიროდა, ლელა წურწუმიას პროტესტი არ გასჩენია და რეჟიმის პროპაგანდისტულ კონცერტებზე პრიმადონობდა... ან იმას აპატიებს ნინი ბადუაშვილს ქართველი ხალხი, როდესაც რუსთაველზე „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“, მან კი ისე დასჭექა იმბეცილი პრეზიდენტის საამებლად, რომ წარბიც არ შეუხრია?!

**ბარემ ბუბა კიკაბიძე და მერაბ სეფაშვილიც მიეწვიათ და ეგ იქნებოდა რა — ერთი რუსებს უმღერებდა „ვი მენია რაზოჩეროვალი“, მეორე — იდიოტ სააკაშვილს, „ჩემი გმირი გიწოდეო“ და იქვე მოირბენდა პუტინი აფხაზეთ-ცხინვალის საქართველოსთვის ჩუქების „გრამოტით“ ხელში!**

ჩემმა შინაგანმა პროტესტმა ზენიტს მაშინ მიაღწია, როდესაც ერმიტაჟის ბაღში ქართული შოუბიზნესის პოლიტიკურ მეძავთა ტრიო დავლანდე. ცოტა დამაკლდა, სცენაზე არ ავვარდი და დათა თუთაშხიასავით არ ვიყვირე, — რას შვებით, ვინა ხართ, რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა, ამათ ტაშს როგორ უკრავთ-თქო, მაგრამ, დიდი ვაჟასი არ იყოს, „კარგი სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასო“ და მეც სტუმარმასპინძლობის ამ კანონს დავემორჩილე...

**ქართველი ხალხი დიდსულოვანია და იქნება მიშას მომღერლებისთვისაც ეპატიებინა კიდეც, რადგან გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. მაგრამ, რომ გაპატიონ, ჯერ უნდა მოინანიო. ამათ კი ბოდიშის მოხდაც არ უნდათ, აქეთ გიტევენ „რკინისებური“ არგუმენტებით: მე პოლიტიკა არ მესმის, მე პოლიტიკაში არ ვერევი... და მთლად უდრეკი ფოლადი — რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდა?..**

არ ვიცი, ვისი რჩევით თუ მეცადინეობით მიიწვიეს ეს ტრიო თბილისობის ორგანიზატორებმა მოსკოვში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამის მქნელი, უკაცრავად პასუხია და, ან პიტალო მოყვარე, ან რუსეთ-საქართველოს ხელახალი დაახლოების ჭკვიანი მტერია!

თქვე კაი ხალხო, საქართველოში მოცეკვავეები და მომღერლები დაილია, რომ მაინც და მაინც „ვინც ჩვენ ერთმანეთს, სამტროდ წაგვკიდა“ (სააკაშვილის რეჟიმთან ასოცირებული „ხელოვანები“) არ მიიწვიო?!

დიახ, ზემოთ ხსენებული მომღერლებიც ისეთივე სიმბოლოები არიან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისა, როგორც ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიები თუ მიშას „ჟურნალისტ-ექსპერტები“ და ა. შ. მათი სახელი ლეგიონია!

ისევე, როგორც ჰიტლერის ფაშისტური რეჟიმის სიმბოლოდ, მარლენ დიტრიხისგან განსხვავებით, დღემდე ითვლება მარიკა როკი, მიულერი, ჰიმლერი, გერინგებთან ერთად...

ჰოდა, ვისაც ეს ეხება, მომავლისთვის მაინც გაითვალისწინოს, რომ მსგავსი „იაღლიშები“ ტექნიკურ-ფინანსურ ორგანიზატორებს კი არა, პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლებას მიეწერება.

თბილისში დაბრუნებულს საზოგადოების უმრავლესობაშიც მსგავსი უკმაყოფილების განწყობა დამხვდა: კოჰაბიტაცია-2 ხომ არ არის ეს ყველაფერი, ოღონდ ამჯერად მოსკოვისგან თავსმოხვეული-იო, — ხუმრობაგაშვებით ანგლობენ იუმორის გრძნობით მდიდარი ქართველები.



**ჰოდა, ვისაც ეს ეხება, მომავლისთვის მაინც გაითვალისწინოს, რომ მსგავსი „იაღლიშები“ ტექნიკურ-ფინანსურ ორგანიზატორებს კი არა, პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლებას მიეწერება**

**დავით მხეიძე**

„უკვე საბუთებს ვაგროვებ, საზღვარგარეთ თავშესაფარი რომ მოვითხოვო. როგორც კი ქვეყნის დატოვების საშუალება მომეცემა, ყველა დოკუმენტსა თუ ვიდეოკადრს გამოვაქვეყნებ, რომლებზეც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის „კაიკაცობაა“ აღბეჭდილი“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეკატერინე დუგლაძე:

# დღეს საქართველო ივანიშვილისგან «გადაგდებულია»!



**ჟურნალისტი ეკატერინე დუგლაძე საზოგადოებამ 2 წლის წინათ ტელეარხ „ინფო 9“-ის ეთერიდან გაიცნო. ის აქტიურად ებრძოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „შექმნილი“ ე. წ. ჟურნალისტის — ალისტრახოს — თავდასხმებს უმკლავდებოდა. დღეს ეკა იმედგაცრუებულია, რადგან მის მშობლიურ ზესტაფონში არაფერი შეცვლილა, პირიქით, როგორც თვითონ ამბობს, სიტუაცია გაუარესდა. რაც მთავარია, „ქართული ოცნებისთვის“ თავდადებული ჟურნალისტი და მისი მეუღლე სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ გაათავისუფლა სამსახურიდან.**



ალისტრახო როხაძე

— „ინფო 9“-ის დახურვის შემდეგ მუშაობა დავიწყე ზესტაფონის რაიონის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსად. მანამდე, ვიდრე „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, ჩემი მეუღლე ტელეკომპანია „საქართველოს“ ტექნიკური სამსახურის უფროსი იყო და, რადგან მე „ინფო 9“-ის ჟურნალისტი გავხდი, სამსახურიდან დაითხოვეს. მოგეხსენებათ, ტელეკომპანია „საქართველო“ კეზერაშვილის საკუთრება იყო და „ნაცმოძრაობის“ მიერ იმართებოდა. ამ ტელევიზიის ხელმძღვანელმა ჩემი მეუღლე დაიბარა, ბოდიში მოუხადა და უთხრა, გარკვეული მიზეზების გამო ამ არხზე ველარ იმუშავებო. **ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ჩემმა მეუღლემ მუშაობა დაიწყო შპს „მექანიზატორში“ დირექტორის მრჩევლად. ეს სახელმწიფო ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება. როდესაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის სამსახურიდან ჩემი დათხოვნის ამბავი გავახმაურე, მესამე დღეს ჩემი მეუღლე დაიბარეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოუშვეს სამსახურიდან.** უფროსმა უთხრა, მე არაფერ შუაში ვარ, ზემოთ გადაწყვიტესო.

**— ეკა, თქვენ რა მიზეზით დაგითხოვეს სამსახურიდან?**

— 2014 წლის 31 იანვარს იძულებული გამხადეს, წამოვსულიყავი. მანამდე, მთელი ერთი წლის განმავლობაში საშინელი ზეწოლის ქვეშ მიწევდა მუშაობა. **ზემდგომები გაურკვეველი ურთიერთობის დამყარებას მთხოვდნენ უშიშროების სამსახურთან.**

მართლია, ამაზე ხმამაღლა საუბარი არ სიამოვნებს დღევადელ ხელისუფლებას, მაგრამ **ადამიანები, რომლებიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში უშიშროების სამსახურში მუშაობდნენ და 2012 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, გადამცემ ანძებს აქცევდნენ, მაღაზიებს წვავდნენ, „ინფო 9“-ის თანამშრომლებს დაბურულმინებიანი ჯიპებით დაგვდევდნენ და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდნენ, დღესაც უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, ინფორმატორები არიან, რომლებიც ზესტაფონში მოპოვებულ ინფორმაციას ქუთაისს გადასცემენ.**

რაც მთავარია, **უშიშროების იმჟამინდელი უფროსი ზაზა მეფარიშვილი დღეს იმერეთის გუბერნატორია.**

**ზესტაფონის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად მუშაობის პერიოდში თითქმის ყოველდღე მიბარებდნენ, შავბნელ დავალებებს მაძლევდნენ და მეუბნებოდნენ, ამის გაკეთება ზემოდან ბრძანესო. არავინ იცის, ეს „ზემოდან ნაბრძანები“ არის თუ არა კანონიერი და არც ის, ვინ არის ეს „ზემოდან მბრძანებელი“.** სხვათა შორის, ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლებზე უამრავი ინფორმაცია მაქვს უტყუარი ალიბებით, კადრებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამომიყენებია და ამის გამო მათ დისკომფორტს ვუქმნიდი. **მეუბნებოდნენ, თუ უშიშროებასთან არ ითანამშრომლებ, სამსახურიდან უნდა წახვიდეო, ანუ „ნასედკობას“ მთხოვდნენ.** დღეს თითქმის ყველა, ვინც მუნიციპალიტეტში მუშაობს, უშიშროებასთან თანამშრომლობს.

**— ვისზე გაქვთ მაკომპრომეტებელი მასალები?**

— **ვეფხია იჩქიტიძეზე, ოთარ კობახიძესა და სხვებზე.** ეს ადამიანები, როგორც „ნაცების“ პერიოდში, დღესაც უშიშროების სამსახურის თანამშრომლები არიან. დააწინაურეს კიდეც.

**— რა ჩაგიწერეს სამსახურიდან დათხოვნის მიზეზად?**

«პატარა, დაქირავებულ ადამიანებზე არ ღირს ლაპარაკი... რბილად ნათქვამია, — ივანიშვილმა მოგვატყუაო. მან «ინფო 9»-ის დახურვის მომენტშიც იცრუა, როდესაც განაცხადა, ჟურნალისტებს მაღალ ხელფასს ვუხდიდიო. არადა, მიზერულ თანხაზე ვმუშაობდი და, რაც მთავარია, ხელფასის გამო კი არა, ნაცრეჟიმის დასამხობად»

— ჩემი წინამორბედი, რომელიც ჩემს იქ მისვლამდე გაათავისუფლეს თანამდებობიდან, სასამართლო გადაწყვეტილებით აღადგინეს. **დღეს ამ თანამდებობაზე დააბრუნეს ვეფხია იჩქიტიძის ახლო მეგობარი ნატო სანთელაძე და კომფორტულად გრძნობენ თავს.** ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ისევ ნაცებისდროინდელი კადრებითაა დაკომპლექტებული და, ვინაიდან ერთმა ადამიანმა ვერ შევძელი მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, იძულებული შევიქენი, წამოვსულიყავი. **დღეს გაცილებით ცუდი სიტუაციაა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ვიდრე „ნაციონალების“ პერიოდში იყო. მუნიციპალიტეტის ძირითადი დასაყრდენი ადმინისტრაციისა და საფინანსო სამსახურებია. იქ კი არც ერთი თანამშრომელი არ შეცვლილა.** „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში რასაც ვაპროტესტებდი, იყო ის, რომ სხვადასხვა პროექტების მეშვეობით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფულს შოულობდნენ, თუმცა საქმესაც აკეთებდნენ. ადმინისტრაციულ სამსახურში მუშაობისას ჩემ ხელში გადიოდა ყველა დოკუმენტი. **ბიუჯეტიდან 4 მილიონ 900 ათასი ლარი გადმოირიცხა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, მაგრამ არც ერთი პროექტი წარმატებით არ განხორციელებულა.**

**— ანუ?**

— ქალაქის ცენტრში, რკინიგზის მხარეს, მოიხსნა ძვირად ღირებული გრანიტი და მის ნაცვლად გააკრეს იაფფასიანი ფილები, რომლებიც უკვე ჩამოცვივდა, რადგან ყინვას ვერ გაუძლო. უხარისხოდ გაკეთდა მეორე სანაპირო ზოლიც. გარე განათების არც ერთი ნათურა არ ინთება. პრობლემა იყო ის, რომ ქალაქის ტუალეტებში, აუტანელი ანტისანიტარიის გამო, ვერ შეხვიდოდი. **ახალი ხელისუფლება როცა მოვიდა, დავაყენეთ ეს საკითხი, გაკეთდა ტუალეტები, საკმაო თანხა დაიხარჯა, მაგრამ დღეს იმაზე საშინელი ვითარებაა, ვიდრე „ნაცონალების“ პერიოდში იყო.** ასეთი პროექტების ტენდერებში კი კვლავ ის კომპანიები იმარჯვებენ, რომლებიც „ნაციონალების“ პერიოდში იყვნენ გალაღებულნი. ამ კომპანიების მფლობელთაგან ზოგი გამგებლის ნათესავია, ზოგი — სხვა ადგილობრივი ხელისუფლის. **მუნიციპალიტეტში მუშაობისას მევალებოდა, ხელი მომეწერა ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის ჩაბარების აქტზე, მაგრამ არც ერთ მსგავს დოკუმენტზე ხელი არ მომიწერია, რადგან არ ვეთანხმებოდი, რომ პროექტი წარმატებით იყო განხორციელებული.** ამის შემდეგ უნდა დაინტერესდეს თუ არა ზემდგომი ორგანო, თუ რატომ არ მოვაწერე ხელი? არადა, არავინ დაინტერესებულა. ამიტომაც ვეზედმეტებოდი იქ მყოფებს და მაიძულეს, სამსახური დამეტოვებინა. სიმართლე არ სჭირდებათ.

2 წლის წინათ ამ ყველაფერს ვერ წარმოვიდგენდი და, სამწუხაროდ, დღეს გაცილებით მეტი მაქვს საქთმელი ვიდრე უწინ. იმხანად შიგა სამზარეულოში არ ვიყავი ჩახედული და ბევრი რამ არ ვიცოდი. ახლა ყველაფერი ზედმიწევნით ვიცი და მართლაც საშინელი ვითარებაა, მაგრამ ამის დანახვა დღეს არავის სურს. **უკვე საბუთებს ვაგროვებ, საზღვარგარეთ თავშესაფარი რომ მოვითხოვო. როგორც კი ქვეყნის დატოვების საშუალება მომეცემა, ყველა დოკუმენტსა თუ ვიდეოკადრს გამოვაქვეყნებ, რომლებზეც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის „კაიკაცობაა“ აღბეჭდილი.**

ნაციონალები რომ მდევნიდნენ, არ მეშინოდა. პირველად ახლა გამიჩნდა შიშის განცდა. წამალს ვერ ჩამიდებენ, მაგრამ ამ ხელისუფლებისაგან ყველაფერს მოველი.

**— ალისტრახო როხვაძე, რომელიც გდევნიდა და მუშაობის საშუალებას არ გაძლევდა, ახლა სად არის?**

— ამერიკაშია ოჯახთან ერთად და მშვენივრად გრძნობს თავს. **მიუხედავად იმისა, რომ მდევნიდა და მავიწროებდა, ალისტრახოს არაფერს ვერჩი, რადგან ის ადამიანები, რომლებიც მას დავალებებს აძლევდნენ, დღესაც ხელისუფლებაში არიან. სწორედ ვეფხია იჩქიტიძე, რომელიც ზემოთ ვახსენე, აძლევდა მითითებებს ალისტრახოს, რა გაეკეთებინა. ვეფხია იჩქიტიძე კი ამ ხელისუფლებამ დააწინაურა.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვინც რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის — გოგი ქავთარაძის მხარდამჭერია, ყველას დევნიან, რადგან დაპირისპირებაა გოგისა და რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მაღრაძეს შორის...

ზესტაფონში როდესაც სტუმარს ელოდებიან, მაშინ ააგებენ ამა თუ იმ შენობაზე ხარაჩოებს, ანუ ისე იქცევიან, როგორც „ნაციონალები“ — თავს გვაჩვენებენ, საქმეს ვაკეთებთო. არადა, მხოლოდ ჭორების გავრცელებით არიან დაკავებული, თუმცა ამასაც უნიჭოდ აკეთებენ. **ზესტაფონში ყველა გადაბირებული ჰყავთ და, თუ არ ითანამშრომლებენ მათთან, ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. „გაანასედკეს“ მთელი რაიონი. საკრებულოშიც კი ის ადამიანები არიან, რომლებიც 2012 წელს „ნაცების“ კოორდინატორები იყვნენ.** როდესაც „ნაციონალები“ გვდევნიდნენ, არ მახსოვს, საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე დათო მაღრაძე ოფისიდან გამოსულიყოს. და როდესაც „ნაციონალები“ ჩვენს აქტივისტებს იჭერდნენ, დათოს თითს არ აკარებდნენ. მის ძმას სილიკომანგანუმის ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ „ნაციონალებს“ არ შეუვიწროვებიათ. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება და ყველა კარგად ხვდება, რასთანაც გვაქვს საქმე.

**— ბიძინა ივანიშვილზე რას ფიქრობთ? როგორც მახსოვს, როცა „ინფო 9“-ში მუშაობდი, შენით ამაყობდა...**

— **პატარა, დაქირავებულ ადამიანებზე არ ღირს ლაპარაკი... რბილად ნათქვამია, ივანიშვილმა მოგვატყუაო... მან „ინფო 9“-ის დახურვის მომენტშიც იცრუა, როდესაც განაცხადა, ჟურნალისტებს მაღალ ხელფასს ვუხდიდიო. არადა, მიზერულ თანხაზე ვმუშაობდი და, რაც მთავარია, ხელფასის გამო კი არა, ნაცრეჟიმის დასამხობად.** მომაკვდავი დედა უპატრონოდ მყავდა მიტოვებული და დღედაღამ მიკროფონით ხელში ქუჩაში ვიყავი გაჭრილი. აღარაფერს ვამბობ „ქართული ოცნებისთვის“ უსასყიდლოდ მიცემულ საოფისე ფართობზე — წინასაარჩევნოდ ვერავინ გაბედა მათთვის საოფისედ ბინის მიქირავება და ჩემი მეუღლის ბინა უსასყიდლოდ დავუთმე. აგრეთვე, არაფერს ვამბობ „ინფო 9“-ის ოფისზე, რომელიც მშობლების სახლში გავახსნევინე, რადგან ფართობი არავინ მოგვაქირავა. „ქართულ ოცნებას“ არაფერს ვაყვედრი. მე გავეცალე — შვილი მყავს გასაზრდელი და მათთან ჭიდილში ვერ გავლევ წუთისოფელს. **ერთი კია — დღეს საქართველო ივანიშვილისგან „გადაგდებულია“!**

**ესაუბრა**
**ნინო მაისურაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„2016 წლისთვის ჩვენ მივიღებთ ე. წ. ნეოლიბერალურ ხელისუფლებას, რომელიც ასი პროცენტით გარედან იქნება მართული და შეასრულებს მხოლოდ გარე ძალის მითითებებს. ამ ხელისუფლებას არაფერი ექნება საერთო ქართულ ღირებულებებთან...“

# რა მზაკვრული გეგმები აქვთ კოალიციის მედასავლეთე «ლიბერალებს» 2016 წლის არჩევნებისთვის?



მერაბ შათირიშვილი:

# ბატონო ბიძინა, ესაა თქვენი დატოვებული პატიოსანი ხალხი? ესენი ააშენებენ სახელმწიფოს?

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ ლიდერი და დამფუძნებელი, მწერალი მერაბ შათირიშვილი „საქართველო და მსოფლიოსთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს და სახელისუფლო გუნდში შემავალი ე. წ. ნეოლიბერალური სუბიექტების სამომავლო შავბნელ გეგმებს ააშკარავებს.**

**— ბატონო მერაბ, ვიდრე მთავარზე გადავალთ, მოკლედ შევეხოთ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების საკითხს. თქვენი და თქვენი თანამოაზრეების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ვადამდელი არჩევნები იყო, მაგრამ ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა, რომ იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა. რა ბერკეტები გრჩებათ მიზნის მისაღწევად, მით უფრო, რომ დღითიდღე სულ უფრო აშკარაა ვადამდელი არჩევნების აუცილებლობა?**

— პირველ რიგში, ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში შეიქმნას ახალი რეალობა და ეს არ არის პოლიტიკური მიზანი. ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას აქვს რეალური საფუძველი. ეს ხალხს სურს. ერთადერთი, ვისაც შეუძლია ხალხის ნება შეასრულოს, ხელისუფლებაა, ამიტომ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ამის შესრულების ნება. მან უნდა შეისმინოს და განახორციელოს საზოგადოების სურვილები, თორემ ჩვენი ბერკეტი ის ათასობით და ათეულათასობით უკმაყოფილო მოქალაქეა, რომლებიც ყველანაირად, ნებისმიერი ფორმით მზად არიან, საკუთარი უფლებები დაიცვან... საერთოდ, მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ვადამდელი არჩევნები იქნებოდა იმ ისტერიების განმუხტვის საშუალება, რომლებიც ქვეყანაში არსებობს. მხედველობაში მაქვს ანტირუსული ისტერია და პროევროპული ისტერია. ეს არის რაღაც სენი, პათოლოგია, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფები. ამიტომ, ეს თუ არ დაცხრა და არ დაწყნარდა, მერწმუნეთ, აქ ვერანაირი სიმშვიდე და სტაბილურობა ვერ იქნება.

**— თქვენ რამდენიმეჯერ მიმართეთ ბიძინა ივანიშვილს ტელევიზიით და ინტერნეტით, რომ გამოსულიყო და შეცდომები ელიარებინა. მან ეს მიმართვა უყურადღებოდ დატოვა. რატომ გგონიათ, რომ დღეს ყოფილი პრემიერი ან მისი დატოვებული გუნდი ყურად იღებს რომელიმე მოთხოვნას?**

— დიახ, მე არაერთხელ მივმართე ივანიშვილს და ეს არ იყო მარტო ჩემი მიმართვა. ამ მიმართვის უკან იდგა ათასობით უკმაყოფილო მოქალაქე, რომელთაც დღემდე აქვთ საშინელი უსამართლობის განცდა და ბატონ ბიძინას ელემენტაურლად პასუხის ღირსად მაინც უნდა ჩავეთვალეთ. რაკი ეს არ გააკეთა, ვფიქრობ, ამით საბოლოოდ მოიკვეთა ხალხთან დასაბრუნებელი გზა. რაც დრო გავა, ის უფრო მეტად დარწმუნდება ამაში, მაგრამ პოლიტიკაში შანსი სამჯერ და ოთხჯერ არ ეძლევათ...

**— გინდათ, თქვათ, რომ ივანიშვილის პოლიტიკური კარიერა საბოლოოდ დასრულებულია?**

— მოდი ასე ვთქვათ: ის მუდმივად დარჩება ან იდუმალ პოლიტიკოსად (თუმცა თვითონ ამბობს პოლიტიკოსი არ ვარო), ან გამოვა ღიად ასპარეზზე და ნდობის მაჩვენებელი მის მიმართ იქნება უმნიშვნელო. მოკლედ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილმა საკუთარი ავტორიტეტი გადააყოლა რაღაც ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს და კონიუქტურას, რომელიც იმთავითვე არაფრის მომტანი იყო სახელმწიფოსთვის.

**— ივანიშვილს პოლიტიკაზე არც აქვს პრეტენზია, ამიტომ გადავიდა სამოქალაქო სექტორში.**

— გადავიდა თუ არა, ეგ საკითხავია. ეს არის რაღაც ავტორიტარული, პოლიტიზებული ორგანიზაცია, რომელიც გახვეულია სამოქალაქო სექტორის ქურქში და ასოცირდება ძალიან დიდ ფულთან. მხედველობაში მაქვს ორგანიზაცია „მოქალაქე“, რომელიც ჩემთვის პირადად დღემდე გაუგებარია, რისთვის შეიქმნა და რა მიზანს ემსახურება. **არ ვიცი, ესენი რას ფიქრობენ და როგორ უყურებენ ქვეყნის მომავალს, მაგრამ ხალხის მსახურება სხვა რამეა. ეს არის, ფაქტობრივად, თავგანწირვა და თავის გადადება ქვეყნისთვის, რაც ამათ თურმე არ შეძლებიათ.**

**— კონკრეტულად რაში გამოჩნდა ეს?**

— რა განცხადება გააკეთა ამასწინათ ნარმანიამ? ძალიან დატვირთული რეჟიმი გვაქვსო და ანაზღაურება უნდა გავზარდოთო. ეს, იცით, რას ნიშნავს? — იმას, რომ ამ ხალხს უკვე სინდისის ნატამალი არ გააჩნია, სირცხვილის გრძნობა არ აქვს, იმდენადაა საკუთარი სტომაქის სიყვარულით დაბრმავებული.

აქვე მინდა, ვკითხო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც თავის დროზე ამბობდა, რომ პატიოსან ხალხს ტოვებდა ხელისუფლებაში: **ბატონო ბიძინა, ესაა თქვენი დატოვებული პატიოსანი ხალხი? იოტისოდენა საქმე არ აქვთ გაკეთებული და უკვე პრემიებზე რომ ლაპარაკობენ, ესენი არიან პატიოსანი ადამიანები? ესენი ააშენებენ ქვეყანას? ამათ სახელმწიფოებრივი აზროვნება აბსოლუტურად არ გააჩნიათ; და საერთოდ, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, — სახელმწიფო ჩვენ არ გვაქვს. ამას უნდა შევეგუოთ. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართული სახელმწიფო ვერ შედგა. ამაში ვერავინ შემედავება, იმიტომ, რომ დააკვირდით, რანაირი ისტერიაა ატეხილი.**

**— რას გულისხმობთ?**

— ე. ი. თუ ქართულად აზროვნებ, შენ ხარ პრორუსი და თუ რუსეთთან გინდა დაალაგო ურთიერთობა, მოღალატის, კრემლის აგენტის იარლიყი გარანტირებული გაქვს... მეორე მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ იქცა ქვეყანაში ევროპული იდეალების, დემოკრატიის სახედ. ამ დროს „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი და წარმოიდგინეთ ახლა, როგორ გინდა, ქართველი ხალხი შეაგუო იმ იდეალებს და იმ ღირებულებებს, რომელთანაც ასოცირდება ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

**— თქვენი აზრით, ქართულ საზოგადოებაში დღეს ანტიევროპული განწყობაა?**

— ამას მე ვერ განვსაზღვრავ, ეს ხელისუფლებამ უნდა გამოიკვლიოს და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს, რა გზას ვირჩევთ. მე, უბრალოდ, რის თქმა მინდა: ესენი რომ რუსეთს აგრესორს ეძახიან, აგვისტოს ომის მერე თვითონ არ მოაწყვეს რუსთაველზე ზეიმი, გავიმარჯვეთო? ერთი რამ ვერ გავიგე, თუ შენ გაიმარჯვე და მტერს კუდით ქვა ასროლინე, ის როგორღაა აგრესორი? დამარცხებული შეიძლება აგრესორი იყოს? ხვდებით, აქ რამხელა ისტერიასთან გვაქვს საქმე? გაიმარჯვე კი არა, დედა გეტირა, ჩაძირული ხარ. **ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“ არ გასამართლდება 2008 წლის სახელმწიფო დანაშაულისთვის, ჩვენ ვერასოდეს დავილაპარაკებთ რუსეთთან, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოსთან.**

**— რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ფაქტია, რომ ივანიშვილის მიერ დატოვებული სახელისუფლო კონფიგურაცია წარუმატებელია — არც მთავრობამ გაამართლა და არც, თავის მხრივ, მარგველაშვილი აღმოჩნდა მთლად პლასტელინი. მოკლედ, საუბარია ახალ გადაჯგუფებებზე მმართველ გუნდში, რომელმაც, შესაძლოა, კოალიციის დაშლა გამოიწვიოს და ე. წ. მედასავლეთე ცენტრისტებისგან ახალი გაერთიანება შეიქმნას. მასში, სავარაუდოდ, თავს მოიყრიან ალასანია, რესპუბლიკელები და „ნაციონალების“ გარკვეული ნაწილი. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— არც კი მინდა, ეს დავიჯერო, მაგრამ, თუ ეს მოხდა, ჩვენ საბოლოოდ გვეყოლება აბსოლუტურად გარედან მართული ხელისუფლება. კიდევ ვიმეორებ: აქ ახლა მიდის უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ისტერია. ამ ისტერიით ადუნებენ მოსახლეობას და **2016 წლისთვის ჩვენ მივიღებთ ე. წ. ნეოლიბერალურ ხელისუფლებას, რომელიც ასი პროცენტით გარედან იქნება მართული და შეასრულებს მხოლოდ გარე ძალის მითითებებს. ამ ხელისუფლებას არაფერი ექნება საერთო ქართულ ღირებულებებთან... პირდაპირ ვამბობ, — ეს იქნება დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ და სამწუხაროა, რომ გარე ძალა ამას გააკეთებს ისევ ქართველის ხელით; იმ ქართველის ხელით, რომელიც ზის პარლამენტში, მთავრობაში, პრეზიდენტის სასახლეში და ა.შ.**

**— და როგორ ფიქრობთ, მომავალ კოალიციურ ხელისუფლებაში (თუ კი ის შეიქმნება) ეროვნული ფრთა არ იქნება წარმოდგენილი?**

— ყველამ ვიცით, რომ დღეს ეროვნულად მოაზროვნე ხალხს ძალიან მცირე შანსი აქვს, განსაკუთრებით პოლიტიკაში. ამის მიზეზი მარტივია, უბრალოდ, პოლიტიკური სივრცე მონოპოლიზებულია ამ ე. წ. ნეოლიბერალების მიერ. ეროვნული იდეოლოგია რომ მომძლავრდეს, ამას რეალური ძირეული ცვლილებები სჭირდება, მაგრამ ამისთვის ჯერჯერობით ვერ მომზადდა ნიადაგი, ამიტომაა, რომ უამრავი საღად მოაზროვნე ადამიანი წასულია საქართველოდან...

საერთოდ, აქ უკვე აღარავის უნდა დარჩენა, რიგითი მოქალაქეები გარბიან ქვეყნიდან. საბერძნეთში, თურქეთში ქუჩებში ქართული ლაპარაკი გესმის. ტუალეტის მწმენდავებად და შავ მუშებად არიან ჩვენი თანამემამულეები გადაქცეული. მოკლედ, საქმე იქით მიდის, რომ სულ მალე საქართველო იქნება ერთი დიდი ბენზინგასამართი სადგური, სადაც ქართველი და ქართველობა არ იარსებებს. ეს არის გეგმა, რომლის შესრულების პირობითაც არიან ხელისუფლებაში გარკვეული ძალები მოყვანილი და ზუსტად მათ მოყვანას შეეცდებიან მომავალშიც. ალბათ, ხვდებით, რომელ ძალებსაც ვგულისხმობ, ლაპარაკია ე. წ. პროდასავლურ პარტიებსა და ცალკეულ პოლიტიკოსებზე.

**— თუკი კოალიციის ე.წ. ნეოლიბერალური ფრთა პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებს, ღარიბაშვილი, ფაქტობრივად, პოლიტიკურ აფსაიტში აღმოჩნდება. ეს არ გამოიწვევს დაპირისპირებას?**

— ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ღარიბაშვილს დაუპირისპირდებიან და პოლიტიკურად გაანადგურებენ, რომ მას გაანეიტრალებენ და გააქრობენ... იცით რა? ღარიბაშვილიც მოძებნის თავის გზას, ივანიშვილიც და ყველა, არავის არაფერი უჭირს. დაისჯება მხოლოდ ქართველი ხალხი. აი, რა იქნება შედეგი, თუ კი სადავეებს მთლიანად ეს ე. წ. პროდასავლური ძალები ჩაიგდებენ ხელთ, მაქსიმუმ 10-15 წელიწადში საქართველოსგან დარჩება მხოლოდ სახელწოდება. დანარჩენი ხალხი, ტრადიციები და ქართული სული რასაც ქვია, აღარ იქნება.

**— ის, რომ მთელი პოლიტიკური სივრცე გარკვეულ ძალებს აქვთ მონოპოლიზებული, დიდწილად საზოგადოების ბრალიცაა. დღეს ის ძალები (იგივე რესპუბლიკელები, ალასანია და სხვები), ფაქტობრივად, ყოველგვარ კონტროლს მიღმა არიან. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ საზოგადოება უფრო გამოცოცხლდეს?**

— გეთანხმებით, ჩვენი საზოგადოება ცოტა პასიურია სამოქალაქო თუ პოლიტიკური კონტროლის მხრივ, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ საბოლოო ჯამში, განაჩენის გამომტანი მაინც ხალხია. ეს არ შეისმინა სააკაშვილმა და, რაც დაემართა, ვნახეთ. ახლა უარესი დაემართება „ოცნებას“, თუ გონს არ მოვლენ. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, მომავალ არჩევნებზე მოსახლეობა განაჩენს გამოუტანს ერთ ძალასაც, მეორესაც და მესამესაც...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**




## რუსეთში საქართველოს მტრად არ მიიჩნევენ

**საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სრულიად რუსეთის ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, რუსეთის მოქალაქეები საქართველოს მტრად არ აღიქვამენ.** თუ 2008 წელს საქართველოს მტრად ასახელებდა გამოკითხულთა 25%, დღეს მსგავს მოსაზრებას მხოლოდ რესპონდენტთა 1% გამოთქვამს. 2008 წელს რუსეთის მტრების სიაში პირველ და მეორე ადგილებს საქართველო და აშშ ინაწილებდნენ. ამერიკასაც მტრად რუსების 25% აღიქვამდა. ამერიკამ რუსეთის მტრის საპატიო ადგილი კვლავ შეინარჩუნა და, რაც მთავარია, ამ აზრის მქონე მოქალაქეთა რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა — გამოკითხულთა 73% აშშ-ს რუსეთის მტრად ასახელებს.



„როდესაც ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა და ვერ შეიქმნა სამუშაო ადგილები, როცა ადამიანების შემოსავლები იკლებს, როდესაც სახელმწიფოში დიფერენციაცია უზარმაზარია, მთავრობას არ აქვს უფლება, თქვას, რომ შედეგს მიაღწია!“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დემურ გიორხელიძე:

# ქვეყანაში შედეგი არის ნულოვანი და სიტუაცია არ არის შეცვლილი!

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — დემურ გიორხელიძე ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს და მოუწოდებს მას, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის ნაცვლად, ხალხს მიხედოს...**



**«ამ მთავრობამ 2 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. თუ ასე გაგრძელდა, იმის მიხვედრას, რა მოელის ჯერ ქვეყანას და შემდეგ ამ მთავრობას, დიდი ანალიტიკური უნარი არ სჭირდება»**

**— პრემიები, სახელფასო დანამატები — ეს ამჟამინდელი ხელისუფლების ყველაზე სულმოკლე ნაბიჯია.** ნულოვანი შედეგების ფონზე დაიწყო მძლავრი ე. წ. საპრემიო მოძრაობა. მართალია, სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს ნორმალური ხელფასი, რათა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა საკუთარი ინტერესებისთვის არ გამოიყენოს. ასეთი სიხარბე გაუმართლებელი ნაბიჯია და უკვე ამით თავიანთ რეპუტაციას ძალიან ავნეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენეს დაურეგულირებელი საკითხი.

**ხელისუფლების მეორე დიდი შეცდომა და სიხარბის მაჩვენებელი არის ის, რომ სახელმწიფო სამსახურებში გაუმართლებელი დიფერენციაციაა.** ეს წინა ხელისუფლების შემოღებული სტილია, როდესაც მათ მიერ გავლებულ წითელ ხაზს ზემოთ მოხვედრილი საჯარო მოხელეების ხელფასები უზარმაზარი იყო, ქვემოთ კი — მიზერული. ეს ყველაფერი დღესაც შენარჩუნებულია, რაც დაუშვებელია სახელმწიფო სამსახურში. **არ შეიძლება მინისტრისა და მისი დაბალი რანგის თანამშრომლის ხელფასი ასე რადიკალურად განსხვავდებოდეს.**

**მესამე და ასევე საშინელი შეცდომაა, არასამეურნეო ფუნქციის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის, სამინისტროებში, რომლებსაც არანაირი სამეურნეო მაჩვენებელი არ აქვს, ყოველთვიური პრემიების წერა, თანაც საკუთარი თავისთვის. ყველა ხელმძღვანელი საკუთარ თავს უწერდა მაღალ პრემიას, რაც გაუგონარია, რადგან, როგორც წესი, ზემდგომი პირი გარკვეული შედეგების საფუძველზე უნდა აფასებდეს სახელმწიფო მოხელის შრომას და დამსახურების მიხედვით პერიოდულად უწერდეს ფულად პრემიას.** ჩვენთან კი პრემია გახდა შემოსავლის წყარო და დემაგოგიის საფუძველი. აკი ამბობენ, — 24 საათის განმავლობაში ვმუშაობთ და გვეკუთვნის პრემიებიო. თუ ხელისუფლება 24 საათის განმავლობაში მუშაობს, გამოდის, ძალიან ცუდად მუშაობს, რადგან ბოლო ორი წელია, საქართველოს არ ჰყავს ეფექტიანი მთავრობა. **ასეთი მუშაობისთვის სამინისტროებში ნამდვილად არ ეკუთვნით პრემიები, რადგან ეს არის ხალხის, სახელმწიფო ბიუჯეტის ფული. არ არის განსაზღვრული, რაზე უნდა იყოს თითოეული სამინისტრო ორიენტირებული. ასევე არ არის ქვეყნის განვითარების სტრატეგია მიღებული. დამტკიცებული კი არა, მონახაზიც კი არ აქვს თითოეულ სამინისტროს, მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში რა უნდა გააკეთოს, არც შედეგებია შეჯამებული და რას ეძახიან კარგად მუშაობას, ვერ ვხვდები.** ეს არის სუბიექტური, საკმაოდ ხარბი საქციელის შედეგი.

**— როდესაც თავიდან გააპროტესტეს პრემიების ყოველთვიურად გაცემა, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, ჩემი თანამშრომლები იმსახურებენ ამ პრემიებსო.**

**— რის საფუძველზე შეაფასა თავისი თანამშრომლები წულუკიანმა?**

— ეს, რა თქმა უნდა, არავინ იცის. **როდესაც ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა და ვერ შეიქმნა სამუშაო ადგილები, როცა ადამიანების შემოსავლები იკლებს, როდესაც სახელმწიფოში დიფერენციაცია უზარმაზარია, მთავრობას არ აქვს უფლება, თქვას, რომ შედეგს მიაღწია! ქვეყანაში შედეგი არის ნულოვანი და სიტუაცია არ არის შეცვლილი.**

**— რამ გამოიწვია საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე?**

— ეს არის სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგი. **ბოლო ოცი წლის განმავლობაში არც ერთი ხელისუფლების დღის წესრიგში არ იდგა ხალხის დასაქმების საკითხი. წინა ხელისუფლებამ კი, საერთოდ, ბოლო მოუღო ამ პოლიტიკას.** ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, მართალია, მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ მაინც ვერაფერი შეცვალა — ბოლო 20 წლის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი, ფაქტობრივად, არ შემცირებულა.

**— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, ხელისუფლება ამბობს, რომ ამით საქართველოს ეკონომიკას ეშველება. საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს ხელშეკრულება არაფრის მომცემია და ჩვენი ეკონომიკის გასავითარებლად რუსეთის ბაზარზე შესვლაა აუცილებელი...**

— უახლოესი 7-10 წელი მაინც დასჭირდება საფუძვლიან გარდაქმნებს ქვეყანაში, ამ ხელშეკრულებიდან სარგებლის მიღება რომ შევძლოთ. დღეს ქვეყანა მოუმზადებელია დიდი მოცულობის, კარგ ბაზარზე შესასვლელად, რადგან არაფერი გაგვაჩნია, გარდა პრიმიტიული პროდუქციისა, რომლის იქ გატანაც არ ღირს. არადა, ევროპულ ბაზარზე საქართველო მაღალხარისხიანი პროდუქციით უნდა შევიდეს, სარგებელი რომ ვნახოთ. როდესაც ევროკავშირისკენ მიდიხარ, პირობებიც უნდა გათანაბრდეს ბიზნესმენებისთვის, მოქალაქეებისთვის. **თუ პირობები არ გათანაბრდა, თუ მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესს არ შეექმნა ისეთი გარემო, როგორიც ევროპაშია, როგორ უნდა გახვიდე ევრობაზრზე?!**

ჩვენი კი მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, მაგრამ მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში უამრავი დანართი, ანალიზი და პროგნოზია 2019 წლის ჩათვლით. 2018 წლისთვის ექსპორტის წილი იქნება 20,3 პროცენტი, ესე იგი დღევანდელი 17,2 პროცენტი 4 წელიწადში გაიზრდება 20,3 პროცენტამდე, ანუ, საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული პროგნოზით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. ეს ჩემი სუბიექტური აზრი კი არა, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტია.

**— ხელისუფლება იმედს ამყარებს ინვესტორებზე...**

— რომლებიც ჯერ არც აპირებენ შემოსვლას... ინვესტიციების შემოდინებამდე საკმაო მანძილია გასავლელი, რადგან **ქვეყანაში არაფერი ხდება თავისუფალი ინვესტირების განსახორციელებლად, უცხოელებმა რომ კანონის ფარგლებში იმოქმედონ ქართველ პარტნიორებთან.** ყველა უცხოელს უნდა ხელისუფლების მხარდაჭერა, რადგან კარგად იციან, რა მდგომარეობაც არის საქართველოში, რომ სრული ქაოსია საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით; არის ლობირებული ბიზნესები, რომლებიც არ ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკაში ფუნდამენტური მნიშვნელობის კონკურენციულ პირობებს; არ არის თანასწორი პირობები მეწარმეობის თვალსაზრისით; სამართალი კვლავ შერჩევითია და ა. შ. ეს ყველაფერი ინვესტორებმა შესანიშნავად იციან და ამიტომაც არ ჩქარობენ საქართველოში შემოსვლას. ის ინვესტიციები, რომლებიც ამჟამად არის საქართველოში, მიზერულია და სიტუაციას ვერ შეცვლის.

**— ეკონომიკის სამინისტროს მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

— არ მგონია, ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაში რაიმე ბრალი მიუძღოდეს ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, რადგან დღევანდელი კონსტიტუციური წყობა ისეთია, რომ ყველგან მთავრობა ფიგურირებს. აღმასრულებელ რგოლში სწორედ მთავრობაა დომინანტი. სისტემაა მოუქნელი — ცალკეულ ხელმძღვანელებს არ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედების სტიმულს და სამინისტროებიც ამიტომ არიან პასიურნი, რაც სამთავრობო პოლიტიკის ნაკლია. განსაზღვრული არ არის მიმართულებები, შეფასების კრიტერიუმი, ანუ მიაღწიეს თუ არა მიზანს, ამიტომაც მოქმედებს ჩვენი ხელისუფლება ეპიზოდურად.

**— რამდენიმე დღის წინათ პენიტენციური სისტემის მაღალჩინოსნებმა შეავსეს ქონებრივი დეკლარაციები, თუმცა ბევრმა მათგანმა დამალა ქონება. მაგალითად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დიმიტრი დარბაისელმა არ მიუთითა ის პრემიები, რომლებზე თქვენ ზემოთ ილაპარაკეთ.**

— როგორც ვიცი, აქ საუბარია დიდ პრემიებზე. ეს არის სისტემის შედეგი და არა დარბაიელის ბრალი. **მაღალჩინოსნებს რის უფლებასაც აძლევდა არასწორი სისტემა, ისე იქცეოდა ბატონი დარბაისელიც და სხვა დარბაისლებიც.**

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ახალი მთავრობის ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ამ პრემიების გამოწერა იყოო...**

— არ ვფიქრობ, რომ ეს პრემიები ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ეს მთავრობის ერთ-ერთი ცუდი საქციელია. რაც შეეხება შეცდომებს, **ამ მთავრობამ 2 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. ის, რომ დღეს არაფერი კეთდება სამუშაო ადგილების შესაქმნელად; ის, რომ ვერც ერთი მძლავრი სახელმწიფო პროგრამა ვერ ამუშავდა, რომელიც დასაქმების მაჩვენებელს ოდნავ მაინც გააუმჯობესებდა; ის, რომ ვერ გაჩნდა ეკონომიკური ზრდის ახალი ფაქტორები, არის ყველაზე დიდი შეცდომა! თუ ასე გაგრძელდა, იმის მიხვედრას, რა მოელის ჯერ ქვეყანას და შემდეგ ამ მთავრობას, დიდი ანალიტიკური უნარი არ სჭირდება.** დააკვირდით მარკეტებს, რომლებშიც პირველადი სასიცოცხლო პროდუქცია იყიდება — შემცირდა საქონელბრუნვა, შემცირდა შემოსავლები, ბანკებში გაიზარდა სესხების გადაუხდელობის შემთხვევები. ეს ყველაფერი მიანიშნებს, საით მიექანება საქართველო. **ამიტომაც ვამბობ: დროა, დაასრულოს ხელისუფლებამ თავისი კეთილდღეობაზე ზრუნვა და ხალხს მიხედოს!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

მსოფლიო

## «ფორბსი»: დროებითი ზავი უკრაინას გახლეჩვისგან ვერ გადაარჩენს!

Forbes



**დროებითი ზავის მიუხედავად, ყველაფერი მოწმობს, რომ უკრაინა დონეცკისა და ლუგანსკის გამოყოფას თავიდან ვერ აიცილებს, რადგან კრიზისის მიზეზები მოგვარებული არ არის, ხოლო რუსულენოვანი მოქალაქეების უფლებები აღიარებული არ არის,“ — წერს ამერიკული ჟურნალი „ფორბსის“ მიმომხილველი მარსელ მაიკლსონი.** „მართალია, რადამ მიიღო კანონი დონბასის რაიონებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების თაობაზე, მაგრამ ძალიან მცირეა ალბათობა, რომ მომავალ არჩევნებში დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს დანარჩენ უკრაინასთან ტერიტორიულ ერთიანობას“. უნდა გვახსოვდეს, რომ, შედარებითი სიმშვიდის მიუხედავად, უკრაინაში ვითარება შეიძლება თვალის დახამხამებაში გამწვავდეს. ამ დროებითი სიწყნარის ფონზე უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს სამმხრივი საკონტაქტო ჯგუფის მოლაპარაკებებზე კომპრომისებზე წასვლა მოუწევს, ხოლო აშშ-ს, ევროკავშირსა და რუსეთს — დაფიქრება სანქციების ნეგატიურ გავლენაზე მათ ეკონომიკაზე“. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ძალიან მწვავე ვითარების განმუხტვა ყველა მხრისგან კომპრომისს მოითხოვს“, — წერს „ფორბსის“ მიმომხილველი.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოცნებას“ პარლამენტში უსხედან რესპუბლიკელები, რომლებსაც ისინი აფინანსებენ, ვინც წლების განმავლობაში „ნაცმოძრაობას“ უხდიდნენ ფულს“.**



# გია გურგულია: ივანიშვილს სააკაშვილის ჯინი სჭირდა და გააგდო კიდეც ქვეყნიდან, სხვა რამ არ აინტერესებს!

**მსახიობი გია გურგულია, ბევრ სხვა ქართველთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ რეპრესიების მსხვერპლია. მას ჯერ ძვირად ღირებული მიწის ნაკვეთი წაართვეს, შემდეგ შვილი დაუპატიმრეს. ბატონ გიას, რომელსაც ახლახან 50 წელი შეუსრულდა, არ აქვს იმედი, რომ დღეს სამართალი იზეიმებს, თუმცა სჯერა, რომ გამოჩნდება მესამე ძალა, რომელიც ქვეყანაზე ნამდვილად იზრუნებს.**

— უკვე ნახევარი საუკუნეა, ვცოცხლობ და დღეს ვცხოვრობ შემოსავლის გარეშე, თუ არ ჩავთვლით ერთ სერიალს, რომელშიც თვეში 4-5 დღეს თუ გადამიღებენ.

**— როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილი ბევრ ხელოვანს ეხმარება...**

— როდესაც ვიღაცას იმას სთხოვ, რაც არ გეკუთვნის, არ არის მართებული. მეორეც — თუ ვიღაცა ყოველთვიურად გარკვეულ თანხას გადაგიხდის, — ეს ნიშნავს, რომ მასზე ხარ დამოკიდებული. და თუ ნამუსი გაქვს, ის ადამიანი ყოველთვის უნდა აქო. პოლიტიკისა და ხელოვნების ერთმანეთში ათქვეფა დაუშვებელია, მაგრამ, საქართველოს წინა მთავრობის წყალობით, ეს ასეა. ეს მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა. იყო მოცარტი და იყო სალიერი; **იყვნენ და არიან მეფის კარზე მოღვაწე მუსიკოსები, რომლებსაც უზრუნველი ცხოვრება აქვთ, და არსებობენ თავისუფალი ხელოვანებიც, რომლებიც არც ერთ მთავრობას არ ემსახურებიან, მაგრამ მოცარტები არიან. მგონია, რომ მოცარტობა სჯობს სალიერობას...**

**— დღესაც არიან სალიერები?**

— რა თქმა უნდა, მაგათ რა გამოლევს. **ყველა თაობასა და ყველა მთავრობაში არიან სალიერები და მოცარტები. დღემდე ფიროსმანის საფლავი რომ არ იციან, სად არის, ერის უდიდესი სირცხვილია**

**... რომ არა ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავიც არ გვეცოდინებოდა.** ამით იმის თქმა მსურს, რომ დღევანდელი საქართველო მე-19 საუკუნის საფრანგეთს წააგავს — იმპრესიონისტები რომ გარდაიცვალნენ, შემდეგ დააფასეს. საქართველოში კი სულ ასეთი ვითარებაა. ჭეშმარიტი ნათქვამია: „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“. ვიდრე სხვა ქვეყანა არ გალიარებს, მანამდე ძალლად არ გაგდებენ. **მახსოვს, რობიკო სტურუას, „კავკასიური ცარცის წრე“ რომ დადგა, ქართველებმა დასცინეს, სპექტაკლი კი არა, ცირკიაო. როდესაც მთელი მსოფლიო შეძრა ამ სპექტაკლმა, შემდეგ ვაღიარეთ.** როდესაც რუსეთში მიღებდნენ ფილმებში, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყანაში არ ვიყავი ცნობილი მსახიობი, ვინც მცნობდა, მოდიოდნენ, ავტოგრაფებს მთხოვდნენ და ვგრძნობდი, რომ მაფასებდნენ. **საქართველოში კი მსახიობი ყველას ფეხზე ჰკიდია.**

**— მოსკოვში გამართულ თბილისობის დღესასწაულზე ლელა წურწუმიას, ნინო ჩხეიძისა და ნინი ბადურაშვილის გამოსვლას საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვა...**

— ხელოვანი ხელოვანია და პოლიტიკა — პოლიტიკა. ადამიანები ჩადიან, მღერიან. მაშინ ამერიკელიც აღარ უნდა ჩავიდეს რუსეთში და რუსი — ამერიკაში.

**— საზოგადოება იმიტომ გაღიზიანდა, რომ ამ შემსრულებლებს აღიქვამდნენ, როგორც „ნაციონალების“ კარზე მოღვაწე მომღერლებს, ამიტომ მოჰყვა დიდი მითქმა-მოთქმა მათ ჩასვლას მიხეილ ხუბტიას მიერ დაფინანსებულ კონცერტზე...**

— რატომღაც ეს ყველაფერი პროვოკაცია მგონია. რაღა მაინცდამაინც „ნაციონალების“ კარის მომღერლები წაიყვანეს მოსკოვში, სხვა წაეყვანათ. ამაზე ვინმე დაფიქრებულა? ამათაც ეს უნდათ, რომ ამ ყველაფერზე ილაპარაკოს ხალხმა.

**— თქვენც გადაგემტერათ „ნაცმოძრაობა“?**

— ბაგებში ძვირად ღირებული მიწის ნაკვეთი წამართვეს, შვილი კი დამიპატიმრეს. რაც გამაჩნდა, ყველაფერი წამართვეს. მოკლედ, სურდათ, გული გაეხეთქათ ჩემთვის, მაგრამ... ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ



**«თუ გაუვა, ეს მთავრობაც დაამყარებს დიქტატურას. ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს აკეთებენ — სხედან და პრემიებს იწერენ»**

ჩემი შვილი ციხიდან გამოუშვეს, თითქმის 2 წელი იჯდა. მართალია, ქონება ვერ დავიბრუნე, მაგრამ აღარც დავეძებ. არადა, **ბაგების მიწის ნაკვეთი, რომელიც მე და ჯაპანას, ანუ მსახობ დათო ხურცილავას, აგრეთვე, რამდენიმე მეგობარს წაგვართვეს, 7 მილიონი დოლარის ღირებულებისა იყო. ეს ნაკვეთი „ნაცებმა“ მოგვიანებით ებრაელ ბიზნესმენს მიჰყიდეს. ამ ყველაფერს კი ყოფილი ვიცემერი მამუკა ახვლედიანი ლობირებდა.**

— სამართლიანობის აღდგენის საკითხი დღემდე მოუგვარებელია, არავის არაფერი დაუბრუნდა...

**— ვინ რას დაგიბრუნებს, ისევ „ნაცებს“ აქვთ თანამდებობები დაკავებული**. წარმოიდგინეთ, **გამომძიებელი, რომელიც დამნაშავე იყო წამლის ძალით ჩადებაში, უკანონო დაჭერაში, დღეს ისევ იმ ადგილზე მუშაობს და თავის თავს ხომ არ დააპატიმრებს?!** მგონია, რომ **„ნაცმოძრაობასა“ და „ოცნებას“ შორის გარიგება მოხდა და იმიტომაც არიან ასე შეხმატკბილებულნი.** „ნაციონალების“ დამფინანსებლები გაიძახიან, კი ვუხდიდით „ნაციონალებს“ ფულს წინასაარჩევნოდ, მაგრამ ახლა „ოცნებას“ დავაფინანსებთო. **არაფერი შეცვლილა და არც არაფრის შეცვლას აპირებენ!** საზოგადოება იმასაც ამბობს, „ნაციონალებს“ „ოცნების“ წარმომადგენლებზე აქვთ კომპრომატები, რომელთა გახმაურებაც ხელს არ აძლევს ახალ მთავრობას და ამიტომ ხდება მათ შორის გარიგებაო. გარდა ამისა, „ოცნებას“ პარლამენტში უსხედან რესპუბლიკელები, რომლებსაც ისინი აფინანსებენ, ვინც წლების განმავლობაში „ნაცმოძრაობას“ უხდიდნენ ფულს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ის ადამიანები, რომლებიც „ნაციონალების“ პერიოდში კარგად ცხოვრობდნენ, დღესაც ძველებურად განაგრძობენ ცხოვრებას.**

**— ქართველმა საზოგადოებამ რა უნდა გააკეთოს?**

**— უნდა გამოვძებნოთ მესამე, ახალი ძალა, რომელიც არავისთან იქნება გარიგებული და რომელიც ხელისუფლებაში მოვა. ამ ძალას ჯერ ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ აუცილებლად გამოჩნდება.** ვიდრე ქვეყნი სათავეში არ მოვლენ პატრიოტები, არაფერი გვეშველება. ეს უნდა იყოს ჯგუფი, რომელსაც საკუთარი ხალხი ეყვარება. დღეს მთავრობა ხალხზე არ ზრუნავს. რაც მთავარია, **დღევანდელი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ამერიკის უკანალისკენ გვიბიძგებს.**

**— როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილს იცნობდით, რას გაიხსენებთ მასთან ურთიერთობიდან?**

— ვიცნობდი, ვიცნობდი... მე და ჩემს მეორე მეუღლეს თამრიკო ფოცხიშვილს სარეკლამო კომპანია გვქონდა და ვაკეთებდით როგორც ჩვეულებრივ, ასევე პოლიტიკურ რეკლამებს, მათ შორის „მოქალაქეთა კავშირისაც“. პირველი დაკვეთა მაშინ მივიღე, როდესაც სააკაშვილი შევარდნაძესთან იყო „მოქალაქეთა კავშირში“...

**დღევანდელი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ამერიკის უკანალისკენ გვიბიძგებს**

სააკაშვილი წარმოუდგენელი პიროვნებაა — დასრიალებდა კიბის მოაჯირებზე, დადიოდა და ყველა კარს კალამს ურახუნებდა... **ერთხელ ჩემთან ზურაბ ჟვანიამ მოვიდა მიშასთან ერთად. რაღაცას ვთათბირობდით, რომ უცებ სააკაშვილმა მთლიანად ჩაიდო კალამი პირში და კინაღამ გადაყლაპა. ზოგმა თავში ურტყა, ზოგმა ბეჭებზე, ძლივს გადმოაგდებინეს... არანორმალურია. შემდეგ, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე ვაკეში იყრიდა კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად, მთხოვა, მიშაც გადაიღეო. მეორედაც ისე გადამიყვანა ჭკუიდან, გამექცა, თორემ ადგილზე მივახრჩობდი.** მერე ია ფარულავასთან ერთად შევხვდი მიშას და, რომ ეგონა, თავში წავუთაქებდი, მივესალმე და, ალბათ, ამ სალამმა დადებითად იმოქმედა, რადგან გაუხარდა.

**— სააკაშვილს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა, მაგრამ ექსპრეზიდენტის დაპატიმრება ჯერჯერობით ვერ ხერხდება...**

— იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი არასწორად ხდება და აშკარად რაღაც გარიგებებს აქვს ადგილი. წინა მთავრობასთან შედარებით ის განსხვავებაა, რომ გამიზნულად არავის აპატიმრებენ, თუმცა თავდაპირველად არც სააკაშვილი აპატიმრებდა ხალხს გამიზნულად. როგორც კი მთლიანად აიღო ხელში ძალაუფლება, დაიწყო დიქტატორობა. თუ გაუვა, ეს მთავრობაც დაამყარებს დიქტატურას. ისე, ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს აკეთებენ. სხედან და პრემიებს იწერენ.

რომ ამბობენ, „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდებაო, რეალურად არსად წასულან. სამი კაცი რომ დააპატიმრეს, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“ სადმე წავიდა. **რაც შეეხება ივანიშვილს, მას სააკაშვილის ჯინი სჭირდა და გააგდო კიდეც ქვეყნიდან, სხვა რამ არ აინტერესებს. ივანიშვილი საქართველოს კეთილდღეობით რომ იყოს დაინტერესებული, იმხელა ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ქვეყანას სწორ რელსებზე დააყენებდა.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

## სენტ-ლუისში პოლიციელმა კიდევ ერთი აფროამერიკელი მოკლა

**ქალაქ სენტ-ლუისში (მისურის შტატი, აშშ) პოლიციელმა 20 წლის აფროამერიკელი მოკლა.** ტელეარხ CNN-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცველმა ახალგაზრდა მამაკაცის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება მოისურვა, მაგრამ ის მოულოდნელად გაიქცა. შემდეგ კი, როცა დაინახა, რომ პოლიციელი მისდევდა, ცეცხლი გაუხსნა. საპასუხოდ, სამართალდამცველმაც ისროლა და მისი რევოლვერიდან გასროლილი ტყვია საბედისწერო აღმოჩნდა.

ახალგაზრდა აფროამერიკელის დაღუპვის შემდეგ ქალაქში არეულობა დაიწყო, როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები ამბობენ, მოკლულს ხელში სენდვიჩი ეჭირა და არა — იარაღი, გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ პოლიციელმა 16-ჯერ გაისროლა.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის აგვისტოში მისურის შტატის ქალაქ ფერგიუსონში პოლიციელმა 18 წლის აფროამერიკელი მაიკლ ბრაუნი მოკლა. ამერიკული მედია იუწყებოდა, რომ იქამდე, ვიდრე სამართალდამცველი ცეცხლს გახსნიდა, უიარაღო ახალგაზრhდა ხელებაწეული იდგა.

ამ ინციდენტმა მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია.



„ტალახაძის ფირმა შეიქმნა 2007 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც სააკაშვილის ღორ-ხბო ბიზნესმენებს არ ახარებდა; ტალახაძე კი რატომღაც გადაურჩა. „ვილასეტი“ ის ფირმაა, რომელმაც პირველმა დაარტყა ბარი და მრავალსართულიანი სახლების უკანონო მშენებლობები დაიწყო“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვაჟა ოთარაშვილი:

# დავით ნარმანია მოქალაქეებს თვალში ნაცარს აყრის



**თბილისის ახალარჩეულმა მერმა დავით ნარმანიამ მოკლე ხანში მოახერხა თავის გარშემო ხმაურის ატეხვა. ჯერ იყო და „სითი პარკის“ ამბავმა აღაშფოთა მოქალაქეები, შემდეგ — ხელფასებზე დანამატების გაცემამ, რომელიც მომავალი წლიდან ისე გატარდება, როგორც მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების ხელფასი, ანუ ხელფასი გაორმაგდება. მას თანამშრომლების უკანონო განთავისუფლებაშიც სდებენ ბრალს. მოქალაქეები თბილისის მერს დანაპირებს ახსენებენ და ამბობენ, რომ 3-4 თვე საკმარისი იყო უკანონო მშენებლობების აღსაკვეთად, მაგრამ თბილისელები კვლავ იმავე პრობლემების წინაშე დგანან, რომლებიც გიგი უგულავას პერიოდში იყო. პოეტი ვაჟა ოთარაშვილი „საქართველო და მსოფლიოსთან“ დიღომში მიმდინარე ახლად დაწყებული მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის უკანონობაზე საუბრობს, მშენებლობაზე, რომლის ნებართვაც ამა წლის სექტემბერში გაიცა:**

— ავადსახსენებელმა სააკაშვილის რეჟიმმა ქალაქის მერიაში თავისი ბუნაგის წევრები დატოვა. ყველასთვის ცნობილია, რომ იმ დროს, არქიტექტურის, იურიდიული და ზედამხედველობის სამსახურები შეხმატკბილებულად მუშაობდნენ, უფრო ზუსტად, უგულავას დაკვეთებს ასრულებდნენ. არქიტექტურის სამსახური მშენებლობის ნებართვას გასცემდა, იურიდიული სამსახური უკანონო მშენებლობისთვის მომჩივან ხალხს აჩუმებდა, ზედამხედველობის სამსახური კი ადასტურებდა, რომ მშენებლობა კანონიერია. ამ სამსახურების გადამკიდე, დედაქალაქი მონსტრს დაემსგავსა, რომელშიც აღარ არის ძველი თბილისის უნიკალური არქიტექტურა, არც ერთი მშენებლობის დროს არ არის გათვალისწინებული არქეოლოგიური, კულტურული მემკვიდრეობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეკოლოგიური პრობლემა. პირადად ვესაუბრე მერაბ ბერძენიშვილს, რომელიც ძალიან გულნატკენია, რომ ჯერ ქუთაისში დაუნგრიეს უნიკალური ნამუშევარი. ამ მთავრობამ კი დღემდე ვერ მოახერხა, სამი კილომეტრი გამოატაროს და დიდგორის გმირი ქართველთა უდიდესი მეფე თავის ადგილას დააბრუნოს. ვესაუბრე ასევე ვახტანგ დავითაიას, იური სვანიძეს, მალხაზ ბედიაშვილს — ეს ადამიანები სპეციალისტები არიან და მათ რეკომენდაციებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ითვალისწინებენ, ჩვენთან კი მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა, მათი აზრი არავის აინტერესებდა.

ეს, რაც წარსულში იყო, მაგრამ რა ხდება დღეს? **ქალაქ თბილისის მერიაში სტრუქტურულად არაფერი შეცვლილა — კოაბიტაცია მერიაში დღესაც გრძელდება.**

**— ბატონო ვაჟა, საკრებულოსა და მერიის ასობით თანამშრომელი უკმაყოფილებას გამოთქვამს დავით ნარმანიას მისამართით, რადგან მან, თავისი შეხედულებისამებრ, ბევრი „საეჭვო“ თანამშრომელი გაათავისუფლა.**

— კი არ უნდა გაეთავისუფლებინა, ყველა საქმე უნდა გამოეძიებინა, რათა დამნაშავეები საკადრისად დასჯილიყვნენ. „ნაცბანდა“, რომელიც გიგი უგულავას დროს ქალაქის მერიაში იყო მოკალათებული, განსაკუთრებით კი იმ სამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, ყველა დასასჯელია, ისინი კრიმინალები არიან. პროკურატურამ დეტალურად უნდა გამოიძიოს ამ ხალხის ნამოქმედარი, ხალხის, რომლებმაც თბილისი ასეთად აქციეს. **შეხედეთ, რას ჰგავს ვაკე, რას დაამგავსეს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, დიღმის მასივი, დააკვირდით, რა ხდება მერიის შენობასთან — სახლები ერთმანეთზეა მიწყობილი.**

ჩემი უსაზღვრო შეშფოთება დიღომში, „ტოიოტას“ ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებულმა მშენებლობამ გამოიწვია, სადაც კერძო დასახლებებია. იქ არის თიხნარი, მოძრავი ქანები, გრუნტის წყლები დედამიწის ზედაპირიდან ერთ მეტრზე, არც ერთი სეისმური დასკვნა არ დევს, რომ იქ შესაძლებელია მრავალსართულიანი სახლის აშენება.

**— ეს მშენებლობა ახალი დაწყებულია?**

— დიახ, „ნაცბანდის“ დროს შექმნილმა სამშენებლო კომპანიამ „ველასეტმა“ დაიწყო, ფირმის დირექტორია ვინმე **მერაბ ტალახაძე,** რომელიც ახლა ხარაგაულის საკრებულოს დეპუტატია.

**— რომელი პარტიიდან?**

— რა მნიშვნელობა აქვს, **მერაბ ტალახაძე ადრე „ნაცებში“ იყო, ახლა, ალბათ, „ოცნებაშია“, ამ ორ პარტიას შორის რაიმე განსხვავებას ხედავთ?** სტრატეგია შეიცვალა?

მერაბ ტალახაძეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, იცით, რამდენი მიწის ნაკვეთი აქვს ხელში ჩაგდებული? 1 მილიონი კვადრატული მეტრი მიწის მესაკუთრეა. თბილისში მის სახელზეა 11 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი. **ტალახაძის ფირმა შეიქმნა 2007 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც სააკაშვილის ღორ-ხბო ბიზნესმენებს არ ახარებდა, ტალახაძე კი მათ რატომღაც გადაურჩა. „ვილასეტი“ ის ფირმაა, რომელმაც პირველმა დაარტყა ბარი და მრავალსართულიანი სახლების უკანონო მშენებლობები დაიწყო.**

ყველაზე მთავარი, რასაც გენერალური პროკურატურა ყურადღებას არ აქცევს და გიგი უგულავას ამ მხრივ ბრალს არ უყენებს, არის ის, რომ უგულავამ გააუქმა ყველა კანონი და საჭიროებისამებრ ანიჭებდა საცხოვრებელ ზონებს კოეფიციენტებს — კ-2-სა და კ-5-ს, რაც ნიშნავს, სად როგორი მშენებლობებია დასაშვები. ზონა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ნიშანი კ-2, იმ ადგილას დასაშვები იყო მხოლოდ 1-2-სართულიანი ბინების მშენებლობა, ანუ ინდივიდუალური. უგულავამ კი ამ ტერიტორიებს სტატუსები შეუცვალა.

დედაქალაქმა სახე დაკარგა, ალბათ, ყველა დამეთანხმება, მაგრამ სხვა საშიშროებაც არის: მიჯრით მიყოლებული შენობები ერთმანეთს საფრთხეს უქმნის, ერთ სადარბაზოში გაზის გაჟონვა რომ მოხდეს, მეორესაც საფრთხე დაემუქრება, ასევე იქნება ხანძრის შემთხვევაშიც. ზუსტად ასეთი საფრთხის წინაშე დადგა დიღომში „ტოიოტას“ ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. კერძო სახლების გვერდით „ვილასეტი“ უშველებელ სახლებს აშენებს. ადგილობრივმა მოსახლეობამ საჩივარი შეიტანა თბილისი მერიაში, პირადად ჩავუდექი ამ საქმეს სათავეში და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს — გიორგი ნიჟარაძეს და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელ გურანდა რომანაძეს შევხვდი, ადამიანებს, რომლებსაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება ევალებათ. ესენი დავით ნარმანიას დანიშნულები არიან, მაგრამ რად გინდა? პასუხი ვერ მივიღე. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების მე-3 მუხლის II პუნქტის თანახმად, „მიწის ნაკვეთის ნორმატიული ზომების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსაზღვრე ნაკვეთების მესაკუთრეების, მფლობელების, მოსარგებლეებისა და ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მფლობელთა უფლებები და ნორმალური საცხოვრებელი პირობები“, თუმცა ეს არავის აინტერესებდა არც მაშინ და არც დღეს.

**თუ დავით ნარმანია ზუსტად იმ საქმის გაგრძელებას აპირებს, რომელსაც უგულავა აკეთებდა, დედაქალაქი აღარ იარსებებს. უცხოელი ექსპერტები გვეუბნებიან, რომ საქართველო არის, სულ ცოტა, რვა ბალიანი მიწისძვრის რისკის ზონაში, ამიტომ ჩვენთან ასეთი მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, თანაც, ასე ახლო-ახლო არ შეიძლება. უკვე დიდი ხანია, თბილისში აღარავინ კითხულობს, რა მასალით შენდება სახლები, რამდენად გამძლეა და რადიაციული სამშენებლო მასალა. თბილისი ნადგურდება და საინტერესოა, ამასაც რუსეთს დააბრალებენ? ესეც კრემლის გადაწყვეტილებაა? ცირკის პირდაპირ, კლდეზე რომ დიდი სახლები ააშენეს, იმ კლდეს ბზარი აქვს.**

როგორც კი მოვიდა სააკაშვილი, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო გააუქმა, ასეულობით ბრწყინვალე კადრი უმუშევარი დარჩა. სპეციალისტები მშენებლობის საქმეში აღარ ჩარიეს. მეტსაც გეტყვით: თუ საქართველოში ირანელი აშენებს რამეს, ის თავისი ქვეყნის სტანდარტით აშენებს, ასევე — თურქებიც. მოკლედ, **ყველა, ვისაც ფული აქვს და საქართველოში მშენებლობის ნებართვა მიიღო, საკუთარი ქვეყნის სტანდარტით ხელმძღვანელობს, ჩვენ სტანდარტები არ გაგვაჩნია.** არავინ კითხულობს, გაუძლებს თუ არა თბილისის საკანალიზაციო, წყალმომარაგების, ელექტრო სისტემები ამხელა დატვირთვას.

მოსახლეობა არ მრავლდება, სახლები კი უამრავი შენდება. ამას თავი დავანებოთ, რამდენი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახია და მათი ბინებით დაკმაყოფილებაზე არავინ ზრუნავს, აზრადაც არ მოსვლია მსგავსი რამ მერიას, კუთვნილსაც არავის აძლევენ. არადა, ევროპის უამრავ ქვეყანაში, იქ, საითკენაც თვალი უჭირავთ, უსახსრო ოჯახებს ბინებით აკმაყოფილებენ, აქ ამას საბჭოთა გადმონაშთად თვლიან.

**მინდა, მეზღაპრე დავით ნარმანიას ვკითხო: იცავს თუ არა კანონებს, რომლებიც ბინების მშენებლობას ეხება? იცის თუ არა მოსახლეობის აზრი იქ, სადაც მრავალსართულიანი სახლები შენდება? მათემატიკის ინსტიტუტის გასხვისების შეჩერება შეეძლოთ, მაგრამ არ გააკეთეს და იმ ადგილას მრავალსართულიან სახლს აშენებენ, იცის ნარმანიამ იქ მცხოვრებთა აზრი?**

**თბილისი 21-ე საუკუნის „ბუღა თურქებმა“ — სააკაშვილმა და უგულავამ გაანადგურეს, 853 წელს სწორედ ასე მოიქცა ბუღა თურქი — ყველა ლამაზი შენობა გადაწვა და დაანგრია. სამწუხაროდ, ასე იქცევიან დღესაც. არავინ კითხულობს, რა ხდება დიღმის ტყეპარკში, მშენებლობები დროებით შეაჩერეს, ბალახი მოერია ტერიტორიას და აღარ ჩანს, თორემ შესაფერის მომენტს ელოდებიან და ისევ დაიწყებენ შენებას. ნარმანიას ეს არ აინტერესებს, ხმას არ იღებს;** ხმას არ იღებს იმაზეც, რომ „ივერიის“ გვერდით 40-სართულიან შენობას აშენებენ, ქვემოთ კი მეტროს ხაზი გადის. დეველოპერული კომპანიების ნდობა არ შეიძლება — ისინი პასუხს შენობის არც სიმყარეზე, არც ხარისხზე, არც სილამაზეზე არ აგებენ. დიღომში უშველებელი მაღაზიები რომ ააშენეს, ყველგან, სადაც ბარი დაარტყეს, უძველესი ნივთები აღმოაჩინეს, ფოტოები გადაუღეს და ამით შემოიფარგლნენ.

**იმას, რასაც დღეს დავით ნარმანია აკეთებს, თვალში ნაცრის შეყრაა. ვითომ მოქალაქეებს ხვდებიან, მაგრამ ვის უნდა ასეთი შეხვედრა თუ პრობლემა პრობლემად დარჩება?! აუცილებელია, რომ ნარმანიამ გადახედოს ნიადაგისა და ზონების კოეფიციენტებს, მან უნდა შეცვალოს უგულავასდროინდელი კანონები, ხოლო პროკურატურამ ყოფილ მერს ბრალი ამ კუთხითაც უნდა წაუყენოს. არქიტექტორული პროექტი საკმარისი არ უნდა იყოს მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის დასაწყებად. დედაქალაქის მცხოვრებთა უფლებების დაცვა მერს ევალება, არჩეულ მერს, ასევე — თანამშრომლებს, რომლებიც დიდი ზარ-ზეიმით ინიშნებიან და ძალიან მოუცლელები არიან. ვეკითხები დავით ნარმანიას: არსებობს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა? თუ ასეთი გეგმა არ არსებობს, მაშინ რით განსხვავდება „ოცნება“ „ნაციონალური ხროვისგან“?!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



„ვეკითხები დავით ნარმანიას: არსებობს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა? თუ ასეთი გეგმა არ არსებობს, მაშინ რით განსხვავდება „ოცნება“ „ნაციონალური ხროვისგან“?!“

## «ქალაქ თბილისის მერიაში სტრუქტურულად არაფერი შეცვლილა. კოაბიტაცია მერიაში დღესაც გრძელდება»

გეო-პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს გაცილებით საშიში გახდა საგანმანათლებლო ექსპანსია, რომელსაც აშშ-ში მცხოვრები თურქი მილიარდერი და რელიგიური მოღვაწე ფედჰულახ გიულენი განახორციელებს.**

# თურქეთი საქართველოზე გავლენას აძლიერებს

**თურქეთი ჩვენი დიდი მეზობელი რომ არის, ცნობილია, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, გავიხსენოთ მისი ამ უპირატესობის მასშტაბები: ტერიტორიით ჩვენზე 11,4-ჯერ მეტია, მოსახლეობის რაოდენობით — 16,5-ჯერ, ეკონომიკური პოტენციალი 44,3-ჯერ მეტი აქვს. ცნობილია ისიც, რომ 2006 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოსთან ვაჭრობის მოცულობა მინიმუმამდე შეამცირა, სწორედ თურქეთი გახდა ჩვენი უდიდესი სავაჭრო პარტნიორი: თურქეთიდან იმპორტის დღევანდელი დონე ბევრად აჭარბებს 2003 წლის საერთო იმპორტის მოცულობას.**



**თურქეთის ჩრდილოეთი რაიონები, რომლებიც საქართველოს ესაზღვრება, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ ღარიბი იყო, მათ შორის, ხოფა და რიზე. ორივე ეს რაიონი წელში გაიმართა და გამდიდრდა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან შეტანილი პროდუქციის წყალობით. უნიკალური დაზგები, დანადგარები, სამრეწველო მოწყობილობა საქართველოდან ჯართად გაჰქონდათ**

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია დიდ მეზობელთან მნიშვნელოვნად მაღალი და ზრდადია, მაგრამ გარკვეულწილად — ცალმხრივი: **2006 წლიდან მოყოლებული თურქეთიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა საქართველოდან თურქეთში ექსპორტის მოცულობაზე 4-ჯერ მეტი იყო.** შედეგად, იმავე 2003 წელთან შედარებით თურქეთის წილი საქართველოდან ექსპორტში თითქმის განახევრდა, ხოლო თურქეთის წილი ჩვენს ქვეყანაში საერთო იმპორტის მოცულობაში გაორმაგდა.

**2000 წლიდან დღემდე თურქეთმა საქართველოში განახორციელა 1,4 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია, რომელიც საქართველოში საერთოდ შემოტანილი ინვესტიციების დაახლოებით 16 პროცენტია. თუმცა ჯერჯერობით სავაჭრო ექსპანსია აჭარბებს კაპიტალის ექსპანსიას, რის გამოც თურქეთიდან საქონლის იმპორტის მოცულობა ინვესტიციების სრულ მოცულობაზე 10-ჯერ უფრო მეტია.**

საქართველო-თურქეთის ეკონომიკურ ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიგრაცია ორივე მიმართულებით. საქართველოდან თურქეთში სამუშაოდ გადასულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ოფიციალური აღრიცხვა არასოდეს ჩატარებულა, მაგრამ ფაქტია, რომ შრომითი მიგრანტების გამომუშავებული ფულით საქართველოში თავს ინახავს ათიათასობით ოჯახი.

თურქეთის სავაჭრო და ეკონომიკური ექსპანსია ჩვენს ქვეყანას სამხრეთის მეზობელზე სულ უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის.

ამ ფონზე ბუნებრივად იბადება შეკითხვა — **არსებობს თუ არა საქართველოში თურქული ლობი, რომელიც ამ სახელმწიფოს ინტერესებს იცავს და განახორციელებს?**

**ანალიტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი ლობი საქართველოში არ არსებობს, მაგრამ საქართველოს მთავრობასა და ბიზნესწრეებში მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც განახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ პროექტებს. სწორედ ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ლობის ნაირსახეობად.**

მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ მდინარე ჭოროხზე თურქეთის მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც სერიოზულად აზიანებს აჭარის ეკოლოგიას. უფლებადამცველებსა და სპეციალისტ-ეკოლოგებს განგაში აქვთ ამის გამო ატეხილი, მაგრამ ხელისუფლებას ეს პრობლემა აბსოლუტურად არ აწუხებს. ხელშეკრულება დადებულია და — ბასტა! შემცვლელი არავინაა, რადგან, როგორც ჩანს, ვიღაცამ, ვინც თავის დროზე ეს ხელშეკრულება დადო და პროექტის აშკარად ნეგატიურ მხარეზე თვალი დახუჭა, კარგად მოითბო ხელი. ხელმა კი ხელი დაბანა და ორივემ, მოგეხსენებათ, პირი. მაგრამ, ვინაა ის პირი, ახლა ძნელი გასარკვევია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ასეთი ლობისტი მაინც და მაინც პოლიტიკოსი იყოს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა თურქი მეწარმენი პირველად გამოჩნდნენ საქართველოში, ჩვენი მთავრობის ზოგიერთმა წევრმა მწვანე შუქი აუნთო მას, რაც დღეს საქართველოში ხდება.

**თურქეთის ჩრდილოეთი რაიონები, რომლებიც საქართველოს ესაზღვრება, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ ღარიბი იყო, მათ შორის, ხოფა და რიზე. ორივე ეს რაიონი წელში გაიმართა და გამდიდრდა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან შეტანილი პროდუქციის წყალობით. უნიკალური დაზგები, დანადგარები, სამრეწველო მოწყობილობა საქართველოდან ჯართად გაჰქონდათ.** მაშინ თურქებმა ძალიან დიდი ფული იშოვეს, შემდეგ კი დაიწყო საქართველოში მათი შემოსვლის პროცესი.

თურქეთის მთავრობისთვის აჭარა თურქეთის ნაწილია. ყარსის ცნობილ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია, რომ აჭარა თურქეთის დროებით დაკარგული ტერიტორიაა, რომ აჭარისადმი თურქეთს განსაკუთრებული მიდგომა აქვს და იგი (თურქეთი) გარკვეულწილად აჭარაში მცხოვრები მუსლიმების მფარველია.

იგივე დამოკიდებულება აქვს თურქეთს სამცხე-ჯავახეთისადმი, მაგრამ ამაზე ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი და ამიტომ ამ რეგიონისადმი თურქეთის დამოკიდებულება უფრო დელიკატურია.

**აჭარელი კაცი თურქეთში აღიქმება, როგორც „ადამიანი, რომელიც დროებით მოწყვეტილია მშობლიურ მიწას“, მაგრამ ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნდეს თურქეთში (რუსეთმა თურქეთს აჭარა 1877 წელს გამოჰგლიჯა).**

მას შემდეგ, რაც ქემალ ათათურქის პანთურქიზმის პოლიტიკა პრემიერ-მინისტრ ახმედ დავუთოღლუს პანისლამიზმის პოლიტიკით შეიცვალა, თურქეთის თემა აჭარაში გაცილებით უფრო ინტენსიური გახდა.

თურქეთის ეკონომიკური ექსპანსიის თემა უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ **დღეს გაცილებით საშიში გახდა საგანმანათლებლო ექსპანსია, რომელსაც აშშ-ში მცხოვრები თურქი მილიარდერი და რელიგიური მოღვაწე ფედჰულახ გიულენი განახორციელებს.** მის მიერ შექმნილი სისტემა საქართველოშიც ფეხმოკიდებულია. ჩვენთან მის პროექტს „ჩანგალა“ ეწოდება, რომელშიც გაერთიანებულია შავი ზღვის უნივერსიტეტი, დემირელის სახელობის სკოლა და სხვა სასწავლო დაწესებულებები.

ქრისტიანულ რაიონებში ისინი ჩვეულებრივ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან, მაგრამ მუსლიმებით დასახლებულ სოფლებში ამ სკოლებს აშკარად თურქული პროპაგანდის დაღი ადევს. ქალაქ რუსთავში ასეთი სკოლის სასწავლო პროგრამა ერთია, მარნეულის რაიონის სოფლებში — სხვა. თურქები ცდილობენ მაქსიმალურად ყველა აჭარელის, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვების თავიანთ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვას, როგორც ადგილებზე, ასევე, თურქეთში სასწავლებლად წაყვანის გზით. ქრისტიან ბავშვებს არაფერ თურქულს თავს არ ახვევენ, პირიქით, არწმუნებენ, რომ ეს ქვეყანა კეთილია, კარგია. თუ ამ ბავშვთაგან ვინმე მომავალში წარმატებას მიაღწევს, ისინი ამ პროექტისა და თურქეთის პოპულარიზატორები გახდებიან.

მაგალითად, **ცნობილმა ქართველმა კალათბურთელმა ზაზა ფაჩულიამ დაამთავრა დემირელის სახელობის კოლეჯი. თურქებმა მიიწვიეს იგი სტამბოლის უძლიერეს გუნდში, საიდანაც ამერიკაში — ენბიაიში გადავიდა.**

ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში დროდადრო, უკანასკნელ პერიოდში კი სისტემატურად წარმოიქმნება წინააღმდეგობანი რელიგიურ ნიადაგზე. ტენდენციად ეს კონფლიქტები ჯერ არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ რელიგიური დაპირისპირება გამწვავდეს და დიდ პრობლემად იქცეს. **ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგიური კონფლიქტების გაღვივება თურქეთის ინტერესებში არ შედის. ამ შემთხვევაში მას მშვიდობა და სტაბილურობა აძლევს ხელს.**

ახლახან, როცა თურქეთის მთავრობის წარმომადგენელი ქობულეთში ჩავიდა და ადგილობრივმა მუსლიმებმა შესჩივლეს, რომ მედრესეს კარზე ქრისტიანებმა ღორის თავი ჩამოუკიდეს, თურქმა მოხელემ უპასუხა: მერე რა, ევროპაშიც იგივე ხდება.

საქართველოში მცდარი წარმოდგენა აქვთ თურქეთზე, როგორც მაჰმადიანურ ქვეყანაზე, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან ალიანსში ერთი მთლიანობაა. ეს ასე არ არის. მაჰმადიანური, მათ შორის, არაბული ქვეყნები რელიგიას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებენ. გასაკვირია, მაგრამ ზემოთ ნახსენები გიულენი, რომელიც ასეთი პოლიტიკის გამტარებელია, დღეს უკიდურესად დაპირისპირებული აღმოჩნდა თავის ყოფილ მოკავშირესთან და პარტნიორთან — თურქეთის ამჟამინდელ პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან.

მაგრამ ეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას ეხება, **თურქეთის საზღვრებს მიღმა კი ერდოღანის გუნდი არათუ არ ეწინააღმდეგება გიულენს, არამედ ხელს უწყობს პანთურქიზმის მისეული პოლიტიკის განხორციელებას.**

ამას გარდა, თურქეთში არსებული რადიკალური ისლამური დაჯგუფებებისთვის დამახასიათებელია სხვა მიდგომები: მიიჩნევენ, რომ ყველა აჭარელი მაჰმადიანი „მიბმული“ უნდა იყოს თურქეთთან და ყველაფერს აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად.

**ქვემო ქართლში ერთმანეთს უპირისპირდება ოთხი მუსლიმური ძალა: არაბეთი, ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი. ყველანი რელიგიის ძალით იბრძვიან.**

**სანამ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, საქართველოს ამ მხრიდან საშიშროება არ ემუქრება, მაგრამ, თუ ერთ-ერთი მათგანი გაიმარჯვებს, მაშინ ამ რეგიონში საქართველოს მწვავე პრობლემები შეექმნება. ცნობილია, რომ მრავალი არაბული ორგანიზაცია დიდ ფულს ხარჯავს, რათა სწორედ ამ გზით მართოს მიმდინარე პროცესები.**

სარწმუნოების თვალსაზრისით, თურქი მაჰმადიანები ირანელი მაჰმადიანებისგან განსხვავებულები არიან. პირველნი **შიიტები** არიან, მეორენი — **სუნიტები**. რელიგიური დაპირისპირება მათ შორის შეიძლება გამწვავდეს იმ შემთხვევაში, როცა მავანი მოინდომებს ამ განსხვავებულობის გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ნიშანდობლივი ფაქტია: თურქეთის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ფორმატი, რომელშიც თურქეთის სკოლაში ქართული ენის სწავლება იქნება შემოღებული. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ თურქეთის ხუთ უნივერსიტეტში სწავლობენ ქართულ ენას.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თურქებმა ქურთებს უფლება მისცეს, გაეხსნათ თავიანთ ენაზე ტელევიზია და რადიო. ახლა ქართველებსაც მოგვხედეს. ეს, ერთი მხრივ, გვიკმაყოფილებს თავმოყვარეობას, მეორე მხრივ კი, ეჭვს ბადებს, რომ **ამ პროგრამის ამოქმედება პირდაპირ უკავშირდება საქართველოში შესაგზავნი აგენტურის საფუძვლიან მომზადებას. არსებული ინფორმაციით, ყარსის უნივერსიტეტში უკვე ჩამოყალიბებულია ასეთი ჯგუფი 12 მსმენელის შემადგენლობით, რიზეში 7-8-კაციანი ჯგუფია, ხოფაში — 40 და ა.შ.**

საქართველოსაც შეუძლია, თურქეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გამოყენებით განახორციელოს საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკა ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ. სახელმწიფოს ნებისა და სურვილის შემთხვევაში, სიტუაცია არც ისე უიმედო ჩანს.

Politrus.com



ამქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლინების ღვთიური სასწაული აღქმულია, როგორც ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგალითად, მოშარდვა. შვილის დაბადება წარმოდგენილი აქვთ, როგორც კერძო ფაბრიკაში პროდუქციის მასობრივი დამზადება(!).

გეო-პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როცა ევროსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ლესბოსელი მუშაობს

**„აღვირახსნილობა, რომელიც ახასიათებს კაცობრიობას დღეს, თრგუნავს გონებას, ჩლუნგდება ადამიანის გონება, ილღება. დაიღალა ადამიანი ამ უწესობისგან, ცოდვისგან, მაგრამ ამისთვის ღმერთმა მოგვცა სინანული და აღსარება“.**

**ილია II**

**„საქართველო და მსოფლიოს“ 35-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „სექსუმცირესობა ხელისუფლებაში უმრავლესობით არის წარმოდგენილი“ ასეთი პასაჟით მთავრდებოდა: „თუ წვერულვაშიანი კონჩიტა შეიძლება „ევროვიზიის“ საუკეთესო მომღერლად აღიარონ, აღარაფერია გასაოცარი და გასაკვირი! დასაფიქრებელი კი ნამდვილად არის“.**

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომრის გვერდებზე საღებავმა შეშრობა ვერ მოასწრო, რომ იმავე დღეს, ანუ გასული კვირის ოთხშაბათს, „ევრონიუსმა“ საინფორმაციო პროგრამაში გადასცა სიუჟეტი, რომლის თანახმად „კონჩიტამ“ ევროპარლამენტის წინ, ქუჩაში გამართა კონცერტი სექსუმცირესობათა მხარდასაჭერად, ხოლო ევროპარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონმა, რომელიც ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ჩაწერეს ტელეკოლეგებმა, თქვა, რომ კონცერტი მისი ორგანიზებულია და მთელი ევროპის გასაგონად განაცხადა: „მე ლესბოსელი ვარ“. ესეც დასტური იმისა, რომ ხელისუფლებაში, კერძოდ, გაეროს შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის — ევროპარლამენტის ხელმძღვანელობაში ლგბტ-ელთა დამკვიდრება უტყუარი ფაქტია და არა ფიგურალური გამოთქმა.

**ხმა არ ამოუღიათ ამ აღსარების გამო ქართულ ტელესივრცეში. სამაგიეროდ, ხომ ვნახეთ, როგორი ოპერატიულობითა და აღტკინებით დააცხრნენ ეკა ბესელიას იმავე პარლამენტის სხდომაზე ინგლისური ტექსტის უნიათოდ წაკითხვის გამო. მათი საყვარელი რესპონდენტები ხომ აგვირისტებენ მშობლიურ ქართულს, ისე ლაღად და გამართულად საუბრობენ, რომ სომხურს მოგანატრებენ:**

**— ჰაერენ ხოსუმეს?**

**— აიო!..**

ინფექციისგან ასენიზატორების თავდაცვის საშუალებებით აღვიჭურვოთ და კვლავ შევდგათ ფეხი სულიერი და ფიზიკური გადახრების ყროლეთში.

თფუ!

**შევეცადოთ, გავერკვეთ — რა უწყობს ხელს პიროვნების ამგვარი „თავისუფლების“ გავრცელებას ბებერ კონტინენტზე?**

**კანონი! — გვიპასუხებენ ექსპერტები. ის კანონმდებლობა, რომელიც განათლებული ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში მოქმედებს.**

ყველაში — არა, მაგრამ ტენდენცია აშკარადაა გამოკვეთილი. ეს ერთი.

მეორე ფსიქიკური გადახრაა, რომელიც ღირებულებათა შეფასების ცვლილებას უდევს საფუძვლად. სკანდინავიის ქვეყნებში ბევრი მამაკაცი, გვარწმუნებენ საქმეში ჩახედული სოციოლოგები და ფსიქიატრები, საკუთარი ნებით თავს იყვერულებენ, კასტრირებული ხდება?

რატომ?

იმიტომ, რომ **საზოგადოებრივ აზროვნებაში სექსისადმი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც სპორტის რომელიმე პოპულარული სახეობისადმი.**

კანონით დაშვებულია, ინტერესი არის.

ხოლო **ამქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლინების ღვთიური სასწაული აღქმულია, როგორც ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგალითად, მოშარდვა. შვილის დაბადება წარმოდგენილი აქვთ, როგორც კერძო ფაბრიკაში პროდუქციის მასობრივი დამზადება(!).**

მეოცე საუკუნის დასაწყისში ექიმი-ფსიქიატრი **მაქს ნორდაუ** თავის წიგნში „გადაგვარება“ დასავლეთის ცივილიზაციის დეგრადაციაზე ამახვილებდა ყურადღებას. წერდა, რომ **სექსუალური ფსიქოპათია, სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი, იმდენად გაძლიერდება და გავრცელდება, რომ საჭირო გახდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებათა და კანონმდებლობის მისი (სექსუალური ფსიქოპათიის) გაძლიერების შესაბამისად შეცვლა. სექსუალურად გარყვნილი ადამიანების რაოდენობა ისე გაიზრდება, რომ დეპუტატთა პალატაში ცალკე პარტიის შექმნა შეეძლებათ და საკანონმდებლო ორგანო დააკანონებს კიდეც ერთსქესიანთა ქორწინებას.**

მეოცე საუკუნის დასაწყისის რეალობა ამ წინასწარმეტყველების ასრულებად წარმოგვიდგება.

ანალიტიკოსები განგვიმარტავენ, რომ სექსუალიზმის პროპაგანდა მიმართულია ადამიანური ბუნების, საუკუნეობით დამკვიდრებული ეთიკის ნორმების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს თავისუფლად მართვადი საზოგადოების შექმნას, რომელიც (საზოგადოება) წარმოდგენილი იქნება იმდენად დაბნეული არსებებით, რომლებიც დარწმუნებულნი არ იქნებიან თავიანთ სექსუალურ იდენტობაში — კაცია, ქალია თუ რაღაც საშუალო სქესის „ჰენდი“.

სწორედ ასეთი იდენტურობის — ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური იდენტურობის მოსაშლელად მიმართა სრულად საკუთარი ძალისხმევა და შესაძლებლობა ე. წ. ლიბერალურმა სამყარომ და მოსპო იგი სისხლიანი რევოლუციების, ომების, ტოტალური პროპაგანდის მეშვეობით.



ახლა უტევს გენდერულ იდენტურობას.

**ფინელი სამართალმცოდნეები ამტკიცებენ, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მიმართულება მათ ქვეყანაში ფემინიზმის გავრცელებით ხდება.**

**სიტყვების — „ქმარი“ და „ცოლი“ ხმარებაც კი დანაშაულთან არის გაიგივებული და მოითხოვენ ამ სიტყვების კანონმდებლობით აკრძალვას.**

შეიძლება, არც დაიჯეროთ, მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყნების მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად მიიჩნია, პარლამენტს მისცეს ისეთი კანონების მიღების რეკომენდაცია, რომლებიც მიმართული იქნება ანტიფემინიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს პოლიტიკური საქმიანობის კრიმინალიზებას. ნებისმიერი გამოსვლა ფემინიზმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულთან იქნება გათანაბრებული.

საზოგადოება, სამწუხაროდ, მხარს უბამს.

ფინეთი გამონაკლისი რომ არ არის, ჩვენს წინა პუბლიკაციაშიც გამოჩნდა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №35).

მაგრამ, იქნებ საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ ცხოვრების ტრადიციული წესის დაცვასა და პროპაგანდას? იმ სიწმინდის შენარჩუნებისთვის იბრძვიან, რომელიც კაცობრიობას დღემდე მოუტანია?

ნეტარ არიან მორწმუნენი!

**1993 წელს** ლგბტ თანამეგობრობამ გავლენიანი ლობის დახმარებით მიაღწია იმას, რომ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების საერთაშორისო ორგანიზაცია შეყვანილ იქნა გაეროში აკრედიტებული ორგანიზაციების სიაში.

**იმავე წელს** გაეროს უმაღლესი კომისრის ლტოლვილთა საქმეების სამმართველომ თავის საკონსულტაციო დასკვნებში მამათმავლები განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფად მოიხსენია.

**1995 წელს** კი გაერომ სოციალურ უმცირესობათა უფლებების დარღვევა შეიტანა ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევების ჩამონათვალში.

ასეთი გადახრების მქონე ადამიანების უფლებათა თავგამოდებულად დამცველ ორგანიზაციად მოგვევლინა ევროკავშირი, რომელმაც ამ მიმართულებით მოღვაწეობა განსაკუთრებით **1994 წლიდან** გააააქტიურა, როცა 8 თებერვალს მიღებული რეზოლუციით წევრ ქვეყნებს კატეგორიულად მოსთხოვა, ბოლო მოეღოთ ჰომოსექსუალებისთვის ოჯახის შექმნის აკრძალვისთვის და გაეუქმებინათ შეზღუდვები მამათმავლების მიერ შვილად აყვანის კანონმდებლობაში.

**2001 წლის 5 ივნისს** ევროპარლამენტმა წევრ ქვეყნებს ურჩია ჰომოსექსუალებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭების დაკანონება და ევროკავშირის დღის წესრიგში საკითხის დაყენება მამათმავლებს შორის ურთიერთობის კანონიერების აღიარების შესახებ.

**2006 წელს** ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „ჰომოფობია ევროპაში“, რომლითაც სექსუალურ გადახრათა მიუღებლობა განსაზღვრულია, როგორც ირაციონალური ქმედება; მამათმავლებისადმი, ლესბოსელებისადმი, ტრანსვესტიტებისადმი, ბისექსუალებისადმი ასეთი დამოკიდებულება გათანაბრებულია რასიზმთან, ქსენოფობიასთან და ანტისემიტიზმთან. თანაც იმ ფორმებს შორის, რომლებშიც თავს იჩენს ჰომოფობია, ნახსენებია არა მხოლოდ დევნა და მკვლელობა, არამედ სიძულვილით გამორჩეული სიტყვები, დამცინავი დამოკიდებულება, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ **ზოგიერთმა ექსპერტმა მოითხოვა ჰომოფობიის, როგორც პიროვნების ფსიქიკური დაავადების, კლასიფიცირება, ე. ი., თუ ვინმე გაბედავს და მამათმავლებს აწყენინებს რაიმე ფორმით, იგი შეიძლება სულიერად დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გაამწესონ, უფრო გასაგებად — საგიჟეში.**

**2006 წლის** რეზოლუციით ქვეყნებს მისცეს წინადადება, განახორციელონ ღონისძიებანი ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების მიზნით; მოუწოდეს, შეცვალონ თავიანთი კანონმდებლობა, რათა იგი უფრო მეგობრული გახდეს მამათმავლების მიმართ, და შეიმუშაონ ღონისძიებები იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ამ მოვლენის წინააღმდეგ გამოხდომებს არ აღკვეთენ.

**2008 წელს** გაეროს ისტორიაში პირველად საფრანგეთის, ნიდერლანდისა და რიგი სხვა სახელმწიფოების ინიციატივით, გენერალური ასამბლეის 63-ე სესიამ მიიღო დეკლარაცია ადამიანის უფლებათა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა 68 სახელმწიფომ.

თანამედროვე მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა პოლიტიკა გახდა, აშკარა და დაუფარავი ომი რწმენის წინააღმდეგ, კულტურის, ეთიკის წინააღმდეგ, იმ მაღალი იდეალების წინააღმდეგ, რომლებიც კაცობრიობის ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშანია.

**2011 წლის 15 ივნისს** გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია №17/13, რომელიც ადგენდა ადამიანთა თანასწორობას მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის განსხვავებულობის მიუხედავად. სამხრეთ აფრიკის მიერ წარმოდგენილ ტექსტს ხელი მოაწერა 86 სახელმწიფომ, რომლითაც დაადასტურეს ადამიანის უფლებათა უნივერსალური ხასიათი და მოითხოვეს 2011 წლის ბოლომდე მოხსენების მომზადება სექსუალურ უმცირესობათა მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული პრაქტიკის შესახებ.

ჩვენი მკითხველისთვის ძნელი არ იქნება, დაასკვნას, რომ **გაეროს, ევროკავშირის, ევროპარლამენტის რეზოლუციები და დეკლარაციები ერთი ხელით ნაწერს ჰგავს, აშკარად ცალმხრივია და სექსუალურ უმცირესობათა ცხოვრების წესის საყოველთაო დანერგვისკენ არის მიმართული. ამასთან, აბსოლუტურად უგულებელყოფილია ქვეყნების საუკუნეობრივი ტრადიციები, რწმენა და ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებანი.**

რეაქციაც შესაბამისია.

თუ ქვეყნების ერთ ნაწილში საზოგადოება იმდენად არის ზომბირებული, რომ სრულად დაკარგული აქვს იმუნიტეტი, სხვა ქვეყნების მოსახლეობა აქტიურ წინააღმდეგობას უწევს. თუ ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები გამამათმავლების პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად გვევლინებიან, საფრანგეთი მასშტაბური წინააღმდეგობის გაწევის მაგალითს იძლევა.

**საპროტესტო აქციების ასიათასობით მონაწილე მზად არის იბრძოლოს ბოლომდე საკუთარი ოჯახის, შვილების გარყვნილებისგან დასაცავად, მამათმავლობის მასირებული პროპაგანდის წინააღმდეგ.**

**სრულფასოვანი პიროვნება ტრადიციული ოჯახის მიღმა ვერ ჩამოყალიბდება.**

* * *

თავისთავად იბადება შეკითხვა: რა წვლილი შეიტანეს ევროპარლამენტში საქართველოს წარმომადგენელმა დეპუტატებმა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი რეზოლუციების მიღებაში? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: მხარი დაუჭირეს სააკაშვილის პარლამენტის როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის ევროდეპუტატებმა, ახლა გაყუჩებულები რომ სხედან.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. გასულ პარასკევს თომას ნოიგერტმა, იმავე კონჩიტა ვურსტმა, ქუჩიდან პარლამენტის შენობაში გადაინაცვლა, სადაც გამართა პრესკონფერენცია გეებისა და ლესბოსელების დასაცავად. თავისი არატრადიციულობა მან დამსწრეთ კონცეფციად წარუდგინა, რომელიც თავად დაამუშავა. ეს არის ტორტის ნაჭერი, რომელმაც ცხოვრება გამილამაზაო.**

**პრესკონფერენციაზე მას გვერდს უმშვენებდა ევროპარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, კონცერტის ორგანიზატორი, ლესბოსელი უილრიკა ლუნოჩეკი, რომელიც ამ წერილის დასაწყისში გაგაცანით.**

**ნიშანდობლივია, რომ „ევრონიუსმა“ ამ წვერებიანი ქალიშვილის პრესკონფერენციის გაშუქებას იმდენივე დრო დაუთმო, რამდენიც 2014 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ორი ლაურეატის — 17 წლის მალალა ისუფსაის (პაკისტანი) და კაილაშ სატიარტის (ინდოეთი) ევროპელი ტელემაყურებლებისთვის წარდგენას.**

**ცნობისთვის: გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნობელის პრემიების მიმნიჭებელმა კომიტეტმა მიმართა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რომელსაც 2009 წელს მიენიჭა მშვიდობის პრემია, და ურჩია სკანდალის გარეშე, უხმაუროდ დააბრუნოს აღნიშნული პრემია. მიმართვის საფუძვლად დასახელებულია მის მიერ განხორციელებული აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ნეგატიური შედეგები.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქალაქი პარალიზირებული იყო, მოძრაობდა მხოლოდ სპეცსაზიდარი და გიგანტური ამწე და კვლავ ჰაერში დაკიდებული, ყველასათვის ესოდენ საინტერესო და სანატრელი სტალინის ვაგონი. მემანქანე ნელ-ნელა უშვებდა უზარმაზარ დაჯავშნილ ყუთს თავის ჩვეულ და ძველ ადგილზე, ხალხი კი მოუთმენლად ელოდა უძვირფასესი ნივთის ხილვას. და აი, ვაგონი ზუსტად დაჯდა თავის ადგილზე და კვლავ იქუხა ტაშმა და შეძახილებმა: „სტალინი ჩვენთანაა!“**

# როგორ დაუბრუნდა საქართველოს სტალინის ნივთები

**1970-იანი წლების ბოლოს, კრემლის ყრილობათა სასახლეში, ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე შესვენებისას, კერძო საუბარში საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ტრანსპორტის იმჟამინდელმა მინისტრმა, ლეგენდარულმა ბორის ბეშევმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ედუარდ შევარდნაძეს გაანდო, რომ გადამალული აქვს სტალინის პირადი ჯავშნიანი სალონ-ვაგონი, რომელიც საბჭოეთის ხელმძღვანელს მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა და არ იქნებოდა ცუდი, თუ იგი ამ ვაგონს საქართველოში ჩაიყვანდა. ედუარდ შევარდნაძემ, როგორც სჩვეოდა, ეს ინფორმაცია ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე მიიღო, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე სასწრაფოდ გამოიძახა საქართველოს რკინიგზის უფროსი და ვაგონის საქართველოში ჩამოტანა დაავალა. იქნებ ბევრმა სხვამაც, მაგრამ მე კარგად ვიცი, რაოდენ პატივს სცემდა შევარდნაძე სტალინს და როგორ მავალებდა, გამეკეთებინა ყველაფერი სტალინის სახელის პატივსაცემად.**
**„საქართველოს რკინიგზამ“ სტალინის ვაგონის ჩამოყვანის საკითხის მოგვარება ამ უწყების უფროსის მოადგილეს — ვლადიმერ ჯაფარაშვილს დაავალა.**

საქართველოში სტალინის პიროვნება ყველაზე მეტად დაფასებული და ამაღლებული ხაშურის რაიონშია და, ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ სტალინის ამ უძვირფასესი მემორიალური ნივთის საქართველოში ჩამოტანა სწორედ ხაშურელ კაცს — ვლადიმერ ჯაფარაშვილს დაევალა. ის აქტიურად ჩაება საკითხის მოგვარებაში და დაადგინა ვაგონის ზუსტი ადგილმდებარეობა. სტალინის ვაგონი აღმოჩნდა როსტოვის რკინიგზის ერთ-ერთ ჩიხში. ვაგონზე ზედამხედველობა ჰქონდა დაწესებული როსტოვის რკინიგზის უფროსის მოადგილეს, წარმოშობით სომეხ რობერტ ალექსანიანს.

ვლადიმერ ჯაფარაშვილმა თავისთან მიიწვია რკინიგზის სავაგონო უბნის უფროსი, ღრმად განათლებული, პრინციპული და ჭარმაგი რკინიგზელი **ნოდარ კოპალეიშვილი** და ახალგაზრდა, ბეჯითი და საქმის ზედმიწევნით პუნქტუალურად შემსრულებელი **ავთანდილ ოქრომჭედლიშვილი.**

დავალება მეტად მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა, განსაკუთრებით — ავთანდილ ოქრომჭედლიშვილისთვის. მისი დედა გორიდან იყო წარმოშობით და ამიტომ ახლო ურთიერთობა ჰქონდა დედულეთთან. ავთანდილ ოქრომჭედლიშვილის მამა იყო აქტიური კომკავშირელი, რომელიც 1950-იან წლებში მაღალ პროფკავშირულ თანამდებოhბებზე მუშაობდა, მაგრამ 1956 წლის ცნობილი მოვლენების გამო, პროტესტის ნიშნად დატოვა როგორც თანამდებობა, ასევე დედაქალაქიც და სამუშაოდ მშობლიურ საგარეჯოში წავიდა.

ავთანდილი სწორედ მამის იდეებითა და მიზნებით ცხოვრობდა და იკვლევდა მომავლის გზას, ამიტომ ახალმიღებული დავალების შესრულება მისთვის ოცნების ასრულება უფრო იყო.

როსტოვში ჩასულ ნოდარ კოპალეიშვილსა და ავთანდილ ოქრომჭედლიშვილს არცთუ სასიხარულო ვითარება დახვდათ: რკინიგზის სამმართველოს აქტივი და პირადად რობერტ ალექსანიანი ვაგონის გადაცემის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ (სწორედ აქ გამახსენდა ანეკდოტი, სომეხმა, რომ ქართველს ქუდი მოჰპარა — ქართველს სინდის-ნამუსიც დაეკარგებაო), რა თქმა უნდა, სტალინის სახელს ვაგონის დაკარგვა ბევრს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ მისი დღეს გორში დგომა ბევრ რამეს მატებს მნახველის გულსა და სულს.

**როსტოველები ვაგონის გადაცემის სასტიკი წინააღმდეგნი კი იყვნენ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ვაგონიდან გაეტანათ მცირე ზომის სამუზეუმო ნივთები. ქართველებიც ფრთხილობდნენ და ვაგონთან სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს, თბილისში კი გადმოსცეს მეტად სამწუხარო ამბავი, — ვაგონს არ გვაძლევენო.**

თბილისიდან კვლავ დარეკეს მაღალი სიხშირის ტელეფონზე და ითხოვეს დახმარება. ბეშევის განკარგულებით, მოსკოვიდან როსტოვში რკინიგზის უწყების მაღალჩინოსანი ჩავიდა. მეორე დღეს იმ ვაგონის სალონში, სადაც ზოგჯერ სტალინს პოლიტბიუროს სხდომაც კი ჩაუტარებია, მიღებ-ჩაბარების ოქმი დაიწერა. აღურიცხავი და გადამალული ქონება კანონიერ მფლობელთან გადავიდა, ვიღაც კეთილისმსურველმა უხილავი ხელით კეთილი საქმე გააკეთა და სამართლიანობა აღდგა.

ნოდარ კოპალეიშვილი და ავთანდილ ოქრომჭედლიშვილი ვაგონის ტექნიკურ დათვალიერებას შეუდგნენ. საჭირო იყო ყველა დეტალისა და მექანიზმის შემოწმება, ვაგონს შორეული მგზავრობისთვის რომ გაეძლო. მოსკოვის ფარული დავალებით, ვაგონის გასამგზავრებლად მოსამზადებლ სამუშაოებში აქტიურად ჩაებნენ მასპინძლებიც. გაიწმინდა ელექტრო და სამუხრუჭე სისტემები, ყველა დეტალი შემოწმდა და ვაგონი სრულ წესრიგში იქნა მოყვანილი.

**ქართველი რკინიგზელების აზრით, ვაგონი ჩქაროსნულ მატარებელს არ უნდა ჩაბმოდა, რადგან შეიძლებოდა, ძარას დეფორმაცია მიეღო. ამიტომ ზემდგომს მოახსენეს, რომ საჭირო იყო ვაგონის ჩართვა საფოსტო მატარებლის შემადგენლობაში. წინადადება მიღებული იქნა და გაიცა შესაბამისი განკარგულებაც. ქართველ რკინიგზელებს გაუჩნდათ სხვა საზრუნავიც — დაელუქათ ვაგონი და ისე გამოეშვათ საქართველოში თუ მას თვითონ გამოჰყოლოდნენ.** ნოდარ კოპალეიშვილმა გადაწყვიტა, თვითონ გამოყოლოდა ვაგონს, რათა გზადაგზა პერიოდულად შეემოწმებინა მისი სავალი ნაწილების მდგომარეობა. ამის საშუალებას კი იძლეოდა საფოსტო მატარებელი, რომელიც ხშირად ჩერდებოდა სადგურებზე. ავთანდილ ოქრომჭედლიშვილი კი უნდა გამოფრენილიყო თვითმფრინავით, რათა გორში უზრუნველეყო ვაგონის მიღება.



თბილისში ჩამოსულმა ავთანდილ ოქრომჭედლიშვილმა მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს, რომელსაც შეეძლო, დახმარება აღმოეჩინა ლიანდაგიდან ვაგონის გადმოტვირთვასა და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებაში.

**ჯავშნიანი სპეცვაგონი რუსეთის იმპერატორმა 1915 წელს დაუკვეთა კანადაში. ამ ვაგონის საერთო წონა — 90 ტონას, ხოლო სიგრძე 25 მეტრს შეადგენდა. ასეთი მასის მქონე საგნის ქალაქში გადაადგილება იმ პერიოდში ერთობ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. აღმდგენი მატარებელი, რომელიც რკინიგზას ჰქონდა, უძლური იყო ქალაქის პირობებში აღნიშნული სამუშაოს შესარულებლად. გადაწყდა, ვაგონისთვის მოეხსნათ ძარა და ორ ნაწილად** გაყოფილი ვაგონი ცალ-ცალკე გადაეტანათ დანიშნულების ადგილზე.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ბრძანებით, გორში ჩაიტანეს ამიერკავკასიაში არსებული ორი ერთეული ზემძლავრი ამწიდან ერთ-ერთი, რომლის დახმარებითაც სამხედრო სპეცსაზიდარზე მოათავსეს 25-მეტრიანი ვაგონის სავალი ნაწილი და წამოიღეს გორში სტალინის სახლ-მუზეუმისკენ. სირთულე იქვე 100 მეტრის გავლის შემდეგ შეექმნა მექანიზმებს, რადგან მოსახვევი არ იძლეოდა მობრუნების საშუალებას. **გორის მოსახლეობა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გამოსული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქალაქში თვითონ სტალინი შემოდიოდა. მოსახლეობა არაფრად აგდებდა კაპიტალური ღობეებისა და დამხმარე ნაგებობების ნგრევას, ოღონდ ტვირთი ადგილამდე მისულიყო. თოვლ-ჭყაპი ხელს ვერ უშლიდა მოსახლეობას, გზა გაეხსნა არასტანდარტული ტვირთისთვის.**

სტალინის სახლ-მუზეუმის გვერდით, წინასწარ დაგებულ რკინის ლიანდაგების პარალელურად, სამხედრო სპეცსაზიდარი ჩააყენეს, გვერდით კი — უზარმაზარი სპეცამწე. არნახული სიმძიმისა და სიდიდის ტვირთი ნელ-ნელა იწეოდა მაღლა და რელსების მიმართულებით მოძრაობდა. ნოდარი და ავთანდილი სწრაფად მოძრაობდნენ და სწორ მიმართულებას აძლევდნენ ტვირთს, რათა რკინის ბორბლები ზუსტად ჩამჯდარიყო ლიანდაგებში. არაჩვეულებრივი სიზუსტით მუშაობდა ამწის მემანქანეც, რომელმაც შეუცდომლად დაუშვა ტვირთი ლიანდაგებზე. იქუხა ტაშმა, გაისმა შეძახილები. მთავარი საქმე გაკეთებული იყო. მეორე გზა უფრო იოლი, მაგრამ ვაგონის გაბარიტების გამო მეტად სახიფათო იყო. რამდენიმე ადგილზე ელექტრიკოსებმა ელექტროსადენები ჩამოხსნეს. **ქალაქი პარალიზირებული იყო, მოძრაობდა მხოლოდ სპეცსაზიდარი და გიგანტური ამწე და კვლავ ჰაერში დაკიდებული, ყველასათვის ესოდენ საინტერესო და სანატრელი სტალინის ვაგონი. მემანქანე ნელ-ნელა უშვებდა უზარმაზარ დაჯავშნილ ყუთს თავის ჩვეულ და ძველ ადგილზე, ხალხი კი მოუთმენლად ელოდა უძვირფასესი ნივთის ხილვას. და აი, ვაგონი ზუსტად დაჯდა თავის ადგილზე და კვლავ იქუხა ტაშმა და შეძახილებმა: „სტალინი ჩვენთანაა!“**

ნოდარი და ავთანდილი თავიანთ მეგობრებთან ერთად სწრაფად აწარმოებდნენ ძარის სავალ ნაწილზე დამაგრების სამუშაოებს, რათა მსურველებს ვაგონი დაეთვალიერებინათ, მაგრამ ამის საშუალება ავდრით შეწუხებულ და დასველებულ ხალხს სახლ-მუზეუმში შექმნილმა ტექნიკურმა სირთულეებმა არ მისცა. ნოდარმა და ავთანდილმა ის ღამე ვაგონში გაათიეს. მეორე დილით კი მოხდა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და ხელმოწერა, რის შედეგად სტალინის პირადი სალონ-ვაგონი, რომელშიც ბელადმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, მისივე სახელობის სახლ-მუზეუმს ჩაბარდა. ასე დაასრულა სამმა სახელოვანმა ქართველმა რკინიგზელმა: ვლადიმერ ჯაფარაშვილმა, ნოდარ კოპალეიშვილმა და ავთანდილ ოქრომჭედლიშვილმა დიდი საქმე, რომელიც ეამაყება ქართველ კაცს, როდესაც ის გორში სტალინის სახლ-მუზეუმის ყველაზე დიდ, ღირებულ და საინტერესო ექსპონატს ათვალიერებს.

**ზემოხსენებული ადამიანებიდან ამ დიდი საქმის სულისჩამდგმელი ედუარდ შევარდნაძე და მისი დავალების ბრწყინვალედ შემსრულებლები — ვლადიმერ ჯაფარაშვილი და ნოდარ კოპალეიშვილი ცოცხლები აღარ არიან. საუკუნო ხსოვნა და სიყვარული მათ. ხოლო ავთანდილ ოქრომჭედლიშვილს წარმატებები ვუსურვოთ ოჯახში და ხალხისათვის მეტად საჭირო სამსახურში.**

* * *

შავიზღვისპირეთის შემდეგ სტალინის ნატერფალი ყველაზე კარგად შემოგვინახა ლიკანის სამთავრობო აგარაკhმა, სადაც სტალინმა ორჯერ დაისვენა — 1927 და 1951 წლებში. **1927 წელს სტალინის სურვილისამებრ რამდენადმე შეიცვალა ლიკანის სასახლის პირველი სართული — დაიდგა ავეჯი და გაკეთდა საწოლი, ოთახის მიმდებარე აბაზანა. გორიდან ჩაიტანეს ძველი ქართული ნახევრად რბილი ტახტი, რომელზეც ხშირად წამოწვებოდა ხოლმე მუშაობით დაღლილი. იქ, სადაც ბილიარდის სათამაშო ოთახი იყო და არის დღესაც, რომანოვების მიერ აშენებული უძვირფასესი ბუხარია, რომლის შუბლზედაც ნატიფად არის გამოსახული ბორჯომის ნაკრძალის ცხოველთა სამყარო. ბუხრის თავზე კი გამორჩეულად ბუს ფიგურაა გამოსახული.** ამ ფიგურაზე ყურადღებას არ გავამახვილებდი, რომ არა ერთი შემთხვევა:

ერთხელ კიბეზე შემდგარმა სასახლის დამლაგებელმა, რომელიც ბილიარდის ოთახში ბუხარს ასუფთავებდა, არასწორი მოძრაობის გამო თავი ვერ შეიმაგრა და კიბიდან ჩამოვარდებოდა, ინსტიქტურად ბუს ფაიფურის ქანდაკებისთვის რომ არ გამოედო ხელი. რის გამოც ბუ ბუხრის თავიდან გადმოვარდა და იატაკზე დაიფშვნა. მომსახურე პერსონალმა, იცოდა რა ბილიარდის ოთახისადმი სტალინის სიყვარული, ყველა ღონე იხმარა დანაკლისის ასანაზღაურებლად. უამრავ სახელოსნოს და ცაკლკეულ მოქანდაკეს დაუკვეთეს სამუშაო, მაგრამ ყველა ექსპონატი ბუხარზე განლაგებულ ცხოველთა სამყაროსთან თითქოს შეუთავსებადი ხდებოდა, ბოლოს და ბოლოს, ბუ ლენინგრადში ჩამოასხეს და დიდი რუდუნებით, ისევ ბუხრის თავზე მოათავსეს, როგორც თავდაპირველად იყო.

თუ ამ ამბავს გიდი არ მოგიყვებათ, ვერაფრით მიხვდებით, რომ ბუხარზე სხვადასხვა ხელით შექმნილი ბარელიეფები და ქანდაკებებია.

1951 წელს სტალინის მოგზაურობა საქართველოში სხვადასხვა საინტერესო მოვლენებთან არის დაკავშირებული, რომელსაც ცალკე წერილს მივუძღვნი, მაგრამ ერთი ფაქტი აქაც უნდა გავიხსენო.

ლიკანის სასახლეში შესული სტალინი პირდაპირ ბილიარდის სათამაშო ოთახში გაემართა, ერთ ადგილზე გაჩერდა და ოთახის დათვალიერება დაიწყო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა — „ბუ ადგილზეა.“ თანმხლებ პირთაგან ცოტამ თუ გაიგო, რას ნიშნავდა სტალინის სიტყვები: „ბუ ადგილზეა”, რომელიც მხო- ▶



ავთანდილ ოქრომჭედლიშვილი

**1927 წელს, სტალინის სურვილისამებრ, რამდენადმე შეიცვალა ლიკანის სასახლის პირველი სართული — დაიდგა ავეჯი და გაკეთდა საწოლი, ოთახის მიმდებარე აბაზანა; გორიდან ჩაიტანეს ძველი ქართული ნახევრად რბილი ტახტი, რომელზეც ხშირად წამოწვებოდა ხოლმე მუშაობით დაღლილი. იქ, სადაც ბილიარდის სათამაშო ოთახი იყო და არის დღესაც, რომანოვების მიერ აშენებული უძვირფასესი ბუხარია, რომლის შუბლზეც ნატიფად არის გამოსახული ბორჯომის ნაკრძალის ცხოველთა სამყარო. ბუხრის თავზე კი გამორჩეულად ბუს ფიგურაა გამოსახული.**

# გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი.

ბილიარდის ოთახიდან გამოსვლისთანავე სტალინმა იკითხა, სად უნდა დაესვენა მას. ბელადს წინ გაუძღვნენ და მიიყვანეს მისი მითითებით გაკეთებულ პატარა საძინებელ ოთახში, რომელიც კარით სამუშაო ოთახს უკავშირდებოდა.

— ესე იგი, მე აქ, ამ ოთახში უნდა ვიმუშაო და იქ დავიძინო, არა? — იკითხა ბელადმა, რაზეც თანხმობა მიიღო.

**შუა ოთახში მდგომმა ლაბადამოსხმულმა სტალინმა მცველს უბრძანა, მისი „ჩემოდანი“ შემოეტანათ. მალევე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე გაიხსნა ხის ყუთი, რომელშიც ჩალაგებული იყო ყველა სადურგლო თუ საოჯახო იარაღი — ჩაქუჩი, ხერხი, შალაშინი, გაზი, სასხლავი დანა, ნაჯახი, სხვადასხვა სიდიდის „ატვიორტკა“ და „სატეხი“, ხის დასაკეცი საზომი და სამკუთხედი. ყუთში ასევე იყო სხვადასხვა ზომის ლურსმანი.**

**სტალინმა ყუთიდან საშუალო ზომის ლურსმანი შეარჩია, აიღო ჩაქუჩი, ოთახში შემოსასვლელი კარისაკენ მიბრუნდა და გვერდით კუთხეში ლურსმანი ნახევრამდე ჩააჭედა. ჩაქუჩი ყუთზე დადო, ლაბადა გაიხადა და თავის მიჭედებულ ლურსმანზე დაკიდა. შემდეგ ისევ ჩაქუჩს მიუბრუნდა, ისევ იმ ზომის ლურსმანი შეარჩია და თავისი სამუშაო მაგიდის მარჯვენა მხარის გვერდს მიაჭედა. ქუდი მოიხადა და მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდა.** ეს მოძრაობები სრულ სიჩუმესა და გარშემო მყოფთა უძრაობაში ჩაატარა. მცველმა ჩაქუჩი ყუთში ჩადო და ყუთთან ერთად გაუჩინარდა.

ათასობით ადამიანს ძალაუნებურად სწორედ ამ ლურსმნისაკენ მიუწევს ხელი და თვალი, ვისაც კი მისი დათვალიერების ბედნიერი წუთები დადგომია.

ახლა კი ამ ყუთზე მოგითხრობთ:

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიკანის აგარაკის ისტორია პეტრე იოსელიანის სახელთან არის დაკავშირებული. ვის არ განუცდია ბორჯომის ხეობის მარგალიტის, ლიკანისა და ლეგენდარული პეტრე იოსელიანის სითბო და მომხიბვლელობა?!

ერთ ზაფხულს ლიკანის აგარაკზე ვისვენებდი. სამკურნალო კორპუსიდან სასახლისაკენ მივდიოდი, როცა შევამჩნიე, რომ ბატონი პეტრე თავისი სამუშაო კორპუსის წინ იდგა და მეგობრებს ესაუბრებოდა. მოკრძალებული მისალმების შემდეგ ხელი გამომიწოდა და გადამკოცნა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი პეტრე ჯგუფს გამოეყო, ხელკავი გამიკეთა და თავისი კაბინეტისაკენ წამიძღვა.

კაბინეტში თბილი საუბარი გაიმართა. რატომღაც სურვილი გაუჩნდა, ესაუბრა სტალინზე და ლიკანზე. მე უბრალო მოძრაობასაც არ ვაკეთებდი, რომ საუბარი არ შემეჩერებია. მეშინოდა, კაბინეტში ვინმე არ შემოსულიყო, ან ტე-



**საღამოს სასახლის ღია აივანზე, სადაც მე და ბატონ პეტრეს ხშირად გვისაუბრია ამ სასახლის ყველაზე დიდ ბინადარ სტალინზე, შემობრძანდა ქალბატონი თამარი ახალგაზრდა გოგონასთან ერთად. გოგონას ხელში ეკავა სწორედ ის ჩემოდანი, რომელიც ერთი წლის წინათ ბატონმა პეტრემ სიტყვიერად მაჩუქა. ასე გადმომცეს სტალინის ნაქონი ნივთი, რომელზეც არასოდეს მიფიქრია, რომ ის ჩემია. ეს ნივთი საქართველოს სამუზეუმო ექსპონატია, რომელიც ქართველ ხალხს პეტრე იოსელიანმა შემოუნახა და დროებით ჩემს პატარა საოჯახო მუზეუმშია განთავსებული**

ლეფონს არ დაერეკა. საუბრის ბოლოს ბატონი პეტრე თავის მოსასვენებელ ოთახში შევიდა, იქიდან ხისგან დამზადებული მოზრდილი ჩემოდანი გამოიტანა, საწერ მაგიდაზე დადგა და მომმართა:

— გრიშა, **ეს ყველაზე ძვირფასი ნივთია ჩემთვის, რაც კი გამაჩნია, მას თან ვატარებ ყველგან, სადაც წავალ.** სხვას ვერ ვენდობი. მინდოდა, გორში სტალინის სახლ-მუზეუმისათვის ჩამებარებინა, მაგრამ ვიფიქრე, ჩაიკარგება ამდენ ექსპონატებში-მეთქი და გადავწყვიტე, მე მქონოდა. მაგრამ უკვე ასაკში ვარ, კაცი ხომ იცი, გაბერილი გუდაა, არ ვიცი, რა მოხდება, ამიტომ ამას შენ გაძლევ და შენ იცი, როგორ მოუვლი.

ბატონ პეტრეს თვალზე თითქოს ცრემლი მოადგა, მაგრამ მის სახეს ღიმილი არ შორდებოდა. სიხარულისაგან ენა დამება, პასუხს ვერ ვცემ-





**შუა ოთახში მდგომმა ლაბადამოსხმულმა სტალინმა მცველს უბრძანა, მისი «ჩემოდანი» შემოეტანა. მალე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე გაიხსნა ხის ყუთი, რომელშიც ჩალაგებული იყო ყველა სადურგლო თუ საოჯახო იარაღი — ჩაქუჩი, ხერხი, შალაშინი, გაზი, სასხლავი, დანა, ნაჯახი, სხვადასხვა სიდიდის «ატვიორტკა» და «სატეხი», ხის დასაკეცი საზომი და სამკუთხედი. ყუთში ასევე იყო სხვადასხვა ზომის ლურსმანი. სტალინმა ყუთიდან საშუალო ზომის ლურსმანი შეარჩია, აიღო ჩაქუჩი, ოთახში შემოსასვლელი კარისკენ მიბრუნდა და გვერდით კუთხეში ლურსმანი ნახევრამდე ჩააჭედა. ჩაქუჩი ყუთზე დადო, ლაბადა გაიხადა და თავის მიჭედებულ ლურსმანზე დაკიდა. შემდეგ ისევ ჩაქუჩს მიუბრუნდა, ისევ იმ ზომის ლურსმანი შეარჩია და სამუშაო მაგიდის მარჯვენა მხარის გვერდს მიაჭედა. ქუდი მოიხადა და მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდა.**

დი, ვერც მადლობას ვეუბნებოდი. მოუთმენლად ველი, როდის გადმომცემს საჩუქარს, რომ ვნახო, შიგ რა არის. ბატონი პეტრე არ ჩქარობდა, ბოლოს კი მითხრა:

— ეს არ არის ის ნივთი, რომელსაც მე ჩუმად გადმოგცემ. როდესაც აქედან წახვალ, ალბათ, მეც მალე მომიწევს თბილისში ჩამოსვლა, სახლში ჩემს მეგობრებს დავუძახებ, შენც ორი მეგობარი წამოიყვანე და მათ წინაშე, საზეიმო სუფრაზე, ამ საჩუქარსაც გადმოგცემ. ოღონდ იცოდე, ეს საჩუქარი კი არა ეროვნული საგანძურია, რომელსაც შესანახად გაბარებ.

ამ სიტყვების შემდეგ „ჩემოდანი“ გახსნა და დავინახე უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული სტალინის პირადი სახელოსნო იარაღები, რომელიც, ბატონი პეტრეს თქმით, ყველგან დაჰქონდა, სადაც კი დასასვენებლად მიდიოდა.

მოუთმენლად ველოდი ბატონ პეტრეს ზარს, რათა მივსულიყავი მასთან უძვირფასესი ნივთის მისაღებად.

ერთ დღეს რესტორან „არაგვში“ ერთი ჩემი უფროსი მეგობრის დაბადების მრგვალ თარიღს აღვნიშნავდით. ვხედავ, მაგიდას სადაც უნდა დავმსხდარიყავით, ბატონი პეტრე უახლოვდება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, განაკუთრებული სიხარულით შემხვდა თვითონაც. შუა სუფრაზე გვერდით გამიხმო და მითხრა:

— ზეგ, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე, ჩემთან უნდა მოხვიდე შენი ორი მეგობრით, საჩუქარი უნდა გადმოგცე.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სულმოუთქმელად ველოდი ზეგ-ის დადგომას. მეორე დილით ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. თანამესუფრემ დამირეკა, — წუხელ ბატონი პეტრე გარდაიცვალაო. ჩემ თვალწინ ელვის სისწრაფით გაირბინა მოგონებებმა ბატონ პეტრეზე. ნუთუ, ეს მართალია, ნუთუ ეს სიზმარი არ არის,— ვუმეორებდი ჩემს თავს ისე, როგორც ვუმეორებდი მაშინ, როცა ჩემი შვილი დათუნა დავკარგე.

იმ ტრაგიკული დღეების მოგონებით, ძვირფასო მკითხველო, არ გადაღლით, მაგრამ ერთს კი გეტყვით: ბატონ პეტრეს ცხედართან ერთად დავტიროდი იმ დაკარგულ განძს, რომლის თვალისმოკვრის შანსიც არ მრჩებოდა.

მეორე წელს ლიკანში ჩავედი. პეტრეს გარეშე ლიკანი რაღა ლიკანი იქნებოდა?! მისი სამუშაო კორპუსისაკენ გახედვაც კი არ მინდოდა. სამკურნალო კორპუსში მესამე სართულზე ყოველთვის კარგაღებულ კაბინეტში მჯდომი ქალბატონი თამარი მენატრებოდა. მივედი და ვნახე. ვუყურებდი, როგორ ღვრიდა ცრემლს შავებში გამოწყობილი ულამაზესი ქალბატონი და როგორ ელაპარაკებოდა, როგორც ცოცხალს, თავის ლეგენდარულ ქმარს, ბატონ პეტრე იოსელიანს.

საუბრის ბოლოს ქალბატონმა თამარმა მითხრა:

— შენთვის საჩუქარი წამოვიღე თბილისიდან, ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი და მინდოდა, პეტრეს დავალება შემესრულებინა. საღამოს აუცილებლად გადმოგცემთ. არ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა, გამხარებოდა თუ გული ჩამწყვეტოდა, როდესაც ამ უკეთილშობილესი კაცის ანდერძს ასე ასრულებდა მისი ცხოვრების ულამაზესი თანამგზავრი — ქალბატონი თამარი.

— საღამოს გეახლებით, — შევბედე ქალბატონ თამარს.

— არა, მან დამიბარა, რომ საჩუქარი მე მომეტანა თქვენთვის.

საღამოს სასახლის ღია აივანზე, სადაც მე და ბატონ პეტრეს ხშირად გვისაუბრია ამ სასახლის ყველაზე დიდ ბინადარ სტალინზე, შემობრძანდა ქალბატონი თამარი ახალგაზრდა გოგონასთან ერთად. გოგონას ხელში ეკავა სწორედ ის ჩემოდანი, რომელიც ერთი წლის წინათ ბატონმა პეტრემ სიტყვიერად მაჩუქა. ასე გადმომცეს სტალინის ნაქონი ნივთი, რომელზეც არასოდეს მიფიქრია, რომ ის ჩემია. ეს ნივთი საქართველოს სამუზეუმო ექსპონატია, რომელიც ქართველ ხალხს პეტრე იოსელიანმა შემოუნახა და დროებით ჩემს პატარა საოჯახო მუზეუმშია ინახება.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილი განვავითარეთ, როცა ბოღმის შხამი ვანთხიეთ, იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა – „ქართველებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“. მეგობარი მტრად გავიხადეთ, მოწინააღმდეგე სამგზის მტრად მოვიკიდეთ, საკუთარ ოჯახში აგენტებისა და ხალხის მტრების ძიება გამოვაცხადეთ, უღირსი აღვაზევეთ, განსხვავებულ აზრს ყიჟინით გამოვენთეთ...“

# აფხაზეთში დამარცხებისა და მისი გასხვისების მიზეზი ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისა და ქვეცნობიერის წიაღში უნდა ვეძიოთ!



ეს შთაბეჭდილება დამრჩა ცნობლი მწერლის — გურამ ოდიშარიას ნაწარმოების — „ომამდე დამარცხებულის“ — წაკითხვის შემდეგ. ამაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ მწერლის მიერ დანახული ერის ცხოვრებიდან ეპიზოდები და კადრები ისეთი სწორი და შთამბეჭდავია, რომ შეუძლებელია, მის სიზუსტესა და რეალობაში იოტისოდენა ეჭვის შეტანაც კი. დღეს არც ის არის სადავო, რომ არსებული ვითარება ხელისუფლების უნიათობის, უნიჭობისა და ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. ეს ყველამ კარგად იცის და უკვე არც დავობენ, მაგრამ მავანს მაინც უჩნდება კითხვა — ხომ არ იყო კიდევ სხვა მიზეზები და გარემოებები? და თუ ასეა, განსაცდელში ჩავარდნილს აინტერესებს, რატომ გაგვწირა უფალმა, თუ მისი რჩეული ერი ვიყავით, რასაც არცთუ ისე იშვიათად ვამბობდით ხმამაღლა: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“...

ეს მთლად ასე რომ არ ყოფილა, გვიჩვენა ქვეყანაში ბოლო 20-25 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა. ეს კარგად გამოჩნდა, როცა ჯერ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავეკიდეთ ერთმანეთს, მივანგრ-მოვანგრიეთ ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა და საბჭოთა იმპერიის დაშლისას, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში მქონე ერი ისე ჩამოვრჩით ყველას და ყველაფერს, რომ გეოპოლიტიკურ გზაგასაყარზე მდგომს ვერ გადაგვიწყვეტია, საით წასვლა სჯობს — უზნეობისკენ, გადაგვარებისკენ, ეროვნული თვითმყოფადობის, მართმადიდებლური კულტურისა და იერსახის დაკარგვისკენ, საითაც გვიბიძგებენ „ნაცქოცები“ თუ ამ და სხვა ფასეულობების გადარჩენა-შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. რა გვჭირს ასეთი, რა ღმერთი გაგვიწყრა?! ხომ არ მართლდება ცნობილი რუსი მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის, მიერ თავის მოთხრობაში („Ловля пескарей в Грузии“) გამოთქმული მოსაზრება ქართველი ერის ზნეობრივი და სულიერი დეგრადირების შესახებ? ნუთუ ეს ასეა?! თუ არა, რა გვემართება, დღესაც რომ ვერ გავრკვეულვართ, რა გვინდა, რანი ვართ?!

ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხს მიიღებთ, თუ გადაშლით ბატონი გურამ ოდიშარიას წიგნს „ომამდე დამარცხებული“. ბატონ გურამთან შეთანხმებით გთავაზობთ ამ წიგნიდან ამონარიდს. გაეცანით მას და თავად განსაჯეთ. კომენტარი და ბოლოთქმაც თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

**ნაპო მესხია**, ნეიროქირურგი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი




**«საქართველო ომამდე იყო დამარცხებული! აფხაზეთის ომი საქართველოს უპირველეს ომში დამარცხების დასტური იყო. მეტი არაფერი. საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, დასაბამიდან დაებედა თავისი უპირველესი და მარადიული ომი. ესაა ომი საკუთარ თავთან, ესაა ომი ზნეობისა უზნეობის წინააღმდეგ, სიკეთისა — ბოროტების წინააღმდეგ, ერთგულებისა — ღალატის წინააღმდეგ, სიყვარულისა — სიძულვილის წინააღმდეგ... და, როგორც ვერავინ ვერასოდეს გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს»**

...1993 წლის 2 ოქტომბრის შუაღამე. უღელტეხილი. ალპური ზონა. გზისპირა ლოდთან ვჩერდებით მე და ჯემალ დარცმელია. სულს ვითქვამთ. ლოდს მოხუცი ქალი გადასწოლია, ძლივს გასაგონად კვნესის, — მიშველეთ, დამეხმარეთ! ვერ ვშველით, ვერ ვეხმარებით. არც პური უნდა, არც წყალი, მოხუცს სამშვიდობოს სურს ყოფნა, შვილებსა და შვილიშვილებთან; სიცოცხლე უნდა. ჩვენ მისი ტარება არ შეგვიძლია. აღმართზე ღმუილით ამოდის „ურალი“ — სამხედრო სატვირთო მანქანა. „ურალი“ სამხიდიანია, ადვილად ძლევს უღელტეხილს. კაბინა ახალგაზრდა სამხედროებითაა გაჭედილი. გააჩერეთ, ბიჭებო! — ვყვირით ჩვენ. არ აჩერებენ. გახევებულები მხოლოდ წინ იყურებიან. არადა, სახე ყველას ერთნაირი აქვს. ვერც ერთს ვერ დაიმახსოვრებ. ეს მათაც კარგად იციან. „ურალი“ გვშორდება. ახლაღა ვამჩნევთ, რომ „ურალის“ ძარაზე კაციშვილი არაა. „ურალი“ ღრიალით ჯაბნის აღმართის მკვეთრ მოსახვევს. ვაკვირდებით და... უცხოური მანქანა, თუ არ ვცდები — „მერსედესი“, დაღლილი, ძვირფასბეწვიანი ცხოველივით ჩაყუჟულა „ურალის“ ძარაში. ეტყობა, მაგრადაა მიკოჭილი ძარას, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, ციცაბო აღმართზე გადმოქანდებოდა და ჩამოსრიალდებოდა. მიდის „ურალი“, გზისპირას, ლოდზე მოხუცი კვდება. ჩვენ, — სიქაგამოცლილები, ისე ვუყურებთ ამ სურათს, თითქოს ეს ყოველივე სხვა ქვეყანაში ან სულაც უცხო ფილმში ხდებოდეს; საკენში ასეთი „ურალის“ მძღოლები მანქანის გადაყვანაში მილიონ რუსულ მანეთს ითხოვდნენ. კლიენტები ბლომად ჰყავდათ. „ურალს“ კი შეუძლია 30-40 ადამიანი გაიყვანოს სამშვიდობოს, 30-40 მომაკვდავი გადაარჩინოს, მაგრამ კაციშვილი არ ჩანს „ურალის“ სვლის შემჩერებელი. ვერც იარაღს გამოიყენებს ვინმე, მაშინათვე ოთხი ავტომატი უპასუხებს არამკითხეს კაბინიდან. არ ჩანს კაცი, „ურალი“ გააჩეროს, „მერსედესი“ გზისპირას დააგდოს, 30-40 ბავშვითა და მოხუცით დახუნძლოს მანქანა.

ეს სურათი ჩემთვის საქართველოს სირცხვილია — უღელტეხილი, „ურალი“ და „მერსედესი“, მომაკვდავი ადამიანები. ეს სურათი ჩემთვის გერბია ჩვენი დამარცხებისა!

**ომი ომია, ომის შემდგომი მშვიდობაც თავისებური ომია. ერთნი ვამტკიცებთ, რომ ომი რუსეთთან წავაგეთ, მეორენი ვასაბუთებთ, რომ ომი წავაგეთ ჩრდილოეთ კავკასიელებთან და კაზაკებთან, მესამენი — სხვას ვამბობთ. მოდით, მათ თავი დავანებოთ და იმ ომზე ვიმსჯელოთ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო, იმ ომზე, რომელშიც საქართველო დამარცხდა საქართველოსთან!** არც პოლიტიკოსი ვარ, არც სამხედრო საქმე ვიცი, ვერც ვერავის განვიკითხავ, მაგრამ **ერთი რამ ცხადია – საქართველოს როგორმე უნდა შეეჩერებინა ეს ომი და არ უნდა წარემართა ის ან, უფრო ზუსტად, – არ უნდა დაეწყო! ვერ მოახერხა! სწორედ ამიტომაც დამარცხდა ქართული პოლიტიკა და ამ დამარცხებამ ამდენი სისხლი დაღვარა.** გავა დრო და ომის გამომწვევ მიზეზებს სპეციალისტები გააანალიზებენ. ჩემი სათქმელი სხვაა — **საქართველო ომამდე იყო დამარცხებული! აფხაზეთის ომი საქართველოს უპირველეს ომში დამარცხების დასტური იყო. მეტი არაფერი. საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, დასაბამიდან დაებედა თავისი უპირველესი და მარადიული ომი. ესაა ომი საკუთარ თავთან, ესაა ომი ზნეობისა უზნეობის წინააღმდეგ, სიკეთისა — ბოროტების წინააღმდეგ, ერთგულებისა — ღალატის წინააღმდეგ, სიყვარულისა — სიძულვილის წინააღმდეგ... და როგორც ვერავინ და ვერასოდეს გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს.** ის მისი მარადი თანამგზავრია. როდესაც საქართველო იგებდა უპირველეს ომს, ის ერთიანი, ძლიერი, ბედნიერი ქვეყანა იყო მაშინ და სხვა ომებსაც იგებდა. ხშირად უბრძოლველადაც იგებდა ომს და მტერსაც კი მოსწონდა ასეთი საქართველო. როდესაც აგებდა უპირველეს ომს, უბედურდებოდა და სხვა ომებსაც აგებდა უმალ.

სანამ საქართველო დამარცხებულია თავის უპირველეს ომში, ის ვერც ერთ სხვა ომს ვერ მოიგებს, მარად დამარცხებული იქნება!

ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ — მე არ ვსაუბრობ იმ ომზე, რომელშიც სხვებთან დავმარცხდით, არამედ იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო!

**ტანკებითა და ავიაციით რკინიგზას არ იცავენ, ჩვენმა პოლიტიკამ ვერ გაისიგრძეგანა თავისი ქმედების რეალური შედეგი. ომმა იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს ორი ხალხი, აზვირთდა სიძულვილი.**

დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაიღუპნენ პატიოსანი, კეთილი ადამიანები, როგორც ეს ყოველთვის ხდება (როგორც ზემოთ ვთქვი, ომში დაღუპულთა უმრავლესობა უდანაშაულო, ნათელი სულისანი არიან). ეს წესია ომის, მისი ზნეა, მისი რელიგია. ჩვენ ღმერთი გვსჯის იმით, რომ გვართმევს რჩეულებს.

ჩვენ აფხაზეთის ომამდე ვიყავით დამარცხებული!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილი განვავითარეთ, როცა ბოღმის შხამი ვანთხიეთ, იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა — „ქართველებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“. მეგობარი მტრად გავიხადეთ, მოწინააღმდეგე სამგზის მტრად მოვიკიდეთ, საკუთარ ოჯახში აგენტებისა და ხალხის მტრების ძიება გამოვაცხადეთ, უღირსი აღვაზევეთ, განსხვავებულ აზრს ყიჟინით გამოვენთეთ. უპირველესად, სიტყვით გავხდით მკვლელები ერთმანეთისა: სიტყვით იმიტომ, რომ დავივიწყეთ ჩვენს წმინდა წერილებში თქმული — „ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია“. დავივიწყეთ რუსთაველი — „ველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, ეს რუსთველოლოგებმაც დავივიწყეთ, პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე მდგარმა რუსთველოლოგებმაც.

მოძულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედნი არიან, გამომხმობები არიან ომის.

ავ სიტყვებს ავი სროლები მოჰყვა. პატივცემულ „მაკაროვს“ პატივცემული „კალაშნიკოვი“ აჰყვა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საშინელებათა სპექტაკლში ხდება, გაიბზარა საქართველო. **უბედურება საქართველოს გულიდან დაიწყო. ჩვენ მიერ ბრიყვულად და ბოღმით მოქნეული მარჯვენის ინერციამ ჩვენვე დაგვცა. იარაღი არაკაცებსაც ჩაუვარდათ ხელში, იარაღმა მოგზაურობა დაიწყო მამულში. ჩვენ აქ, თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი! ომი, რომელიც არა და არ უნდა დაგვეწყო!**

თუ, მართალია, სადღაც, სხვაგანაც იწერებოდა ამ საშინელების სცენარი, ჩვენ ზედმიწევნით ჩინებულად შევასრულეთ ჩვენი როლი და მიამიტებივით ვიძახით: ჩვენ ამის გაკეთება არ გვინდა, ამას სხვები გვაკეთებინებენო.

**ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა უგუნურად მოვიქეცით სამეგრელოში, როცა უცოდველი ადამიანები დავსაჯეთ, უდანაშაულოებს დავერიეთ, ვძარცვეთ ჩვენი ხალხი. არ ზოგავდა ამ კუთხეს** ▶



გურამ ოდიშარია

**„სანამ თავად არ ჩავწვდებით ჩვენი სირცხვილის არსს, სანამ თავად არ ჩამოვირეცხავთ ლაფსა და ტალახს, სანამ არ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და სიძულვილის გარეშე, ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენი თანადგომით უნდა ვუმკურნალოთ ერთმანეთსაც და უბედურებების რკალში მოწრიალე ქვეყანასაც, ჩვენ თავად უნდა დავდგეთ ფეხზე, თორემ სხვათა იმედით ვერასოდეს გავიმართებით წელში!“**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **დამამხობელი ხელისუფლება და, ფაქტობრივად, სისხლისღვრისკენ, ომისკენ მოუწოდებდა მას, ცდილობდა, ბოლომდე მიეყვანა მისი პოტენცია, გულუბრყვილობაც. არ ზოგავდა ამ კუთხეს ახალი, ძველის იარაღით მძლეველი ხელისუფლება. და, საბოლოოდ, ცოდვათა მორევში ხალხი ისჯებოდა, ისჯებოდა სრულიად საქართველო. შედეგად ბაბილონელებივით სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი დედაქალაქმა და პერიფერიებმა. ერთმანეთის ჭირისადმი ზედაპირულმა, აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთმანეთის სატკივარის ვერ გაგებამ, ღალატმა დაგვამარცხა.**

საქართველოს ისტორიის დაწყევლილი წლებიდან კვლავ ამოტივტივდა მოჯადოებული ტახტი და არ დაახანა ბრძოლამაც ტახტისათვის, იმ ტახტისათვის, რომელიც, მიუხედავად XX საუკუნისა, მიუხედავად ჩვენს თავს დამტყდარი ამდენი უბედურებისა, ბრიყვსაც კი რომ ასწავლიდა ჭკუას, მაინც ბაჯაღლო ოქროსი გვგონია, არადა, ავი დემონის მიერაა მოოქრული, მხოლოდ ჩვენ მიერ სისხლით მოთხვრილი. ჩვენ დაგვამარცხა იმ ტახტის ოქროსფერმა, მასზე ახლად დაღვრილმა და მასზე შემხმარმა ძველმა სისხლმაც! **ჩვენ დაგვამარცხა ურთიერთსიძულვილმა და დაუნდობლობის იმ ტრადიციამ, რომელიც ვერა და ვერ ამოვიშანთეთ გულიდან.**

ჩვენ დაგვამარცხა ულმერთობამ!

ჩვენ მითოსური, ორთავიანი ფრინველივით დავღუპეთ საქართველოს სხეული, იმ ფრინველივით, რომლის თავებმაც შეიძულეს ერთმანეთი და ერთიმეორის საზიანოდ ქვების ყლაპვა დაიწყეს. ორი თავი, მაგრამ ერთი სხეული, ერთი კუჭი ჰქონდა ფრინველს... და მან ვერ მოინელა მოძულე თავების ნაყლაპი ქვები და დაიღუპა.

ჩვენ სიძულვილის გამო დავისაჯეთ, დავისაჯეთ სიძულვილისა და სიბრიყვის გამო! დავისაჯეთ იმ უკიდურესი რადიკალიზმის გამო, რომელსაც ადევნებულებმა თავი მერამდენედ ამოვყავით მახეში და მერამდენედ მოვხვდით სისხლის ნიაღვარში. მოვინდომეთ, ერთი ნახტომით გადავვლებოდით იმ უფსკრულს, რომელსაც, ყველაზე ცოტა, სამი ნახტომი მაინც სჭირდებოდა. ჩავვარდით კიდეც!..

ჯერ ძმათმოძულეები, ხოლო შემდეგ ძმათამკვლელები გავხდით. მაშინ დავმარცხდით სწორედ! ღმერთმა დასწყევლა ძმის მკვლელი კაენი. მან კი, სასოწარკვეთილმა, ამოთქვა: „ამის შემდგომ ვინც მე შემხვდება, ის მომკლავს მეო“. ღმერთმა ნიშანი დაადო კაენს, რათა არავის მოეკლა იგი. მას უნდა ეცხოვრა და თავისი ცოდვით ევლო ამ ქვეყანაზე. ღმერთმა მას სიცოცხლე მიუსაჯა — სასჯელის უმაღლესი ზომა! არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ორ ძმას შორის რომელია მართალი. საშინელებაა, რომ ერთ-ერთი ძმის მკვლელია. ასეთთან კი საუბარიც ძნელია; ასეთთან არც ლხინის სუფრაზე გვერდით ჯდომაა სახალისო!

ასე დავმარცხდით ჩვენ!

ულელტეხილზე ბავშვები და მოხუცები გვეღუპებოდნენ, ჩვენ კი, შიშისა და სიხარბისგან დაბრმავებულები, „ურალებითა“ და ვერტმფრენებით ქონებას მივეზიდებოდით, ვძარცვავდით ნახევრადცოცხალ თვისტომთ, მათ, რომლებსაც სახლიდან ერთი ფუთალა მოჰქონდათ, ფუთა და იმედი იმისა, რომ ნაწამებთა და დევნილთ უპატრონებდა და მოეფერებოდა მამული.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში მიუსხდნენ ერთ მაგიდას ქურდები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ჩარჩები და ჩინოსანი მოხელეები. საბოლოოდ იშვა მახინჯი ჰიბრიდი — მაფიოზთა, ჩარჩთა და მედროვეთა ქვეყანა. დაითრგუნა სინათლე!

ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი ულელტეხილი. ჩვენ შუა ულელტეხილზე, სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე ვიმყოფებით და იქვე დავრჩებით სამუდამოდ, სანამ ჩვენ გვერდით ადამიანები იხოცებიან და სანამ ჩვენ გვერდით ტაატით გადიან გზას უცხოური მანქანებით დატვირთული „ურალები“. სანამ ასეთი გაჭირვების ჟამს, რომლის მსგავსიც, ვგორი გზითა და ხრიკით ვყიდეთ და ვყიდეთ „მკვდარი სულები“ იმ ომში, რომელიც არა და არ უნდა დაწყებულიყო. ვყიდეთ „ქაღალდის ბატალიონები“, იარაღი და პროდუქტები, სამხედრო ფორმები და ჯარისკაცის კბილის ჯაგრისებიც კი, **კაცობა გავყიდეთ და გავყიდეთ იმედი და რწმენა, მერე ვზიდეთ და ვზიდეთ ოჯახებში საქართველოს დამარცხება, საქართველოს დაცემა, საქართველოს სირცხვილი!**

განუკითხაობამ დაგვამარცხა ჩვენ!

ინგრეოდა სოხუმი, გრუხუნებდა ომი მის ერთ უბანში, მეორე უბანს კი ყიდულობდნენ ჩარჩები, ყიდულობდნენ და ყიდიდნენ, ინაწილებდნენ, ევაჭრებოდნენ ერთმანეთს. იყიდებოდა უცხოეთიდან მოტანილი ჰუმანიტარული დახმარება გემებითა და თვითმფრინავებით. ნარკობიზნესმენები უცოდველნი ჩანან „ჰუმანობიზნესმენების“ ფონზე. ცნობილია, — ვაჭართა ქარავანს ხუთიოდე მოლაღობე ყაჩაღი აცეკვებს თავის ნებაზე. ჩარჩი მხდალი, საცოდავი არსებაა. ჩარჩული სულით გაჟღენთილი ომი დიდი ხნით ადრე დამთავრდა დამარცხებით. ვერ იქროლებენ, ბიჭებო, თქვენი ძვირად ღირებული მანქანები, საშინელი სიკვდილით დაღუპული 30-40 სული ყოველდღე თან სდევს მათ და სულ ტყუილად გგონიათ, რომ ისინი ვეღარ გხედავენ თქვენ. ბოლო-ბოლო, მანქანების გადაყვანას მერეც ხომ მოასწრებდით, როცა დევნილებს ეშველებოდა. განწირულები ხართ, ბიჭებო, ცოდვიანია თქვენი ქონება. მონები ხართ თქვენი ცოდვისა, არა მხოლოდ თქვენ, ჩვენც — ყველანი, თქვენ გამო! თქვენს ფულს ვასიკო ჯიშკარიანის — რაინდი მეომრის — სისხლი აცხია, ვასიკოსი, რომელიც ამბობდა, — მოვა დრო და აუცილებლად შევრიგდებით ქართველები და აფხაზები, უპირველესად, ნამდვილი მეომრები შევრიგდებით, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, კაცები, და არა მკვლელები, არა ბინძურები. თქვენითაც დავმარცხდით ჩვენ; სავალალოა ჩვენი მდგომარეობა! ფულის კეთების სხვა გზებიც ხომ არსებობდა, ბიჭებო! **იქ, სადაც ჩარჩული სული აღზევდა, გამარჯვება არ გვეწერა!**

იცით, როგორ იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში? დიდ, გულამოცლილ გოგრას ხვრელს უკეთებენ და შიგ საჭმელს ყრიან. მაიმუნი ჩაყოფს ხელს გოგრაში, მუჭით იღებს საკვებს და უკან ამოღებისას დამუშტული მტევანი აღარ ეტევა ხვრელში. მოდიან მონადირეები, მაიმუნს გაქცევა უნდა, კივის, ჩხავის, მაგრამ ხარბია, საჭმელი არ ეთმობა, ხელი გოგრიდან ვერ გამოაქვს. ასე იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში!

იცით, როგორ იჭერენ ბანანა-თევზებს ამერიკაში? ახლახან ნახსენებ გოგრაში ბრინჯს ყრიან და წყალში ათავსებენ. შეცურდება სულელი ბანანა-თევზი, ჭამს ბრინჯს, ჭამს და მერე უზომოდ გაბერილი ვეღარ ეტევა ხვრელში, მოდიან მეთევზეები და წყლიდან ამოაქვთ გოგრა. ასე იჭერენ ბანანა-თევზებს ამერიკაში!

**ჩვენ ვერც სალაფავი დავთმეთ, ბიჭებო, ვიხმაურეთ და ვიყვირეთ, ამერიკასაც გადავძახეთ და აფრიკასაც, იაპონიასაც და ბურკინა-ფასოსაც, მაგრამ ხარბნი და უძლებნი ვერ გავეტიეთ იმ ხვრელში, რომლის იქით ულამაზესი, ლაღი და თავისუფალი სივრცე იქნებოდა... ასე დავმარცხდით ჩვენ აქ, საქართველოში.**

**ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ რა რუსეთს, ჩვენი ლიდერები საბელადო ფრაზებით საბელადო ქულებს იგროვებდნენ მიტინგებზე.** კრიტიკა — კრიტიკად, მაგრამ სად იყო, ის სიბრძნე, რომელსაც საქართველო ქარბორბალაში მოხვედრილი ხომალდივით უსაფრთხოდ უნდა გამოეტარებინა წყალქვეშა რიფებით დანაღმულ წყლებზე. სად იყო ის დიდოსტატი, 10-15 სვლით ადრე უნდა სცოდნოდა, თუ რა სიტუაცია შეიქმნებოდა პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, იმ დაფაზე, სადაც ხისგან გამოთლილი ფიგურები კი არა, ადამიანები იღუპებიან.

ხანდახან რეალობის შეგრძნებადაკარგულები სადღაც მოვისვრით ყუმბარას და არც ვუფიქრდებით, სად აფეთქდება...

**საქართველოს ნგრევა მისი სულის ნგრევიდან დაიწყო** („ინგლისელებს არ დაუპყრიათ ინდოეთი, იგი ჩვენ თვითონ მივეცით მას“, — მაჰათმა განდი).

ჩვენ, ყველამ ერთად გავწირეთ მათი და ჩვენი იმედი. რამდენი სიკეთე ხვდებოდა ხალხს გზადაგზა, რამდენი თანამდგომი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიავის მოწმეც გავხდებოდი ოდესმე. აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ — აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს ულელტეხილზე მოვეპყარით.

ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ ზნეობრივ ომში დავმარცხდით და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან!

**ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა კომფორტის თაობას დავამონებინეთ თავი. საქართველო მუხლებზე დაეცა ამ თაობის წინაშე. უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. ჩვენ დაგვამარცხეს ფულისა და უცხოეთის მაღაზიების კულტით, „ყოჩაღი ბიჭებისა“ და სიყალბის განდიდებით.**

ნებ, არც ჩვენი ისტორიული მახსოვრობის შრეებშია, ვმუხთლობთ ერთმანეთს, სანამ ასე გათითოკაცებული და კუთხეებად დაყოფილი უგუნურები და უსინდისოები სიძულვილს ვამეფებთ, სანამ ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ, სანამ ბოლმა გვახრჩობს, სანამ სრულიად საქართველოს სიყვარული და სინათლე, სრულიად საქართველოს სიკეთე და გონი სადღაც კუთხეში არ გვყავს მიმწყვდეული და განწირული, იქ ვიქნებით, იქ, სამუდამოდ — უფსკრულის ნაპირზე მდგარნი, ულელტეხილის სუსხსა და ქარში, ნისლსა და მარტოობაში, ერთა შორის ეულები, განგების მიერ დასჯილი, გადაგვარებული მამულიშვილები!

ჩარჩი გავიბატონეთ სულში, გავიმეფეთ, ჩარჩს დავაპყრობინეთ სულის უწმინდესი სფერო, გავიბინძურეთ სული და სულჩარჩიანებმა დიდჩინოსნებმა და წვრილმა სამხედროებმა, გაზულუქებულმა, ფუფუნებას დაჩვეულმა სამოქალაქოებმა, იქითურებმა და აქეთურებმაც ათასნაი-

ჩვენ ბრალმდებელთა ქვეყანა ვართ, სადაც ყველა ერთმანეთს განიკითხავს და ასამართლებს, საკუთარი თავი კი უცოდველი მიაჩნია. ანგელოზების მხარეშიც არ ხდება ასე!

ქვეყნის გამგებლებს არც ადრე ჰქონდათ გათავისებული და არც ახლა ახსოვთ ძველთუძველესი, ზეციური პრინციპი — რომ ისინი მწყემსები არიან — და საქართველოს ნებისმიერი მოსახლე შვილია მათი და ისე უნდა გაუფრთხილდნენ, ვით საკუთარ პირმშოს; გაუფრთხილდნენ, მიესათუთონ თავიანთ სამწყსოს და უყვარდეთ უკლებლივ ყველანი! უყვარდეთ და შეიყვარებენ! მამული, მთები და მდინარეები, გეოგრაფია და გეოპოლიტიკა კი არ არის მამული, არამედ ადამიანია!

და **სანამ თავად არ ჩავწვდებით ჩვენი სირცხვილის არსს, სანამ თავად არ ჩამოვირეცხავთ ლაფსა და ტალახს, სანამ არ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და სიძულვილის გარეშე, ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენი თანადგომით უნდა ვუკურნალოთ ერთმანეთსაც და უბედურებების რკალში მოწრიალე ქვეყანასაც, ჩვენ თავად უნდა დავდგეთ ფეხზე, თორემ სხვათა იმედით ვერასოდეს გავიმართებით წელში!**

არადა, დაწყევლილებიც ვართ — როცა ერთმანეთს მწარე, მაგრამ საჭირო სიმართლეს მივაგებებთ, ჩვენს სიტყვებს შორის აღარ ისმის გულის კაკუნივით ხმა — „ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ და მინდა, ყველას უყვარდე! უკეთესი მინდა იყო!“

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა 87 პროცენტით ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, ხოლო 95 პროცენტით — გადატრიალების მომწყობი სახელმწიფოს მეთაური. ნებისმიერი ნორმალური ქვეყნისათვის არანორმალური პროცენტებია. თუ მათთან ვითარება ასე წარიმართა, საგონებელში ჩავარდებიან. **ჩვენ ერთი კაცის შემყურე ქვეყანა ვართ! ჩვენ გვჭირდება ის ერთი კაცი იმისათვის, რომ მერე, როცა დრო დადგება, ყველაფერი მას გადავაბრალოთ. ჩვენ მისი მსხვერპლად შეწირვა გვჭირდება. ოღონდ ჩვენ არ ვიყოთ რამეში დამნაშავე! ჯერ ცაში ავტყორცნით მას, გავაღმერთებთ და მერე ერთგვარი სიამოვნებითაც დავანარცხებთ მიწაზე. ესაა ჩვენი ფარული უზნეო შეთქმულება! ისე ვცხოვრობთ, თითქოს იჯარით აღებულ ქვეყანაში ვიყოთ.**

ზოგიერთი ჩვენგანი დღეს თავს იმშვიდებს — ასეთ დღეში ჩავარდნილ სხვა ქვეყანას საქმე გაცილებით უარესად ექნებოდაო. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ეს ჩვენ რას გვიშველის? ან რას გვაძლევს ეს, თავს რატომ ვიტყუებთ? სხვებს შევეშვათ, მოდით, უპირველესად, პასუხი საკუთარ თავს მოვთხოვოთ; მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები — დიდნი და მცირენი. ჩვენ ხომ ცოდვამრავლები ვართ. ყველაფერი სულიერი განწმენდიდან უნდა დავიწყოთ და მხოლოდ შემდეგ განვიკითხოთ სხვები. ეს ხომ კაცური და პატიოსანი ქმედება იქნება. ძნელია და შეუძლებელი მოუნანიებელი სულით ცხოვრება“...

**«ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა უგუნურად მოვიქეცით სამეგრელოში, როცა უცოდველი ადამიანები დავსაჯეთ, უდანაშაულოებს დავერიეთ, ვძარცვეთ ჩვენი ხალხი. არ ზოგავდა ამ კუთხეს დამამხობელი ხელისუფლება და, ფაქტობრივად, სისხლისღვრისკენ, ომისკენ მოუწოდებდა მას; ცდილობდა, ბოლომდე მიეყვანა მისი პოტენცია, გულუბრყვილობაც; არ ზოგავდა ამ კუთხეს ახალი, ძველის იარაღით მძლეველი ხელისუფლება. და, საბოლოოდ, ცოდვათა მორევში ხალხი ისჯებოდა, ისჯებოდა სრულიად საქართველო. შედეგად, ბაბილონელებივით სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი დედაქალაქმა და პერიფერიებმა. ერთმანეთის ჭირისადმი ზედაპირულმა, აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთმანეთის სატკივარის ვერ გაგებამ, ღალატმა დაგვამარცხა»**

**ჩვენ ერთი კაცის შემყურე ქვეყანა ვართ! ჩვენ გვჭირდება ის ერთი კაცი იმისათვის, რომ მერე, როცა დრო დადგება, ყველაფერი მას გადავაბრალოთ**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლიაშკომ უკრაინის შს მინისტრს დებილი უწოდა

**უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატმა, სკანდალური გამოხდომებით განთქმულმა ოლეგ ლიაშკომ სოციალურ ქსელში უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს დებილი უწოდა.** ლიაშკოს ასეთი რეაქცია გამოიწვია ავაკოვის კრიტიკამ უკრაინელი რადიკალების ქმედებებზე, რომლებმაც მათთვის მიუღებელი დეპუტატები ნაგვის კონტეინერებში ჩააგდეს. „არსენ ავაკოვმა „მარგინალური დებილები“ უწოდა აქტივისტებს, რომლებმაც გალახეს შუფრიჩი. ავაკოვი თვითონ არის დებილი! ადამიანები ასე იმიტომ იქცევიან, რომ არ მოქმედებს კანონი. ყოფილი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ არ გამართულა სასამართლო პროცესი, — წერს ფეისბუქში“ ლიაშკო, რომელიც უკრაინის შს მინისტრს ნაგავსაყრელზე გადაგდებით დაემუქრა.



## ამერიკელებს ეჭვი ეპარებათ ობამას ადეკვატურობაში

**The Washington Post-ის ჟურნალისტმა კეტლინ პარკერმა თავის სტატიაში დაწერა, რომ ბარაკ ობამას არაერთმნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამერიკელებს კითხვას უჩენს — არის კი ადეკვატური აშშ-ის პრეზიდენტი?**

„მოქმედება სიტყვებზე მეტად ასახავს ადამიანის ბუნებას. ბევრი შეაძრწუნა იმ ფაქტმა, რომ ბარაკ ობამამ ჯერ „დიპლომატიურად“ დაგმო ამერიკელი ჯეიმს ფოულის დასჯა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მიერ, შემდეგ კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, გოლფის მანქანაში ჩახტა. დასჯა ცუდია, გოლფი — კარგი. ასეთია, როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია“, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და დასძენს: ამერიკელები ეჭვობენ, — მართლა აინტერესებს თუ არა პრეზიდენტს სახელმწიფოსა და მსოფლიოში შექმნილი ვითარება.

**„დაკავებულია პრეზიდენტი საქმით? საერთოდ, აღელვებს ის, რაც ხდება? ობამა ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებების მიღებას, გვიან რეაგირებს პრობლემებზე (ებოლას ვირუსის შეჭრა აშშ-ის ტერიტორიაზე), თუმცა ძველებურად მახვილგონიერია, როცა სურს, პასუხისმგებლობის ტვირთი სხვას აჰკიდოს“,** — ასკვნის კეტლინ პარკერი.




## ფლორიდელი მოსწავლეები სატანიზმის საფუძვლებს შეისწავლიან

**ფლორიდის შტატის (აშშ) სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სატანისტებს უფლება ეძლევათ, თავიანთი სახელმძღვანელოები და წიგნები სკოლებში მოსწავლეებს დაურიგონ.**

ამერიკის სკოლებში, ბავშვებს საბუნებისმეტყველო საგნები რომ შეასწავლონ, ხშირად იყენებენ გასაფერადებელ წიგნებს. მიმდინარე წელს ფლორიდის შტატის ორინჯის ოლქის სკოლის მოსწავლეებს შეეძლებათ, სწორედ ასეთი ფორმით გაეცნონ სატანიზმს.

„ბავშვების სამეცადინო დიდ სატანისტურ წიგნში“ მთავარი პერსონაჟები არიან ანაბელი და დემიენი. ისინი მკითხველს სატანისტურ რიტუალებზე მოუთხრობენ. ასეთი შინაარსის წიგნის გამოცემა შესაძლებელი შეიქნა ერთი თვის წინათ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ. ფლორიდის შტატის მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ, თუკი ორინჯის ოლქის სასწავლო დაწესებულებებში ნებადართულია ბიბლიისა და სხვა ქრისტიანული ლიტერატურის შეტანა და დარიგება, სხვა რელიგიის წარმომადგენლებსა და ათეისტებსაც აქვთ თავიანთი ნაწარმოებების გავრცელების უფლება.

რელიგიური მრწამსის თავისუფლებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ ისარგებლეს ანტიქრისტეს მიმდევრებმა და სკოლებში სატანისტური წიგნების გავრცელება დაიწყეს.

# აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ დიდი ხნის წინათ დაიგეგმა



**დამოუკიდებელი ბრიტანელი მკვლევარი სტივ მაკმილანი თავის ახალ სტატიაში წერს, რომ 1997 წელს დაარსებული ამერიკული არასამთავრობო პოლიტიკური ორგანიზაცია „პროექტი ახალი ამერიკული საუკუნე“ (Project for the New American Century (PNAC) აშშ-სა და მთელი დასავლური სამყაროს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ სამეცნიერო ცენტრად იქცა.**

„ამ ორგანიზაციის მოხსენებაში, რომელიც დასავლეთის მიერ „ტერორიზმთან ომის“ გამოცხადებამდე რამდენიმე წლით ადრე გამოქვეყნდა, ჩამოთვლილია აშშ-სადმი მტრულად განწყობილი ან ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის პოტენციურად სახიფათო 5 ქვეყანა. ასეთი სახელმწიფოების სიაში მოხვდნენ: ჩრდილოეთი კორეა, ერაყი, ირანი, სირია და ლიბია.

ამ „სამეცნიერო ცენტრის“ მეორე მოხსენებაში, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების მიმართ აშშ ვერ დაიწყებს აქტიურ მოქმედებას, „თუკი არ მოხდება მორიგი პერლ-ჰარბორი“.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ **აშშ დიდი ხნით ადრე ირჩევს მიზნებს მომავალი აგრესიისთვის, შემდეგ კი მასშტაბური ოპერაციის ჩასატარებლად მსოფლიოს საზოგადოებრიობას წინასწარ შემუშავებულ ოფიციალურ საბაბს წარუდგენს.** ვაშინგტონმა უკვე მიიტანა სამსხვერპლოზე ლიბია და ერაყი. რაც შეეხება სირიას, თეთრი სახლის წარმომადგენლებმა კარგა ხნის წინათ დაიწყეს საზოგადოებრივი აზრის მომზადება ამ ქვეყანაში ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლისთვის, როდესაც განაცხადეს, რომ ბაშარ ასადის მთავრობის ერთადერთ ალტერნატივად ე. წ. ზომიერ ოპოზიციას განიხილავენ. ვაშინგტონის ამ ნაბიჯების მიუხედავად, სირიის ამჟამინდელი ხელისუფლება მსოფლიოს აჩვენებს, რომ შეუძლია დამოუკიდებლად დაუპირისპირდეს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს და მზად არის, ასე განაგრძოს, თუკი აშშ, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საბაბით, სირიის სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურას არ გაანადგურებს.

სხვათა შორის, **ვაშინგტონი მარტო არ აპირებს სირიასთან ბრძოლას. სირიასთან შეიარაღებულ კონფლიქტში თურქეთის ჩართვის საკითხი, დიდი ხანია, გადაწყდა. საბაბიც კი შემუშავებულია: თურქეთს სურს, დაიცვას თავისი ეროვნული მემკვიდრეობა — ოსმალეთის იმპერიის მმართველთა სამარხები, რომლებიც სირიის ქალაქ ალეპოშია.**

თუკი თეთრი სახლის ამ **„ძალისხმევის“ შედეგად სირიის ხელისუფლება დაემხობა, ამერიკელთა შემდეგი ნაბიჯი ირანისკენ იქნება“**, — წერს სტივ მაკმილანი.




**«აშშ დიდი ხნით ადრე ირჩევს მიზნებს მომავალი აგრესიისთვის, შემდეგ კი მასშტაბური ოპერაციის ჩასატარებლად მსოფლიოს საზოგადოებრიობას წინასწარ შემუშავებულ ოფიციალურ საბაბს წარუდგენს»**




**ცნობისათვის:**

პროექტი „ახალი ამერიკული საუკუნე“ (Project for the New American Century (PNAC) — არასამთავრობო პოლიტიკური ორგანიზაცია აშშ-ში, რომელიც 1997 წელს შეიქმნა და 2006 წლამდე იარსება, დააფუძნეს უილიამ კრისტოლმა და რობერტ კაგანმა (აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ვიქტორია ნულანდის ქმარი). PNAC-ის ოფიციალური მიზანი იყო „აშშ-ის გლობალური ლიდერობის წინ წაწევა“. ამ ორგანიზაციის შექმნა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ „აშშ-ის ლიდერობა ერთნაირად კარგია, როგორც ამერიკისთვის, ისე მსოფლიოსთვის. PNAC-ის დიდი გავლენა ჰქონდა აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს. მან შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც დაკავშირებული იყო ერაყის ომთან.

## ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების აზრით, მშვიდობას აშშ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის, ვიდრე «ისლამური სახელმწიფო»




**ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ხელისუფლების მოქმედება ვითარების დესტაბილიზაციასა და, შედეგად, ახალი ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.**

სტუდენტური საინფორმაციო ვებგვერდის — Campus Reform-ის ჟურნალისტებმა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებს დაუსვეს კითხვა: „რომელი უფრო უქმნის საფრთხეს მშვიდობას მსოფლიოში — აშშ თუ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო?“ გამოკითხვის შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა.

„ამერიკული იმპერიალიზმი და აშშ-ის სწრაფვა, ხელში ჩაიგდოს ახლო აღმოსავლეთის ნავთობსაბადოები, რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს, რომელიც ისეთ დაჯგუფებას, როგორის არის „ისლამური სახელმწიფო“, ძალების მოკრების საშუალებას აძლევს“, — განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

„როგორც დასავლურ ცივილიზაციას, ჩვენ პასუხისმგებლობა გვეკისრება ბევრი პრობლემის შექმნის გამო, რომლებსაც ამჟამად ვაწყდებით. ვფიქრობ, არავინ კამათობს იმაზე, რომ ჩვენ შევქმენით პრობლემა, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ ჰქვია“, — თქვა ჰარვარდის მეორე სტუდენტმა.

**სტუდენტთა უმრავლესობის თვალსაზრისი ერთნაირი იყო: „ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფო“ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ხელისუფლების მოქმედების შედეგად შეიქმნა“, — იუწყება Fox News-ი.**



### ბელგრადში გეები ჯავშანტექნიკითაც ვერ დაიცვეს გალახვისგან

ევროკავშირის ზემოქმედებით სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის ხელისუფლებამ გეიაღლუმი ჩაატარა. ქალაქის ხელისუფლებამ, იცოდა რა, რომ მართლმადიდებლებს შეეძლოთ, შუაზე გაეგლიჯათ სოდომისტები, ქუჩაში შინაგანი ჯარების 7 ათასი მებრძოლი და ჯავშანტექნიკა გამოიყვანა რამდენიმე ასეული ჰომოსექსუალის დასაცავად. მართლმადიდებელი სერბეთისთვის ასეთი აქციები მიუღებელია, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ, მრავალრიცხოვანი დაცვის მიუხედავად, გეების მსვლელობა მათი ცემა-ტყეპით დასრულდა. ამის შემდეგ კი ბელგრადის ცენტრში ჯვრებითა და ხატებით ხელში ათიათასობით მართლმადიდებლის აქცია მოეწყო, უწმინდურობისგან განსაწმენდად.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჭეშმარიტების მომენტი აშშ-ისთვის

**მცირე შემოკლებით გთავაზობთ ამერიკელი ჟურნალისტის — პატრიკ ლ.სმიტის წერილს, რომელიც ამერიკულმა ინტერნეტგამოცემა Salon-მა გამოაქვეყნა. სმიტი ავტორია წიგნისა „დრო გავიდა: ამერიკელები ამერიკული საუკუნის შემდეგ“. 1985-1992 წლებში ის ხელმძღვანელობდა გაზეთ International Herald Tribune-ს საკორესპონდენტო პუნქტს ჰონკონგში, შემდეგ — ტოკიოში. ამჟამად თანამშრომლობს New York Times-სა და The Nation-თან.**



პატრიკ ლ. სმიტი

ბოლო ხანს ჩვენ არც ისე ბევრს ვკითხულობთ უკრაინის შესახებ. ასე არ არის? ბოლო წლების სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, ისიც გაქრა ჩვენი გაზეთების ფურცლებიდან. ამას აქვს თავისი მიზეზები: ვაშინგტონმა კიდევ ერთი მარცხი იწვნია, ამჯერად საკმაოდ სერიოზული. ჩვენ კი, ამერიკელებს, არ შეგვიძლია საკუთარ დამარცხებებსა და ჩავარდნებზე ლაპარაკი.

**აშშ-ისთვის ჭეშმარიტების მომენტად იქცა აღმოსავლეთ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელსაც 5 სექტემბერს მინსკში მოაწერეს ხელი უკრაინის, რუსეთისა და უკრაინის აღმოსავლეთში თვითგამოცხადებული ორი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.** ამ დოკუმენტით ვლადიმერ პუტინმა ბოლო მოუღო უაზრო ფარსს, რომლის მიხედვითაც უკრაინა უნდა მიბრუნებულიყო ევრო-ამერიკული ბანაკის მხარეს და ნეოლიბერალური დღის წესრიგი ლინოლეუმივით დაეფინა რუსეთის საზღვრებამდე.

**უკრაინაში ვიქტორია ნულანდისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სხვა თაყვანისმცემლების „წარმატებული“ მცდელობა სინამდვილეში იყო საშინელი მცდელობა, რომლის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი და დაინგრა ქალაქები, აგრეთვე, საწარმოო ინფრასტრუქტურა ქვეყნის აღმოსავლეთში.** და ყველაფერი ეს მოხდა დერეგულირებული კაპიტალისა და „თავისუფალი ბაზრის“ სახელით**. მოიძებნება კი დონეცკში რომელიმე ქვრივი, რომელიც შვილს ეტყვის: „მამაშენი იმიტომ დაიღუპა, რომ ამერიკელებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს ადამიანები, რომლებსაც სურდათ, ისეთ კომპანიებს, როგორიც არის „შევრონი“, მიეღოთ მოგება ჩვენი რესურსების გამოყენებითა და ჩვენი ოჯახის სიღარიბისთვის გაწირვით“?**

მინსკის შეთანხმების ოქმი ითვალისწინებს 30 კმ სიგანის დერეფნის შექმნას კიევის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებსა და ქვეყნის იმ აღმოსავლეთ ნაწილებს შორის, სადაც რუსული ენა პირველია და სადაც თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული კაპიტალიზმის მომხიბვლელობამ დამაჯერებლად ვერ იმუშავა. ყველაფერი ეს სალი აზრის გამოვლინებაა.

**მომავალში დონბასმა უნდა მიიღოს ავტონომიის გარკვეული ხარისხი, რომელიც იმაზე მეტი იქნება, რასაც ამ მომენტში კიევის არაგულწრფელი წინადადებები ითვალისწინებს. გარდა ამისა, აღმოსავლეთი რეგიონი ჩაატარებს თავის არჩევნებს, რომლებიც, კიევის წინააღმდეგობის მიუხედავად, 2 ნოემბერსაა დანიშნული.**

ჩვენ მოწმენი ვართ უკრაინის ფედერალიზაციისა — ეს, დასაწყისშივე, წინსვლის გონივრული ვარიანტი იყო. და ეს შეიძლება, ჩაითვალოს ამ ორ ერს შორის განსხვავების ანარეკლად. მაგრამ უკრაინის ფედერალიზაციის წინააღმდეგია რუსეთის ლიდერი ვლადიმირ პუტინი და ამიტომ ასეთი გადაწყვეტილება მართებული არ იქნება.

პროცესი გრძელდება და ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, **არის თუ არა ეს წარმატება ნეოკონსერვატორებისა სახელმწიფო დეპარტამენტიდან ან ყალბი ფონდებისა და სპონსორი სახელმწიფოებისა, რომელთა მოღვაწეობაც მიმართულია პლანეტაზე არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების კორპორაციზაციისკენ.**

ძალიან ბევრია მსხვერპლი, ძალიან ბევრია ნგრევა, უკრაინის ახალი ხელისუფლება კორუფცირებული და არაკომპეტენტური ხელმძღვანელების მორიგი გუნდი აღმოჩნდა და ყველაფერმა, რაც გაკეთდა, მხოლოდ გააძლიერა მტრობა. და რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ წარმატებაზე, არც დამარცხებაზე და არც ჩავარდნაზე, საერთოდ არაფერზე ვლაპარაკობთ.

**ძალიან მიხარია, რომ ჩემს ქვეყანას კიდევ ერთხელ ვხედავ დამარცხებულს, და მიხარია ამ სიტყვების კვლავ გამეორება. დამარცხება და ჩავარდნა — სწორედ ეს გვჭირდება ჩვენ, ამერიკელებს, უცხოეთში მოქმედებისას. სწორედ ამაზე უნდა ვისაუბროთ, უწინარესად.**

**«ძალიან ბევრია მსხვერპლი, ძალიან ბევრია ნგრევა, უკრაინის ახალი ხელისუფლება კორუფცირებული და არაკომპეტენტური ხელმძღვანელების მორიგი გუნდი აღმოჩნდა და ყველაფერმა, რაც გაკეთდა, მხოლოდ გააძლიერა მტრობა»**



**«მოიძებნება კი დონეცკში ქვრივი, რომელიც შვილს ეტყვის: »მამაშენი იმიტომ დაიღუპა, რომ ამერიკელებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს ადამიანები, რომლებსაც სურდათ, ისეთ კომპანიებს, როგორიც არის «შევრონი», მიეღოთ მოგება ჩვენი რესურსების გამოყენებითა და ჩვენი ოჯახის სიღარიბისთვის გაწირვით?»**

ასეთი აზრი მწარე იქნება ბევრისთვის, მიუღებელი — დანარჩენებისთვის; ისეთებიც იქნებიან, რომლებიც იტყვიან, კომენტატორი ანტიამერიკელიაო, — ეს ძველი და გაცვეთილი ფრაზაა. დღეს ასეთი საუბრები მოწყენილობას მგვრის.

საგარეო პოლიტიკაში მოღვაწე ჩვენი დაჯგუფებები კვლავაც „ჩაციკლულები“ არიან ამერიკის ხელისუფლების გავლენის გაფართოებაზე. ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ შეიცვალა 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის პერიოდიდან. აი, ეს არის ამოცანა და ასეთი მიზნის შესანარჩუნებლად საჭიროა, მარცხზე საუბარს თავი აარიდო.

**პოლიტიკის სფეროში ჩავარდნას ჩავარდნაზე ვხედავთ — ამ ბაღს სარეველები მოედო — მაგრამ ვაშინგტონის მიერ დაშვებულ შეცდომებზე არავინ ლაპარაკობს.**

პოლიტიკა ყოველთვის იყო თვალსაზრისი და იმის ანარეკლი, რასაც ცოდნას ვუწოდებთ, და როგორია ამ შემთხვევაში ეს თვალსაზრისი და ცოდნა. საილუსტრაციოდ ორ მარცხს მოვიყვან.

**პირველი — ეს არის იდეოლოგიური სამოსი, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში იყო გამოწყობილი ამერიკის ინტერვენციული საქციელი უცხოეთში.**

ეს არის განსაკუთრებულობის ნარატივი (ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენების თანამიმდევრული მონათხრობი). სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნულანდი, ალბათ, კომპანია „შევრონის“ აზრასთან იდგა, როდესაც თავის სიტყვაში, რომელმაც პორტალ You Tube-ზე პოპულარობა მოიხვეჭა, ვაშინგტონისა და მრავალრიცხოვანი ამერიკული კომპანიების მხრიდან უკრაინაზე დახარჯულ 5 მილიარდ დოლარზე ლაპარაკობდა.

**სიცრუე კი მდგომარეობდა იმის წარმოჩენის მცდელობაში, რომ ეს ყველაფერი თავისუფლებისთვის და დემოკრატიის ჩირაღდნის ასაგიზგიზებლად გაკეთდა.**

ვუდრო ვილსონის ცნობილი სიტყვიდან 97 წლის შემდეგ ყველა მცდელობა, მსოფლიო გახდეს დემოკრატიისთვის უსაფრთხო, მოტყუებაა. ასეთ შემთხვევაში შედეგი აუცილებლად არის ჩავარდნა, რომელსაც უკრაინის მაგალითი ადასტურებს.

**მეორე — ეს არის ნეოლიბერალური წესრიგი და მისდამი ვაშინგტონის მხარდაჭერა.** გარდა ამისა, აშშ ხშირად აჩვენებს, რომ არ შესწევს უნარი, აღიაროს შეცდომები და ისწავლოს მათზე.

ამ მხრივ საინტერესოა უკრაინაში მომხდარი: იმ ადამიანებს, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ კიევის სვლას დასავლეთისკენ, აქვთ რამდენიმე მიზეზი — ისტორიული, კულტურული, ნათესაური, მაგრამ ეს არის აღიარებაც იმ ფაქტისა, რომ რუსეთთან კარგა ხნის წინათ ჩამოყალიბებული ურთიერთობების გაცვლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაგეგმილ მკაცრი ეკონომიის პირობებში ცხოვრებაზე, ცუდი გარიგებაა.

**ალბათობა საშუალო შემოსავლის მქონე ერებისა — ინდოელების, ჩინელების, რუსების, ირანელებისა და სხვების — ატლანტიკურ უპირატესობას არადასავლურ ალტერნატივას შეუქმნის. საჭირო არ არის, გენიოსი იყო, ეს რომ დაინახო; ამისთვის საჭიროა მიუკერძოებლობა, თვალის გახელა, თვითმფრინავის ბილეთის აღება და დანიშნულების ადგილებში მოგზაურობა. მომავალი ცვლილებების დამადასტურებელი ნიშნები ყველგან ჩანს.**

**ამერიკის დღეები შეიძლება კიდევ დაბრუნდეს და ამერიკელებს მისცეს არსებული პოლიტიკური სისტემის განახლების ან შეცვლის საშუალება. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სისტემა ხალხის ნებას ასახავდეს, მაგრამ ჯერ ამერიკის დღეები უნდა დასრულდეს.**

**„სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნულანდი, ალბათ, კომპანია „შევრონის“ აზრასთან იდგა, როდესაც თავის სიტყვაში, რომელმაც პორტალ You Tube-ზე პოპულარობა მოიხვეჭა, ვაშინგტონისა და მრავალრიცხოვანი ამერიკული კომპანიების მხრიდან უკრაინაზე დახარჯულ 5 მილიარდ დოლარზე ლაპარაკობდა. სიცრუე კი მდგომარეობდა იმის წარმოჩენის მცდელობაში, რომ ეს ყველაფერი თავისუფლებისთვის და დემოკრატიის ჩირაღდნის ასაგიზგიზებლად გაკეთდა“**

**პატრიკ ლ. სმიტი**
Salon (აშშ)

SALON

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ევროპული, რუსული და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი ედვარდ გალაჰერი პოროშენკოს კოლომოისკით შეცვლის აგიტაციას ეწევა და ამ უკანასკნელის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მის კონტროლს დაქვემდებარებულმა დეპუტატებმა რადაში გაიტანეს გაზის ტრანსპორტირების ეროვნული სისტემის გადაცემის გადაწყვეტილება ამერიკელი და ევროპელი ინვესტორებისადმი.**

# დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება


გულბაათ რცხილაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №35-36 (270-271)

## უკრაინის დესუვერენიზაცია და კრახი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასავლეთს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამორჩილება სურს და არა მათთან მეგობრობა. დასავლელი პოლიტიკოსების აგდებული დამოკიდებულება უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, მიმართ, ჩანდა მათი ქცევიდან მაიდანზე. ევროპარლამენტარებისა და ამერიკული სათამაშოს — ფორმალურად ქართველი სააკაშვილის შემდეგ, **2013 წლის დეკემბერში კიევში გადმოსხეს ქალების „დესანტი“ ევროკომისარ ქეთრინ ეშტონისა და ამერიკელი დიპლომატის — ვიქტორია ნულანდის სახით. „დასავლეთის ქალებმა“ უხეში ფორმით მოსთხოვეს იმჟამინდელ პრეზიდენტ იანუკოვიჩს, შეეწყვიტა ბარიკადების გაწმენდა — იმ დროისთვის ხელისუფლებამ მოახერხა, მშვიდობიანად გაეთავისუფლებინა „მაიდნის“ დიდი ნაწილი ბარიკადების ნაგვისგან. ეს გაუგონარი მოთხოვნა იყო, მაგრამ 48-მილიონიანი უკრაინის სუვერენიტეტი არ აღმოჩნდა სათანადო დონეზე და ხელისუფლება დაჰყვა დიპლომატი ქალების ზემოქმედებას.** საქართველოში ბევრმა იხილა ტელევიზიით, თუ როგორ ურიგებდა ქალბატონი ნულანდი „მაიდანზე“ ნამცხვრებს მომიტინგეებს და წესრიგის დამცველებს. ეს კადრები ყველაფერზე მეტყველებს — უკრაინამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ამ კონკრეტული მომენტისთვის უკვე განიცადა კრახი.

მაგრამ საქმე მარტო გარეგნულ ეფექტებში როდია. ფაქტობრივად, უკრაინას ულტიმატუმი წაუყენეს: ან ხელს მოაწერთ ასოციაციის ხელშეკრულებას მასში კორექტივების შეტანის გარეშე, ან ხელისუფლება დაემხობა. **მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დასავლეთი ასეთი ტონით ესაუბრებოდა კორუფცირებულ იანუკოვიჩს, რადგან ის მაინც საყოველთაოდ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი იყო. თავისი ქცევით დასავლეთმა შეგნებულად გათელა უკრაინის სუვერენიტეტი, რადგან მისი ამოცანა იყო ის, რაზეც ვისაუბრეთ — დამორჩილება, პარტნიორობის ნაცვლად.**

ვნახოთ, თუ როგორ ჩამოიქცა უკრაინის სუვერენიტეტი, პრაქტიკულად, მთლიანად, იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ: **უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდა არსენი იაცენიუკი, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი — პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე ტურჩინოვი. როგორც უკვე ვახსენეთ, ორივე სექტანტებს წარმოადგენენ და არსებითად აზროვნებენ ანტიმართლმადიდებლური კატეგორიებით. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის სავარძელში კვლავ ჩაჯდა ვალენტინ ნალივაიჩენკო — „მაიდნის“ მიმდინარეობისას „მემარჯვენე სექტორის“ მფარველი და ცსს-ს გაშიფრული აგენტი, რომელიც დიდად არც ფარავს თავის კავშირებს ამერიკულ სპეცსამსახურებთან. მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2013 წელს საქმე იყო აღძრული სახელმწიფო საიდუმლოებების გამჟღავნების გამო 2008-2010 წლებში, როცა ის ასრულებდა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობას.**

უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე **რენატ კუზმინი** (2013 წ., სექტემბერი): „დეპუტატების განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის წარმოება სახელმწიფო საიდუმლოების გაცემასთან დაკავშირებით, უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის — ნალივაიჩენკოს მიერ. ამჟამად საუბარია საიდუმლო მასალების გამჟღავნებასა და კონფიდენციალური მონაცემების გადაცემაზე. კერძოდ, მოწმდება ინფორმაცია, სახალხო დეპუტატების მიერ მოწოდებული, რომ ბ-ნმა ნალივაიჩენკომ ცსს-ს თანამშრომლებს გამოუყო ცალკე კაბინეტი უშიშროების სამსახურის მთავარ შენობაში და მისცა მათ საშუალება, გაცნობოდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. ამასთან, არც ერთ უცხოელ სპეციალისტს ამგვარ სამუშაოსთან დაშვება ოფიციალურად არ მიუღია. ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების შეკრება, იკითხებიან უშიშროების სამსახურის სხვა თანამშრომლები, ტარდება ექსპერტიზები“.

**აი, სწორედ ეს ნალივაიჩენკო „იზრუნებს“ ამიერიდან უკრაინის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებაზე. ნათელია, რომ მთავარ იდეოლოგიურ მეტოქედ ის მიიჩნევს არა ამერიკულ სექტებს, არამედ მართლმადიდებლობას, მართლმადიდებელ ცივილიზაციას, მისი გაგებით, ფუნდამენტალიზმს.**

აი, **ციტატა ნალივაიჩენკოს ინტერვიუდან** სავიკ შუსტერის გადაცემაში: **„უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ლიდერები მოწამლულნი არიან ევროაზიატული ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიით. მათ გამოზარდეს რუსი სამხედროების მთელი თაობა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ უკრაინის ტერიტორიაზე უნდა გაანადგურონ უკრაინელები — ისინი, ვისაც განსხვავებული აზრი და ცხოვრების წესი აქვთ, ვიდრე მათ პროფაშისტურ და ევრაზიულ წარმოდგენებშია. საშიშროება ისაა, რომ ამის წარმოჩინება ხდება, როგორც მართლმადიდებლობის ახალი ტალღა — მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი. ეს საშიში იდეოლოგიაა, რომელიც გამოიყენება ამ ჰიბრიდულ ომში“.**


„აჰა, ჭამე, მურიავ!“

**ბანდერას ფანებმა, რომლებიც ჩირაღდნებით მსვლელობებს აწყობდნენ ქალაქების ქუჩებში, უპრეცედენტო ვერაგობა და სისასტიკე გამოავლინეს, როდესაც ოდესელი მომიტინგეები — «ანტიმაიდნელები» — პროფკავშირების სახლში შერეკეს, შენობას ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლად დაწვეს თანამოქალაქეები**

ამის შემდეგ როგორ უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ დასავლეთის მიერ უკრაინის დამორჩილება სხვა, უფრო ფართო მიზნებს არ ემსახურება? თუკი მოვახდენთ ნალივაიჩენკოს აზრის პროეცირებას მართლმადიდებელი ფუნდამენტალიზმის მიმართ დასავლეთის პოლიტიკაზე, მივიღებთ შემდეგ ფორმულას: **აშშ-ის სპეცსამსახურებმა გამოზარდეს პოლიტიკოსების მთელი თაობა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ უნდა განადგურდეს ყველა, ვისაც განსხვავებული აზრი და ცხოვრების წესი აქვთ, ვიდრე დასავლურ (ლიბერალურ) წარმოდგენებშია; ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მართლმადიდებლური აზროვნება პოლიტიკაში; იდეოლოგია, დაფუძნებული მართლმადიდებლურ ფასეულობებზე, რომელიც აერთიანებს ხალხს დასავლური ნეოლიბერალური ფსევდოფასეულობების წინააღმდეგ.**

მაგრამ განვაგრძოთ პრეზიდენტ იანუკოვიჩის დამხობის შედეგების განხილვა უკრაინის სახელმწიფოსთვის. **ნალივაიჩენკოს გარდა, „მაიდანმა“ სახელმწიფოს სათავეში მიიღო ისინი, ვის წინააღმდეგაც იბრძოდნენ კორუფციაში ჩაფლული ოლიგარქები. პეტრე პოროშენკო (ნამდვილი გვარია ვალცმანი, ხოლო პოროშენკო არის დედის გვარი) პრეზიდენტად აირჩია არეულობისგან დაღლილმა ქვეყანამ. იგი ცნობილია, როგორც ოდიოზური „მე-5 არხის“ მფლობელი, რომელიც იყო „მაიდნის“ მედიური რუპორი, ასევე, მის საკუთრებაშია კიევის ვერფი „ლენინსკაია კუზნია“, კორპორაცია „ბოგდანი“, ლუცკის საავტომობილო ქარხანა და საკონდიტრო კორპორაცია „როშენი“. ამ უკანასკნელის დასახელება, როგორც ამბობენ ინფორმირებული ადამიანები, მოიგონა მისმა ცოლმა, პოროშენკოს გვარიდან პირველი და ბოლო მარცვლის გამოკლებით. პოროშენკოს ქონება შეფასებულია 2-დან 3 მილიარდ დოლარამდე. მამამისი, ალექსეი ვალცმანი, ქორწინების შემდეგ პოროშენკოდ ქცეული, საბჭოთა კავშირის პერიოდში ნასამართლევი იყო ქონების დატაცების გამო.** თვითონ პეტრე ალექსეევიჩი 1990-იან წლებში გამდიდრდა. მას არ უყვარს თავისი ებრაული ფესვების გახსენება და გაღიზიანებულიც იყო, როცა ჟურნალმა „ფორბსმა“ შეიყვანა „მსოფლიოს 165 ყველაზე მდიდარი ებრაელის“ სიაში. ფიცხი, შურისმაძიებელი, ზედმეტად ამბიციური პოროშენკო მართლმადიდებელია, მაგრამ თავისი თვისებების, დიდ პოლიტიკაში გამოუცდელობისა და მისი საფინანსო აქტივების დასავლეთის ბანკებზე დამოკიდებულების გამო მისაღებია დასავლელი პოლიტიკოსებისთვის, როგორც მართული „პარტნიორი“.

**ებრაულ წარმომავლობას არ მალავს და, უფრო მეტიც, წარმატებით იყენებს საკუთარი ბიზნესის გასაძლიერებლად ამჟამად უკრაინის ყველაზე გავლენიანი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი. ანგარიშიანი და დაუნდობელი კოლომოისკი, რომელმაც უზარმაზარი ქონება 1990-იან წლებში, განგსტერული „გარჩევების“ შედეგად დააგროვა (კოლომოისკი სიმდიდრით მესამეა უკრაინაში, საქართველოშიც აქვს მას ბიზნესინტერესები „პრივატბანკის“ სახით), „მაიდანს“ აფინანსებდა, ხოლო გადატრიალების შემდეგ დნეპროპეტროვსკის გუბერნატორის სავარძელი მიიღო და თავისი ფინანსური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერებით არის დაკავებული. კოლომოისკიმ დააფინანსა და შეაიარაღა აჯანყებულებთან ბრძოლაში განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ბატალიონები: „დნეპრი“, „აზოვი“, „აიდარი“, „დონბასი“.** ამასთანავე, ჩადებული ფული „ზენიამ“ სარგებლით ამოიღო არმიაში საწვავ-საპოხი მასალების მიწოდებაზე მონოპოლიით. ეყრდნობა რა თავის კერძო არმიაში თავმოყრილ „ბოევიკებს“, კოლომოისკი მიიჩნევს, რომ უკრაინის ახალ ხელისუფლებას უკარნახებს, საით უნდა აიღონ კურსი. კოლომოისკის ლობი აშშ-ში უკვე მოქმედებს. მაგალითად, **ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ევროპული, რუსული და ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი ედვარდ გალაჰერი პოროშენკოს კოლომოისკით შეცვლის აგიტაციას ეწევა და ამ უკანასკნელის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მის კონტროლს დაქვემდებარებულმა დეპუტატებმა რადაში გაიტანეს გაზის ტრანსპორტირების ეროვნული სისტემის გადაცემის გადაწყვეტილება ამერიკელი და ევროპელი ინვესტორებისადმი.** გალაჰერი ამტკიცებს, რომ ლოგიკური იქნებოდა, „ადამიანმა, რომელსაც ასეთი ფინანსური და პოლიტიკური რესურსები და კავშირები აქვს აშშ-ში, ევროპასა და ისრაელში, უფრო მეტი უფლებამოსილებები მიიღოს, ვიდრე მხოლოდ ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორობაა“. პოროშენკო ცდილობს, ღიად არ დაუპირისპირდეს კოლომოისკის და იმალება მისი მოწინააღმდეგე სხვა ოლიგარქების ზურგს უკან (ახმეტოვი, ფირტაში და ა. შ.).

აი, ასეთი უსინდისო ოლიგარქების სათარეშო ადგილად გადააქციეს სუვერენული“ უკრაინა, რომელმაც გაზაფხულზე მაინც მოაწერა ხელი ევროასოციაციას. როგორც ნახსენები იყო, კოლომოისკის მცდელობით, უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემა, რომელიც მანამდე ეროვნულ საკუთრებად ითვლებოდა, უცხოელებს გადაეცა. **აშშ-ის ადმინისტრაცია ტყუილად როდი ცდილობდა „ევრომაიდანის“ მოწყობას: გარდა გეოპოლიტიკური ამოცანებისა, ის თავის ფინანსურ ინტერესებსაც იკმაყოფილებდა. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, შვილი ჰანტერი გადატრიალების შემდეგ უკრაინაში ენერგეტიკული ბიზნესის პირდაპირი მონაწილე გახდა და მიიღო ადგილი უკრაინული გაზის მწარმოებელ ყველაზე დიდი კომპანია Burisma Holdings-ის დირექტორთა საბჭოში.** როგორც ჩანს, ახლა, უმაღლესი რადის მიერ შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ, დასავლური ემისრები გახდებიან სახელწიფო კომპანიების — „ნეფტოგაზისა“ და „უკრტრანსგაზის“ ან იმ ახალი კომპანიების მენეჯერები, რომელთა შექმნას კიევი აპირებს მათ საფუძველზე. საინტერესოა, რომ კანონი დასავლელი ლობისტების ზეწოლით იქნა მიღებული — 3 ივლისს კანონპროექ-

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნალივაიჩენკოს გარდა, „მაიდანმა“ სახელმწიფოს სათავეში მიიღო ისინი, ვის წინააღმდეგაც იბრძოდნენ კორუფციაში ჩაფლული ოლიგარქები. პეტრე პოროშენკო (ნამდვილი გვარია ვალცმანი, ხოლო პოროშენკო არის დედის გვარი, რომელიც პოროშენკოს მამამ მეუღლისგან აიღო ქორწინების შემდეგ) პრეზიდენტად აირჩია არეულობისგან დაღლილმა ქვეყანამ. იგი ცნობილია, როგორც ოდიოზური „მე-5 არხის“ მფლობელი, რომელიც იყო „მაიდნის“ მედიური რუპორი, ასევე მის საკუთრებაშია კიევის ვერფი „ლენინსკაია კუზნია“, კორპორაცია „ბოგდანი“, ლუცკის საავტომობილო ქარხანა და საკონდიტრო კორპორაცია „როშენი“.**

◀ ტი ვერ გავიდა დეპუტატთა ნაწილის წინააღმდეგობების გამო (224 ხმის ნაცვლად, მხოლოდ 170 მიიღო), მაგრამ მეორე დღეს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ყველაფერი მოგვარდა — წინააღმდეგი არავინ წასულა.

ცხადია, რომ ამერიკელებს არ დააკმაყოფილებს მხოლოდ მილსადენის ბიზნესი ან გაზის საცავები. ისინი ქვეყნის აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, სადაც მდებარეობს ფიქლური გაზის საბადოები. სწორედ სლავიანსკისა და კრამატორსკის რაიონში, სადაც ივლისის დასაწყისამდე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, აღმოჩენილია ფიქლური გაზის რეზერვები უკრაინაში, რომელიც აინტერესებს ამერიკელებს. ამ გაზის მოპოვება მიზანშეწონილია ნაკლებად დასახლებულ ადგილებში (სერიოზული ეკოლოგიური რისკების გათვალისწინებით), მაგრამ არც კიევსა და არც დასავლეთს არ აინტერესებთ რეგიონის ეკოლოგია და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობა.

**2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უკრაინამ სწრაფად შეიძინა ქვეყანა-კოლონიის ნიშნები. ვალის გადაუხდელობის გამო რუსეთმა გაზის მიწოდება შეუწყვიტა და კიევის სახლების უმეტესობაში უკვე ზაფხულში არ იყო ცხელი წყალი. „მხიარული“ ზამთარია მოსალოდნელი... ფასები კომუნალურ მომსახურებაზე ორჯერ გაიზარდა, გაძვირდა საკვები პროდუქტები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი საშიშად დეფიციტური გახდა. ახალი ამბებიდან (უკრაინული წყაროები):**

„უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 2014 წლის იანვარ-ივნისში შეადგენდა 22 მილიარდ 686.3 მილიონ გრივნას, რაც შეესაბამება წლიური მაჩვენებლის 68 მილიარდ 564.3 მილიონის 33.1%-ს, რომელიც დამტკიცებული იყო უმაღლესი რადის მიერ 2014 წლის 27 მარტს. ამის შესახებ იტყობინება უკრაინის ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახური. ამასთანავე, 2014 წლის 5 თვის მონაცემებით, დეფიციტი შეადგენდა მხოლოდ 12 მილიარდ 224 მლნ გრივნას. ამგვარად, ივნისის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ერთბაშად 1.85-ჯერ გაიზარდა“.

„ინფლაციამ უკრაინაში 2014 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 11.6%, მშპ 3%-ით დაეცა, ხოლო გრივნის კურსი დევალვირებულია 47%-ით.— აცნობა სააგენტო "უნიანს" ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ანატოლი მაქსიუტამ. „წლის პირველ ნახევარში, ჩვენი გათვლებით, მშპ-ს დაცემა შეადგენს 3%-ს. ჩვენი პროგნოზი წლის ბოლომდე — მშპ-ს შემცირება 6%-ით, ინფლაცია — 19%-ით“, — პროგნოზირებს მაქსიუტა. მან აღნიშნა, რომ მისი სამინისტრო არ მოელის გრივნის კურსის მკვეთრ დაცემას და იმედოვნებს, რომ სავალუტო ფონდის მორიგი ტრანში სიტუაციის სტაბილიზაციას მოახდენს სავალუტო ბაზარზე. მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ უკრაინული საქონლის ექსპორტი რუსეთში ხუთი თვის განმავლობაში 24%-ით დაეცა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მთლიანობაში უკრაინული საქონლის და მომსახურების ექსპორტი 5 თვის განმავლობაში 8.4%-ით შემცირდა. ამასთანავე, იმპორტის შემცირებამ 16.2% შეადგინა.

**ცხადად ჩანს ეკონომიკის ნგრევა და უკრაინის სრული დამოკიდებულება საერთაშორისო სავალუტო ფონდზე და სხვა საფინანსო ინსტიტუტებზე, რომლებშიც დომინირებენ დასავლეთის ქვეყნები. უკრაინა ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამორჩილებული გახდა. დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება, მაგრამ პრობლემებს ქმნის დონბასის ურჩობა. ხოლო შემდეგი გაჩერება, უკრაინელი ნაციონალისტების პატრონების გათვლით, რუსეთია.** ტყუილად როდი ჩაფრინდა კიევში გადატრიალების შემდეგ პრეზიდენტ პუტინის მიერ შეწყალებული ეკონომიკური დამნაშავე მიხაილ ხოდორკოვსკი, რომელმაც სტუდენტებს მიმართა მეფის რუსეთთან მებრძოლი პოლონელი ნაციონალისტების ცნობილი ლოზუნგით: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისთვის!“, ხოლო გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ ხელოვნურად შექმნილმა „ოპოზიციონერმა“ ალექსეი ნავალნიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ხაზი გაუსვა უკრაინის ფაქტორის მნიშვნელობას რუსეთში პროდასავლური ძალების გამარჯვებისთვის.

## რატომ არ მოისურვა ყირიმისა და დონბასის მოსახლეობამ უკრაინის შემადგენლობაში ცხოვრება

2010 წელს არჩეულმა იანუკოვიჩმა სწრაფად მიიღო ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებული ძალზე სწორი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: გამოაცხადა უკრაინის არასაბლოკო სტატუსი და პრაქტიკულად გამორიცხა ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა. ეს გადაწყვეტილება საკანონმდებლო დონეზე გამყარდა (უკრაინელთა 60%, გამოკითხვების თანახმად, ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო). გარდა ამისა, იანუკოვიჩმა გაახანგრძლივა რუსეთის სამხედრო ბაზის სევასტოპოლში ყოფნის ვადა გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილებები ხელს აძლევდა უკრაინის მოსახლეობას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რეგიონებსა და ყირიმში. ყველაფერი მშვიდად იყო და არავინ ფიქრობდა უკრაინის შემადგენლობიდან გამოსვლაზე. **მართლმადიდებელი ცივილიზაციისადმი კუთვნილება ნიშნავს იმას, რომ უკრაინელთა უმრავლესობას არ სურდა დასავლური სამხედრო ალიანსის შემადგენლობაში ყოფნა, რომელიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო იანუკოვიჩის დამამხობელი ძალები პროპაგანდას უწევდნენ დასავლეთთან რადიკალურ დაახლოებას, ნატოს შემადგენლობაში შესვლის ჩათვლით. ეს კი მიუღებელი იყო ყირიმისა და აღმოსავლეთის რეგიონებისთვის.**

მეორე ადგილზეა **ენობრივი ფაქტორი. გადატრიალების შემდეგ, მეორე დღესვე გაუქმდა რუსული ენის რეგიონული სტატუსი. ნაციონალისტები პარლამენტში ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს, მაგრამ უკრაინის მოსახლეობა ამით არ აღფრთოვანებულა.**

„მაიდნის“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შეჭრილიყო საეკლესიო-რელიგიურ სფეროშიც. **გადატრიალების შემდეგ „მაიდნის“ შეიარაღებულმა აქტივისტებმა ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყეს კიევ-პეჩორის ლავრას და მონასტერს სუმში. ისინი მოითხოვდნენ ამ მართლმადიდებელი წმინდა ადგილების დაქვემდებარებას არაკანონიკური ნაციონალისტი „პატრიარქი“ ფილარეტისთვის. რა თქმა უნდა, ამგვარმა ქმედებამ სულაც არ გაზარდა „მაიდნელების“ მიმართ ნდობა მორწმუნეთა რიგებში.**


ალექსანდრე ტურჩინოვი

**უკრაინის პრემიერმინისტრი გახდა არსენი იაცენიუკი, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი — პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე ტურჩინოვი. როგორც უკვე ვახსენეთ, ორივე სექტანტებს წარმოადგენენ და არსებითად აზროვნებენ ანტიმართლმადიდებლური კატეგორიებით. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის სავარძელში კვლავ ჩაჯდა ვალენტინ ნალივაიჩენკო — «მაიდნის» მიმდინარეობისას «მემარჯვენე სექტორის» მფარველი და ცსს-ს გაშიფრული აგენტი, რომელიც დიდად არც ფარავს თავის კავშირებს ამერიკულ სპეცსამსახურებთან**


ნალივაიჩენკო „მემარჯვენე სექტორის“ ფაშისტური დროშის ფონზე

მთლიანობაში, ბევრი უკრაინელი, როგორც აღმოსავლეთში, ასევე ცენტრში, ნეგატიურად აღიქვამს უკრაინელი ნაციონალისტების „გმირს“ — სტეპან ბანდერას. ნაციონალისტების ერთგულება „ბანდეროვშჩინის“ მიმართ აღმოსავლეთ უკრაინელების გაღიზიანებას იწვევს. ბანდერა ფაშისტად ითვლება (ომის და დაკითხვების მეთოდები ბანდერასა და შუხევიჩის რაზმებს კიდევ უფრო სასტიკი ჰქონდათ, ვიდრე გერმანელ „ესესელებს“. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი უკრაინელი „პატრიოტები“ გერმანელებს ტოლს არ უდებდნენ ანტისემიტიზმში — სხვათა შორის, ცალკე კვლევის თემაა, თუ როგორ მოახერხეს კოლომოისკისნაირმა ებრაული წარმოშობის ოლიგარქებმა, რომელიც მფარველობს დნეპროპეტროვსკის სინაგოგას, საერთო ენის გამონახვა თანამედროვე ბანდერელებთან და რაში მდგომარეობს მათი თანამშრომლობის აზრი), ხოლო ფაშიზმის ნებისმიერი გამოვლინება მიუღებელია მართლმადიდებლური ცნობიერების მქონე ადამიანისთვის.

ფაშიზმი არ რჩება მხოლოდ თეორიისა და სიმბოლური თაყვანისცემის დონეზე, ის აუცილებლად გამომჟღავნდება პრაქტიკაში. ზუსტად ასე მოხდა თანამედროვე უკრაინაში. **ბანდერას ფანებმა, რომლებიც ჩირაღდნებით მსვლელობებს აწყობდნენ ქალაქების ქუჩებში, უპრეცედენტო ვერაგობა და სისასტიკე გამოავლინეს, როდესაც ოდესელი მომიტინგეები — „ანტიმაიდნელები“ — პროფკავშირების სახლში შერეკეს, შენობას ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლად დაწვეს.** ამ ნაცისტური „შაბაშის“ შედეგად 2 მაისს ოდესაში 50 ადამიანი დაიღუპა. გამოძიება ობიექტურად არ ჩატარებულა და რეალური დამნაშავეები დაუსჯელნი რჩებიან.

ამ დროისთვის ყირიმმა უკვე მოასწრო თავის გადარჩენა „მაიდნელების“ სადამსჯელო ლაშქრობებისგან საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებით და რუსეთის შემადგენლობაში შესვლით. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ელოდათ ყირიმელებს (ძირითადად, ეთნიკურ რუსებს) მაშინ, როცა არ დაინდეს ოდესელები (ძირითადად, ეთნიკური უკრაინელები). „მაიდნური“ ხელისუფლების ფაშისტური რეფლექსების შემხედვარე, აჯანყდა აღმოსავლეთიც — ძირითადად, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები (კიევმა მოღალატე-გუბერნატორ კერნესის საშუალებით მოახერხა ხარკოვში წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობა ადრეულ ეტაპზე). თუმცა, კიევმა უკვე ველარ შეძლო ისევე ადვილად გამკლავებოდა აღმოსავლეთს, როგორც გაუსწორდნენ ოდესის უიარაღო მცხოვრებლებს. დონბასმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწია, რაც დღემდე გრძელდება.

ის, რომ უკრაინის ახალი პატრონები არ სწყალობენ მართლმადიდებლებს, დონბასში ბრძოლების დროსაც დადასტურდა. 2014 წლის 1 აგვისტოს საინფორმაციო ნაკადიდან:

„მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პრესსამსახურმა გაავრცელა მიმართვის ტექსტი, რომელიც კიევის მიტროპოლიტის კათედრის მოსაყდრემ, ჩერნოვცისა და ბუკოვინის მიტროპოლიტმა ონუფრიმ (ამჟამად უკვე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი მეთაური. — ავტ.) გაუგზავნა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს. მასში მიტროპოლიტი ბრალს დებს უკრაინის სამხედროებს დონბასის მართლმადიდებლებზე ზეწოლაში.

„იძულებული ვარ, განვაცხადო მორწმუნეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისა და დონეცკის ეპარქიის მრევლის საქმიანობაში სამხედრო კონტინგენტის ჩარევის შესახებ“, — მოჰყავს მიტროპოლიტის სიტყვები პორტალ „ინტერფაქს-რელიგიას“. მიტროპოლიტმა სთხოვა სახელმწიფოს მეთაურს, „პირადად ჩაერიოს სიტუაციაში და გააკეთოს ყველაფერი, რომ ამგვარი ქმედებები ძალოვანების მხრიდან აღარ განმეორდეს“.

როგორც მიტროპოლიტმა ონუფრიმ განაცხადა, მას დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტმა ილარიონმა აცნობა მორწმუნეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისა და დონეცკის ეპარქიის მრევლის საქმიანობაში ჩარევის შესახებ. კერძოდ, 30 ივლისს დონეცკის ოლქის სოფელ კრასნოარმეისკოეში ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვრის იგორ სერგიენკოს სახლთან მივიდა ავტომობილი წარწერით „დნეპრი“, საიდანაც გადმოვიდა შეიარაღებულ პირთა ჯგუფი. ისინი შეურაცხყოფდნენ მღვდელს, ეკითხებოდნენ, რა რაოდენობის თანხა გაგზავნა მოსკოვში და ბრალს სდებდნენ ბანდიტებისადმი ხელშეწყობაში. ამ პირებმა ასევე ჩაატარეს ჩხრეკა მის სახლში და მოითხოვეს, რომ ორი დღის ვადაში დაეტოვებინა უკრაინის ტერიტორია და გადაეცა მათთვის ტაძრის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მთელი საეკლესიო ქონების ჩუქების ხელშეკრულებასთან ერთად, — ნათქვამია მიმართვაში.

მიტროპოლიტმა ონუფრიმ განაცხადა, რომ მსგავსი რამ მოხდა 30 ივლისს ამბროსიევკის ოლქის დეკანოზ ევგენი პოდგორნის მიმართაც. ბლოკპოსტზე მისი ავტომობილის შემოწმების შემდეგ მღვდელი შეურაცხყვეს და უსაფუძვლოდ ბრალს სდებდნენ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დაფინანსებაში.

## აი, კიდევ ერთი ინფორმაცია 15 აგვისტოსი:

„ნაციონალისტური პარტია „სვობოდასა“ და უკრაინის რადიკალური პარტიის აქტივისტებმა, რომლის ლიდერია დეპუტატი ოლეგ ლიაშკო, ჩაშალეს მსახურება და შეურაცხყვეს მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარი კიევის ოლქში. ინციდენტის ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია YouTube-ზე. როგორც რუსული სახალხო კრების ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორმა რომან სილანტიევმა განაცხადა, სოფელ ჩერვონა მოტოვილოვკაში მდებარე ეკლესიის წინამძღვარს, მამა ვლადიმირს, რადიკალებმა შეასხეს ტომატის წვენი და ყველანაირად ამცირებდნენ. ანგარიშსწორების მუქარით, მღვდლისგან ითხოვდნენ ერთი კვირის ვადაში უკრაინის დატოვებას და რუსეთში წასვლას. თავდამსხმელები მას აბრალებდნენ პრორუსული პოზიციის ქონას და „ტერორისტების მხარდაჭერას“. ვიდეოროლიკი ინციდენტის ჩანაწერით შემდეგ ინტერნეტში ატვირთეს“.

ნათელია, რომ საღ აზრზე მყოფი არც ერთი უკრაინელი არ იქნება ამგვარი ხელისუფლების მოხარული. ყირიმმა (16 მარტს) და დონბასმა (11 მაისს) თავიანთი არჩევანი გააკეთეს — ჩაატარეს საყოველთაო რეფერენდუმები, დონეცკის, ლუგანსკის, სლავიანსკის, კრამატორსკის, მარიუპოლის, გორლოვკისა და სხვა ქალაქების საარჩევნო უბნებზე რიგები იდგა. დიდი და პატარა, თითქმის ყველა, აპოლიტიკური ადამიანებიც კი, წავიდნენ ხმის მისაცემად მათი რეგიონის უკრაინისგან გამოსაყოფად ამა თუ იმ ფორმით. ყირიმმა ხმა მისცა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ხოლო დონეცკმა და ლუგანსკმა — დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნას.

**გულბაათ რცხილაძე**,
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამწუხაროდ, ჩვენი კლინიკა ყოფილმა მთავრობამ გაყიდა. ჯერ ბენდუქიძეზე უნდოდათ გაეფორმებინათ, შემდეგ — კურტანიძეს გადასცეს. აუდიტის მიერ შეფასებული თანხის ნახევრად გაიყიდა. ძალიან საეჭვოდ ამ საქმეში ფიგურირებდა ყოფილი ე.წ. პირველი ლედი. ეს ობიექტი სტრატეგიული დანიშნულებისაა და იგი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა იყოს.**

# C ჰეპატიტი — «ალერსიანი მკვლელი»



### შორეული პარალელი

1987 წლის დეკემბერში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რომ ჩავედი, ქაბულის აეროპორტში ჩემი ყურადღება მიიპყრო რუსულ ენაზე დაწერილმა განცხადებამ, რომელიც ისეთ თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული, რომ არ შეიძლებოდა, არ წაგეკითხა. სანკულტურის ასამაღლებლად გამიზნული ეს თვალსაჩინო აგიტაცია მეორმოცე არმიის, იმავე „საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის“ ჯარისკაცებისთვის იყო მოწოდებული და ჰეპატიტისგან თავდაცვის წესებს მარტივი წინადადებებით კარნახობდა მათ.

ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა ამ ბობოქარ ცხელ წერტილში პირველად მოხვედრილ ადამიანს, რომ ავღანეთში მთავარი საშიშროება ყოველ მოსახვევში ჩასაფრებული „დუშმანების“ მიერ წარმოებული ნაღმების ომი კი არ იყო, არამედ მაინცდამაინც ჰეპატიტი!

სამხედრო ექიმებმა ამისხნეს კარგა ხნის შემდეგ, რომ ეს ვირუსული დაავადება ავღანეთში მართლაც არ იყო „მეორადი საშიშროება“, რადგან ავღანეთი ჰეპატიტის რელიქტურ კერას წარმოადგენდა, რომ ამასთან, იგი მსოფლიოს არის მოდებული: **170 მილიონი (ცოტა მეტი ან ნაკლები) დაავადებულია ჰეპატიტის რომელიმე ვირუსით; რომ ყოველწლიურად ინფიცირდება 3-4 მილიონი ადამიანი; დაბოლოს, ყოველწლიურად 350 000-მდე ადამიანი იღუპებოდა** (დღევანდელ მსოფლიოშიც ასეა) ჰეპატიტით გამოწვეული გართულებით.

მაშასადამე, აეროპორტში გამოკრული ის განცხადება არამარტო იქაური პირობებისთვის იყო ყურადსაღები და გასათვალისწინებელი, არამედ დღესაც აქტუალურია უთუოდ. **მართლაც ასეა თუ არა, ამის გასარკვევად დიდი გამოცდილების მქონე, აღიარებულ ექიმ ინფექციონისტ მანანა ლომიძეს მივმართე. იგი 27 წლის განმავლობაში იყო ვირუსული ჰეპატიტების განყოფილების გამგე ინფექციური პათოლოგიის ცენტრში.**

**ყოფილ პავლოვის ქუჩაზე, ამჟამად ყაზბეგის გამზირი რომაა, გაშლილ ტერიტორიაზე ერთ დროს ინფექციური საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე, თაგვი კუდს რომ ვერ მოიქნევს ისეთ ოთახში, ქალბატონ მანანას კაბინეტია. ცოტაც და ყველასგან მიტოვებული დიდებული ფერმწერის — ნიკალა ფიროსმანის კიბის ქვეშა უკანასკნელ სადგომს დაემსგავსებოდა აქაურობა. ეტყობა, განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანების შემოქმედებითი პოტენციალი საყოფაცხოვრებო კომფორტთან რადიკალურად განსხვავებული უნდა რჩებოდეს ყოველ ეპოქაში.**

### ყველაფერი C ჰეპატიტის შესახებ

**— ქალბატონო მანანა, სპეციალურ ლიტერატურაში „ჰეპატიტი C ანტროპონოზული ვირუსული დაავადებაა, რომელიც გადადის პარენტერული მექანიზმით, უფრო ხშირად მიდინარეობს სიყვითლის ფორმის გარეშე და ქრონიზაციისადმი არის მიდრეკილი“. თუ შეიძლება, გაგვიშიფრეთ „ადამიანურ“ ენაზე.**

— **C** ჰეპატიტი, ანუ ვირუსული ჰეპატიტი C, ანტროპონოზული ე. ი. მხოლოდ ადამინის დაავადებაა. მას იწვევს ვირუსი, რომელიც 1989 წელს აღმოაჩინეს ამერიკაში (იგი ღვიძლის ქსოვილის ანთებას იწვევს) და უწოდეს **C** ვირუსი. მანამდე ცნობილი იყო A, B, D ვირუსები, რომლებიც ჰეპატიტს იწვევს. ამჟამად ცნობილია 12-მდე სახეობა ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსების. ამათგან მძიმე მიმდინარეობა, გაქრონიკულება, გართულება ღვიძლის ციროზით ან ღვიძლის პირველადი კიბოთი B, D და **C** ვირუსებს შეუძლია. ავადმყოფიდან ჯანმრთელ ადამიანზე მათი გადაცემა პარენტერული მექანიზმით ხდება, ე.ი სისხლის თუნდაც უმცირესი ნაწილაკი უნდა მოხვდეს რეციპიენტის — ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში — ნემსით, საპარსით, კბილის ჯაგრისით, მაკრატლით და სხვა საგნებით, შესაძლებელია, სქესობრივი კონტაქტით, ნერწყვით, პერინატალური გზით (დედისგან შვილზე) გადაცემა 5 პროცენტზე ნაკლებია. ჰაერწვეთოვანი გზით არ გადაეცემა.

ვფიქრობ, იმ განცხადებაში, რომელიც ავღანეთში წაიკითხეთ, იგულისხმებოდა, ალბათ, უპირატესად A ჰეპატიტი. A ვირუსი გამოიყოფა დაავადებული ადამიანის შარდთან და განავალთან ერთად და ომის პირობებში ადვილად ბინძურდება წყალი ან საკვები, შედეგად A ჰეპატიტის ეპიდემია შეიძლება მივიღოთ.

**— ხალხის დაკვირვებით, ჰეპატიტის უპირველესი გარეგნული ნიშანი ადამიანის კანის სიყვითლეა.**

— არა ყოველთვის, თავისთავად სიყვითლე შეიძლება განვითარდეს ნაღვლის სადინარზე ზეწოლით (სიმსივნე, კენჭი...), ეს მექანიკური სიყვითლეა. იგი შეიძლება განვითარდეს ერითროციტების ჭარბი დაშლით (ჰემოლიზური სიყვითლე). ვირუსული ჰეპატიტი სიყვითლით მიმდინარეობს 15-დან 30 პროცენტამდე შემთხვევაში.

**— მაშ, რა არის ჰეპატიტი?**

**— ჰეპატიტი არის ღვიძლის ქსოვილის ანთება. იგი შეიძლება იყოს ვირუსული ეტიოლოგიის, ტოქსიკური, ალკოჰოლური წამლის მიერი და სხვ. C ვირუსით გამოწვეული ჰეპატიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ამჟამად მსოფლიოში 500 მილიონი ადამიანია დაინფიცირებული.** დაახლოებით 85 პროცენტი ქრონიკულად მიმდინარეობს და ნელი ინფექციების ჯგუფს მიეკუთვნება, ანუ უსიმპტომოდ, ჩივილების გარეშე მომდინარეობს წლების განმავლობაში. ქრონიკული ჰეპატიტების 40 პროცენტი ქრონიკულ C ჰეპატიტზე მოდის. ამერიკაში 4 მილიონამდე ადამინია დაავადებული და წელიწადში 8-10 ათასი ადამიანი კვდება C ჰეპატიტის გართულებით.

**— საქართველოში გვაქვს ამ დაავადების სტატისტიკა?**



ექიმი-ინფექციონისტი მანანა ლომიძე

— ზუსტი მონაცემები არ არის, თუმცა 2002-2003 წლებში ჩატარებული გამოკვლევებით მოსახლეობის დაახლოებით 7 პროცენტია დაინფიცირებული.

ამჟამად საზოგადოებრივი ჯანმრთლობისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრი ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში იწყებს კვლევებს C ჰეპატიტის პრევალენტობის დასადგენად საქართველოში.

საქართველოში დაახლოებით 200-300 ათასი ადამიანი უნდა იყოს დაინფიცირებული.

**— რატომაა ასე გავრცელებული ამ ვირუსებით გამოწვეული დაავადება?**

— ჰეპატოტროპული ვირუსებით გამოწვეული დაავადების მატება განპირობებულია საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონით, ნარკომანია, ტოქსომანია ხელს უწყობს გავრცელებას მოსახლეობის ფართო ფენებში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, B, C და D ჰეპატიტის, ძირითადად, სისხლით, სისხლის გადასხმითაც შეიძლება გადაეცეს, თუმცა სისხლის გამოკვლევის პროგრამის ამუშავების შემდეგ მკვეთრად შემცირებულია.

**ჰეპატიტი არის ღვიძლის ქსოვილის ანთება. იგი შეიძლება იყოს ვირუსული ეტიოლოგიის, ტოქსიკური, ალკოჰოლური წამლის მიერი და სხვ. C ვირუსით გამოწვეული ჰეპატიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ამჟამად მსოფლიოში 500 მილიონი ადამიანია დაინფიცირებული**



**— რამდენად მნიშვნელოვანი ორგანოა ღვიძლი?**

— ღვიძლს „ბიოქიმიურ ქარხანას“ ეძახიან, იგი იწონის 1,5 კილოგრამს, ასრულებს ორგანიზმში 500-მდე სასიცოცხლო ფუნქციას. ყველაფერს, რასაც ორგანიზმი საკვებითა და სასმელით იღებს, გარდაქმნის ენერგიად კუნთებისთვის, ჰორმონების, სისხლის შედედებისა და იმუნური სისტემის ფაქტორებისთვის. ღვიძლში ინახება ვიტამინები, მონერალოიდები, აქ ხდება ცილის სინთეზი, შაქრის დეპონირება, გამომუშავდება ნაღველი საკვების მონელებისთვის, კონტროლდება შარდის გამოყოფა და, რაც მთავარია, ორგანიზმში მოხვედრილი მავნე ნივთიერების ბიოქიმიური რეაქციით გაუვნებელყოფა. ღვიძლის უკმარისობისას ვითარდება ენცეფალოპათია, ანუ ზიანდება თავის ტვინის ქერქი. ცხადია, რომ ღვიძლი უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანოა.

**ჰეპატოტროპული ვირუსებით გამოწვეული დაავადების მატება განპირობებულია საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონით, ნარკომანია, ტოქსომანია ხელს უწყობს გავრცელებას მოსახლეობის ფართო ფენებში**

**— რატომ არის საზოგადოებაში შიში C ჰეპატიტის მიმართ?**

— **C** ჰეპატიტი მართლაც საშიში დაავადებაა. მას „ალერსიან მკვლელსაც“ ეძახიან. იგი ხშირად (70-80 პროცენტი) ქრონიკულად მიმდინარეობს და შეიძლება გართულდეს ღვიძლის ციროზით ან ციროზ-კიბოთი. **C** ჰეპატიტი ქრონიკული ჰეპატიტიებით გამოწვეული სიკვდილის მიზეზად მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ალკოჰოლური ჰეპატიტის შემდეგ.

ჩვენთან, სამწუხაროდ, ხშირია ალკოჰოლურ ან ტოქსიკურ ჰეპატიტთან შერწყმული ვირუსული ჰეპატიტი, რომელიც ღვიძლის პირველადი კიბოსა და ღვიძლის ციროზის განვითარებას აჩქარებს, ამიტომ მოიმატა ციროზ-კიბომ და გაახალგაზრდავდა კიდეც.

**— ახალგაზრდების უფრო ხშირი დაავადება უთუოდ ცხოვრების წესითაა გამოწვეული...**

— დიახ, ჩვენს თაობას, სამწუხაროდ, მძიმე პირობებში მოუწია ცხოვრება: ომი, უმუშევრობა, ნარკომანია...

**— ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში C ჰეპატიტის მკურნალობის სტანდარტად გამოიყენება კომბინირებული მკურნალობა.**

— ჩვენც იმავე მკურნალობას ვატარებთ. 1996 წლიდან დავიწყე **C** ჰეპატიტის ინტერფერონით (ინტრონი) მკურნალობა. ეს პრეპარატი კოლეგებმა მომაწოდეს უცხოეთიდან, საქართველოში ჯერ არ იყო შემოსული. 1998 წლიდან რამდენიმე პაციენტს უფასოდაც ჩავუტარე მკურნალობა როფერონითა და რიბავირინით. შედეგი ძალიან კარგი იყო. პაციენტები განიკურნენ (ნაშრომებიც გამოვაქვეყნე ამის შესახებ, 30-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია მაქვს). მოგვიანებით შემოვიდა გახანგრძლივებული მოქმედების ინტერფერონი (პეგასისი; პეგინტრონი, რიბავირინთან ერთად კომბინაციაში). 2000 წელს ანტივირუსული მკურნალობა ჩავუტარე ავადმყოფს დიაგნოზით ქრონიკული **C** ჰეპატიტი-ღვიძლის ციროზი. სამკურნალო რეკომენდაციებში ციროზის მკურნალობა ინტერფერონ-რიბავირინით, 2003-2004 წლებში შემოვიდა.

**— ე. ი. ვირუსული C ჰეპატიტი განკურნებადია?**

— დიახ, C ჰეპატიტი განკურნებადია. მკურნალობის სტანდარტები დაიხვეწა, ახალი პრეპარატები დაემატა, დროულად დაწყებული მკურნალობა გარანტიაა სრული განკურნებისა, თუმცა ეს ახალი პრეპარატები (სოფოს ბუვირი, დაკლატასვირი...) ძვირადღირებულია. იმედი მაქვს, გაიაფდება. ამჟამად სახელმწიფომ შემოიტანა 3-ჯერ გაიაფებული ინტერფერონი, პეგფერონის სახელწოდებით კოპეგუსთან ერთად.

თუ ღვიძლი დაზიანებულია ისე, რომ დეკომპენსირებულ ციროზთან ან ციროზ-კიბოსთან გვაქვს საქმე, საკითხი დგება ღვიძლის გადანერგვის საჭიროებაზე. გარდა ამისა, **C** ვირუსის 6-მდე გენოტიპია ცნობილი და კიდევ — ფენოტიპები. მკურნა- ▶

**„სასურველი და გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა, თუ მედიამესაკუთრეებს მიეცემოდათ შეღავათები, მიზნობრივი სუბსიდიები (რაც ევროპაში აპრობირებულია), რაც მისცემდათ საშუალებას, გადაეხედათ თავიანთი საკადრო რესურსისთვის და ჟურნალისტები კონტრაქტის საფუძველზე გაეგზავნათ „მოქალაქის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სასწავლო ცენტრებში. ამით ჟურნალისტები პროფესიულადაც გაიზრდებოდნენ და შეუნარჩუნდებოდათ როგორც დაკავებული თანამდებობა, ასევე ხელფასიც.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლობის დადებითი შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ გენოტიპთან გვაქვს საქმე, თუმცა ახლადშექმნილმა პრეპარატებმა, როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, პრობლემა თითქმის მოხსნა.

**— საუბრის დასაწყისში თქვით, რომ C ჰეპატიტი 90-იან წლებში აღმოაჩინეს. საინტერესოა, არსებობდა თუ არა ეს ვირუსი მანამდე?**

— დიახ, არსებობდა, მაგრამ არც A, არც B ჰეპატიტის სახელით და ასეთი გავრცელება და მიმდინარეობა არ ჰქონდა. ადამიანი სამყაროს ნაწილია, მის ორგანიზმში (უჯრედებში თუ ქსოვილში) ისეთივე პროცესები მიმდინარეობს, როგორიც სამყაროში. კაცობრიობის ისტორიაში იყო ომები და იხოცებოდა ასიათასობით ადამიანი. იყო ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიები და პანდემიები. მიკროორგანიზმსა (ვირუსი ბაქტერია) და ადამიანს შორის გამართულ ბრძოლაში იღუპებოდა უამრავი ადამიანი (შავი ჭირი, ქოლერა, გრიპის ეპიდემია ე. წ. ისპანკა...)

**— ახლა ებოლა მოდის...**

— ღმერთმა ნუ მოიყვანოს, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ. სამწუხაროდ, ჩვენი კლინიკა ყოფილმა მთავრობამ გაყიდა. ჯერ ბენდუქიძეზე უნდოდათ გაეფორმებინათ, შემდეგ — კურტანიძეს გადასცეს. აუდიტის მიერ შეფასებული თანხის ნახევრად გაიყიდა. ძალიან საეჭვოდ ამ საქმეში ფიგურირებდა ყოფილი ე. წ. პირველი ლედი. ეს ობიექტი სტრატეგიული დანიშნულებისაა და იგი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა იყოს.

ჰეპატიტების კორპუსი სავალალო მდგომარეობაშია. გარემონტების უფლებას მისი ე. წ. მფლობელი არ გვაძლევს, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ სახელმწიფო ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დეოკუპაციას მოახდენს. ჩვენს კლინიკაში მაღალი დონის ექიმები არიან, ხშირად ვმონაწილეობთ საერთაშორისო კონფერენციებში, ჩვენი ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. აი ასე, ყოფილების მიერ გაპიარებული ოქროს ხანა მხოლოდ სააკაშვილისთვის და მასთან დაახლოებულებისთვის იყო ედემის ბაღი და ქერის ორმო. საქართველო განწირული ყავდათ — ქვეყანა გაყიდული, მოსახლეობა სიკვდილის პირამდე მიყვანილი. მათი დანატოვარი მეტასტაზების მოცილება საშური საქმეა.**





ჰამლეტ გეგია:

# რას ნიშნავს პრეზიდენტის განცხადება, — დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები ან როგორ დაიცავს? ერთადერთი, რაც შეუძლია და მის მოვალეობაშიც შედის, კონსტიტუციის დაცვაა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ მიერ რამდენიმე დღის წინათ წარმოდგენილ ორ პროექტს — „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადას“ და სტუდენტური კონკურსს „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ — როგორც მედიის, ასევე საზოგადოების არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ჟურნალისტთა გადამზადებას შეეხებოდა, როგორც „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ჟურნალისტების დაუინტერესებლობის გამო ჩაიშალა. ორგანიზაცია ”მოქალაქის” ახალ პროექტებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი ჰამლეტ გეგია.**



**— ბატონო ჰამლეტ, ჯერ კიდევ 2012 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილმა პირველად გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება მედიის მიმართ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით: „სასურველია, ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას, ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას, საზოგადოებრივ სტაბილურობას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და საქართველოს ნატოში გაწევრებას“. დღესაც ასე ფიქრობთ?**

— რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მასზე აზრი ზემოხსენებული ინტერვიუს შემდგომაც არ შემიცვლია. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი გამოცდილება შეიძინა, როდესაც გაეცნო ქართული პოლიტიკის უმსგავსობასა და კეთილშობილებას. ვფიქრობ, ეს მისთვის არის და იქნება უდიდესი გამოცდილება, რომელსაც მოახმარს ჩვენი პოლიტიკური სპექტრისთვის, სამოქალაქო სექტორისა და მთლიანად ქართველი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, ამიტომაც მისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია შეიძლება გახდეს ჩვენი საზოგადოების სრულყოფისა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის კატალიზატორი. **ბიძინა ივანიშვილმა პასუხისმგებლობა დაიკისრა ჩვენი მოქალაქეების წინაშე, რომ ხელს შეუწყობს ღია დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას საქართველოში.** იმხანად ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: დარწმუნებული ვარ, ივანიშვილს თანამდებობა არ სჭირდება, მას უფრო დიდი თანამდებობა აქვს, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსს, იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოს მილიარდერები მართავენ.

**— რას გვეტყვით არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის “ მიერ წარმოდგენილ პროექტებზე?**

— ჩემი აზრით, **ივანიშვილის აქტიურობა, რომელიც მან განსაკუთრებით მოსწავლეებსა და სტუდენტების მიმართ გამოიჩინა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თანამედროვე სამოქალაქო სექტორის პრობლემებს ვერ გადაწყვეტს.** არ გამოვრიცხავ, რომ ქვეყანაში მოქმედი ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის უცხოელ დამფინანსებლებს ხელს არ აძლევთ და არ სურთ, ჩვენი ქვეყნის არასამთავრობო სივრცეში შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო, რომელშიც ჯანსაღი საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ არასამთავრობო ორგანიზაციებს ექნებათ მოქმედების არეალი. არის მეორე ვარიანტიც: **ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა ინსტიტუტი, კონკრეტულად არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, არ არის მზად, გაუძღვეს ღია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს, რომელიც, უპირველესად, მოიცავს მედიის ფინანსურ დამოუკიდებლობას, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმს, დემოკრატიულ-სამართლებრივი სივრცის რეგულირებას, საზოგადოების კულტურის დონის ამაღლებას — იყოს მაღალხარისხიანი ინფორმაციული პროდუქტის მომხმარებელი.**

მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული ბიზნესის აქტიური ლობირებით უნდა ხდებოდეს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარება, ანუ: „მე — მოქალაქე, პასუხს ვაგებ ჩემს არჩევანზე“.

**— „მოქალაქის“ პირველი პროექტი, ვგულისხმობ ჟურნალისტების მომზადება-გადამზადებას, ჟურნალისტთა დაუინტერესებლობის გამო არ შედგა, თქვენი აზრით, რამ განაპირობა პროექტის წარუმატებლობა?**

— მიუხედავად იმისა, რომ წარვადგინეთ ათამდე ჟურნალისტი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათ შორის, სტუდენტებიც, მაშინაც და ახლაც მიმაჩნია, რომ თვითონ ჟურნალისტების მომზადება-გადამზადება, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მარტო სემინარული სწავლებით არ ხდება, თუმცა თეორიული სწავლება მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მედიის მესაკუთრეთა დაინტერესება და ჟურნალისტის პროფესიული ზრდა პრაქტიკული ცოდნის მიღებით, ეს მიბმული უნდა იყოს მისი დასაქმების გარანტიებთან და სათანადო ანაზღაურებასთან. რაც შეეხება ჟურნალისტთა პროფესიონალიზმს, იგი მოიცავს პროფესიულ ეთიკასაც. ბუნებაში არ არსებობს პროფესიონალი ჟურნალისტი პროფესიული ეთიკის გარეშე, რომლის საფუძველიც არის საერთაშორისო პროფესიული ეთიკა და თვითცენზურა — მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიული დაზღვევა, სიტყვის თავისუფლება, უსაფრთხოება და ა. შ. **სხვა საკითხია, აძლევთ თუ არა ხელს მსგავსი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე ჟურნალისტთან გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება არამომგებიანი მედიაბიზნესის მესაკუთრეებს.** ჩემი აზრით, დაბალი აქტიურობა, ძირითადად, განპირობებული იყო ამ დასაქმებული ჟურნალიტების პასიურობით. სასურველი და გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა, თუ მედიამესაკუთრეებს მიეცემოდათ შეღავათები, მიზნობრივი სუბსიდიები (რაც ევროპაში აპრობირებულია), რაც მისცემდათ საშუალებას, გადაეხედათ თავიანთი საკადრო რესურსისთვის და ჟურნალისტები კონტრაქტის საფუძველზე გაეგზავნათ „მოქალაქის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სასწავლო ცენტრებში. ამით ჟურნალისტები პროფესიულადაც გაიზრდებოდნენ და შეუნარჩუნდებოდათ როგორც დაკავებული თანამდებობა, ასევე ხელფასიც.

რაც შეეხება სტუდენტებსა და დაუსაქმებელ ჟურნალისტებს, მათი საკითხი მაინც მიბმული არის მედიამესაკუთრეთა ინსტიტუტებთან. აქედან გამომდინარე, სწავლის დროის ფაქტორის გათვალისწინებით, დასაქმების გარანტიების გარეშე, მოტივაცია ნაკლები ექნებოდათ, რაც პრაქტიკამაც გვიჩვენა. მთლიანობაში კი, თუ განვიხილავთ ხარისხიანი მედიაპროდუქტის წარმოებას, ეს საკმაოდ რთული საკითხია და მოითხოვს სერიოზულ რეფორმებს, სახელმწიფო შეღავათებს, სრულყოფილ კანონმდებლობას, მედიის ფინანსურ დამოუკიდებლობას, მედიაბიზნესის ხელშეწყობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

**— ამას წინათ პრეზიდენტი მარგველაშვილი შეხვდა ტელეჟურნალისტებს და მათ თანადგომა და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერაც შესთავაზა...**

**— რას ნიშნავს პრეზიდენტის განცხადება, — დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები ან როგორ დაიცავს? ერთადერთი, რაც შეუძლია და მის მოვალეობაშიც შედის, კონსტიტუციის დაცვაა.**

პრეზიდენტს და ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს შეუძლია მედიის ინტერესების დაცვა მხოლოდ კანონის ფარგლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი. **ჟურნალისტის პროფესიული და შემოქმედებითი ინტერესების დაცვა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იქნება პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობისა და მედიაინსტიტუტების პოლიტიკური ნება, განახორციელონ მედიასივრცეში სამართლებრივი, ეკონომიკური და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშემწყობი რეფორმები, რა თქმა უნდა, საზოგადოების აქტიური მხარდაჭერითა და მოთხოვნით.** მედია მოსახლეობის გემოვნებისა და მოთხოვნების შესაბამისად უნდა განვითარდეს.

**მედიაბიზნესი აუცილებლად უნდა გახდეს მომგებიანი, თუ არა — თვითდაფინანსების, თვითგადარჩენის საშუალება მაინც უნდა მიეცეს და ამისათვის, როგორც ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებშია, უნდა შეიქმნას სპეციალიზებული, წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა მართვა დაევალებათ საზოგადოებისა და მედიის ნდობით აღჭურვილ პირებს მათ მიერ შემუშავებული დებულებისა და არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.** წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტის, პარლამენტის, პრემიერის, მთავრობის წევრების განცხადებები მედიის მხარდაჭერისა და წახალისების თაობაზე, თუ მას არ ამყარებს შესაბამისი სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმები, მხოლოდ კეთილი სურვილებია, რადგან საქართველოში არ გვაქვს სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური დაცვის მექანიზმები, რომ ჟურნალისტური მოღვაწეობა იყოს უსაფრთხო, შესაბამისი ანაზღაურებით, პროფესიული დაზღვევით, პროფესიონალიზმის ამაღლების თვალსაზრისით. **იმედია, პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტი არ გაუცრუებენ იმედს ჟურნალისტებსა და მედიამესაკუთრეებს და აქტიურად ჩაებმებიან მედიასივრცის სამართლებრივ რეგულირებაში.**

**— ბატონო ჰამლეტ, რა შემთხვევაში აქვთ პრეზიდენტს ან მთავრობის წარმომადგენლებს ჟურნალისტების წახალისების უფლება?**

— წინა ხელისუფლების პერიოდში, 2011 წლის იანვარში, იუსტიციის სამინისტრომ დააჯილდოვა 35 ჟურნალისტი, მათ შორის, ბევრი წარმატებულიც. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა პირველმა გამოხატა პროტესტი ამ ფაქტის მიმართ **— ყოვლად დაუშვებელია, სახელმწიფო სტრუქტურები და მოხელეები აჯილდოებდნენ ჟურნალისტებს პროფესიული ნიშნით, რადგან ეს გაიგივდება მოსყიდვის მცდელობასთან.** დაჯილდოება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი ასრულებს თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებას, საფრთხეში აგდებს საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს პრეზიდენტსა და პრემიერს დაჯილდოების უფლება, თანაც არა პროფესიული ნიშნით, არამედ მოქალაქეობრივი ღირსების გამოჩენისთვის, როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული. რაც შეეხება ჟურნალისტის დაჯილდოებას პროფესიული ნიშნით, მათ ჯილდოს დამსახურების მიხედვით უნდა ანიჭებდნენ დამოუკიდებელი ფონდები, ჟურნალისტთა უფლებების დამცველი სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციები ან ისინი შუამდგომლობით უნდა მიმართავდნენ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ჟურნალიტისთვის სახელმწიფო ჯილდოს მინიჭების თაობაზე.

ესაუბრა
**დათო ქაქუთია**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თეთრმა სახლმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი OCCUPY CENTRAL-ს. ის ყურადღებით ადევნებს თვალს ჰონკონგში მიმდინარე დემოკრატიულ საპროტესტო გამოსვლებს და ჰონკონგის ხალხის მისწრაფებებს“, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა.




# აშშ ღიად უჭერს მხარს ქაოსს, რომელიც თავადვე შექმნა ჰონკონგში

**ჰონკონგში მიმდინარეობს საპროტესტო მოძრაობა Occupy Central — კორპორატიულ-ფინანსური ინტერესების კვანძის სახით ცნობილი ჩინეთის მომცრო სამხრეთ კუნძულის დესტაბილიზაცია. ეს კუნძული ადრე ბრიტანეთის იმპერიის კოლონიური მისწრაფებების ობიექტს წარმოადგენდა.**

**ეგრეთ წოდებული საპროტესტო მოძრაობა Occupy Central-ს, რომელიც თავს „პროდემოკრატიულ“ მოძრაობად ასაღებს, უკან უდგას დიდი და საიდუმლოდ მოღვაწე უცხოური ფინანსური, პოლიტიკური და მედიამხარდაჭერა. მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი დემოკრატიის ნაციონალური ფონდი, ასევე ამ ფონდის შვილობილი სტრუქტურა — ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი.**

**„თეთრმა სახლმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი Occupy Central-ს. ის ყურადღებით ადევნებს თვალს ჰონკონგში მიმდინარე დემოკრატიულ საპროტესტო გამოსვლებს და ჰონკონგის ხალხის მისწრაფებებს“, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა.**

ერნესტის გამონათქვამები სიტყვასიტყვით გადმოსცემს Occupy Central-ს ლიდერების მოთხოვნებს, მაგრამ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ეს ზედმიწევნით ასახავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დიდი ხნის ჩანაფიქრს, რომელსაც მისი ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი ჰონკონგის საქმეებში ჩარევისადმი მიძღვნილ საკუთარ ვებგვერდზე აღწერს. ტერმინი „საყოველთაო კენჭისყრა“, „ძირითადი კანონის“ და მისი „ინტერპრეტაციის“ მოშველიება, რომელიც „ნამდვილ დემოკრატიას“ აღნიშნავს, გარკვევითაა გამოცხადებული ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის ვებგვერდზე, სადაც წერია:

ძირითადმა კანონმა შექმნა ხელისუფლების სტრუქტურა, რომლის დროსაც გავლენის ჯგუფები ან „ფუნქციონირებადი საარჩევნო ოლქები“ საკანონმდებლო საბჭოში ადგილების ნახევარს ისაკუთრებენ. ამჟამად ჰონკონგის ხელმძღვანელიც ამგვარი არადემოკრატიული გზით შერჩეული კომიტეტის მიერ აირჩევა. თუმცა, ძირითადი კანონის ფორმულირებათა თანახმად, „საბოლოო მიზანს“ წარმოადგენს „საყოველთაო კენჭისყრა“. იმ დროს, როდესაც „საყოველთაო კენჭისყრა კანონით არ არის განსაზღვრული, ჰონკონგის მოქალაქეები ნამდვილ დემოკრატიად მის ინტერპრეტირებას ახდენენ.

იმ პოლიტიკის თავსმოხვევისთვის, რომელიც სინამდვილეში ნიშნავს, რომ პეკინს ჰონკონგის თანამდებობებზე პრეტენდენტი კანდიდატების შემოწმების საშუალება არ მიეცემა, ამით კი გზა გაეხსნება პოლიტიკოსებს, რომელთაც ღიად უჭერს მხარს, აფინანსებს და აკონტროლებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი ჩამოთვლის კუნძულზე მის მიერ განხორციელებული ჩარევების უამრავ მაგალითს:

1997 წლიდან ნაციონალურ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მთელი რიგი მისიებისა განახორციელა ჰონკონგში, რათა არჩევნების სტრუქტურის განვითარება, სამართლის უზენაესობა, ჩინეთის უმაღლესი ხელისუფლების პირობებში სამოქალაქო თავისუფლებები, ასევე დემოკრატიის პრობლემები და პერსპექტივები შეესწავლა ავტონომიის სტატუსის „დაბრუნების“ შემდეგ.

ის ასევე ირწმუნება:

2005 წელს ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ინიცირებულ იქნა ექვსთვიანი პროგრამა ახალგაზრდა ლიდერებისთვის. პროგრამის ცენტრში იყო აღმავალი პარტიის წევრებისგან შემდგარი ჯგუფების სწავლება, ასევე პოლიტიკური ჯგუფებისთვის პოლიტიკური საინფორმაციო ურთიერთობის ხელოვნების სწავლება.

ნაციონალური განვითარების ფონდი მუშაობდა იმაზეც, რომ საზოგადოებრივ დისკუსიებზე ერთად შეეკრიბა პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და სამოქალაქო საზოგადოების მოქმედი პირები პოლიტიკური პარტიის განვითარების საკითხთა განსახილველად, პარტიის როლის განსახილველად ჰონკონგის ცხოვრებასა და პოლიტიკურ რეფორმებში. მაგალითად, 2012 წელს ჰონკონგის ანალიტიკური ცენტრის კონფერენციაზე გამოდიოდნენ პარტიის წარმომადგენლები იდეოლოგიური სპექტრიდან და განიხილავდნენ იმას, თუ როგორ შეიძლება, კოალიციური ხელისუფლების სისტემის შემოღებამ კანონშემოქმედების ბევრად უკეთესი პროცესი განაპირობოს.





**ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი ასევე აღიარებს, რომ მან შექმნა, აფინანსებდა და მხარს უჭერდა სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ჰონკონგში მოღვაწეობდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიზნის — კუნძულზე პეკინის გავლენის განადგურების — მისაღწევად:**

2007 წელს ინსტიტუტმა აამუშავა ქალების პოლიტიკური მონაწილეობის პროგრამა, რომელიც ქალების პოლიტიკური მონაწილეობის ქსელთან და ქალთა ცენტრების ჰონკონგის ფედერაციასთან ერთად მუშაობდა, რათა გაეზარდა ქალთა როლი გადაწყვეტილებების მიღებაში, ხელი შეეწყო მათი ჩართვისათვის პოლიტიკაში და უზრუნველეყო გადაწყვეტილებების მიღებისას ქალთა პრობლემების გათვალისწინება.

კიდევ ერთ გვერდზე ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი ასახავს პროგრამას, რომელსაც ჰონკონგის უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებდა:

შედარებითი და საზოგადოებრივი სამართლის ცენტრი ჰონკონგის უნივერსიტეტში მუშაობს ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით, რათა გააძლიეროს მოქალაქეთა ხმები ამ საკონსულტაციო პროცესში უნიკალური და ნეიტრალური ვებსაიტის შექმნით. ამ საიტზე მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, განიხილონ ჰონკონგის საარჩევნო სისტემის მომავალი.

ამ ყველაფრის გამო არავის უნდა გაუკვირდეს, რომ Occupy Central-ის ნებისმიერი ლიდერი ან პირდაპირაა დაკავშირებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან თუ მის ორგანიზაციებთან, ან ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის ერთ-ერთ პროგრამაში მონაწილეობს.

„Occupy Central“-ის თვითგამოცხადებული ლიდერი ბენი ტაი ჰონკონგის ზემოხსენებულ უნივერსიტეტში სამართლის პროფესორია და რეგულარულად თანამშრომლობს ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ დაფინანსებულ შედარებითი და საზოგადო სამართლის ცენტრთან. 2006-2007 წლებში იგი მმართველობის წევრად ინიშნებოდა და ამ თანამდებობაზე, სულ მცირე, შარშანდლამდე მუშაობდა. ამ ორგანიზაციის 2011-2013 წლების ყოველწლიურ ანგარიშში ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი მოხსენიებულია, როგორც დაფინანსების მიმწოდებელი ონლაინ-პორტალის „საყოველთაო კენჭისყრის მოდელები“ შექმნისა და რეალიზაციისთვის. პორტალზე ფართო საზოგადოებას შეუძლია განიხილოს და საკუთარი კომენტარები ან წინადადებები დატოვოს იმასთან დაკავშირებით, თუ საყოველთაო კენჭისყრის რომელი მეთოდი შეესაბამება ჰონკონგს ყველაზე მეტად.

რაც ძალიან საინტერესოა, შედარებითი და საზოგადო სამართლის ცენტრის სულ ბოლოდროინდელ ყოველწლიურ ანგარიშში ტაი მმართველობის წევრად მოხსენიებული არ არის. მიუხედავად ამისა, იგი მოხსენიებულია, როგორც ამ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული, სულ მცირე, სამი კონფერენციის წევრი და ამავე ორგანიზაციის, სულ მცირე, ერთი პროექტის ხელმძღვანელი. ერთ-ერთ კონფერენციაზე იგი Occupy Central-ის ▶







## ტვიტერი აშშ-ს უჩივის

**ტვიტერი შეერთებული შტატების ხელისუფლებას უჩივის. მიკრობლოგების სერვისის წარმომადგენლებმა სარჩელი სასამართლოში უკვე შეიტანეს.** ისინი ოფიციალურ ვაშინგტონს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ადანაშაულებენ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ტვიტერმა არ უნდა გაახმაუროს მოთხოვნა ხელისუფლებისთვის მომხმარებლის პირადი ინფორმაციის გაცემის შესახებ. მსგავსი რამ ნებადართულია, თუკი ხელისუფლების მოთხოვნას საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოება უდევს. ტვიტერი ოფიციალურ ვაშინგტონს სთხოვს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიზნით გამოიყენება მათთვის გადაცემული პირადი მონაცემები.

## ესტონეთში ერთსქესიანთა კავშირები დააკანონეს

**ესტონეთის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი თანაცხოვრებაზე, რომელიც ქორწინებაში არმყოფ წყვილებს, მათ შორის ერთსქესიან წყვილებს, ერთმანეთთან და მესამე პირთან ცხოვრების რეგისტრირების საშუალებას მისცემს.** კანონს მხარი დაუჭირა 40-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 38 დეპუტატი. არსებული ინფორმაციით, კანონი 2016 წლის 1 იანვარს შევა ძალაში. ესტონური მედიის ინფორმაციით, პარლამენტის შენობის გარეთ აქცია გამართეს კანონის მოწინააღმდეგეებმა. აღნიშნული კანონის მიღებით ესტონეთი გახდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელშიც ჰომოსექსუალური ქორწინებები ლეგალიზებულია.



**თუ ამერიკის პოლიტიკური მიზანი სტაბილურობა, უსაფრთხოება და ამერიკული იდეალების გავრცელებაა, მაშინ სამოქალაქო პოლიტიკოსებმა და სამხედრო ლიდერებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ, — როგორ მიაახლოვებს ომი ადამიანებს ამ პოლიტიკური მიზნების განხორციელებასთან?**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კიდევ ერთ სახელგანთქმულ მონაწილესთან — ოდრი იუსთან ერთად გამოვიდა სიტყვით. 2013-2014 წლების ყოველწლიურ ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი აფინანსებს ცენტრის ვებსიტს Design Democracy Hong Kong.

სამოქალაქო პარტიის თავმჯდომარე ოდრი იუ, ბენი ტაისთან ერთად შედარებითი და საზოგადო სამართლის ცენტრის ღონისძიებებზე გამოსვლების გარდა, ნაციონალურ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან დაკავშირებულია სხვა პროექტებშიც. იგი რეგულარულად მონაწილეობს ფორუმებში, რომელთაც ამერიკული ორგანიზაცია აფინანსებს. 2009 წელს ეს ქალბატონი მთავარი მომხსენებელი იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხილვის ღონისძიებაზე, რომელიც დემოკრატიის ნაციონალურმა ფონდმა დააფინანსა. 2012 წელს იგი მიწვეული მომხსენებელი გახლდათ ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული ქალთა ცენტრის ღონისძიებაზე „ქალთა საერთაშორისო დღე“, რომელიც ჰონკონგის ქალთა საბჭოში ჩატარდა.

არის კიდევ მარტინ ლი, ჰონკონგის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და დამფუძნებელი და მოძრაობა Occupy Central-ის კიდევ ერთი მხურვალე მხარდამჭერი. ლი სწორედ მიმდინარე წელს ბრძანდებოდა ვაშინგტონში, სადაც უშუალოდ აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს და კონგრესმენ ნენსი პელოზის შეხვდა და მონაწილეობაც მიიღო სპეციალურად მისთვის და ჰონკონგში „დემოკრატიის“ დამყარების მისეული გეგმების პატივსაცემად გამართულ დიალოგში დემოკრატიის ნაციონალურ ფონდთან. სხვათა შორის, ლის დემოკრატიის ნაციონალურ ფონდში ჯერ კიდევ 1997 წელს მიანიჭეს „დემოკრატიის პრემია“. მასთან ერთად ვაშინგტონში ბრძანდებოდა ენსონ ჩანი, კიდევ ერთი ცნობილი პირი, რომელიც ახლა ჰონკონგის ქუჩებში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებს უჭერს მხარს.

**თუ დემოკრატია თვითმმართველობით ხასიათდება, მაშინ „Occupy Central“-ს, რომელშიც თითეული ადამიანი უცხოური ფულის მიმღები და უცხოური ინტერესების მხარდამჭერის ვალდებულების მქონეა, დემოკრატიაასთან საერთო არაფერი აქვს.** სამაგიეროდ, მას ბევრი საერთო აქვს დემოკრატიის ექსპლოატაციასთან, რათა გაანადგუროს ჰონკონგზე პეკინის კონტროლი, ასევე გააღოს კარი კანდიდატებისათვის, რომლებიც ცალსახად უცხოურ ინტერესებს ემსახურებიან და არა ჩინეთის ან თუნდაც თავად ჰონკონგის ინტერესებს.

**nsnbc international**

# რად გვინდა ომი?

**ეს არის კითხვა, რომელსაც ახლა უნდა უსვამდნენ ამერიკელები საკუთარ თავს. ახლა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, მორიგ ომში ჩაებას, მხოლოდ ცოტა ვინმე თუ უფიქრდება ომის პრაქტიკულ ღირებულებას. ამის ნაცვლად თავის კომენტარებში პოლიტიკოსები და ექსპერტები კონცენტრირებულნი არიან იმ საფრთხესთან ბრძოლაზე, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები წარმოადგენენ აშშ-ისა და მისი ინტერესებისთვის.**



აგვისტოს ბოლოს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფო წარმოადგენს „უშუალო საფრთხეს ამერიკის ყველა ინტერესისათვის“ და რომ ეს რთული დაჯგუფება აღემატება ყველაფერს, რასაც ადრე ხედავდნენ ამერიკელები. კონგრესისა და ამერიკული მასმედიის მხოლოდ მცირე წარმომადგენლებმა გამოხატეს ამგვარი პოზიციისადმი საკუთარი უთანხმოება და აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები კვლავ გაემართნენ არასტაბილური ახლო აღმოსავლეთისკენ. ერთადერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ განიხილება, ისაა, საჭიროა თუ არა დემოკრატიისა და თავისუფლების ამ ახალი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის სახმელეთო-სამხედრო ჩარევა.

უკანასკნელი 10-ზე მეტი წლის, ზოგიერთების აზრით კი, რამდენიმე ათწლედის მანძილზე აშშ მუდმივად მონაწილეობს ომებში. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი უსვამს საკუთარ თავს კითხვას, რომელმაც ერთხელ ვიეტნამის ომისადმი მიძღვნილ სიმღერაში გაიჟღერა: „ომი, რისთვის არის ის საჭირო?“

გონივრული იქნებოდა ვარაუდი, რომ ომი არის ფენომენი, რომელიც უფრო თავის საკუთარ მიზნებს ემსახურება, ვიდრე რაღაც გრძელვადიანი პოლიტიკური ამოცანების რეალიზებას. წარსულის ომების თეორეტიკოსები მუდამ ცდილობდნენ, ომი რაღაც პოლიტიკურ კონტექსტში მოექციათ. 1800-იანი წლების დასაწყისში კარლ ფონ კლაუზევიცი, მართალია, აღიარებდა, რომ ომის შედეგები არასდროს არ უნდა ჩაითვალოს საბოლოოდ, მაინც ირწმუნებოდა, რომ ომი გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს. ასი წლის შემდეგ ბრიტანელი ბეზილ ლიდელ გარტი გამოთქვამდა იდეას, რომ სტრატეგებისთვის აუცილებელია, დროებით გადაერთონ ომებიდან და ყურადღება „შემდგომ მშვიდობას“ დაუთმონ.

მაგრამ თუ ეს „შემდგომი მშვიდობა“ არასდროს დადგება? თუ ომი მუდმივად ბადებს ახალ მტრებსა და ახალ საფრთხეებს?

უფრო მეტიც, ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, როგორც ჩანს, სწრაფად კარგავს თავის გადამწყვეტ ხასიათს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალები კონცენტრირებულნი უნდა იყვნენ უშუალოდ საომარ მოქმედებებზე, რათა თანამედროვე პოლიტიკური პრობლემები გადაჭრან. ნაპოლეონიც კი თვლიდა, რომ წარმატებული ბრძოლები, ისეთი, როგორიც აუსტერლიცთან ბრძოლა იყო, არ წარმოადგენდა გარანტიას ევროპის კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

ამერიკის შემთხვევაში ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, სულ უფრო ხშირად ახდენს თავისი არაეფექტურობის დემონსტრირებას. სიმართლე რომ ითქვას, წარსულში ომი ძალზე იშვიათად განაპირობებდა კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მიუხედავად კეთილშობილური მიზნებისა — საზღვარგარეთ კომუნიზმის შეჩერება და ახალი მსოფლიო წესრიგის გამყარება — ამერიკელები, რომლებიც კორეაში, დომინიკანას რესპუბლიკაში, ვიეტნამში, კამბოჯაში, გრენადაში, ლიბიაში, პალამაში, სალვადორში, ლიბანში, ერაყში, ბოსნიაში, კოსოვოსა და სომალიში გადასვეს, ვერასდროს ახერხებდნენ მდგრადი მშვიდობის დამყარებას. მაშინაც კი, როდესაც კომუნისტები „დაამარცხეს“, უმალ გაჩნდა ახალი პრობლემები, რომლებიც კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ამერიკელი ჯარისკაცების გადასმას მოითხოვდა.

თუმცა ომის ამ უწყვეტმა მდგომარეობამ ვერ აიძულა ამერიკელები, ხელახლა გააზრებინათ ომსა და მშვიდობაზე საკუთარი შეხედულებები. როგორც ისტორიკოსმა მერი დადზიაკმა აღნიშნა, „საომარი კონფლიქტი უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზე გრძელდება, საზოგადოებრივი აზრი კი ამ დრომდე ეფუძნება მცდარ წინასწარგანწყობას, რომ ეს მხოლოდ დროებითი გადახრაა“.

**ომს აქვს მიზანი. ის არა მხოლოდ აერთიანებს, არამედ, როგორც ჟურნალისტმა კრის ჰედჯესმა აღნიშნა, ცხოვრებას რაღაც აზრსაც აძლევს და ომში გამარჯვება რაღაც სახით აიძულებს ადამიანებს, კიდევ უფრო მეტ «ამერიკელებად» იგრძნონ თავი**



ცხადია, ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ამერიკული ნაცია რევოლუციური და სამოქალაქო ომებისგან დაიბადა, ხოლო ისეთი მოვლენები, როგორიც 11 სექტემბრის ტერაქტია, დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს, რათა შურისძიებას მოწყურებული ადამიანების ნება ასრულდეს. ამრიგად, **ომს აქვს მიზანი. ის არა მხოლოდ აერთიანებს, არამედ, როგორც ჟურნალისტმა კრის ჰედჯესმა აღნიშნა, ცხოვრებას რაღაც აზრსაც აძლევს და ომში გამარჯვება რაღაც სახით აიძულებს ადამიანებს, კიდევ უფრო მეტ „ამერიკელებად“ იგრძნონ თავი.**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საყოველთაოდ აღიარებული ჰიპოთეზები ომისა და გამარჯვების შესახებ სულ უფრო უშინაარსო ხდება. თუ ომი ცხოვრებას აზრს აძლევს, მაშინ რატომ აღარ ითხოვენ საომარი ოპერაციებისას ამერიკელი ხალხის მხარდაჭერას, ხალხისას, რომელიც უკვე ყურადღებასაც კი აღარ აქცევს ამ ოპერაციებს? თუ მოწინავე თავდაცვის თეორია, ვიღაცასთან ბრძოლა არა საკუთარ, არამედ სხვის ტერიტორიაზე წარმოადგენს უწყვეტი და უსასრულო ომის გონივრულ ახსნას, შეძლებენ კი ამერიკელები ოდესმე მიაღწიონ საკუთარ ნაციონალურ უსაფრთხოებაში თავდაჯერებულობის იმ დონეს, რომელიც საომარი მოქმედებების შეწყვეტას აიძულებს?

მთავარი ამოცანა ისაა, რომ დაიწყოს კონსტრუქციული კითხვების დასმა იმ სირთულეების თაობაზე, რომლებიც ახლავს ვიღაცისთვის სამხედრო ძალით სხვისი ნების თავსმოხვევას. სინამდვილეში ომი არის შესაძლებელსა და მისაღებს შორის ბალანსის ხელოვნება. **თუ ამერიკის პოლიტიკური მიზანი სტაბილურობა, უსაფრთხოება და ამერიკული იდეალების გავრცელებაა, მაშინ სამოქალაქო პოლიტიკოსებმა და სამხედრო ლიდერებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ, — როგორ მიაახლოვებს ომი ადამიანებს ამ პოლიტიკური მიზნების განხორციელებასთან?**

მაგრამ ომი მუდამ გაუთვალისწინებელია, ის არასდროს დახმარებია ამერიკას პოტენციური საფრთხეების წინაშე საკუთარი შიშების დაძლევაში, მას არასდროს მოჰყოლია საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზება. უფრო მეტიც, ის სულ უფრო ხშირად არის უუნარო, თავიდან აიცილოს მომავალი ომები.

ამრიგად, კვლავ სიმღერაში გაგონილ კითხვას ვუბრუნდებით: „ომი, რისთვის არის ის საჭირო?“ და ყველას სერიოზულად სჭირდება დაფიქრება პასუხზე, რომელსაც ამავე სიმღერის ავტორი სთავაზობს: „ის აბსოლუტურად უსარგებლოა“.

**გრეგორი დედისი,**
**უესტ-პოინტის სამხედრო სასწავლებლის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი, ავტორი წიგნისა „ვესტმორლენდის ომი: ვიეტნამში აშშ-ის სტრატეგიის გადაფასება“.**
**Los Angeles Times**

მოკლედ





## ლონდონში ხუთი ტერორისტი დააკავეს

**ლონდონში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული ტერორისტული ჯგუფის ხუთი წევრი დააკავეს.** 21 წლის სტუდენტი ტარიკ ჰუსეინი ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილ ოთხ პირთან ერთად დააკავეს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით გახდა ცნობილი. ჰუსეინი ლონდონის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა. მისი ახლობლები ჰუსეინის ტერორისტებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფენ. პოლიცია მიიჩნევს, რომ ამ დაკავებით აღკვეთეს ოპერაცია, რომელსაც, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი ტერაქტები მოჰყოლოდა.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მწარე სიმართლე, რომლის დამალვასაც ობამა ცდილობს, არის ის, რომ ისლამური სახელმწიფოს ძირითადი ძალები ფორმირებულია ცსს-ს მიერ გაწვრთნილი და სირიელი ამბოხებულების ნავთობდოლარებით გამოკვებილი ბოევიკებისგან. ამ უკანასკნელებმა ეს ფული სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ალ-ასადის დასამხობად გაიღეს.**

# სერიული ინტერვენტი ობამა

**მშვიდობის ნობელის ლაურეატმა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მცდელობა არ დააკლო ლიბიის შეუმდგარ სახელმწიფოდ ქცევას. მისი ხელისუფლებისა და მუამარ კადაფის დამხობით, წამოიწყო ახალი ომი სირიასა და ერაყში და ჯერაც ვერ გამოიყვანა თავისი ქვეყანა ავღანეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებიდან. სირიაში ბატონი ობამას საჰაერო ომი არის აშშ-ის მეშვიდე სამხედრო კამპანია ისლამური სახელმწიფოების წინააღმდეგ მისი პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც, როგორც ჩანს, მეორე ვადის ამოწურვამდე გაგრძელდება. აღნიშნული უკანასკნელი ომი სერიოზულ კითხვებს აჩენს მისი მიზნების თვალსაზრისით და კანონის უზენაესობისადმი თავად პრეზიდენტის მორჩილების მხრივ.**



მიუხედავად იმისა, რომ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე დესპოტური შუასაუკუნოვანი წესრიგის დამმყარებელი სუნიტურ-ჯიჰადისტური არმიის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა იმპერატივად იქცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ნებისმიერი ომი ეფექტურად შეიძლება წარიმართოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საერთაშორისო სამართალი. ის უნდა ამყარებდეს გლობალურ ნორმებს და არ წარმოადგენდეს ინსტრუმენტს ვიწრო გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზებისთვის.

**მას შემდეგ, რაც 2001 წელს აშშ-მა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომი“ წამოიწყო, ჯერ კიდევ ობამას წინამორბედი უმცროსი ბუშის პრეზიდენტობისას ტერორიზმის ეპიდემია ავბედითად მოედო მსოფლიოს. ჯიჰადის ძალები, რომლებიც ტერორიზმს რწმენის წმიდა იარაღად მიიჩნევენ, მთელ რიგ ქვეყნებში იმაგრებდნენ პოზიციებს.**

ერთ დროს სტაბილური ქვეყნები, ისეთები, როგორიც ერაყი, სირია და ლიბია იყო, ანარქიაში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი და ტრანსნაციონალური ტერორის ახალ გამავრცელებლებად იქცნენ, ავღანურ-პაკისტანური სარტყელი კი კვლავაც რჩება იმ ტერორის საფრთხის პლაცდარმად, რომელსაც მსოფლიო უპირისპირდება.

ბევრი ელოდა და ვარაუდობდა, რომ ობამა ბუშისგან კარდინალურად განსხვავებული იქნებოდა და სწორედ ამ მოლოდინმა აიძულა ნობელის პრემიის კომიტეტი, მისთვის მშვიდობის ნობელი გაპრეზიდენტებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ გადაეცა.

მაგრამ თავის ქმედებებსა და სიტყვებს შორის განსხვავების ხაზგასმით ობამა უფრო დიდი მონდომებით ახალ-ახალ ომებს იწყებს და საერთაშორისო ნორმებს არღვევს, ვიდრე მშვიდობისთვის იბრძვის.

საბოლოოდ მან თავი გამოიჩინა, როhგორც ყველაზე მილიტარისტულად განწყობილმა ამერიკელმა პრეზიდენტმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და დაამტკიცა, რომ მზადაა, გამოიყენოს ძალა, რათა თავის მისწრაფებაში ერთდროულად მოსამართლეც იყოს და ჯალათიც.

**2009 წელს ქაიროში ბატონი ობამა აშშ-სა და მუსლიმანებს შორის „საერთო ინტერესებსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ახალი დასაწყისის“ შესახებ ქადაგებდა, თუმცა მისი მიდრეკილება, დაეყრდნოს აშშ-ის უხეშ ძალას, ნათლად გამოჩნდა ლიბიის, სომალის, იემენის, ერაყისა და სირიის დაბომბვების კამპანიებისას.**

გარდა ამისა, მან გაასამმაგა აშშ-ის სამხედრო ძალები ავღანეთში, მნიშვნელოვნად გაააქტიურა პაკისტანში უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება და წამოიწყო ტერორიზმში ეჭვმიტანილი ადამიანების, თვით აშშ-ის მოქალაქეების, „შერჩევითი განადგურება“.

ახლა კი უკვე ჩნდება ცნობები, რომ ეს ადამიანი, რომელიც „ბირთვული იარაღისგან თავისუფალი მსოფლიოს“ მოწოდებებით გამოდიოდა, ჩუმჩუმად ახორციელებდა აშშ-ის ბირთვული არსენალის მასშტაბური გაფართოების გეგმებს და მას მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ და მაღალტექნოლოგიურ არსენალად აყალიბებდა.

რამ არ მისცა ობამას საშუალება, მოეპოვებინა გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა მანამ, ვიდრე სირიაში ისლამური სახელმწიფოს ბოევიკების წინააღმდეგ დაიწყებდა ომს? პასუხი ნათელია: ობამას სურს, ომი აწარმოოს მხოლოდ საკუთარი პირობებით, თავი არ შეიზღუდოს ვადებით იმ ომების მსგავსად, რომელთაც მანამდე აწარმოებდა.

**2009 წელს ქაიროში ბატონი ობამა აშშ-სა და მუსლიმანებს შორის «საერთო ინტერესებსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ახალი დასაწყისის» შესახებ ქადაგებდა, თუმცა მისი მიდრეკილება, დაეყრდნოს აშშ-ის უხეშ ძალას, ნათლად გამოჩნდა ლიბიის, სომალის, იემენის, ერაყისა და სირიის დაბომბვების კამპანიებისას**



ხუთმა ავტორიტარულმა არაბულმა რეჟიმმა ჩამოაყალიბა „მოხალისე კოალიციის“ ბირთვი სირიის საკითხთან დაკავშირებით. პარადოქსურია, მაგრამ ოთხი მათგანი არის ყატარი, საუდის არაბეთი, იორდანია და არაბეთის გაერთიანებული საემიროები, პლუს აშშ. ყველა მათგანი ღიად ან წინასწარი განზრახვის გარეშე ხელს უწყობდა ისლამური სახელმწიფოს აღზევებას. ეს რაინდულ ბრწყინვალე მოსასხამში გახვეულ ცოდვილთა კოალიციაა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ დარტყმებს აყენებს ტერორისტთა ჯგუფს, ამერიკელთა წყურვილი, გამოეცადათ ახალი შეიარაღება, იმით დასრულდა, რომ საბრძოლო მოქმედებაში იქნა მოყვანილი პრობლემური ბომბდამშენი „F-22“.

ობამამ უგულებელყო საერთაშორისო სამართალი, როდესაც გაეროსადმი მამართვაში სირიაში მიმდინარე ბომბდამშენების ბლიცკრიგი წარადგინა, როგორც მომხდარი ფაქტი. იმისათვის, რომ აეხსნა გაეროს გვერდის ავლით სირიაში ომის წამოწყება, მისმა ადმინისტრაციამ საჩვენებელი განცხადება გააკეთა, რომ მესამე ქვეყნის — ერაყის დაცვა კანონიერი ქმედებაა.

ამგვარი პრეცენდენტი ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის შესაძლებლობას იძლევა.

სინამდვილეში ეს მხოლოდ მორიგი დაცინვაა აშშ-ის მხრიდან საერთაშორისო სამართლის მიმართ. სხვა მსგავს ნაბიჯებს შორის უკანასკნელი 15 წლის მანძილზე სახეზეა სერბეთის დაბომბვა, კოსოვოს გამოყოფა, ავღანეთსა და ერაყში შეჭრა უშიშროების საბჭოს სანქცირების გარეშე, კადაფის ჩამოგდება, სირიელი მეამბოხეების დახმარება, ცსს-სთვის ტერორიზმში ეჭვმიტანილთა გადაცემა და ორუელისეული თვალთვალის სისტემა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან.

ამ ყველაფერთან ერთად ობამამ დააწესა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ვითომდა საერთაშორისო სამართლის დასაცავად.

სინამდვილეში მას არასდროს უკითხავს ნებართვა თვით ამერიკის კონგრესისთვისაც კი, ვიდრე თავის ქვეყანას მორიგ ომში უკრავდა თავს. თავისი სერიული შეჭრებისა და უსასრულო სამხედრო კამპანიების გასამართლებლად ობამა კვლავაც განაგრძობს, კონგრესის მხრიდან ნებართვად თვალთმაქცურად მოიშველიოს ის, რაც ბუშმა მოიპოვა ოდესღაც. საუბარია კონგრესის მიერ გაცემულ ნებართვაზე, დაეწყოთ მათი დევნა, ვინც „დაგეგმა, ბრძანება გასცა, მონაწილეობა მიიღო ან მხარდაჭერა აღმოუჩინა“ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ისლამური სახელმწიფოს კავშირი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებთან მაინცადამაინც თვალნათელი არ არის (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერაყისა და ლევანტას ისლამურ სახელმწიფოს „ალ ქაიდა“ განუდგა), ობამას ადმინისტრაციამ ომი დაიწყო სირიაში და გამოაცხადა, რომ აშშ-ის ნაციონალურ უსაფრთხოებას გარდაუვალი საფრთხე ელის „ალ ქაიდას“ აქამდე უცნობი განშტოება „ხორასანისგან“.

**მწარე სიმართლე, რომლის დამალვასაც ობამა ცდილობს, არის ის, რომ ისლამური სახელმწიფოს ძირითადი ძალები ფორმირებულია ცსს-ს მიერ გაწვრთნილი და სირიელი ამბოხებულების ნავთობდოლარებით გამოკვებილი ბოევიკებისგან. ამ უკანასკნელებმა ეს ფული სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ალ-ასადის დასამხობად გაიღეს.**

ობამა ვითომდა ვერც ამჩნევს, რომ ისლამური სახელმწიფო მნიშვნელოვნად წავიდა წინ 2013 წლის შუა პერიოდიდან მოყოლებული ამ დრომდე. მისი ბოევიკები უკვე აღარ არიან „კარგი“ ტერორისტები, რომლებიც ასადის ხელისუფლების ჩამოგდებასა და დამხობაზე იზრუნებდნენ და ირანულ ინტერესებს გასაქანს არ მისცემდნენ; ისინი „კარგი“ ტერორისტები აღარ არიან მას შემდეგ, რაც თავად აშშ-ის ინტერესებისთვის დაიწყეს საფრთხის შექმნა და ორ ამერიკელ ჟურნალისტს თავი მოკვეთეს.

თუ პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა შემთხვევით გააჩინა „ალ ქაიდა“, ობამა, იქცა რა თვითაღიარებულ უზეანეს მკვლელად, საკუთარი სურვილის გარეშე გახდა ისლამური სახელმწიფოს ნათლიმამა. მანამდე ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს დაავალა, დახმარებოდა სირი-

მოკლედ



## ბაფეტი: ჰილარიზე ფულს დავდებ

**„ამერიკის ყოფილი პირველი ლედი და ექსსახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც ანტირუსული პოზიციით არის ცნობილი, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, მას გამარჯვების ყველა შანსი აქვს“,** — აცხადებს ამერიკელი მილიარდერი უორენ ბაფეტი. — ჰილარი გაიმარჯვებს, ამაზე ფულს დავდებ. მე კი ასეთ რამეს უბრალოდ არ ვაკეთებ“. ბაფეტი ვარაუდობს, რომ ჰილარი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადებას რაც შეიძლება გვიან გააკეთებს, მაგრამ ბევრი ამერიკელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ კლინტონი უკვე აწარმოებს წინასაარჩევნო კამპანიას.



**ვის მოჰკვეთეს თავები? — ამერიკელს, ფრანგს, ინგლისელს. ამ კადრების უწყვეტ ტირაჟირებას ახდენდნენ აშშ-ისა და ევროკავშირის მედიასაშუალებები. ვინ ბომბავს სირიას? — აშშ, საფრანგეთი და ინგლისი. ამ ქვეყნების საზოგადოება კი კმაყოფილია — ბარბაროსებს ხოცავენ...**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ელ მეამბოხეებს ასადის ხელისუფლებისგან ჩამოშორების საქმეში, ახლა კი აყენებს ამოცანას, ამერიკის კონტროლის დაქვემდებარებაში შეიქმნას სახმელეთო ძალები სირიაში ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად, რისთვისაც ათასობით ახალ მეამბოხეს წვრთნიან და იარაღით უზრუნველყოფენ.

არასახელმწიფოებრივი ფორმირებების მომზადება და შეიარაღება სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო სამართლისთვის სახეში შეფურთხება. ეს მიდგომა ასევე იგნორირებას უკეთებს წარსული ფარული ინტერვენციების გაკვეთილებს.

„ჩვენ თავად შევქმენით პრობლემა, რომელსაც ახლა ვებრძვით“, — გულახდილად განაცხადა იმ მომენტში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მომუშავე ჰილარი კლინტონმა ტელეარხ „ფოქს ნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. შემდეგ კი დასძინა: „ჩვენ მშვენიერი იდეა გვქონდა, ჩავსულიყავით პაკისტანში, შეგვექმნა იქ მოჯაჰედების ძალები და შეგვეიარაღებინა რაკეტა „სტინგერებით“ ავღანეთში საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგოდ“. ობამას საკუთარი შემოქმედება, ლიბიის „ზომიერი“ მეამბოხე ძალების სახით, სავალალოდ შემოტრიალდა მის საწინააღმდეგოდ.

ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად ხელს უწყობდა ტერორიზმის პრობლემის გამწვავებას ინდოეთშიც. **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხრიდან ავღანელი მეამბოხეებისთვის გაწეული მრავალმილიარდიანი დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი პაკისტანის უწყებათშორისი დაზვერვის შუამდგომლობით გადატანილ იქნა ინდოეთის ქაშმირსა და პენჯაბეში ამბოხებების ინიცირებისთვის.** ინდოეთსა და პაკისტანს ძვირად დაუჯდათ ხანგრძლივი თბილი ურთიერთობები ამერიკასა და პაკისტანელ სამხედროებს, დაზვერვის ჯაშუშებს შორის. მიუხედავად ამისა, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, აშშ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას იყენებდა, როგორც ძირითად ინსტრუმენტს ინდოეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის მშენებლობის საქმეში.

„ჩვენ არ გვსურს, ჩვენი ჯარი ავღანეთში რჩებოდეს და მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებიც არ გვჭირდება“, — ირწმუნებოდა ობამა ჯერ კიდევ 2009 წელს ქაიროში სიტყვით გამოსვლისას, მაგრამ, შეიცვალა რა თვალსაზრისი, ახლა სურს, იქ ბაზები პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით ჰქონდეს.

ქაბულში პოლიტიკური კრიზისის დარეგულირება ავღანეთს გზას უხსნის ორმხრივი თავდაცვითი ხელშეკრულების ხელმოწერისკენ. სწორედ ამ შეთანხმებისთვის იბრძოდა ობამა, რათა ამერიკული ბაზების შესანარჩუნებლად კანონიერი საფუძველი უზრუნველეყო. ამერიკელების ავღანეთში დარჩენილ ნაწილს უფრო ხშირად მოუწევს თალიბების შეტევების მოგერიება, რაც ვაშინგტონს აიძულებს, განაგრძოს პაკისტანელი გენერლების ფერება.

როგორც ისტორიაში ყველაზე გრძელვადიანი ავღანეთის ომი ადასტურებს, აშშ-ს გაცილებით მეტი წარმატებები აქვს ომების წამოწყებაში, ვიდრე მათ დასრულებაში. ის, რაც ბარაკ ობამამ წამოიწყო, როგორც ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებზე შეტევა, დიდი ალბათობით, რაღაც გეოპოლიტიკურში გადაიზრდება და მოიცავს თავად აშშ-ის ინტერესებისთვისაც ზიანის განმეორებით მიყენებას. მსგავსი რამ უკვე მოხდა ერაყის ათწლიანი ოკუპაციისას, რომლის შედეგადაც გამარჯვებული ირანი აღმოჩნდა.

თუ უფრო ფართო მასშტაბებში განვიხილავთ, ამერიკელების დიდი ხნის ალიანსი ჯიჰადისტების დამფინანსებელ სპარსეთის ყურის მონარქებთან „ტერორიზმის წინააღმდეგ ომში“ მათ კარგს არაფერს უქადის. ამ ომმა საბოლოო ჯამში უფრო მეტი ბოევიკი გააჩინა, ვიდრე გაანადგურა.

**აშშ-ის მხარდაჭერით ნავთობმონარქიებმა, თვით ყველაზე დესპოტურებმაც კი, უპრობლემოდ გადაიტანეს „არაბული გაზაფხული“. პარადოქსულია ისიც, რომ ამერიკის პრაქტიკა, ხელი შეუწყოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ლოიალური ისლამისტი ხელისუფლების წინსვლას, არამხოლოდ მძაფრი ანტიამერიკული განწყობის პროვოცირებას ახდენს, არამედ ამყარებს ხალხის განწყობას უფრო დამოუკიდებელი ისლამური ძალებისადმი.**

განმეორებადი და მდგრადი ომი იმ ტერორისტების წინააღმდეგ, რომელთაც ამერიკის პოლიტიკა და ინტერვენციები აჩენს, თვით აშშ-ისთვისაც კი არ არის სიკეთის მომტანი. ამ უკანასკნელის სამხედრო თავგადასავლები 2001 წლიდან ამერიკელებს 4,4 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ. პარალელურად კიდევ უფრო მეტად გამდიდრდნენ იარაღის მიმწოდებლები და მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში უსაფრთხოება დესტაბილიზაციამ ჩაანაცვლა. იმ დროს, როდესაც ამერიკელებს გადაუდებელი და საყოველთაო განახლება სჭირდებათ თავიანთი მსოფლიო ბატონობის ეროზიის თავიდან ასაცილებლად, ძალზე არაშორსმჭვრეტელური ნაბიჯია საკუთარი თავისთვის თვითგამანადგურებელი ომების წამოწყების უფლების მიცემა. ამერიკელთა სავალალოდ, თეთრ სახლში წარსულის დაუღალავი მეომარი სერიულმა ინტერვენტმა ჩაანაცვლა...

**The Hindu**

# ტერორიზმი აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკის არსად იქცა

**გამოცდილება ადასტურებს, რომ ტერორიზმი ზეეფექტურია მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, ინფორმაციის მყისიერი და ტოტალური გავრცელების არხებთან ერთად. ეს სინთეზი წარმოადგენს უმძლავრეს მექანიზმს საშინელებათა ტირაჟირებისთვის მთელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების, სახელმწიფო უშიშროების ყველა სისტემის, თავად სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკის დაშლისა და ფინანსური სისტემების განადგურების მიზნით. და, რაც მთავარია, მოკლე პერიოდში შესაძლებელს ხდის მილიონობით ადამიანის ცნობიერების გადაფორმატებას!**



ამის ნათელი მაგალითია ნიუ იორკის 11 სექტემბრის მოვლენები, როდესაც ამერიკის სპეცსამსახურებმა ტყუპი ცათამბჯენის მიმართ ტერორისტული აქტი განახორციელეს. დავფიქრდეთ: ჩამოშლილი ცათამბჯენების ნანგრევებმა 4 დღე-ღამის განმავლობაში დაასამარეს ამერიკელთა ყველა დემოკრატიული თავისუფლება, სპეცსამსახურებმა კი საზოგადოებაზე სრული კონტროლის უფლება მოიპოვეს. ეს, როგორც იტყვიან, შიდა მოხმარების ტერორიზმია.

აშშ-ის სამოქმედო არსენალში არის ტერორისტული დიპლომატიაც. სწორედ ამ იარაღის მოქმედების ფრაგმენტები ვიხილეთ მიმდინარე წლის სექტემბერში. ობამამ ერთხელ გააფრთხილა მერკელი, რომელიც ცდილობდა, რამენაირად მაინც გაეთვალისწინებინა გერმანიის ინტერესები, რომ მისი ქვეყანა პანელზე გასული გოგოსავით უნდა მოქცეულიყო.

მერკელმა ვერ გაიგო.

მეორედ ობამა ძალიან მკაცრად დაელაპარაკა მას.

მერკელი ლავირებას განაგრძობდა. მაშინ, გარემოებათა უცნაური დამთხვევის შედეგად, გერმანიამ ქალაქ ბრემენის ქიმიურ ქარხანაში სასწაულებრივი სიმძლავრის აფეთქება მიიღო. აუცილებელი გახდა ათიათასობით ადამიანის ევაკუაცია. 11 სექტემბრის შემდეგ გერმანია აბრეშუმივით გახდა, მერკელი კი სულ უფრო მეტად ემსგავსება ობამას მონას, არა მოკავშირეს, არამედ მონას, რომელიც ყველაფრისთვის მზადაა...

11-12 სექტემბერს გერმანიის მსხვილ ქალაქებში კიდევ ორიოდე ამგვარი აფეთქება რომ მომხდარიყო, გერმანია აბსოლუტურად პარალიზებულ მდგომარეობაში მუხლებზე დაეცემოდა.

კიდევ ერთი მაგალითი ამერიკული და ინგლისური სპეცსამსახურების ბოლოდროინდელი სისხლიანი შოუა. უეცრად, სად იყო სად არა, ვიღაც ისლამისტმა ტერორისტებმა კამერების წინ დაიწყეს ადამიანებისთვის თავების მოჭრა. მართალია, ერთ-ერთი „ისლამისტი ტერორისტი“ ინგლისური სპეცსამსახურების აგენტი აღმოჩნდა და თავი გაყიდა ბანალურ გამონათქვამებში, მაგრამ ეს უკვე წვრილმანებია.

**ვის მოჰკვეთეს თავები? — ამერიკელს, ფრანგს, ინგლისელს. ამ კადრების უწყვეტ ტირაჟირებას ახდენდნენ აშშ-ისა და ევროკავშირის მედიასაშუალებები. ვინ ბომბავს სირიას? — აშშ, საფრანგეთი და ინგლისი. ამ ქვეყნების საზოგადოება კი კმაყოფილია — ბარბაროსებს ხოცავენ...**

**დღეს აშშ-ის სპეცსამსახურები ამერიკის ინტერესებისთვის არ ომობენ. ისინი ამერიკელი გადასახადების გადამხდელთა ფულით ემსახურებიან მსოფლიო ფინანსური მაფიის ინტერესებს, ისევე, როგორც აშშ-ის ყველა სამხედრო კომპონენტი...**

ისლამური სახელმწიფო ამერიკული სპეცსამსახურების მორიგი პროდუქტია. ალგორითმი მარტივია: იქმნება კონტროლირებადი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შემდეგ ქმნის დაძაბულობის ზონას და აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო შეჭრის საბაბს. ასე ხდება ყოველთვის, როგორც კი საჭიროა სადმე ლოკალური ომის გაჩაღება, მდგომარეობის დესტაბილიზება ან მართვადი ქაოსის ორგანიზება.

მაიდანი აშშ-ის საინფორმაციო-ტერორისტული მოქმედებების კლასიკური მაგალითია. მოვლენები კიევის თავისუფლების მოედანზე რომ განვითარებულიყო უკრაინული და უცხოური მედიასაშუალებების მძლავრი მხარდაჭერის გარეშე, დესტაბილიზებული აღმოჩნდებოდა კიევი, ისიც არა მთლიანად.

მაგრამ ტელევიზორების ეკრანებზე 24-საათიან რეჟიმში გამოსახული საზარელი სურათი მთელი ქვეყნის მასშტაბით გადადიოდა უკრაინელთა თავიდან თავში და მთელი უკრაინა აიშალა. პარალიზებულია ხელისუფლების, ძალოვანი სტრუქტურების, სპეცსამსახურების, სახელმწიფო უშიშროების მთელი სისტემის მუშაობა. შედეგი: უკრაინა ღია აგრესიის გარეშე მოექცა გარეშე მმართველობის ქვეშ, დაკარგა მოჩვენებითი დამოუკიდებლობაც კი, მილიარდობით დოლარი მართებს ოკუპანტისა და თანაც პროცენტებით უნდა დაუბრუნოს.

რაც შეეხება ოკუპანტს, უკრაინას ის მთავარი მოკავშირე და მხსნელი ჰგონია!

რუსეთი რომ არ ჩარეულიყო, შედეგი ნამდვილად იდეალური იქნებოდა...

ტერორიზმი არის ფულისთვის წამოწყებული ფულის ომის მექანიზმი.

თუ ამერიკული სპეცსამსახურების მოქმედებებს ყურადღებით გავაანალიზებთ, ძნელი არ იქნება იმაში დარწმუნება, რომ **დღეს აშშ-ის სპეცსამსახურები ამერიკის ინტერესებისთვის არ ომობენ. ისინი ამერიკელი გადასახადების გადამხდელთა ფულით ემსახურებიან მსოფლიო ფინანსური მაფიის ინტერესებს, ისევე, როგორც აშშ-ის ყველა სამხედრო კომპონენტი...**



**interpolit.ru**

მოკლედ





კაილიშ სატუარტი

## მშვიდობის ნობელი 17 წლის გოგოს ერგო

**ნობელის პრემია მშვიდობის დარგში პაკისტანელ აქტივისტ მალალა იუსუფზაის და ბავშვთა უფლებების დამცველ ინდოელ კაილიშ სატუარტის გადაეცათ.** 17 წლის მალალა იუსუფზაი ნობელის პრიზის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელია. პაკისტანელი გოგონა საქვეყნოდ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც 2009 წელს, 11 წლის ასაკში, „ბი-ბი-სის“ ბლოგერი გახდა. 2012 წელს მალალა იუსუფზაი „თალიბებმა“ მძიმედ დაჭრეს. ნობელის კომიტეტის განცხადებით, 60 წლის კაილიშ სატურატსა და მალალა იუსუფზაის პრიზი ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გადაეცათ. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წელს 278 ნომინანტი იყო, მათ შორის რომის პაპი — ფრანცისკი.



მალალა იუსუფზაი

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალერგიას ამწვავებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სხვადასხვა დეზოდორანტი, დაბინძურებული ჰაერი, დაბალი ტემპერატურა, ნესტი, გამონაბოლქვი, თამბაქოს კვამლი, ქარი.**



# ყველაფერი ალერგიის შესახებ

**ალერგია არის მომატებული მგრძნობელობა იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც უსაფრთხოდ არის მიჩნეული და მათთან კონტაქტი სხვა ადამიანების მიერ, ჩვეულებრივ, ნორმალურად გადაიტანება. ის გამოვლინდება გარკვეული სიმპტომების სახით, ყველაზე ხშირად გვხვდება რესპირატორული, ანუ სასუნთქი გზების ალერგიის, ალერგიული დერმატოზების, ალერგიული ენტეროპათიისა და ანაფილაქსიური შოკის სახით. დღეს ალერგიით დაავადებულია ყოველი მესამე ადამიანი. ალერგიით დაავადებების შემთხვევები და მისი სიმძიმე განუხრელად იზრდება მსოფლიოში.**

ბევრი ამ პათოლოგიას უკანასკნელი წლების გამოძახილად მიიჩნევს, თუმცა იგი სულაც არ არის თანამედროვე — მას ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებშიც იცნობდნენ. ჰიპოკრატე თავის ნაშრომებში ზოგიერთი საკვების მიღების შემდეგ კანზე გაჩენილ ავადმყოფურ გამონაყარს ახსენებს.

**ტერმინი „ალერგია“ მედიცინაში ავსტრიელმა მეცნიერმა, ვენაში მცხოვრებმა პედიატრმა პირკემ 1906 წელს დანერგა. მან პირველმა შეამჩნია პაციენტებს ალერგიული გამოვლინებები და ივარაუდა, რომ ისინი გარეგან ფაქტორთა მხრიდან ორგანიზმზე ზემოქმედების შედეგი იყო.** ამა თუ იმ გარეგანი ფაქტორისადმი ორგანიზმის მომატებულ მგრძნობელობას ჰიპერმგრძნობელობა ეწოდა, მოგვიანებით კი მეცნიერებმა — გელმა და კომბსმა ჰიპერმგრძნობელობის რეაქციათა 4 ძირითადი ტიპი გამოყვეს.

იმ გამღიზიანებელ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის უჩვეულო რეაქციას, ალერგენებს უწოდებენ. ალერგენი არის ნივთიერება, რომელიც იწვევს სენსიბილიზაციას, ანუ ორგანიზმის იმუნური სისტემის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რაც დამახასიათებელია ალერგიული დაავადებებით შეპყრობილი ადამიანებისთვის. ძირითად ალერგენებს წარმოადგენენ: მცენარეების მტვერი; დანესტიანებულ ადგილებში განვითარებული ობი და შმორი (მიკროსკოპული სოკოები); ცხოველის ბეწვი; საყოფაცხოვრებო მტვერი; სხვადასხვა საკვები პროდუქტი (თხილი, არაქისი, ნიგოზი, თაფლი, შოკოლადი და ა. შ.)

მათი რიცხვი ძალიან დიდია. ისინი ორგანიზმში უმთავრესად სამი გზით ხვდებიან: 1. ინჰალაციურით, ანუ სასუნთქით (ალერგენით დაბინძურებული ჰაერის ჩასუნთქვით); 2. ალიმენტურით (ალერგენის შემცველი პროდუქტის ან სხვა ნივთიერების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრით); 3. კონტაქტურით (კანსა და ლორწოვან გარსებთან ალერგენის უშუალო კონტაქტით).

**ალერგიული რეაქციის ძალა ორგანიზმში მოხვედრილი ალერგენის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. ალერგენის უმცირეს რაოდენობასაც კი შეუძლია, ანაფილაქსიური შოკი გამოიწვიოს. რეაქციის ძალას უპირატესად ალერგენის ორგანიზმში მოხვედრის გზა, საკუთრივ ალერგენის სიძლიერე და კონტაქტის ინტენსივობა განსაზღვრავს.**

ყოველი ცალკეული ალერგენი შეიძლება გახდეს მთელი რიგი სიმპტომების გამომწვევი. მაგალითად, მცენარის მტვერი შეიძლება გახდეს არამარტო რინოკონიუქტივიტის, არამედ ბრონქოსპაზმისა და ჭინჭრის ციების მიზეზი. ალერგიული ადამიანების უმრავლესობა რეაგირებს ალერგენების მთელ სპექტრზე.

**ალერგიას ამწვავებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სხვადასხვა დეზოდორანტი, დაბინძურებული ჰაერი, დაბალი ტემპერატურა, ნესტი, გამონაბოლქვი, თამბაქოს კვამლი, ქარი.**

ალერგიულია რეაქცია, რომელიც ორგანიზმში ალერგენის მოხვედრის შემდეგ ვითარდება. ალერგენის ორგანიზმთან პირველი კონტაქტის შედეგად ვითარდება ორგვარი ალერგიული რეაქცია: სპეციფიკური და არასპეციფიკური (არაიმუნოლოგიური, ფსევდოალერგიული).

სპეციფიკური ალერგიული რეაქცია ვითარდება ორგანიზმზე კონკრეტული ალერგენის ზემოქმედების შედეგად, რომელიც სენსიბილიზაციით გამოიხატება. სენსიბილიზაცია ნიშნავს, რომ იმუნური სისტემა კონტაქტში შევიდა ანტიგენთან, დაიმახსოვრა მისი თავისებურებანი და მზად არის, მორიგი კონტაქტისას მისი ზემოქმედების საპასუხოდ ანტისხეულები გამოიმუშაოს. თუ კონტაქტი განმეორდა, იმუნიტეტი ალერგენს მყისიერად ამოიცნობს და იერიშს მიიტანს, „მტრის“ განადგურების მცდელობა კი, უპირველეს ყოვლისა, თავად ორგანიზმს აზიანებს. სენსიბილიზაციის განვითარება რამდენიმე დღიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება.

ერთი სიტყვით, სპეციფიკური ალერგია ორგანიზმის საპასუხო, მომეტებული რეაქციაა, ჰიპერრეაქციაა გარემოდან მოხვედრილ ზოგიერთ ნივთიერებაზე, რომელსაც იმუნური სისტემა სახიფათოდ მიიჩნევს, თუმცა, შესაძლოა, რეალურად სრულიადაც არ იყოს საშიში. სპეციფიკური ალერგიული რეაქციების განვითარებაში წამყვან როლს ასრულებს ორგანიზმის გენეტიკური მიდრეკილება, წინასწარი განწყობა ალერგენის ზემოქმედების შედეგად სისხლში IgE ანტისხეულების გამოhმუშავებისადმი.

არასპეციფიკური ალერგიული რეაქციები ვითარდება ალერგენთან პირველივე კონტაქტისას, ყოველგვარი წინამორბედი სენსიბილიზაციის გარეშე. ამ შემთხვევაში ალერგიის გამომწვევი ფაქტორი, შესაძლოა, იყოს სიცხე ან სიცივე, რომელთა ზემოქმედების შედეგად ორგანიზმში იმუნური სტრუქტურების მონაწილეობის გარეშე წარმოიქმნება მედიატორული ნივთიერებანი (ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები) და ფსევდოალერგიულ რეაქციებს იწვევს. ფსევდოალერგიას სპეციფიკური ალერგიის მსგავსი სიმპტომები ახასიათებს: ასთმა, რინიტი, ჭინჭრის ციება, შეშუპება, თუმცა ფსევდოალერგიის დროს არ არსებობს გენეტიკური განწყობა და IgE ანტისხეულების გამომუშავებისადმი მიდრეკილება. არც ფსევდოალერგიული გამოვლინებებია იმუნური სისტემის საპასუხო რეაქციები.



**ალერგიული რეაქციის ძალა ორგანიზმში მოხვედრილი ალერგენის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. ალერგენის უმცირეს რაოდენობასაც კი შეუძლია, ანაფილაქსიური შოკი გამოიწვიოს. რეაქციის ძალას უპირატესად ალერგენის ორგანიზმში მოხვედრის გზა, საკუთრივ ალერგენის სიძლიერე და კონტაქტის ინტენსივობა განსაზღვრავს**



ალერგიულ დაავადებებს იმუნოლოგიური ბუნება აქვს — ისინი გამოწვეულია იმუნური პასუხის რეგულაციის დარღვევებით. განსხვავებით ნორმალური იმუნური პასუხისგან, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზმის მხრიდან მისთვის უცხო, პოტენციურად საშიშ ნივთიერებასთან კონტაქტის დროს, იმუნური პასუხი, რომელიც თან ახლავს ალერგიული რეაქციებს, ყალიბდება უსაფრთხო გარემო სუბსტანციებთან კონტაქტის ფონზე.

იმუნური სისტემა ადამიანს გარეგანი თუ შინაგანი წარმოშობის მავნე ანტიგენებისგან იცავს და საკმაოდ ეფექტურადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ისიც ცდება — არაადეკვატურად მოქმედებს და იმუნოპათოლოგიურ მდგომარეობებს განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი დაავადებაა ალერგია. სხვა იმუნოპათოლოგიური დაავადებებისგან განსხვავებით, როდესაც იმუნური სისტემის ფუნქციონირება დათრგუნული (იმუნოდეფიციტები) ან გაუკულმართებულია (ავტოიმუნური დაავადებები) ალერგიის დროს იმუნური სისტემა ზედმეტად აქტიურობს.

რაიმე ალერგიული დაავადების მქონე ავადმყოფის იმუნური უჯრედების მიერ ზოგიერთ სიტუაციებში ხდება E კლასის ანტისხეულების (IgE) სინთეზი და სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი უმეტეს ალერგიულ რეაქციებზე. ალერგიული ადამიანების სისხლში, სხვებთან შედარებით, სწორედ ამ კლასის ანტისხეულების მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება, თუმცა რომელიმე ალერგენის მიმართ სპეციფიკური ამ კლასის ანტისხეულის საკმაოდ მაღალი დონის პირობებში საერთო IgE-ს დონე შეიძლება ნორმალურიც კი იყოს.

ალერგენზე სპეციფიკური IgE შეაღწევს სისხლიდან ქსოვილებში, სადაც შეიბოჭება პოხიერი უჯრედების ზედაპირზე. პოხიერი უჯრედები დიდი რაოდენობით არის ცხვირის, თვალის, ფილტვებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვანში. ისინი აქტიურდებიან, როცა ალერგენის მოლეკულა ფიზიკურ კონტაქტში შედის მათ ზედაპირზე არსებულ IgE ანტისხეულებთან, რომელთაც ამ ალერგენის ამოცნობის უნარი აქვს და იწყება ალერგიული რეაქცია: პოხიერი უჯრედებიდან გამოთავისუფლდება მედიატორები — ცილოვანი ნივთიერებები, რომლებიც უჯრედშორისი ურთიერთქმედების მედიატორებს წარმოადგენს. ამ ნივთიერებებიას გამოთავისუფლებას მოსდევს ადგილობრივად ქსოვილებში ანთებითი პროცესების განვითარება. სწორედ ისინი იწვევს ქრონიკული ალერგიული დაავადებებისთვის დამახასიათებელი შეშუპების, ლორწოს ჰიპერსეკრეციისა და სხვადასხვა გამაღიზიანებელზე ზემგრძნობელობის განვითარებას.

**ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გარკვეული, რატომ არ ვითარდება ალერგენთან კონტაქტის დროს ალერგიული გამოვლინებანი ყველა ადამიანში. ფიქრობენ, რომ გარკვეულ როლს თამაშობს გენეტიკური წინასწარგანწყობა — ალერგიული მშობლების შვილები ხშირად არიან ალერგიულები.**

მძიმე ალერგიულ რეაქციას, რომელსაც უცაბედი და სისტემური (მრავალი ორგანოს დაზიანებით მიმდინარე) ხასიათი აქვს, ანაფილაქსიას უწოდებენ. ანაფილაქსიის პირველი დოკუმენტურად დადასტურებული შემთხვევა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2641 წელს მომხდარა, როცა კრაზანის თითქოსდა უწყინარ ნაკბენს ეგვიპტის მეფე მენესი შეუწირავს. თუმცა მაშინ ეს, რა თქმა უნდა, უცნაურ შემთხვევითობას მიაწერეს და არც სახელის დარქმევა უფიქრიათ და არც მექანიზმის გაშიფვრა.

მისი მექანიზმი ალერგიებისგან მხოლოდ სიმძაფრით გამოირჩევა. ამ შემთხვევაშიც უკვე სენსიბილიზებულ (მომატებული მგრძნობელობის მქონე) ორგანიზმში ალერგენის განმეორებით მოხვედრა წრეგადასულ პასუხს იღებს. შედეგი გლუვი კუნთების სპაზმი, სისხლძარღვების გაფართოება და მათი მომატებული განვლადობაა. თანაც ეს ყველაფერი შეიძლება მეტისმეტად სწრაფად მოხდეს — სულ რაღაც 10 წუთში მიმოქცევაში არსებული სისხლის 50% ძარღვებს გარეთ აღმოჩნდეს. ორგანიზმისთვის ასეთი გამოცდა ძალიან ძნელი გადასატანია. მხოლოდ დროულ და კვალიფიციურ ჩარევას შეუძლია ავადმყოფის ხსნა.

ალერგენთან კონტაქტიდან რაც უფრო მალე გამოვლინდება პირველი კლინიკური სიმპტომები, მით უფრო მძიმე ანაფილაქსიური შოკია მოსალოდნელი. ჩვეულებრივ, პირველი 30 წუთის განმავლობაში ალერგენის მოხვედრის ადგილას აღინიშნება ჩხვლეტის შეგრძნება, რომელიც მალე სახეზე, ტუჩებზე გადაინაცვლებს. ადამიანს დისკომფორტი ეუფლება, მოუსვენრობა, შიში იპყრობს. ყო- ▶

**ალერგიული დაავადებები უმთავრესად მათი ხვედრია, ვინც ზედმეტად ჰიგიენურ პირობებში იზრდებოდა, ნაკლებად ჰქონდა კონტაქტი თანატოლებთან, ბუნებასთან, ინფექციებთან, ხშირად იღებდა ანტიბიოტიკებს, არ მოუხდია სახადი დაავადებები და ა.შ.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ველივე ამას შეიძლება დაერთოს გამონაყარი, ტკივილები მუცელში (ჭვალი), ღებინება, ფაღარათი, სუნთქვის გაძნელება, ცემინება, ხველა, გულის აჩქარება, არითმია. თუ ზომები სასწრაფოდ არ მივიღეთ, შოკის სურათი ყალიბდება: ადამიანი ფერმკრთალდება, არტერიული წნევა ეცემა, პულსი სუსტი და ხშირი უხდება და გონებას კარგავს.

**ანაფილაქსიურ რეაქციებს ყველაზე ხშირად პრეპარატები იწვევს: ანტიბიოტიკები, საკონტრასტო ნივთიერებები, საანესთეზიო საშუალებები.** ასეთი უსიამოვნებისგან დაზღვეული არავინ არის, თუმცა მათთვის თავის არიდება მეტ-ნაკლებად მაინც შეგვიძლია — ყოველთვის აცნობეთ ექიმს მედიკამენტებზე ნებისმიერი ალერგიის შესახებ.

ალერგიით განთქმული მედიკამენტები (საანესთეზიო საშუალებები, ანტიბიოტიკები) მხოლოდ სინჯის შემდეგ უნდა გაკეთდეს, თუმცა, ანაფილაქსიური რეაქცია თვით სინჯმაც შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომაც, როცა ასეთი მანიპულაციის ჩატარებას შემოგთავაზებენ, იკითხეთ, აქვს თუ არა ექიმს შოკიდან გამოსაყვანი მედიკამენტები და იცის თუ არა, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს.

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ალერგიული დაავადებები თანდათან ხშირდება, განსაკუთრებით — განვითარებულ ქვეყნებში.

ალერგია მეოცე საუკუნის დაავადებაა. ბოლო დროს ალერგიული დაავადებების სიხშირე მკვეთრად მატულობს.

**სტატისტიკის მიხედვით, ალერგია აწუხებს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს მოსახლეობის 12-15%-ს. პოლინოზი, ანუ „თივის ცხელება“ (ალერგია მცენარეთა მტვრის მიმართ) და ალერგიული რინიტი აწუხებს მოსახლეობის 8-10%-ს. ალერგიული დერმატიტი კანის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა 11 წლამდე ბავშვებში. ურტიკარია, ანუ „ჭინჭრის ციება“ და „კვინკეს შეშუპება“, ყოველ წელს ემართება მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს. წამლებზე ალერგიული რეაქციები უვითარდება ჰოსპიტალიზებული პაციენტების 2-3%-ს. 6 წლამდე ასაკის ბავშვთა 8%-ს აქვს საკვების რომელიმე სახეობის აუტანლობა, აქედან 2-4%-ს უყალიბდება კვებითი ალერგია, ხოლო მოზრდილებში კვებითი ალერგია 1-2%-ს აწუხებს.**

ანაფილაქსია — დაუყოვნებელი შოკური ტიპის ალერგიული რეაქცია, მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს უვითარდება.

ამ დაავადებათა გავრცელების რისკფაქტორების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა იმუნური სისტემის ჰიპერრეაქტიულობის განვითარების ჰიგიენური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, **ალერგიული დაავადებები უმთავრესად მათი ხვედრია, ვინც ზედმეტად ჰიგიენურ პირობებში იზრდებოდა, ნაკლებად ჰქონდა კონტაქტი თანატოლებთან, ბუნებასთან, ინფექციებთან, ხშირად იღებდა ანტიბიოტიკებს, არ მოუხდია სახადი დაავადებები და ა. შ.** გაირკვა, რომ ასეთ ვითარებაში გაზრდილი ბავშვების იმუნური სისტემა მუდმივად განიცდის ანტიალერგიული მექანიზმების დეფიციტს, რომელთა შედეგადაც იგი ზედმეტად აქტიურდება, ეს კი, თავის მხრივ, ალერგიული დაავადების განვითარებას განაპირობებს.

როდესაც ალერგიის დიაგნოსტიკაზე ვსაუბრობთ, მთავარია, მაქსიმალური სიზუსტით დადგინდეს ალერგიის გამომწვევი, რაც, სამწუხაროდ, არ არის ადვილი. დიაგნოსტიკური ტესტები, რომელთაც მთელ მსოფლიოში იყენებენ, მათ შორის — იმუნოლოგიური ტესტები და კანის სინჯები — არ გვაძლევს დამნაშავე ალერგენების 100%-იანი სიზუსტით გამოვლენის საშუალებას, განსაკუთრებით — კვებითი და მედიკამენტური ალერგიის შემთხვევაში. მაგალითად: კვებითი ალერგიის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად ითვლება პროვოკაციული სინჯი საკვებით. ამ სინჯებს შორის საუკეთესოა ორმაგი ბრმა მეთოდი, როდესაც პაციენტი იღებს სპეციალურ კაფსულებში მოთავსებულ საკვებს, მაგრამ, ფსიქოლოგიური ეფექტის გამორიცხვის მიზნით არც მან და არც ექიმმა არ იციან, რა პროდუქტია ეს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება დამნაშავე საკვების მაღალი სიზუსტით გამოვლენა, თუმცა ასეთი ტესტის ჩატარება ძალიან ძნელია. ძნელია მედიკამენტური ალერგენის გამოვლენაც, ვინაიდან მედიკამენტებით ჩატარებული ტესტები, გარდა პენიცილინისა, ნაკლებ სარწმუნოა: ზოგჯერ ცრუ დადებით ან ცრუ უარყოფით შედეგებს იძლევა.

ალერგიის მკურნალობისას ყველაზე მარტივი და ეფექტურია მისი გამომწვევებისგან თავის დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება, სამწუხაროდ, ხშირად შეუძლებელია. უფრო ხშირად იყენებენ სიმპტომურ (დაავადების სიმპტომებზე მოქმედ), რეაქტიულობის დამთრგუნველ და პროფილაქტიკურ პრეპარატებსა და მეთოდებს. მკურნალობა ნებისმიერ შემთხვევაში ტარდება ექიმის მიერ ან მისი მეთვალყურეობით. თვითმოქმედება ამ თვალსაზრისით დაუშვებელია, ვინაიდან ალერგოზი, როგორც წესი, პროგრესირებს და მძიმდება.

# 4-კილომეტრიანი შლეიფი



**ჩინეთში საქორწილო კაბის დიზაინერების ჯგუფმა დაამზადა საპატარძლო კაბა, რომლის სიგრძეც 4 კმ-ს შეადგენს. დიზაინერებს გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში მოხვედრა სურდათ...** კაბის შლეიფი 4 100 მეტრის სიგრძისაა, 54 კილოგრამს იწონის და მისი დამზადება 6 500 ამერიკული დოლარი დაჯდა.

# «ელო» «ფეისბუქს» ჩაანაცვლებს

**ვინაიდან „ფეისბუქი“ ყველა იმ პროფილს დაბლოკავს, რომლის შემქმნელსაც ნამდვილი სახელი არ აქვს მითითებული, ძალიან ბევრმა სოციალური ქსელი გამოიცვალა და დამოუკიდებელ საიტ „ელოზე“ გადავიდა.**






სოციალურ ქსელ „ელოს“ შემქმნელი პოლ ბადნიცი, რომლის საიტსაც „ანტიფეისბუქს“ უწოდებენ, ძალიან მოხარულია, რომ ლგბტ მომხმარებლები მის საიტზე გადადიან.

„ელოზე“ ყოფნისთვის არაა საჭირო, ნამდვილი სახელი გამოიყენო. **„ჩვენ მოვუწოდებთ ხალხს, იყვნენ ისეთები, როგორიც თავად სურთ. ერთადერთი მოთხოვნა არის წესების დაცვა, რომლებიც განთავსებულია საიტზე. ჩვენ ნულოვან ტოლერანტობას ვუცხადებთ სიძულვილს და სხვა ნეგატიურ ქცევებს. ასევე დავბლოკავთ ყველას, ვინც ამას არ გაითვალისწინებს“,** — ამბობს საიტის შემქმნელი.

არსებული ინფორმაციით, „ელო“ არ ყიდის რეკლამებს და არც აპირებს. „თქვენ ხართ ადამიანები და არა მონაცემთა ბაზა“, — ეს არის „ელოს“ სლოგანი და დაპირება.

საიტის მომხმარებლების რიცხვი რეკორდული სისწრაფით იზრდება.

# მეცნიერებმა დედამიწის განადგურების ახალი თარიღი დაასახელეს

**ამჯერად წინასწარმეტყველთა როლში გვევლინებიან ამერიკელი მკვლევარები, რომლებიც კაცობრიობის აბსოლუტური განადგურების თარიღს ამხელენ — 2880 წლის 16 მარტს დედამიწაზე სიცოცხლე აღარ იქნება.**



სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ სწორედ ამ დღეს დაგვეჯახება გიგანტური ასტეროიდი და დადგება სამყაროს აღსასრული. ასტეროიდს სახელიც უწოდეს, მას 1950 დიეი ჰქვია.

თუ შეჯახება მოხდება, აფეთქების სიძლიერე, მათი მონაცემებით, 45 000 მეგატონა ტროტილის აფეთქების ექვივალენტური იქნება. შეჯახება გიგანტურ აფეთქებას და ცუნამს გამოიწვევს, რომლის შედეგადაც შეიცვლება დედამიწის კლიმატი და კაცობრიობა განადგურდება.

დედამიწაზე აპოკალიფსისთვის აქტიურად 2012 წლის 21 დეკემბერს ემზადებოდნენ, თუმცა მაშინ სამყაროს დასასრული არ დამდგარა. ცოტა ხნის წინათ კი შოტლანდიელმა მეცნიერებმა საერთოდ „გააუქმეს“ არმაგედონის დადგომის თარიღი. ხოლო სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის ექსპერტების პროგნოზებით, ჩვენს პლანეტაზე ყველანაირი ცოცხალი ორგანიზმი მხოლოდ ერთი მილიარდი წლის შემდეგ განადგურდება.

# უდიდესი ჰაკერული თავდასხმა

**ჰაკერებმა 83 მილიონი ადამიანის პირადი მონაცემები გაიტაცეს. უმსხვილესი ჰაკერული თავდასხმა ბანკ JP Morgan-ის მონაცემთა სისტემაზე განხორციელდა. ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, გატაცებულია მხოლოდ საკონტაქტო ინფორმაცია.** იმის დამადასტურებელი ნიშნები, რომ პაროლები, ანგარიშები და დაზღვევის ნომრებიც დაკარგულია, ჯერჯერობით არ არსებობს. ამ დრომდე არც გატაცებული მონაცემების გამოყენებით ჩადენილი დარღვევა დაფიქსირებულა. უსაფრთხოების ექსპერტები აფრთხილებენ ყველას, რომ ჰაკერები ამ მონაცემებით თაღლითური სქემების გათამაშებას აპირებენ. შესაბამისად, ბანკის კლიენტები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.

ინფორმაციის დამცველი კომპანიის ვიცეპრეზიდენტის — ტალ კლეინის განცხადებით, ამ შემთხვევამ ხალხს ბანკების საიმედოობის რწმენა შეურყია. მათ ეგონათ, რომ მათი პირადი ინფორმაცია საიმედო კომპანიების ხელში იყო, ეს კი ფიქცია აღმოჩნდა.

ჰაკერების მსხვერპლი ბანკი თავის კლიენტებს ამშვიდებს და მოუწოდებს, არ შეცვალონ პაროლები და ექაუნთის მონაცემები, რადგან ჰაკერები ბანკის ქონებას — ანგარიშებსა და პაროლებს — არ შეხებიან.

თავდასხმის ფაქტს აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ.



### ლუის რობერტსონი:

# სააკაშვილი ზედამხედველობდა ციხეში წამებას და მიწასთან ასწორებდა თავისუფალ პრესას



**ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ლუის რობერტსონი სენატორების — ჯეიმს რიშის, ჯინ შაჰინის, მარკო რუბიოსა და ჯონ მაკკეინის წერილის საპასუხოდ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდს იხსენებს.**

წერილში სათაურით „რატომ უჭერენ მხარს აშშ-ის სენატორები ტირანს?“ რობერტსონი მიხეილ სააკაშვილის შესახებ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ მასალაში არაფერია ნათქვამი სააკაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებაზე ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის თაობაზე.

ლუის რობერტსონს, რომელიც „იმედს“ რუპერტ მერდოკის კორპორაცია News Corp-ის დავალებით ხელმძღვანელობდა, მიაჩნია, რომ ტელევიზიის დარბევის ბრძანება მიხეილ სააკაშვილმა გასცა. იგი 7 ნოემბერს „იმედში“ შექმნილ სიტუაციას დეტალურად აღწერს და აცხადებს, რომ შვიდი წლის განმავლობაში ამ დანაშაულზე პასუხი არავის მოეკითხა.

**„ჩემს კოლეგებთან ერთად მეც ტელევიზიის შენობაში ვიყავი 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ის გაავერანეს სააკაშვილის ზონდერებმა, რომლებიც პარალელურად არბევდნენ ხელისუფლების მოქმედების გასაპროტესტებლად გამართულ მშვიდობიან დემონსტრაციას თბილისის ცენტრში. სახეზე ნიღბები ეკეთათ, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მათი ამოცნობა, ხელში კი ეკავათ აკ-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ჩვენი რვათვენახევრის ორსული თანამშრომლის მუცელზე ჰქონდათ მიშვერილი. ის კი ჩანასახის პოზაში მოკუნტულიყო და ასე ცდილობდა ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილის დაცვას.**

მე ვხედავდი, როგორ უმიზნებდნენ თავში ძირს დაგდებულ და მოკრუნჩხულ ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელსაც ხელები სახეზე ჰქონდა აფარებული იმის იმედით, რომ თავში არ ესროდნენ. მობილური ტელეფონები ჩამოგვართვეს და დააზიანეს თანამშრომელთა კომპიუტერები. ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც ხუთ მილიონზე ნაკლებია, მხოლოდ ერთ ადამიანს, პრეზიდენტ სააკაშვილს, ჰქონდა ძალაუფლება, გაეცა ასეთი დარბევის ბრძანება“, — წერს ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი.

**„სენატორები მაკკეინი, შაჰინი, რუბიო და რიში, ალბათ, დააბრმავა სააკაშვილის უკომპრომისო რიტორიკამ პუტინის წინააღმდეგ. მათ გამოეპარათ ის ფაქტი, რომ სააკაშვილი ადამიანის უფლებათა სერიული დამრღვევი იყო, რომელიც ზედამხედველობდა ციხეში სისტემატურ წამებას და მიწასთან ასწორებდა თავისუფალ პრესას,“** — წერს ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი.

წერილის ბოლოს ლუის რობერტსონი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს სასამართლო სათანადოდ შეაფასებს.

**„ახალ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ხოლო ყოფილი პრეზიდენტი გაქცეულია და ემალება ქართულ პოლიციას. ეს კი მაძლევს იმედს, რომ ის, რაც დატრიალდა ნოემბრის იმ დღეს, სათანადოდ შეფასდება სასამართლოში და სამართალი უზრუნველყოფილი იქნება ყველასთვის, ვინც გადავიტანეთ ის საშინელი დღე და ღამე. იმედია, რომ დღეს, როცა სააკაშვილი სამართალში მისცეს, ეს სენატორები გადახედავენ თავიანთ პოზიციას მასზე. ჩვენმა ლიდერებმა უნდა გაავრცელონ მკაფიო გზავნილი, რომ ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ტირანული ქცევა, თუნდაც ე.წ. მოკავშირეებისაგან“,** — აღნიშნავს რობერტსონი.

## მადლობა ქალბატონ ლამარა თოდუას

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლამარა თოდუას. მან დამიბრუნა ცხოვრების ხალისი და დღეს სარკეში ჩახედვა მიხარია. გარდატეხის ასაკიდან სახეზე მქონდა საშინელი გამონაყარი, წლების განმავლობაში დერმატოლოგების დანიშნულმა ვერანაირმა დიეტამ და წამლების მრავალჯერადმა კურსმა ვერ მიშველა. შევეჩვიე იმ აზრს, რომ ასე ვიქნებოდი მთელი ცხოვრება. მაგრამ ერთ-ერთი მადლიერი პაციენტისგან გავიცანი ქალბატონი ლამარა, თავის საგვარეულო მალამოების საშუალებით მოახდინა სასწაული — სახეზე გამიქრო გამონაყარი, კანი გახდა გლუვი და ხავერდოვანი. რაც მთავარია, გამიქრა კომპლექსი და მიხარია ცხოვრება. მან ასევე ჩემს პატარა ძმიშვილს თავის ჯადოსნური მალამოებით მოურჩინა დამწვარი ხელი — უნიკალური შედეგით, ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. საგვარეულო წამლებითა და მალამოებით, მრავალი ათეული წელია, ათასობით მადლიერი პაციენტი ჰყავს მორჩენილი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული მალამოებით იგი მკურნალობს: კანზე გამონაყარს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან და სოკოვან დაავადებებს. გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, არჩენს მეჭეჭებს. ერთი პროცედურით აშორებს ტილებს, აჩერებს თმის ცვენას. ყოველგვარი ნაიარევისა და ლაქების გარეშე მკურნალობს ნებისმიერი სახის დამწვრობას, ასევე ჰაიმორიტს, მეძუძურ დედებში მკერდის გამაგრებას. პატივისცემით,

ნინი მაზმიშვილი, სტუდენტი

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. N166, მე-10 კორპუსის წინ და I კორპუსის უკან. ტელ: 2-30-62-52; 599-16-10-82**

## სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს დააკისრა იეჰოვას მოწმეებისთვის კომპენსაციის გადახდა



**სტრასბურგის სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქმის მიხედვით, რომლის სახელწოდებაა „ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, 2000-2001 წლებში საქართველოს ხელისუფლება იეჰოვას მოწმეებს ავიწროებდა.**

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლი დაირღვა.

სარჩელში მოხვდა იეჰოვას მოწმეების დევნის, მათ წინააღმდეგ გამოჩენილი ფიზიკური ძალადობისა და ვერბალური შეურაცხყოფის 30-მდე ეპიზოდი, მათ შორის, ბასილ მკალავიშვილისა და მისი მრევლის საქმეც.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ საქმის თითოეულ მონაწილეს — იეჰოვას 99 მოწმეს — 350 ევრო უნდა გადაუხადოს. გარდა ამისა, მოსარჩელეებს სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს გაწეული ხარჯებიც — 15 ათასი ევრო.

## მადლობა მაყვალა ცინცაძეს

პოდაგრული ართრიტის გამო 4 წელი ვიტანჯებოდი. უეცრად მეწყებოდა მწვავე შეტევითი ტკივილები ტერფ-ფალანგის სახსარში. ფეხსაცმლის ჩაცმა სატანჯველად მექცა, აქედან გამომდინარე, მოძრაობა ძალიან მიჭირდა. ვმკურნალობდი ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებითა და ტკივილგამაყუჩებლებით, ვიცავდი დიეტას. ივლისში აჭარაში იმყოფებოდა სახალხო მკურნალი, მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, რომელიც მცენარეული საფენებითა და თეთრ მუმიოზე დამზადებული მალამოს საშუალებით მკურნალობდა ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, კისრის, მუხლ-სახსრის, მხრის, მენჯ-ბარძაყის ოსტეოართროზსა და დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებასა და ჰაიმორიტს.

გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი. ჩავიტარე მკურნალობის 2 კურსი. დღემდე არ შევუწუხებივარ შეტევითი ხასიათის არანაირ ტკივილს. ჩემი მდგომარეობით კმაყოფილმა და მადლიერმა მასთან მკურნალობა ჩემს მეუღლესაც დავაწყებინე, რომელსაც წლების განმავლობაში აწუხებდა ჰაიმორიტი და ფრონტიტი. საოცრად მოკლე დროში, 5-6 პროცედურის შემდეგ, განიკურნა. ჩემი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდი მკურნალს.

ტარიელ ქათამაძე,
ჩაქვის საჯარო სკოლის დირექტორი (ტ.: 577 50 41 41)

**მკურნალის მისამართია:
წერეთლის გამზირი 72, მე-3 კორპუსი,
ბინა 19. ტელ: 2-34-62-51; 599-20-19-66**

## გახდომა უმადობით

18-19 წლის ასაკში შემაწუხა ჭარბმა წონამ, აღარ მომწონდა საკუთარი გარეგნობა, გავხდი უხასიათო, ნერვული, დავკომპლექსდი, დავკარგე ყველაფრის მიმართ ინტერესი. იძულებითმა დიეტებმა, ასევე წონაში დამკლებმა სხვადასხვა საშუალებამ, რომელთაც ხშირად ვიყენებდი, შემირყია ჯანმრთელობა, შემექმნა კუჭის პრობლემებიც. ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული ინფორმაციებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, მიმეღო ქ-ნ ნუნუს კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენი, რომელსაც, წონაში დამკლები სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, უკუჩვენება არ აქვს. იმთავითვე დამიქვეითდა მადა, წონაში 13 კგ დავიკელი. არც თავბრუსხვევა მაწუხებდა, პირიქით — მეტი ენერგია, მეტი შრომის უნარი ვიგრძენი. ამ ნაყენს არამხოლოდ გასახდომად, სამკურნალოდაც იყენებენ: გამისუფთავდა კანი, მომიწესრიგდა ციკლი, გაიწოვა მცირე ზომის კისტამ, მომიგვარდა ნაღვლისა და კუჭის პრობლემები. ბედნიერი და უზომოდ კმაყოფილი მადლობას ვუხდი ქ-ნ ნუნუს!

ნ.შ., თბილისი

სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში წაკითხულ ინფორმაციებზე დაყრდნობით გადავწყვიტე, მიმეღო ქ-ნ ნუნუს კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენი. პირველივე დღიდან სხეულში ვიგრძენი საოცარი სიმსუბუქე, მომემატა ენერგია, დამიქვეითდა მადა, წონის დაკლება თანდათან მიმდინარეობდა, 3 კვირაში მიღებული შედეგით სრულიად კმაყოფილი დავრჩი.

წლების მანძილზე მაწუხებდა მზის სხივების მიმართ მგრძნობელობა (ქავილი, სიწითლე), ამ ჯადოსნური ნაყენის მიღების შემდეგ კისრის მიდამოში არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები სრულიად გამიუფერულდა, აღარ მაწუხებს გახშირებული შარდვა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, დამიმშვიდდა ნერვები, მუხლებში მომემატა ძალა. მოკლედ, წონაში (უმტკივნეულოდ და სრულიად უსაფრთხოდ) კლების პარალელურად გავჯანსაღდი. ბედნიერი და უზომოდ კმაყოფილი მადლობას ვუხდი ქ-ნ ნუნუს!

გულიკო ქართველიშვილი

**ქალბატონ ნუნუს დაუკავშირდით
ტელ.: 2-93-47-51; 599-25-11-58**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;
218-46-08 ექიმი ნინო
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894